ელექტრონული ბიბლიოთეკა

საქართველოს თავადაზნაურთა საკრებულოს
აჭარის ორგანიზაცია

**რამაზ სურმანიძე**

# თავადაზნაურობა და მათი ოჯახები ბათუმის ოლქში 1912 წ.

**მეორე შესწორებული და შევსებული გამოცემა**

თბილისი
2016

ეს წიგნი ავტორის მიერ 2007 წელს თბილისში გამოცემული ნაშრომის შესწორებულ და შევსებულ ვარიანტს წარმოადგენს. მისი გამოცემა აუცილებლობით იყო ნაკარნახევი; პირველ წიგნში დაშვებული იყო მრავალი ტექნიკური ხარვეზი: გარდა ამისა განვლილი ათი წლის მანძილზე ავტორმა მოიპოვა სრულიად ახალი მასალები.

ასეთი სახით იგი კიდევ უფრო საინტერესო გახდება გენეალოგიით დაკავებული მეცნიერების და თავისი გვარის ისტორიით დაინტერესებული მკითხველისთვის.


რედაქტორი: **ზურაბ ჭუმბურიძე**, პროფესორი

რეცენზეტები: **ოთარ გოგოლიშვილი**, პროფესორი
**მიხეილ ქამადაძე**, პროფესორი

**წიგნი გამოდის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ფინანსური მხარდაჭერით**

ISBN

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# წინასიტყვაობა

*ოჯახებისა და ნათესაური კავშირების, მემკვიდრეობისა და გვარების წარმოშობის საკითხებს დამხმარე ისტორიული მეცნიერება – გენეალოგია სწავლობს. მეცნიერების ამ დარგს დიდი ხნის ისტორია აქვს* ***(ვახუშტი, იოანე ბაგრატიონი და სხვ.)****,* მაგრამ ახლო წარსულში ჩვენს ქვეყანაში ამ დარგს სათანადო ყურადღება არ ექცეოდა. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ 200 წლის განმავლობაში საქართველოს დაკარგული ჰქონდა სახელმწიფო-ებრიობა, ქვეყანას ჯერ იმპერიული რუსეთი, ხოლო შემდეგ ტოტალიტარული რეჟიმი მართავდა, მემკვიდრეობა, გვარები და ტიტულები კი არც ერთი მათგანის ინტერესებში არ შედიოდა.*

*გენეალოგიური კვლევებისადმი ყურადღება გაცხოველდა XX საუკუნის ბოლო წლებში, როცა საქართველომ მოიპოვა დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ცნობილი ენათმეცნიერის, გელათის აკადემიის აკადემიკოსის, პროფესორ* ***ზურაბ ჭუმბურიძის*** *შეუპოვრობითა და რუდუნებით შექმნილი მეცნიერული გამოკვლევები. მან დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მესამე წელს ისტორიკოს, პროფესორ* ***ქველი ჩხატარაიშვილთან*** *ერთად ფოტოტიპურად გამოსცა „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები“ (თბილისი. მეცნიერება. 1993); ესაა საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული დოკუმენტი (ფ. 213; აღწ. 1, ს. №2128ა), რომელიც შედგენილია რუსულ ენაზე და ხელმოწერილია რუსეთის იმპერატორის მიერ 1850 წლის 6 დეკემბერს. წიგნი იხსნება აკადემიკოს* ***მინდია სალუქვაძის*** *წინათქმით. გამომცემელთა კომენტარების შემდეგ მკითხველს შეუძლია გაეცნოს დოკუმენტის, კერძოდ, გურიის თავადაზნ-*

---

* წიგნის მოცულობის გაზრდის თავიდან ასაცილებლად მეორე გამოცემას აღარ დავურთე საკუთარ სახელთა საძიებელი. საინტერესო პიროვნების მონახვის გასაადვილებლად ტექსტში ყველა გვარი განსხვავებული (შავი) შრიფტითაა აწყობილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აურთა სიის ქართულ თარგმანს, გვარ-სახელთა საძიებელს, ბოლოს დოკუმენტის დედანის ფოტოტიპურ ვარიანტს.

სანამ ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით გამოცემულ სხვა წიგნებზე ვისაუბრებდეთ, ქრონოლოგიის დაცვის მიზნით, მკითხველს შევახსენებთ, რომ 1997 წელს გამომცემლობა „დიალ"-მა დაბეჭდა იოანე ბაგრატიონის „შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა" (გამომცემელი ზ. კაცელაშვილი. თბილისი), რომელიც ძირითადად გეორგიევსკის ტრაქტატზე დართულ ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა გვარების სიას ეყრდნობა და ქართულ გვარებზე, მათს ონომასტიკასა და ისტორიაზე მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს.

ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით მომზადებული მეორე წიგნი „იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები," 1999 წელს გამოვიდა, მესამე წიგნი – „ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები" გამომცემლობა „არტანუჯმა" 2005 წელს, ხოლო „სამეგრელო. თავადები და აზნაურები" 2013 წელს მიაწოდა მკითხველს. სამივე მათგანი შედგენილია იმავე წესით, როგორითაც „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები." ნაშრომებს თან ერთვის ყველა სამეცნიერო აპარატურა.

საყურადღებოა, რომ XIX საუკუნის 50-იან წლების დამდეგს სანკტ-პეტერბურგში რუსეთის იმპერატორის ხელდასმით რუსულ ენაზე გამოსულა საქართველოს თავადთა და აზნაურთა ოჯახების სიები სამ წიგნად: 1. Список князьям и дворянам Грузии, 2. …Имеретии, 3. …Гурии, agreTve Допольнительный список князьям и дворянам Грузии, რომლებიც ფაქტობრივად, საფუძვლად დაედო ზემოთ ჩამოთვლილ ქართულ გამოცემებს.

ჯერჯერობით მეცნიერთა ხელი ვერ მისწვდა ანალოგიურ მასალებს საქართველოს დანარჩენი მხარეების შესახებ. ჩვენთვის უცნობია ისიც, არსებობს თუ არა თავადაზნაურთა ანალოგიური სიები მესხეთ-ჯავახეთზე და აჭარაზე. ამიტომ ყველა ახლად აღმოჩენილი მსგავსი საარქივო დოკუმენტი ისეთივე ღირებულებისაა, როგორც ზემოთ დასახელებული რუსული საბუთები.

ამ მხრივ ჩვენი დიდი ინტერესი გამოიწვია ხარიტონ ახვლედიანის სახელობის აჭარის სახელმწიფო მუზეუმის და აჭარის სახელმწიფო არქივის ფონდებში დაცულმა ორმა საქმემ, რომლებიც თავისი შემადგენლობითა და შინაარსით განსხვავდება ზემოთ დასახელებული სიებისგან, მაგრამ მათი მეცნიერული შესწავლით, დალაგებით, დამუშავებით და სისტემაში მოყვანით საშუალება მოგვეცა შეგვექმნა ფოტოტიპური გამოცემების ანალოგიური ნაშრომი ბათუმის ოლქზე, რომელიც ცარიზმის დროს მოიცავდა აჭარას, ლივანას, შავშეთ-იმერხევსა და ლაზეთის ნაწილს.

იმის გამო, რომ ამ უძველესი ქართული მხარეების ისტორიული წარსული განსხვავდება საქართველოს სხვა მხარეებისგან, ხოლო თავადაზნაურული (აღა-ბეგების) გვარების წარმოშობის, ოჯახებისა და ნათესაური კავშირების, მემკვიდრეობისა და წოდებრივი მდგომარეობის საკითხები წარსულში სპეციალური კვლევის საგნად არ გამხდარა, თავს უფლება მივეცით გაგვეფართოებინა ჩვენი კვლევა და მკითხველისთვის წარგვედგინა ფეოდალური იერარქიის თავისებურებანი, როგორც ძველი საქართველოს, ისე ოსმალთა ბატონობისა და რუსეთის იმპერიული მმართველობის დროს. გარდა ამისა, ნაშრომში შევიტანეთ დასახელებულ მხარეებში გავრცელებული ზოგი თავადური გვარის ონომასტიკონი, თავადთა და აზნაურთა სიები, ასევე გეოგრაფიული ადგილების დასახელება, საიდანაც რუსეთის მმართველობას მიმართეს წოდებრიობის აღდგენის თაობაზე.

მართალია, ჩვენი მასალა ძირითადად 1912 წელს არსებულ მდგომარეობას მოიცავს, მაგრამ თავადაზნაურობის მიმართ მომდევნო პერიოდებში ხელისუფლების დამოკიდებულების თვალსაჩინოებისთვის განვაგრძეთ კვლევა-ძიება და წიგნს დავურთეთ საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში წარჩინებული ფენებისადმი ნეგატიური დამოკიდებულებისა და პოლიტიკური რეპრესიების ამსახველი მასალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

1878 წელს, აჭარის, შავშეთ-იმერხევისა და ლივანა-ლაზეთის შემოერთების შემდეგ, ამ ტერიტორიებს ბათუმის ოლქი ეწოდა. ამ დროისთვის საქართველოს სახელმწიფოებრიობა, მოსახლეობის ფენებად დაყოფა, ქართული წოდებრიობა იმდენი ხნის წინ იყო გაუქმებული, რომ მისი სახსენებელი მხოლოდ არქივებმა, წიგნთსაცავებმა და ეკლესია-მონასტრების უძველესმა ფოლიანტებმა თუ შემოგვინახეს.

ეს მხარეები იურიდიულად იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, მაგრამ „დე ფაქტო" საქართველოსთან ერთად განიხილეობოდა. მიუხედავად ამისა, აქ მცხოვრებ ისტორიულ საგვარეულოებს მეცნიერთა კვლევა ჯერჯერობით არ შეხებია. ამ მხარეებში თავადთა და აზნაურთა გვარებსა და ოჯახებზე სპეციალური ნაშრომი არ დაწერილა და აქაური წარჩინებულნი კვლავინდებურად ბეგებად, აღებად, ეფენდებად იხსენიებოდნენ.

მიგვაჩნია, რომ ქართული ისტორიული წოდებრიობის აღდგენა (აზნაური, თავადი, საპატიო მოქალაქე და ა. შ.) გვარისა და ენის დაბრუნების ტოლფასი და ეროვნული ცნობიერების აღდგენა-განმტკიცების ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. მხედველობაში მისაღებია ის გარემოებაც, რომ მეზობელ ქვეყნებში (ირანი, თურქეთი და სხვ,) ეთნიკური ქართველობა სერიოზულად ფიქრობს ძველი ქართული გვარების დაბრუნებაზე, რომელიც თავისი დიდი ეროვნული მნიშვნელობით კომენტარებს არ საჭიროებს. ამ ფონზე გასაგები უნდა იყოს, რა მნიშვნელობას იძენს ისტორიული ქარტეხილებით დაკარგული სხვა ღირებულებების აღდგენა.

ჯერ კიდევ აჭარის სახელმწიფო მუზეუმის დიდი ამაგდარის, ისტორიკოს **ხარიტონ ახვლედიანის** სიცოცხლეში

ჩემთვის ცნობილი იყო, რომ მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახებოდა ორი საკმაოდ დიდი საქმე, 1911-1912 წლებში ბათუმის ოლქში მცხოვრებ წარჩინებულ პირთა განცხადებების, მოწმეთა და სამოქალაქო რწმუნებულთა ჩვენებების განხილვის საფუძველზე შედგენილი ოქმები. მაშინ (1984 წელი) ამ დოკუმენტებისადმი ჩემი ინტერესი მხოლოდ საკუთარი გვარის გენეალოგიის დადგენით შემოიფარგლებოდა, ამიტომ მასალებს გულდაგულ არ გავცნობივარ.

საქართველოში ისტორიული საგვარეულოების, თავადაზნაურებისა და მათ თანამდგომთა საზოგადოების შექმნის შემდეგ ამ დოკუმენტების არსებობაზე შევახსენე მუზეუმის მაშინდელ დირექტორს ბატონ **ნოდარ ცეცხლაძეს**, რომელმაც თავაზიანად გამაცნო ეს საქმეები და შემომთავაზა იდეა – ერთად მოგვემზადებინა ნაშრომი პირობითი სათაურით, „თავადაზნაურობა ბათუმის ოლქში.“ სამწუხაროდ, ბატონი ნოდარი მოულოდნელად გარდაიცვალა და ეს იდეა მისი თანამონაწილეობით ვეღარ განხორციელდა.

2005 წლის აპრილში ბათუმში დაფუძნდა ისტორიულ საგვარეულოთა საქართველოს საზოგადოების ფილიალი, რომლის დარბაზის გადაწყვეტილებით დამევალა ადრე განზრახული ნაშრომის მომზადება.

მუზეუმის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, პროფესორ **ოთარ გოგოლიშვილისა** და მუზეუმის ერთ-ერთი ძველი მზრუნველის, სიძველეთა თავდადებული მცველის, ქალბატონ **ნაზი ლორთქიფანიძის** დახმარებით, საშუალება მომეცა ღრმად გავცნობოდი ჩემთვის საინტერესო ფონდებს (№23203X1ა, 1201X1 და №23209, 1201X3).

წიგნზე მუშაობის პროცესში აშკარად იგრძნობოდა, რომ ხელთ გვქონდა შიშველი ადმინისტრაციული დოკუმენტები, რომელთაც რაღაც აკლდა, რაღაც კიდევ უნდა არსებულიყო, ჩვენი აზრით, ეს იყო წინასწარი სახელისუ-

ფლებო მიმოწერები, კომისიის შექმნამდე და მის შემდეგ, კომისიის დებულება, მუშაობის წესი. თუნდაც დასკვნითი მოხსენებითი ბარათები და განმცხადებელთა სიები, ვინ დაკმაყოფილდა და ვინ არა.

ჩვენი ვარაუდი მოგვიანებით გამართლდა. წიგნი დასრულებული და ასაკინძად გამზადებული იყო, როცა ცნობილი გახდა, რომ აჭარის სახელმწიფო არქივში ინახება 1879-1912 წწ. ე.წ. აღალართა წოდებრივი კუთვნილების დამადასტურებელ საბუთთა განმხილველი კომისიის ოქმები. ამ საქმის სათაურით დავრწმუნდი, რომ ჩვენს ხელთ არსებული საქმეებისა და ახლადმიკვლეული ფონდის სახელწოდებები, აგრეთვე საბუთების ქრონოლოგიური ჩარჩო ერთმანეთს ემთხვეოდა, აშკარა იყო, რომ ჩვენს წიგნში არსებული ხარვეზი, რაზეც თავად გვქონდა უკმარისობის გრძნობა, შეიძლებოდა შეგვევსო ახალი ცნობებით.

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის უფროსის **ხათუნა შერვაშიძის** დახმარებით გავეცანი ამ საქმეს და სხვა მსგავს დოკუმენტებს, რითაც მნიშვნელოვნად გავამდიდრე ჩვენი წიგნი. ახალი დოკუმენტები (ფონდი №-78, აღწერა 1, საქმე 3 და 4) წარმოდგენილია 5 ძირითადი საბუთით. ესენია:

1. ბათუმის საოლქო წოდებრივი კომისიის ჟურნალი, რომელშიც გარკვეულია ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის (უპირატესად ქართველები) წოდებრივი უფლებები. გავლებულია პარალელი საქართველოს სამეფოში და ოსმალეთის იმპერიაში დაკანონებულ წოდებრივ უფლებებს შორის, რომელსაც კომისიის წევრები იყენებდნენ ერთგვარ სახელმძღვანელოდ წარმოდგენილი თხოვნებისა და საბუთების შეფასების დროს;
2. აქტი, რომელში განმარტებული და განსაზღვრულია ოსმალეთის ტერიტორიაზე მოქმედი ორი ძირითადი წოდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა: ბეგი (ბეგლარი, სანჯაყბეგი, ალაი-ბეგი, ბეი-ზადე) და აღალარი, რომლებიც წოდებრივად ქართული თავადისა და აზნაურის თანაბარია;

3. ბათუმის ოლქის მუსლიმანთა წოდებრივი უფლებების თაობაზე პოდპოლკოვნიკ ნ. ვ. ვოიჩეკის 1912 წლის მარტის მოხსენება, რომელშიც შეჯამებულია ერთი წლის განმავლობაში კომისიის მუშაობის შედეგები;

4. სიები, რომლებშიც შეტანილია განმცხადებელთა ნაწილი, კერძოდ ის პიროვნებები, რომელთა თხოვნა დაკმაყოფილდა, ე. ი. დაუდასტურდა ადრე არსებული წოდება (თავადი, აზნაური), მიენიჭა რუსეთის იმპერიის საპატიო მოქალაქის წოდება, ან აღიარეს მოქალაქედ, ვინც იმსახურებს პატივისცემას;

5. სია მოქალაქეებისა, რომელთა თხოვნის დაკმაყოფილება კომისიამ მიზანშეუწონლად მიიჩნია.ამ სიაში შეტანილია 299 პიროვნება.

სიაში დასახელებული პიროვნებებს დავუმატეთ ახალი გვარები, ხოლო სასურველი გვარის მონახვის გასაადვილებლად, ისინი ალფავიტის თანმიმდევრობით გავაწყვეთ, გარდა ამისა შევადგინეთ ახალი შევსებული სია სოფლებისა, რომლებშიც გავრცელებული ესა თუ ის წარჩინებული გვარი.

ეს დოკუმენტები ჩვენი აზრით, სასარგებლოა ისტორიკოსებისთვის, ისინი აქ ბევრ საინტერესო ცნობას შეხვდებიან, გვარების წარმომავლობის, თავადაზნაურთა უცნობი საგვარეულოების, აგრეთვე ცნობილი პიროვნებების შესახებ.

პირადად ჩემი დიდი ინტერესი გამოიწვია მაჭახლის ხეობის სოფელ ჩიქუნეთიდან **ყეიდი-ბეგ სელიმოღლის** გვარმა. მხატვრულ ნაწარმოებზე (რომანი „ემრულა“) მუშაობისას გავყევი რომანის მთავარი გმირის გზაკვალს, რამაც 1994

ელექტრონული ბიბლიოთეკა

წელს იმერხევის ლამაზ სოფელ ქოქლიეთში ჩამიყვანა. აქ ვნახე ემრულას სახლ-კარი,მამა-პაპის საფლავები, რაც მთავარია შევხვდი მის ნათესავებს.ემრულას ძმის შვილიშვილმა იბრაიმ ბაირახტაროღლიმ,რომელიც მაშინ 84 წლის იყო, მოგვითხრო თუ რატომ გადმოსახლდა ემრულას მამა ქიბარაღა მაჭახლის ხეობიდან იმერხევში. თურმე იმერხევის მოსახლეობა დიდ გასაჭირში ყავდა ასევე მაჭახლიდან გადასულ ყეიდი-ბეგს. მისგან დაცვა თხოვეს ქიბარ-აღას და ამ მიზეზით დაიდვეს მალაყმაძეებმა იმერხევში მუდმივი ბინა, დარწმუნებული ვარ იბრაიმის მიერ დასახელებული სელიმოღლი და კახიძე ერთიდაიგივე პიროვნებაა.

ამ საბუთებით დადასტურდა აგრეთვე, რომ მაჭახლის ხეობის და ქობულეთის **ბასილიძეებს** ერთი ძირი აქვთ, თანაც მაჭახლელები თავადის წოდების აღდგენას ითხოვენ, რაც საფუძველსმოკლებული არაა.

ჩემში დიდი კითხვა გამოიწვია სოფელ ბზუბზუში **ღოღობერიძე-ქიქავას** აღმოჩენამ. მართლაც გაურკვეველია ამ ორი ცნობილი გვარის გაორმაგება რა მოვლენებთანაა დაკავშირებული. საინტერესოა ისიც, რომ ახალ საბუთებში მოხსენებულია სოფელ ურეხის მცხოვრები **ვაშანიძე და არა ვარშანიძე.** როგორც ჩანს (და ეს „ტბეთის სულთა მატიანე"-მაც დაადასტურა) „ვაშანიძე" მართლაც სწორი ფორმაა (მოდის საკუთარი სახელიდან – ვაშანა), ხოლო ვარშანიძე მოგვიანო პერიოდის ტრანსფორმაციის ნაყოფია.

ინტერესს იწვევს აგრეთვე გვარი **ტუკვო**, რომლის სახეცვლილება უნდა იყოს ბათუმში არსებული გვარი ტოკვი, თუმცა დღემდე უცნობი იყო ამ გვარის წარმომავლობა. ჩვენი ახალი საბუთებით კი დადასტურდა, რომ ტუკვო აფხაზური წარმოშობისაა. ამ გვარს ატარებდნენ აფხაზეთიდან აჭარაში მუჰაჯირად გადმოსული ხაჯი-ხუსეინი და ხუსეინ აზიზის ძე – ბათუმელები.

როგორც ადრინდელ, ისე ახლადაღმოჩენილ დოკუმენტებში მრავალ ცნობილ ისტორიულ პიროვნებებსაც ვხვდებით: აბდულ, ახმედ, დევრიშ ბეჟანიძეები, ნური ეფენდი ბერიძე, ყედემ ზაქარაძე, თუფან-ბეგ თავდგირიძე, გულა-აღა კაიკაციშვილი,აბდულ-ეფენდი მიქელაძე, ბეხრი-ბეგ სურმანიძე, ჯემალ ქიქავა, რეჯებ შაშიკაშვილი, თუფან-ბეგ შერვაშიძე, მემედ ჭყონია, ყემბერ-აღა ხარაზი, ჯემალ-ბეგ და თემურ-ბეგ ხიმშიაშვილები და სხვ.

ახალი საბუთების მოძიების დიდ მნიშვნელობაზე მეტყველებს ისიც, რომ ამით ჩვენთვის დამატებით ცნობილი გახდა 6 თავადური და 104 აზნაურის გვარი. სამწუხაროდ ახლადგამოვლენილ გვარებს შორის 50 არაქართულია. დარწმუნებული ვარ, მათი უმრავლესობა ქართველები არიან, მაგრამ ჩვენ ვერ შევძელით მათი გვარების აღდგენა. ახალ საბუთებში შეგვხვდა სულ 85 გეოგრაფიული პუნქტი, რომელთაგან 36 დაბა და სოფელი ადრინდელ საბუთებში არ გვინახავს.

ახლადმიკვლეულმა საბუთებმა დაგვარწმუნა, რომ ბათუმის ოლქის მუსლიმანი მოსახლეობა, თავისი წოდებრივი უფლებების აღდგენის მოთხოვნისას, აქცენტს აკეთებდა ძველ საქართველოზე და ქართველ მეფეებზე, როცა ქვეყანაში გამოკვეთილი იყო წარჩინებული ფენების უფლებები და ვალდებულებები. ბათუმის საოლქო კომისიას, რომელიც მთლიანად რუსეთის ჩინოვნიკებისგან შედგებოდა. ქართველის და ქართული სახელმწიფოს გაგონებაც არ სურდა. ისინი გლცივად პასუხობენ განმცხადებლებს, რომ „ასეთი მოტივი პატივისცემას არ იმსახურებს, რადგანაც ბათუმის ოლქის მოსახლეობამ ისლამი მიიღო და საქართველოსთან მთლიანად დაკარგა კავშირიო.“ ამგვარად სარწმუნოებრივი ფაქტორი არეულია ეროვნულში და ბუნებრივია, კომისიის დასკვნების ობიექტურობაზე ლაპარაკიც ზედმეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე მიზეზებით კომისიამ მიზანშეუწონლად ცნო ბათუმის ოლქში გამოეყენებინა ის წესები, რომლებიც მოქმედებდა ბაქოში, ელიზავეტპოლში, ერევანსა და თბილისში. ამგვარად კომისიამ ბათუმის ოლქი მიიჩნია განსაკუთრებულ ტერიტორიად, სადაც წოდებრივი უფლების აღდგენისას უნდა გაეთვალისწინებინათ ადგილობრივი პირობები და შეემუშავებინათ რაღაც ახალი წესები.

განმცხადებელთა პირად აქტებსა და ოქმებში პირდაპირ არაა მითითებული, რისთვის ეუბნებიან უარს თხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ თვით კომისიის ოფიციალურ დოკუმენტებში არაორაზროვნადაა ნათქვამი, რომ ისინი, ვინც დახმარებას უწევდა თურქეთის არმიას, წოდებრივ პრივილეგიებს არ იმსახურებსო.

წოდებრივი კომისიის უარყოფითი დასკვნის მიუხედავად, დავრწმუნდით, რომ განმცხადებელთა აბსოლუტური უმრავლესობის თხოვნა საართლიანი იყო და ობიექტურად განხილვის შემთხვევაში ისინი უნდა დაეკმაყოფილებინათ. თუმცა რუსეთის იმპერიაში გამეფებული ბიუროკრატიზმისა და უსამართლობის პირობებში ეს ასე არ მოხდა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ დაშლა-დანგრევის წინაშე მდგარი სახელმწიფოს გაკოტრებულ-გაღატაკებულ ხაზინას არ შეეძლო თუნდაც პატარა ბათუმის ოლქში 300 ოჯახისთვის წოდებების აღდგენა. მათზე კუთვნილი (ამიერიდან სახაზინო) მიწების დაბრუნება. მაღალი პენსიების დანიშვნა და სხვა პრივილეგიების განხორციელება.

ამგვარად ჩვენ ხელთა გვაქვს ბათუმის ოლქის წოდებრივი კომისიის მიერ შედგენილი სრული სია 196 გვარისთვის პრივილეგიების აღდგენაზე, მაგრამ ჯერჯერობით არ გვაქვს ანალოგიური სრული სია იმ გვარებისა, ვისი თხოვნაც არ დაკმაყოფილდა. ახალი ფონდებიდან ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ მარტო 126 მიჩნეული იქნა მოქალაქედ,

რომელიც იმსახურებს პატივისცემას, მაგრამ ჩვენ არ ვიციით, ვინ არიან ისინი. ჯერ კიდევ ზუსტად არაა ცნობილი, რამდენ გვარს აღუდგინეს თავადის, რამდენს აზნაურის წოდებები და რამდენი იქნა მიჩნეული რუსეთის საპატიო მოქალაქედ. მართალია, ოქმების და სხვა საბუთების ღრმა შესწავლით ჩვენ საბოლოოდ დავადგინეთ,რომ 16 გვარის 125 ოჯახს მიენიჭა თავადის, 8 გვარის 70 ოჯახს აზნაურის წოდებები, აგრეთვე 19 გვარის 48 წარმომადგენელმა მიიღო საპატიო მოქალაქის წოდება, მაგრამ მაინც ვფიქრობთ, რომ ეს სია სრულყოფილი არაა. იმედია, მომავალში მეცნიერები ამასაც მიაკვლევენ და შეავსებენ 1912 წელს ბათუმის ოლქის თავადაზნაურთა გვარებისა და მათი ოჯახების ნუსხას.

ახალი საბუთების შინაარსის ნათელსაყოფად სიებთან ერთად მოგვაქვს მათი სრული ტექსტის ქართული თარგმანი.

საარქივო დოკუმენტები, რომლებიც საფუძვლად დაედო ამ წიგნის შესავალს, ისტორიულ ნაწილსა და კომენტარებს, შედგენილია ოქმების სახით რუსულ ენაზე; ყველა ოქმს თან ერთვის თავადაზნაურთა განცხადება. მოწმეთა ჩვენება, სამოქალაქო რწმუნებულთა მოსაზრებები, ყველა მათგანის ხელმოწერები და საგანგებოდ შექმნილი წოდებრივი კომისიის წევრთა საბოლოო დასკვნები, ოქმებს ხელს აწერს ბათუმის გენერალ-გუბერნატორი და კომისიის ყველა წევრი. ოქმებისა და მასზე თანდართული საბუთები ჩვენვე ვთარგმნეთ.

წიგნის შესავალი, ისტორიული მიმოხილვა, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები შედგენილია ჩემს მიერ. წიგნს დავურთე აგრეთვე ჩემს ხელთ არსებული საგვარეულო გერბები და ფოტოსურათები, რომლებიც ჩემი აზრით, უფრო შთამბეჭდავს ხდის ისტორიულ ვითარებას და აცოცხლებს ზოგიერთი საგვარეულოს მივიწყებულ წარსულს.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

გულითადი მადლობა მინდა გამოვთქვა ქალბატონების **გურანდა ბოლქვაძის** და **ნანი გორგაძის** მიმართ, რომლებმაც ააწყვეს და დააჭაშნიკეს ტექსტი და შეასწორეს კიდეც ჩემს მიერ დაშვებული უნებლიე კორექტურული შეცდომები.

ამ სახით ეს წიგნი პირველად 2007 წელს გამოვიდა. ახლა იგი შევსებული სახით გამოდის. მასში ორასზე მეტი გვარია დასახელებული. მიუხედავად ამისა, ბევრი ისტორიული გვარი და ოჯახი გამოტოვებულია. ამის მიზეზებზე მკითხველს თვით წიგნში მოვუთხრობთ. დარწმუნებული ვარ, წიგნის გაცნობისას ბევრი შენიშვნა და სურვილი გაჩნდება. ყველა მათგანს სიამოვნებით მივიღებთ და შევეცდებით სრულფასოვნად გავაშუქოთ ჩვენს მომდევნო პუბლიკაციებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წოდებრივი დაყოფა ძველ საქართველოში

ჯერ კიდევ ადრე შუასაუკუნეებში საქართველოში მოსახლეობის მაღალი ფენები ორ ძირითად იერარქიულ ჯგუფად იყოფოდა: აზნაური და თავადი. ფეოდალთა მაღალი ჯგუფის წარმომადგენლები – თავადები – ფლობდნენ მამულებს. მათ სამსახურში იყვნენ საკუთარი აზნაურები. თავადის მემკვიდრეები თავადიშვილებად იწოდებოდნენ და იყოფდნენ გვარის უფროსის, სათავადოს გამგებლის მფლობელობაში არსებულ შემოსავალს.

განაპირა მხარეების თავადები ერისთავის ტიტულსაც ატარებდნენ, ხოლო მათი მემკვიდრეები ერისთავისშვილებად იწოდებოდნენ. ერისთავები იყვნენ ქსანში, არაგვისპირში, რაჭაში, სვანეთში, გურიაში, რომლებმაც მე-15 საუკუნეში საქართველოს ფეოდალური დაშლა-დაქუცმაცების დროს ფაქტობრივ დამოუკიდებლობას მიაღწიეს. ისინი მხარეთა მთავრები გახდნენ და ქართველ მეფეთა ვასალებად მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდნენ.

ერისთავები აჭარაშიც ცხოვრობდნენ. შუა საუკუნეებში ამ ტიტულს აბუსერისძეები ატარებდნენ. მოგვიანებით ერთი ასეთი ოჯახი იმერეთიდან ქვემო აჭარის სოფელ აქუცაში ჩამოსახლებულა. მისი აქ გადმოსვლის მიზეზი უცნობია, მაგრამ ის კი ვიცით, რომ ეს ოჯახი ინარჩუნებდა თავადაზნაურულ პრივილეგიებს, ჰქონდა დიდი მიწათმფლობელობა. მისი სახნავ-სათესი ესაზღვრებოდა ქედის მაზრის სხვა თავადების: შერვაშიძეების, ბეჟანიძეების, სურმანიძეების მიწებს. ქედელ ერისთავებს ჰყავდათ მოახლეები, მსახური ბიჭები. მათ ნათესაური ურთიერთობა გააბეს ადგილობრივ თავადებთან და აზნაურებთან.*

---

* დაწვრილებით იხ. **რ. სურმანიძე**. დიდი ვეზირი ხოსრო-ფაშა ერისთავი-ჩხეიძე. ბათუმი. 2012 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ზაქარია ჭიჭინაძის** მოგზაურობის დროს (1889 წ.) სოფელ აჭუცაში ჯერ კიდევ ყოფილა ერისთავთა ოჯახი: „აქ ცხოვრობენ მაჰმადიანი **ერისთავები**. ამ გვარისა ერთი კაცი-დაა დარჩენილი, დანარჩენნი სულ ოსმალეთში წავიდნენ, ერთი ამათგანი, ხოსროვ-ფაშა ერისთავი, ოსმალოს დიდი მინისტრი, 1840 წლებში ინგლისში კონსულად იყო, როგორც ევროპულის ენების მცოდნე და საპოლიტიკო საქმეებში გაწვრთნილი“ (მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913. გვ. 105).

კომუნისტური ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ქედელი ერისთავი ცოლშვილიანად თურქეთში გაიხიზნა. აჭუცაში ერთი სული, სნეული შვილი მოახლეებთან (დავითაძეები) დატოვა და თხოვა მათ მისი მოვლა-პატრონობა. ამ სოფელში ზოგიერთ ადგილს ახლაც ჰქვია ერისთავის მარანი, ერისთავის წყარო, ერისთავის მამული და ა. შ., სადაც ამჟამადაც დავითაძეები ცხოვრობენ. თვით ერისთავთა შთამომავალნი კი უნიეს ვილაიეთში დასახლებულან. ერისთავთა გვარის ერთ-ერთი განშტოებაა იმავე სოფელ აჭუცაში დღესაც შემორჩენილი გვარი ჩხეიძე.

საქართველოში თავადის ტიტული მემკვიდრეობით გადადიოდა და გვარიც დიდხანს ინარჩუნებდა თავის პირვანდელ ფორმას, ზოგჯერ კი თავადის გვარი მის მიერ დაკავებული თანამდებობის სახელწოდების კვალობაზე იცვლებოდა: ათაბაგი, ამილახორი, მოურავი და ა. შ. მთავრები ხშირად გვარებს თავის სამფლობელოს მიხედვითაც იცვლიდნენ (გურიელი, მუხრანელი, ორბელი, გაგელი, თმოგველი და ა. შ.).

ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზით გვარი კარგავდა თავის სტატუსსა და პრივილეგიებს, ზოგი აზნაური კი, პირიქით, აღწევდა ახალ წარმატებას და თავადის ტიტულს პოულობდა. ეს პროცესი ყველა დროს ახასიათებს. რაიმე დანაშაულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე თავადი ჩამოქვეითდებოდა და პირიქით, თუ აზნაური ან გლეხი გმირობას ან მეფისადმი ერთგულებას გამოიჩენდა, ის თავადის ტიტულამდე ამაღლდებოდა.

აჭარასა და შავშეთ-იმერხევს, საქართველოს სხვა მხარეების მსგავსად, ფლობდნენ თავადები და ერისთავები. როგორც ჩანს, ამ რეგიონს რამდენიმე ერისთავი ჰყავდა, რადგანაც მთლიანობაში მისი მფლობელი ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ატარებდა. ასეთი იყო აბუსერისძეთა წარჩინებული გვარი, რომელიც ამ მხარეებს თითქმის 350-400 წლის განმავლობაში განაგებდა.

მონღოლთა შემოსევების დროს **აბუსერისძეებმა** დაკარგეს ძლიერება და, როგორც ჩანს, მათი ადგილი ასევე დიდმა თავადებმა, **დიასამიძეებმა** დაიკავეს. საყურადღებოა, რომ ამ გვარს წარმატებისა და დიდი დამსახურებისთვის თამარის ეპოქაში მიუღწევია. ისინი დედოფლის კარზე მნიშვნელოვანი სამსახურით გამოირჩეოდნენ, ერთ-ერთი დიასამიძე ატარებდა პირფარეშის ტიტულს, რაც შემდეგ გვარის ფუძე გახდა, ხოლო მისი მემკვიდრეები პირფარეშიშვილის, პირმსახურისძის გვარს ატარებდნენ.

ერთ-ერთი პირმსახურისძე, კერძოდ, ბეჟანი, ქვემო აჭარის დიდი ფეოდალი იყო და ბეჟანიძეთა გვარის ფუძემდებლად მოგვევლინა (**ზაქარია ჭიჭინაძე**. ქართველ მაჰმადიათა ცხოვრება. ტფილისი. 1916. გვ. 15).

შავშეთ-იმერხევის თავადური გვარებიდან აღსანიშნავია: შერვაშიძე, კავკასიძე, ნაკაშიძე, ათაბაგი, ლეონიძე და სხვ.

ლაზეთში თავადური გვარის ოჯახები იყვნენ: ზვამბაია და მანელიშვილი მაკრიალსა და ლიმანში; მოურავიშვილი – ბუჯაღში, ორთახოფაში, დიმიტრიეთსა და სუნდურში; შალიკაშვილი (შალოღლი) – სუნდურაში; ჟორდანია – კისეში, პირონიტსა და არქაბეში; ფოთურია – კაპისტრაში; ბალთაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი – ბელევსა და ათინას შორის (მ. ვანილიში, ა. თანდილავა. ლაზეთი. თბილისი. 1964. გვ. 56).

ოსმალთაგან სამხრეთ საქართველოს დაპყრობის თარიღები მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის საგანი გახდა. ფიქრობენ, რომ მომხდურებმა ჯერ მესხეთ-ჯავახეთი, ხოლო თითქმის საუკუნის შემდეგ აჭარის ხეობა და შავშეთ-იმერხევი დაიპყრეს. ამაზე მეტყველებს ოსმალეთის ხელისუფალთა მიერ 1595 და 1717-1738 წლებს შორის ჩატარებული აღწერები ჯერ სამცხეში, ხოლო შემდეგ აჭარა-შავშეთში.

ისტორიკოს **ზაზა შაშიკაძის** მიერ სტამბოლის არქივში აღმოჩენილმა ორმა საბუთმა ამ საკითხს ნაწილობრივ მოჰფინა ნათელი. გამოირკვა, რომ აჭარის ხეობის სოფლების დაპყრობა შედარებით ადრე, 1561 წელს დაიწყო. მაშინ ეს ხეობა ისპირის სანჯაყ-ბეგის მფლობელობაში გადავიდა. მართალია, ქართველმა ქრისტიანმა ბეჟანმა მხარე კვლავ დაიბრუნა, მაგრამ ეს მას რწმენის შეცვლად და სახელის მეჰმედად გადარქმევად დაუჯდა (ბათუმის უნივერსიტეტის შრომათა კრებული. II. ბათუმი. 2002. გვ. 146. 157). ეს თარიღი კიდეც შეიძლება ჩაითვალოს აჭარის საბოლოოდ მიტაცების პერიოდად და კიდეც არა, რადგანაც ოსმალური წყობილების დამკვიდრება, იმპერიის სხვა ვილაიეთების მსგავსად, აჭარაში არ დასტურდება. როგორც ჩანს, მხარე ფორმალურად მორჩილებასაც აცხადებდა, ნომინალურად ახალ დამპყრობელს კიდეც ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს პროცესები დროებით ხასიათს ატარებდა და მართლაცდა მებრძოლი და ურჩი მოსახლეობა მალევე იბრუნებდა თავისუფლებას, ისევე, როგორც ეს საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებში (სვანეთი, ხევი, ფშავ-ხევსურეთი და სხვ.) ხდებოდა.

სამხრეთ-საქართველოს საბოლოო მიტაცების შემდეგ აქ მცხოვრებთა გვარ-სახელები ოსმალურ ყაიდაზე შეიცვ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ალა, ხოლო სამთავრო-საერისთავოები სანჯაყებად გადაკეთდა.

პროფესორმა **შუშანა ფუტკარაძემ**, **შალვა აბაშიძესთან** ერთად, სტამბოლის ოსმალურ არქივში მოიძია 1553-1631 წლების მასალები, რომლებშიც ასახულია აჭარა-ლაზეთის ისტორია (გაზ. „აჭარა." №221. 31 ოქტომბერი. 1997. გვ. 3). მ დოკუმენტებით ირკვევა, რომ 1553 წელს აჭარის სანჯაყის ბეგი არის სულეიმანი (ავტორების აზრით, გვარად აბაშიძე, რაც ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც ამ დროისთვის თვით აბაშიძეთა ბუდე-მხარეში, იმერეთშიც ისინი არ ატარებდნენ ასეთ მაღალ ტიტულს). სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია მისი ქართული გვარი, თუმცა შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის სამცხელ ათაბაგთა ერთ-ერთი შტოს წარმომადგენელია.

თუ ქრონოლოგიურად ოდნავ უკან დავიხევთ, ცნობილი გახდება, რომ 1502 წლიდან სამცხე-საათაბაგოს განაგებდა მზეჭაბუკ ათაბაგი, რომელსაც მესხეთ-ჯავახეთის გარდა, მტკიცედ ეპყრა აჭარისა და ჭანეთის სამთავროები.

თურქულმა სახელმწიფოებრიობამ და ისლამმა თავისი გააკეთეს, ადგილობრივ მცხოვრებთა თვითმყობადობიდან, რომელიც წარსულში ქრისტიანულ წესებს ემყარებოდა, ძალიან მალე აღარაფერი დარჩა. თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ მოსახლეობა, რომელიც მხოლოდ ქართველური ტომებისგან შედგებოდა და ჭოროხის, აჭარისწყლის, მაჭახლის ხეობების, ქობულეთის, ბათუმის და ლაზეთის ტერიტორიებზე ცხოვრობდა, ოსმალეთის ხელისუფლებას დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ფორმალურად ცნობდა, ცხოვრებას მართავდა თავისი უძველესი საგვარეულო წესებით (თავადების, აზნაურების მეშვეობით, რომლებსაც ბეგები და აღები ეწოდათ) და მოსახლეობის დაუმორჩილებლობის და გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით ოსმალური ხელისუფლების ზეწოლას ნაკლებად განიცდიდა.

მზეჭაბუკ ათაბაგის გარდაცვალების შემდეგ (1516 წ.) იმერეთის მეფე ბაგრატ მესამემ ბრძოლის დროს დაკარგა ვრცელი ტერიტორიები, მათ შორის აჭარა-ჭანეთიც, რომელიც მეფემ თავის მეკავშირეს, გურიელს საჩუქრად გადასცა. 1545 წელს ბასიანის მაზრაში ბრძოლა ქაიხოსრო ათაბაგმა მოიგო და დაიბრუნა წართმეული სამთავროები, მათ შორის აჭარა-ჭანეთიც, მაგრამ დიდხანს ვერ შეინარჩუნა.

1550 წელს სულთან სულეიმან პირველის მიერ გამოგზავნილმა არზრუმის ისკანდერ ფაშამ ათაბაგს წაართვა ტაო, შავშეთი, კლარჯეთი, აჭარა და ჭანეთი. შემდეგ 20-50 წლის განმავლობაში ეს მხარეები კვლავ ხელიდან ხელში გადადიოდა, მაგრამ იმპერიის ძლიერებამ თავისი გაიტანა და მთელი სამხრეთი საქართველო ოსმალების საკუთრებად იქცა, რომელიც საადგილმამულო და სხვა უფლებებს შთამომავლობით გადასცემდა.

ოსმალეთის საზოგადოებრივი წყობისთვის უცხო იყო კლასობრივი დაყოფა და გვაროვნული არისტოკრატია. პრივილეგიებითა და უპირატესობებით სარგებლობდნენ მხოლოდ სულთანის მსახური კლასები, რომელთა წარმომადგენლები, თავისი იერარქიითა და სამსახურებრივი ხარისხით, თანრიგებად იყოფოდნენ. მოსამსახურეთა ეს წოდება სარგებლობდა ბარათებით, ფირმანებითა და სიგელებით, რომლებიც მას უფლებას აძლევდა აელო მიწის შემოსავალი. მაგრამ ეს უფლება არ გადადიოდა მემკვიდრეობით მამიდან შვილზე, არამედ შვილის უფლებები ახალი ბარათით უნდა დადასტურებულიყო.

1566 წლის ერთ-ერთი ბრძანებაში წერია, რომ აჭარის ბეგლარ-ბეგი ჰაიდარია. სანჯაყში შედის გონიოს, არქაბეს, ათინის ნაჰიეები, ე. ი. სანჯაყი მოიცავს აჭარას მთლიანად და ლაზეთის ტერიტორიას ნაწილობრივ, ხუთი წლის შემდეგ ბეგლარ-ბეგად ახმედი დაუნიშნავთ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

აჭარის სანჯაყში შედიოდა მაჭახლის ხეობაც, შემდეგ კი ოსმალეთის ხელისუფლებას ეს მხარე ცალკე სანჯაყად გამოუყვია. 1590 წელს კი კვლავ აჭარის სანჯაყთან გაუერთიანებია. ახმედ ფაშის გარდაცვალების შემდეგ შავშეთის სანჯაყ-ბეგს ხოსროს სულთანისთვის უთხოვია, აჭარაც მე დამიმორჩილეო, მაგრამ სულთანს უარი უთქვამს იმ მოტივით, რომ აჭარის მოსახლეობა ამაყი, მეამბოხეა და შენ მათ ვერ მოუვლიო.

1594 წლიდან აჭარის ბეგლარ-ბეგად მუსტაფა ჩანს, მხარე კი, არზრუმის ნაცვლად, ჩილდირის ვილაიეთს ექვემდებარება. მუსტაფა მისმა შვილმა როსტომმა შეცვალა. სამწუხაროდ, აჭარა-შავშეთის და ლაზეთის ბეგლარ-ბეგის გვარი დღემდე დაზუსტებული არაა. ერთადერთი ვარაუდი შეიძლება გამოითქვას თავდგირიძეთა სასარგებლოდ, რომლებიც სამცხიდან მოვიდნენ და ამ მხარეებს მე-17-18 საუკუნის მთელ მანძილზე ფლობდნენ (იხ. ქვემოთ თავი „თავდგირიძე“).

ამავე დოკუმენტებში ვეცნობით 1566-1574 წლების აჭარის მოსახლეობის აღწერის მასალებს, რომლითაც ირკვევა, რომ მხარე ოსმალებს ორ – ზემო და ქვემო აჭარად გაუყვიათ. ზემო აჭარაში აღუწერიათ 60 სოფელი, ხოლო ქვემოში – 35. მცხოვრებთა რიცხვი 191 500-ს უდრიდა. **შ. ფუტკარაძეს** და **შ. აბაშიძეს** აღწერის მაგალითად მოჰყავთ სოფლები: შუბანი, დღვანი და ინასარიძეები. არ შევეხებით გადასახადების ფორმებსა და რაოდენობას; ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ამ დროისთვის მოსახლეობის დაბალი ფენა კვლავ ქართულ სახელ-გვარს ატარებდა, მაგრამ შიგადაშიგ ოსმალურიც გამოერეოდა ხოლმე. ასე, მაგალითად, სოფელ დღვანში აღწერილია დანიელის, იოვანეს, ნაჰილის (ალბათ, ნაილის), გიორგის, ერენის, ქრენილის, გორჩეს და ბიჯანის ოჯახები,

შუბანში: მიხეილის, რუსელის, გაბრიელის, ილიას, მერაბის, სორას, აიასუნის, კუკულის კომლები; ინასარიძეებში (ასეთი ტოპონიმი ზემო აჭარაში აღარ გვაქვს, იქნებ გადაშენებული სოფელი, ან იგივე ინაშარიძებეებია ქვემო აჭარაში?) აღუწერიათ 26 კომლი, კერძოდ: როსტომის, მაიას, სივიდის, ოსნას (ოსანას?), გიორგის, კვირიკეს, აღარიდოს, მარაბას, კოსტეს, ზარიის, ოშენქის, ბექრეს, ნუშრივანის როგორც ვხედავთ, ზოგი სახელი დამახინჯებულია, ხოლო ამ პიროვნებათა გვარები ჩვენთვის უცნობია.მთავარი ისაა, რომ ამ პერიოდში ჯერ კიდევ შემორჩენილია ქრისტიანული სახელები.*

---

* დაწვრილებით იხ. აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთრები. გამოსაცემად მოამზადეს **ზაზა შაშიკაძემ და მირიან მახარაძემ**. თბილისი. 2011 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ფეოდალური იერარქია ოსმალთა ბატონობის დროს

სამხრეთ საქართველოს სრული დაპყრობის შემდეგ, 1595 წელს ოსმალებმა დარჩენილი მიწებიც აღწერეს და შეადგინეს ე. წ. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი.“ ანალოგიური აღწერა მოგვიანებით (1695 წლიდან) კვლავ ჩატარდა აჭარასა და შავშეთ-იმერხევში (ჩილდირის ეიალეთში). ამჯერად აღწერის შედეგები შეიტანეს ე. წ. „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარში“.

ამ დოკუმენტებში მეტ-ნაკლები სიზუსტით ასახულია მე-16-18 საუკუნეების აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა (ნაჰიე, ლივა, კაზა, სანჯაყი, ვილაიეთი და ა. შ.), სოფლებისა და დაბების სახელები: რაც შეეხებათ მიწათმფლობელებს, მათს განკარგულებაში არსებული მიწების ფართობების სიდიდე აღნიშნული არაა, ამიტომ ამაზე შეიძლება ვიმსჯელოთ გაწერილი გადასახადების მიხედვით, რომელიც ჩვეულებრივ მაშინდელი ფულის ერთეულით (ახჩა) არის წარმოდგენილი.

მიწების აღწერის შემდეგ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრები თავადი „ბეგი,“ ხოლო აზნაური „აღა“ ხდება. ამგვარად, უცხოელთა ბატონობის შემდეგ შეიცვალა არა მარტო მიწათმფლობელობის და ცენტრალურ ხელისუფლებასთან თავადაზნაურობის ურთიერთობის წესი, არამედ მოხდა წოდებების ფორმალური შეცვლა, თუმცა ძველ პრივილეგიებს თავადაზნაურობა კვლავ ინარჩუნებდა.

მიწათმფლობელობის ოსმალური წესი თავისებური, საკმაოდ მკაცრი და ამავე დროს მხოლოდ სახელმწიფოსთვის იყო სასარგებლო. მიწებს სულთანი აძლევდა ფაშებს, სანჯაყ-ბეგებს, აღებსაც ქვეყნისთვის გაწეული სამსახურის სანაცვლოდ, მემკვიდრეობითი კუთვნილების გარეშე. თუ დასაჩუქრებული პიროვნება გარდაიცვლებოდა და მას

დარჩებოდა სრულწლოვანი მემკვიდრე, რომელსაც შეეძლო ქვეყნისთვის სამხედრო დახმარება გაეწია, მაშინ სულთანი მის სახელზე განაახლებდა ფირმანს, კვლავ მემკვიდრეობით მიწის გადაცემის გარეშე. თუ მემკვიდრე არ ეყოლებოდა, ასეთ შემთხვევაში ფირმანი ფორმდებოდა მიწის მფლობელზე (სუბაშზე), რომელიც ვალდებული იყო ლაშქრის მეთაურს (ალაიბეგს) დახმარებოდა საომარი ოპერაციების დროს. ეს მოვალეობა გადადიოდა სხვა მომდევნო მიწათმფლობელზეც.

აღწერის მასალებში აღნიშნულია დაბა-სოფლების იმდროინდელი ქართული სახელები; სამწუხაროდ, მიწათმფლობელთა სახელები და წოდებები ოსმალურ ყაიდაზეა შეცვლილი. ბეგებისა და აღების მხოლოდ სახელები და მამის სახელებია ჩაწერილი, ამიტომ შეუძლებელი ხდება მათი ქართული გვარების აღდგენა.

როგორც ჩანს, მაღალი ფენის ქართულმა წოდებებმა კარგა ხანს იარსება და ზოგჯერ ოსმალო ხელისუფალნიც იძულებულნი არიან დავთარში ისინი სწორედ ქართული პრივილიგირებული ტიტულით მოიხსენიონ. ასე, მაგალითად, „ჩილდირის ეიალეთის ჯაბა-დავთარში“ 1719 წელს გაკეთებულ ჩანაწერში გვხვდება ასეთი ფრაზა: „შავშეთის ნაჰიე ამავე ლივაში. ალი ჰუსეინის ძე შავშეთის აზნაურთაგანი. ის ჩიფთილიქი (სიტყვასიტყვით, უღელი ხარი, ე. ი. მიწის ნაკვეთის ფართობი, რომელსაც უღელი ხარი ამუშავებდა. რ. ს.) და სხვა მამული, რომელსაც ფლობდა იგი, როცა შეეძლო სიფაჰის (მხედრის) სამსახური, კვლავ მას გადაეცა სამან-ბეგთან ერთად სამეფო ლაშქრობაში გასვლის პირობით“ (გამომცემლობა „მეცნიერება.“ თბილისი. 1979. გვ. 164. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა **ცისანა აბულაძემ**. გამოკვლევა დაურთო **მიხეილ სვანიძემ**).

სხვათაშორის, ამ მომენტს ყურადღება მიაქცია გიორგი ყაზბეგმაც. მისი თქმით „ახალი ორგანიზაციის (თანზიმათის რ. ს.) შემოღებამდე აქ აზნაურები, ძველი ქართველი

ელექტრონული ბიბლიოთეკა

წარჩინებულების ნაშთები იყვნენ. გადმოცემით, შავშეთში 90-მდე აზნაურის გვარი იყო. მათი პრივილეგია იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ფლობდნენ გლეხებს და მხოლოდ არმიაში სამსახურის ვალდებულება ჰქონდათ. ბეგები თავის მხრივ სარგებლობდნენ მფლობელობის უფლებით. თანზიმათის შემოღების შემდეგ შავშეთის საზოგადოებრივი წყობა შეიცვალა. ბეგებმა მიიღეს პენსია, აზნაურები გლეხებს გაუთანაბრდნენ და ახლა, მართალია, არსებობს ეს წოდება, მაგრამ მას მხოლოდ მხარის ისტორიული მასალის მნიშვნელობა აქვს. ყველა არააზნაური თანზიმათამდე მიწის შემოსავლიდან ერთ მეხუთედს იხდიდა ბეგის სასარგებლოდ. ამაში შედიოდა უბრალო ხალხის მთელი ფულადი გადასახადი.“ (**გიორგი ყაზბეგი**. სამი თვე თურქეთის საქართველოში. გამომცემლობა „აჭარა.“ ბათუმი. 1995. გვ. 95. თარგმანა **რამაზ სურმანიძემ**, გამოსცა **მამია ხარაზმა**).

მიწათმფლობელობისა და საგადასახადო სისტემის ოსმალური წესის შემოღებას წინ აღუდგა აჭარისა და შავშეთ-იმერხევის მოსახლეობა. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ამ მხარეებში გადასახადების გაწერა, განსაკუთრებით აჭარაში, ფორმალურ ხასიათს ატარებდა. ფაქტობრივად, აქ ოსმალო ჩინოვნიკს არ გაუჭაჭანია, რადგანაც, ტრაპზონში ინგლისელი კონსულის სიტყვები რომ გავიმეოროთ, აქ პატარა ბიჭიც კბილებამდე შეიარაღებულია და თურქი მოხელე შესვლას ვერ გაბედავსო. (ИКОИРГО, т. VII. Тифлис. 1882-1883 гг. Дневники **Дж. Палгрева**. с. 51. 52).

ოსმალური წყობილების შემოღებას დიდი წინააღმდეგობა გაუწია შავშეთის მფლობელმა **სელიმ-ბეგ ხიმშიაშვილმა**, რომელიც 1844 წელს მასობრივ აჯანყებას ჩაუდგა სათავეში, თუმცა მისი გამოსვლები მარცხით დამთავრდა. **გიორგი ყაზბეგის** თქმით, როცა ბრწყინვალე პორტამ (ასე უწოდებდნენ ოსმალეთის იმპერიას) „ხალხის თავისუფლე-

ბას სამარე გაუთხარა, ბეგებსაც მიჰყო ხელი.“ სელიმ-ბეგის მიერ მოწყობილი მასობრივი გამოსვლების ჩახშობის შემდეგ აჭარა-შავშეთის ფეოდალური საგვარეულოს წევრები სტამბოლში გაიწვიეს, სადაც მათ მთავრობამ განუცხადა, რომ უნდა გადაისინჯოს მათი საგვარეულო ფირმანები და შეიცვალოს ახალი წესების, ე. ი. თანზიმათის მოთხოვნის კვალობაზე. ბუნებრივია, ქართველი ბეგები მათ მოთხოვნას დაჰყვნენ და სულთანის ხელისუფლებას გადასცეს როგორც ქართველი მეფეების, ისე ოსმალეთის სულთნების მიერ მათ წინაპრებზე ნაბოძები სიგელ-გუჯრები და ფირმანები. ასეთი მზაკვრული ხერხით ოსმალეთის მთავრობამ ქართველ თავადაზნაურობას ხელიდან გამოაცალა მიწათმფლობელობის იურიდიული საფუძველი, რის შემდეგ გამოაცხადა თანზიმათის ცნობილი ლოზუნგი: „იმპერიის ყველა ქვეშევრდომი, განურჩევლად კლასისა და რელიგიისა, ერთნაირ საფუძველზე იხდის გადასახადს. ამ აქტით დასრულდა თავისუფალი აჭარის ისტორია.“ (გ. ყაზბეგი. იქვე, გვ. 69).

ოსმალური წეს-წყობილების დამყარების დასახასიათებელ ტიპობრივ მაგალითს ლაზეთიც წარმოადგენს. ამ უძველესი და უმდიდრესი ისტორიის მქონე ქვეყნის – ლაზეთის ძველი მკვიდრის, **დიმიტრი ბაქრაძის** თანამედროვის და მეგობრის **ხასან მოურავიშვილის** თქმით, „ერთი საზღვარი მდინარე ჭოროხია, მეორე მხარე მაღალი მთა-ქედები, მესამე მხარე – ზღვა, ხოლო მეოთხე – ქემერი (გამოკვეთილი, ზღვიდან ამოშვერილი, უზარმაზარი კლდე რიზესა და მაფავრს შორის). ეს ქემერი ძველად საბერძნეთსა (ბიზანტიასა) და ლაზეთს შორის საზღვარს წარმოადგენდა. მაშინ, როცა ლაზები და მეგრელები ერთად იყვნენ, ლაზეთის ტერიტორია ქემერიდან ბიჭვინთამდე იყო გადაჭიმული.“ (**დ. ბაქრაძე.** არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თარგმნა **არჩილ ტოტოჩავამ.** ბათუმი. 1987 წ. გვ. 28).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ოსმალებმა ლაზეთში თავისი მართვა-გამგეობა მხარის ხეობებად დანაწილებით დაიწყეს. მათ შექმნეს თერთმეტი ხეობა, თითოეულს სათავეში დერე-ბეგი ჩაუყენეს. ბეგი შეუზღუდავად და ერთპიროვნულად ფლობდა ხეობას და მის სრულ ბატონ-პატრონად თვლიდა თავს, ხალხიც სრულ მორჩილებაში ჰყავდა. ბუნებით ამაყი ლაზი ბეგები სულთანსაც ეურჩებოდნენ. დერე-ბეგები გავლენის სფეროების გაფართოებასაც ცდილობდნენ, ამიტომ ხშირად ერთმანეთშიც ჰქონდათ შუღლი. ეს მომენტი კარგად გამოიყენა ოსმალეთის ხელისუფლებამ, ისინი კიდევ უფრო გადაკიდა ერთმანეთს, დაასუსტა და საბოლოოდ გატეხა მათი ბატონობა, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა აჭარის გავლენიანი მმართველის, **ახმედ-ფაშა ხიმშიაშვილის** ლაშქრობამ ლაზეთში.

**ზაქარია ჭიჭინაძე** ლაზეთზე საგანგებოდ დაწერილ თავის მონოგრაფიაში ეხება ოსმალეთისდროინდელ ჭანეთის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობას და აღნიშნავს, რომ მთელი ლაზეთი ცხრა სანჯაყისგან შედგებოდა. 1854 წლამდე ლივანა-გონიოს ფაშები ლაზეთის ფაშებადაც ითვლებოდნენო და მაგალითად მოჰყავს მუსა-ფაშა ჭყონია, რომელიც ოფიციალურ საბუთებზე თავის წოდებას ასე აღნიშნავდა: „გონიო-ლივანა – ლაზისტანის სანჯაყის მფლობელი მუსა-ფაშა ჭყონია.“ საყურადღებოა, რომ ამ ფაშას ქართული წერა-კითხვა კარგად სცოდნია და ხელწერასაც ქართულად აკეთებდა* (ზ. ჭიჭინაძე. ლაზისტანი. პირველი წიგნი. ტფილისი. 1927. გვ. 26).

---

* ამ ფაშის ვინაობას ეხება აგრეთვე **გიორგი ყაზბეგიც** და მას ქართველ რენეგატად მოიხსენიებს: **ქორ-ხუსეინ-ბეგ ხიმშიაშვილის** „დასაშინებლად აჭარაში გაგზავნეს **ჭყონია-ფაშა,** ქართველი რენეგატი, ცნობილი თავისი ფიზიკური ძალით და სიმკაცრით. ამ ახალმა ჰერკულესმა თავის რეზიდენციად ქედა აირჩია და იქიდან შიშის ზარს სცემდა ახლო-მახლო მიდამოს, მაგრამ ჰუსეინ-ბეგი დაესხა თავს ქედას და განდევნა ფაშა.“
(გ. ყაზბეგი. სამი თვე თურქეთის საქართველოში. ბათუმი. 1995. გვ. 68-69).

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც აღვნიშნეთ, ლაზეთის თავადურ საგვარეულოს მიეკუთვნებიან: ზვამბაია მაკრიალში, მანელიშვილი – ლიმანში, მოურავიშვილი – დიმიტრიეთში, სუნდურაში, ბუჯაღსა და ორთა-ხოფაში, შალიკაშვილი შალოღლი)* – ნოღედში და სუნდურაში, ჟორდანია – პირონიტსა და ქისეში, ფოთურია – კაპისტრაში, ბალთაშვილი – ბელევსა და ათინაში და სხვა. სხვათაშორის, ათინაში 1910 წელს **ნიკო მარს** შეხვედრია ადგილობრივი მკვიდრი, რომელსაც ის ფევზი-ბეი ტილატურ-ზადედ მოიხსენიებს. ფაქტია, რომ მარის მასპინძელი ბეი, ე. ი. წარჩინებული მოქალაქეა (Н. Я. Марр. Из поездки в турецкий Лазистан. С.-Петербург. 1910. стр. 554).

ცხრაასიან წლებში ლაზეთში დაიწყო ქართული ეროვნული ცნობიერების გამოღვიძება, ქართული წერა-კითხვისა და ენის შესწავლა, რაშიც აქტიურობდნენ **აბდულ აშიკ ჰასან-ოღლი**, აგრეთვე **ფაიკ-ეფენდი**, რომელიც ნიკო მარსაც შეხვედრია. მას ლაზური ანბანის შედგენაც განუზრახავს.

ლაზეთი, ისე, როგორც მთელი საქართველო, მოფენილია ეკლესია-მონასტრებით, რომლებსაც მისი ძველი მფლობელები, თავადთა გვარეულობა და სასულიერო პირთა შთამომავლები იცავდნენ.

ასეთია ნოღედის (მაკრიალის. ქემალ-ფაშას) ეკლესია. 1931 წელს აქაურ 78 წლის **მუსტაფა პაპასკირს** უთქვამს, რომ ოსმალთა მოძალების დროს ეკლესია დაანგრიეს და ნანგრევებით ჯამე ააშენესო, მაგრამ მის მთლიანად დანგრევას ხელი შეუშალა აქაურმა თავადმა **ზვამბაიამო**.

ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევი სოფელ აზლაღას (აბუისლა) თავზეც არის, სადაც ლაზი ქალები ზაფხულო-

---

* **შალოღლი** აჭარაში გადმოსახლების შემდეგ ჩალოღლი-დ გადაკეთდა. რატომღაც შემდგომში ამ გვარის შთამომავლებმა უძველესი გვარის შალიკაშვილი-ს დაბრუნების ნაცვლად ჩავლეიშვილი და მელიქიშვილი აირჩიეს.

ბით იყრიან თავს და ღმერთს ევედრებიან, კარგი ბედ-იღბალი გვარგუნე და სნეულები განკურნეო.

1930-ან წლებამდე, კერძოდ, 1937 წლის 15 თებერვლამდე, სანამ ხალხი თავისუფლად მიმოდიოდა, ლაზეთის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო სუფთა ქართული წარჩინებული გვარები: ნარაკია, ჟორდანია, პაპასკირი, წულეისკირი, ჩიქოვანი და სხვ. (მ. ვანილიში. ა. თანდილავა. ლაზეთი. თბილისი. 1964. გვ. 45, 52, 59, 65, 101, 105, 127).



ვაჟა დავითაძე, რამაზ სურმანიძე, თემურ კაპანაძე,
ლია ჯახუტაშვილი, თავადი უმით ოსმანაღაოღლუ,
თენგიზ თავდგირიძე, ჯონი ბარამიძე, გიორგი ანდრიაძე.
სოფელი აბუ (ლაზეთი) უმით ოსმანაღაოღლუს
დედულეთი.
7/I 2015 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავადაზნაურობა საქართველოში რუსთა მმართველობის დროს

მდგომარეობა არც რუსეთის მმართველობის დროს გამოსწორებულა, მაგრამ სანამ უშუალოდ ამ თემას შევეხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მკითხველს მოვუთხროთ იმ პროცესებზე, რაც საქართველოს სამეფოს გაუქმებასა და რუსული წეს-წყობილების დამყარებას მოჰყვა.

ქართლისა და კახეთის თავადაზნაურთა ოფიციალური სია შეადგინეს პირადად **ერეკლე მეორის** ბრძანებით და თან დაურთეს გეორგიევსკის ტრაქტატს. ეს სია 62 თავადურ და 31 აზნაურთა გვარებს ითვლიდა. ამ სიაში შეყვანილ პირებს, ტრაქტატის მიხედვით, რუსეთის „კნიაზ“-ებისა და „დვორიან“-ების თანაბარი უფლებები უნდა მინიჭებოდათ.

ქართლ-კახეთის (1801 წ.) და იმერეთის (1810 წ.) სამეფოების გაუქმების შემდეგ ყველა საქმე, რომელიც თავადაზნაურობას შეეხებოდა, განიხილებოდა საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრებაზე, საიდანაც დასამტკიცებლად წარუდგენდნენ პეტერბურგის ჰერალდიას.

მოგვიანებით – 1818 წელს დაფუძნდა საქართველოს (შემდგომში ტფილისის) სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო. მისი წარდგინებით რუსეთის სახელმწიფო საბჭომ აღიარა მრავალი თავადური გვარის პრივილეგია.

1846 წელს შეიქმნა ორი დროებითი კომისია თბილისსა და ქუთაისში იმ მიზნით, რომ საბოლოოდ გარკვეულიყო ქართლ-კახეთის, იმერეთისა და გურიის ის გვარები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ თავადებისა და აზნაურების ფენას. 1850 წელს უმაღლესმა ხელისუფლებამ დაამტკიცა და გამოაქვეყნა საქართველოს თავადაზნაურთა ოჯახების სიები, მაგრამ ამ სიებში არ შეიტანეს ის ოჯახები, რომელთაც მანამდე დაუმტკიცებლად ჰქონდათ წარჩინებული გვარის

ღირსებები და პრივილეგიები. ამიტომ ეს სიები არ იძლევა საქართველოს თავადაზნაურობის გვარების სრულ სურათს (**Станислав Думин**, **Юрий Чиковани**. Князья царства грузинского. Т. 4. Москва. `Ликоминвест.~ 1998. с. 9-15).



**თავადები: რამაზ სურმანიძე, იური ჩიქოვანი, ზურაბ პაპასკირი. 12. IV 2003 წ.**

მიუხედავად ამისა, 1850 წლის თავადაზნაურთა სიებით საშუალება გვეძლევა ნაწილობრივ მაინც დავადგინოთ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა წოდებრივი მდგომარეობა და ზოგიერთი გვარის პრივილეგია. ამ საქმეში დაინტერესებულ პირს დიდ დახმარებას გაუწევს „გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები," რომელიც 1993 წელს გამომცემლობა „მეცნიერება"-მ გამოსცა **ზურაბ ჭუმბურიძისა** და **ქველი ჩხატარაიშვილის** რედაქციით. შემდგენლები სამართლიანად

თვლიან, რომ მათ მიერ მოტანილი 1850 წლის სია სრული არაა. რადგანაც, ჯერ ერთი, წოდებრივი მდგომარეობის შესწავლა, დამტკიცება და აღდგენა მომდევნო წლებშიც, 1917 წლამდე გაგრძელდა, მეორეც, ამ სიაში არაა შეტანილი კახაბრის, ბათომის, ჩაქვის, ქობულეთის და ხინოს თემები, რომლებიც ერთ დროს გურიის შემადგენლობაში შედიოდაო. არ შევუდგები იმის განხილვას, ამა თუ იმ ტერიტორიის დროებით, თუნდაც რამდენიმე წლით მართვა, რამდენად ნიშნავს მისი რომელიმე ისტორიულ მხარეზე სამუდამოდ მიკუთვნებას; ფაქტია, რომ დასახელებული რეგიონების თავადაზნაურთა გვარები მართლაც არაა შეტანილი 1850 წლის სიაში; ავტორები ხელმძღვანელობენ დიმიტრი ბაქრაძის მიერ მოწოდებული ცნობებით და ცდილობენ გამოტოვეული გვარების აღდგენას და სიის შევსებას. ეს გვარებია: ხინოს თემში – ცეცხლაძე და ქათამიძე;* ქობულეთის თემში თავადები: თავდგირიძე (მე-17 საუკუნეში სამცხიდან მოსული) და გუგუნავა (მე-16 საუკუნეში ერისთავად მჯდომი, მე-17 საუკუნიდან დამცრობილი 4 გვარი: მაჭუტაძე, მახაძე, კობალაძე, ართმელაძე; აზნაურები: მანელიშვილი, ცივაძე, გოგიტიძე, შაქარიშვილი, ჯაში, ჭყონია (მე-19 საუ-

* „რომელსაც მე-19 საუკუნეში გამოეყო კაიკაციშვილი"-ო, რაც ჩვენი დაკვირვებით, სწორი არაა, რადგანაც კაიკაციშვილის გვარს ვხვდებით ჯერ კიდევ 1752 წლის ახლოს შედგენილ დოკუმენტში, რომელიც 1998 წელს გამოაქვეყნა პროფესორმა ფრიდონ სიხარულიძემ (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა." 29 ივლისი). ესაა დარეჯან ქაიხოსრო გურიელის ასული თავდგირიძის წიგნი სოლომონ დიდისადმი, რომლითაც ქალბატონი მეფეს აცნობებს ოსმალოთა ხელში თავის უმწეო მდგომარეობას და თხოვს მის ქალიშვილს და სიძეს მფარველობა გაუწიოს: „...ჩემო ხელმწიფე ბატონო, ერთი ქალი და სიძე მყავს, კაიკაციშვილი და რასაც სამსახურს უბრძანებთ, გემსახურება და გებრალებოდეს!". ამგვარად, კაიკაციშვილთა გვარი არსებობდა სოლომონ დიდის მეფობაშიც (1752-1784). ამიტომ მისი მე-19 საუკუნეში ქათამიძე-საგან გამოყოფა სწორი არაა. შესაძლოა, გვარის ასეთი გაორება მართლაც მოხდა, მაგრამ არა მე-19 საუკუნეში, არამედ გაცილებით ადრე.

კუნიდან ლანჩხუთიდან გადასულები), წილოსანი, გიორგაძე, კომახიძე, პაპუნაიშვილი, თამაზაშვილი, გოგოლიშვილი, ბოლქვაძე, ქარცივაძე, ბერიძე, ჯიჯავაძე, ნაკაიძე, წუწუნავა, შარაშიძე აჭარის სოფელ ალიქოღლებიდან გადასული).* ადრინდელი დოკუმენტებით (მე-16-17 ს.ს.) ამავე მხარის აზნაურები იყვნენ: ფარხანაძე, იაშვილი (იმერეთიდან), მელიმონაძე, ქობულია (ერთი ცნობით, იგივე ფარაჯანიანი; ეს გვარი იყო საჯავახოშიც). შესაძლოა, აზნაურები იყვნენ ოსმალთა ბატონობის დროს აღებად წოდებულნი: ინაიშვილი, დავითელაშვილი, ბაჟუნაიშვილი...

**ჩაქვის თემში:** ბეჟანიშვილი (პირმსახურიძე), ოსმალთა ბატონობის დროს აჭარის სოფელ ზენდიდიდან გადმოსახლებული ბეგი (გურიის თავადი ცხადია არ ყოფილა), კირისილოღლი (ახვლედიანი), ჩიჯავაძე (ჩელებაღისშვილი), ხალვაში...

**ბათომისა და კახაბრის თემებში**: აზნაურები: ცინცაძე, ბიბინეიშვილი, ქიქავა, ლომყრუიშვილი, ბატატუნაშვილი, ზვამბაია (აფხაზეთიდან),** შარაბიძე, სურმანიძე (აჭარის სოფელ ძენწმანიდან).***

მე-19 საუკუნის 20-ანი წლებიდან ბათომისა და კახაბრის მხარეთა გამგებლები, ბათომის სანჯაყბეგები იყვნენ აბაშიძეები, წარმოშობით იმერელი ფეოდალები“... (გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები ზურაბ ჭუმბურიძისა და ქველი ჩხატარაიშვილის რედაქციით. თბილისი. 1993. გვ. 14, 15).

---

* ალბათ უნდა იყოს შერვაშიძე,რომელიც აქ შარაშიძედ გადაკეთდა. ანალოგიურად გადაკეთდა დიდ-აჭარაში გადასული შერვაშიძე შარაშიძედ. ძენწმანელი სურმანიძეები ყოველთვის თავადის ტიტულს ატარებდნენ.

** უნდა იყოს ლაზეთიდან.

*** ბიბინეიშვილები და სურმანიძეები ყველა დროში თავადის ტიტულს ატარებდნენ.




**აჭარის პირველი მეჯლისი. 1880 წ.**

1. ესედ ცივაძე
2. ესედ წილოსანი
3. კ. კომაროვი
4. მუფთი ხასან სურმანიძე
5. ისმაილ ეფენდი მჟავანაძე
6. ხუსეინ ბეგ ბეჟანიძე
7. ხუშუტ-აღა ჯაში
8. ანდრია ზედგინიძე (ფოთი-ბათუმის რკინიგზების კომენდანტი)
9. დედიაღა ნიჟარაძე
10. რეშიტ ბაჯელიძე
11. ყემბერ-აღა ხარაზი
12. გულა კაიკაციშვილი
13. რამიზ-ბეგ სურმანიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჩამოთვლილის გარდა, გურიის თავადთა და აზნაურთა წოდებას მიკუთვნებულ პირთა სიაში შეტანილია გვარები, რომლებიც ყოფილი ბათუმის ოლქის სოფლებში საკმაოდ გავრცელებულია. ასეთებია: თავადური გვარი ნაკაშიძე, აგრეთვე აზნაურთა გვარები: აბულაძე, ანთაძე, ასათიანი, ბერიძე, გეგიძე, გოგიბერიძე, დუმბაძე, ებრალიძე, თავართქილაძე, მგელაძე, მახარაძე, ჟორდანია, ჟღენტი, შალიკაშვილი, შევარდნაძე, ღლონტი, ჯაყელი.

გურიის ანალოგიურად დადგინდა და დამტკიცდა პრივილეგირებული გვარების და ოჯახების სიები სამეგრელოში (1865 წლიდან) და აფხაზეთში (1879 წლიდან).

პრივილიგირებული ფენის ერთ-ერთ პრობლემას თავადაზნაურთა გვერდით თანამოგვარეები ქმნიდნენ. თავადის ან აზნაურის წოდება ყოველთვის არ გადადიოდა შთამომავლობაზე. ამის პრეტენზიას ზოგჯერ უკანონო შვილებიც აცხადებდნენ, ან ერთი საფეხურით, მაგალითად, თავადობიდან აზნაურობამდე დაქვეითდებოდნენ; აზნაურის უკანონო შვილი ფორმალურად აზნაურად იწოდებოდა, მაგრამ, ფაქტობრივად, მისი სრული უფლებებით არ იყო აღჭურვილი. საქართველოს შემოერთების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ინტერესები შეეჯახა ადგილობრივ მცხოვრებთა დიდ და მრავალრიცხოვან პრივილიგირებულ ჯგუფთა ინტერესებს, რომელთანაც თანამშრომლობისა და ჯანსაღი ურთიერთობის გარეშე ცარიზმს გაუჭირდებოდა შემოერთებული ტერიტორიების მართვა და აქტიური რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარება.

საქმეს ისიც ართულებდა, რომ ანექსიის პერიოდში ცარიზმის სატრაპებმა მოახდინეს ყველაზე აქტიური მოწინააღმდეგეების და საეჭვო პირების ფაქტობრივი დეპორტაცია რუსეთის შორეულ გუბერნიებში; ეს სისხლიანი პროცესი პირველ რიგში შეეხო სამეფო დინასტიის წევრებს,

ადგილობრივ არისტოკრატიასა და თავადაზნაურობას, ამიტომ ხშირი იყო კონფლიქტები, რაც ზოგჯერ სერიოზულ ანტირუსულ აჯანყებაში გადაიზრდებოდა ხოლმე (1804 წ. 1812 წ. 1832 წ. და ა. შ.).

საინტერესოა, რომ რუსეთის იმპერიის უსამართლო მოქმედებამ ასახვა ჰპოვა მეორე იმპერიის, ოსმალეთის საარქივო დოკუმენტებშიც. აქ შედარებით რეალურადაა ახსნილი ცარიზმის მოქმედება და მისი შედეგები.

1886 წლის 28 დეკემბრით დათარიღებულ ერთ-ერთ საბუთში, რომლის ავტორი მერვე დივიზიის მეთაური, გენერალია (გვარი არაა მითითებული), ადრესატს, სულთან აბდულ-ჰამიდ II-ს (1842-1918) ატყობინებს, რომ: „რუსებმა დაბალი ფენის მოსახლეობის გულის მოგებისთვის და მათზე თავადაზნაურთა გავლენის მოსპობის მიზნით გააუქმეს საგვარეულო წოდებები, ისარგებლეს შემთხვევით და თვითნებურად ჩამოართვეს ქონება და ტერიტორიები. ზოგი ამ პროცესს დადებითად აფასებს, რადგან მან ღარიბი მოსახლეობის და გლეხობის ინტერესები გამოხატა, თუმცა ამან მოგვიანებით საკმაოდ უარყოფითი შედეგები მოგვცა. დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთ დროს ძალები გააერთიანეს და შეეცადნენ თავიანთი მიზნის მიღწევას.“ (საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში. შეადგინა **მუმინ ილდიზტაშმა**. სტამბოლი. 2012 წ. გვ. 298, 299).

მიუხედავად ამისა, ადგილობრივ თავადაზნაურობას ჯერ კიდევ კარგად ახსოვდა სპარსეთ-ოსმალეთის შემოსევები, კავკასიის მთიელთა თავდასხმები, თვით აღა-მაჰმადხანის მიერ თბილისის აოხრება, ამიტომ დიდ ბოროტებას ერჩივნა შედარებით მცირე მორჩილება. ამას ემატებოდა ცარიზმის მზაკვრული პოლიტიკა: მოსყიდვა, ქრთამები, ჩინ-მედლები, სამხედრო იერარქიული წინსვლა, რამაც საბ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ოლოოდ გატეხა ქართველი ერის ნებისყოფა და ქვეყანა რუსეთის კოლონიად აქცია.

როგორც ტრაქტატზე თანდართულ, ასევე მოგვიანებით, 1850 წლის და მომდევნო წლების თავადაზნაურობის სიების შედგენილობაზე ერთგვარი გავლენა მოახდინა ბატონყმური წყობილების არსებობამ. როგორც ცნობილია, 1863 წლიდან „რუსეთის დიდი რეფორმის" შემდეგ მთელს იმპერიაში, მათ შორის საქართველოშიც ბატონყმობა, როგორც მაშინ ამბობდნენ, „გადავარდა," რამაც გარკვეულად იმოქმედა ფეოდალურ პრესტიჟზე, თუმცა ეს ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა და თავად-აზნაურობა კვლავ სარგებლობდა თავისი პრივილეგიებით.

იმპერიულმა პოლიტიკამ და ბიუროკრატიულმა სახელმწიფოებრივმა მოწყობამ, სამხედრო რეჟიმმა და ძალმომრეობამ დაპყრობილ საქართველოში კვლავ უფრო დააშორიშორა სოციალური იერარქიის ზედა და ქვედა ფენის წარმომადგენლები. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ რუსეთის ხელისუფლება ჩინოვნიკებად ძირითადად ადგილობრივი თავადაზნაურების წარმომადგენლებს ნიშნავდა და მათი ხელით აღასრულებდა თავის უსამართლობას, რაც ზედა ფენის მიმართ მდაბიოთა სიძულვილს კიდევ უფრო აღრმავებდა. თუ წარსულში თავადსა და აზნაურში გლეხი მეტ-ნაკლებად თავის პატრონს, მზრუნველს და დამცველს ხედავდა, ახლა ისინი მის მტრებად იქცნენ, მათ შორის არსებული ისედაც მყიფე ხიდი ჩატყდა.

ამ სოციალურ უსამართლობას ეხმაურებოდა დიდი **ილია**, როცა ის გადაგვარებულ მოხელეებს ქართველებად აღარ თვლიდა და თავის წერილში „ზოგიერთი რამ," წერდა: „არიან თავადნი, არიან აზნაურნი და მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანი და უჩინონი. ყველანი არიან და ქართველი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა თავადი,

გლეხებსა ორივე – თავადის აზრი სათავადოა, აზნაურის სააზნაურო, გლეხისა საგლეხო, ვაჭრისა – სავაჭრო. ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს აქცევს, აზნაური თავადსა, ორივენი გლეხსა, ეს ვაჭარი რომ სამივეს, ერთნაირი სიხარბითა სწოვს – ნუთუ ესენი ქართველებია?." **(ილია ჭავჭავაძე**. ზოგი რამ. თხზულებანი. 1984. თბილისი. გვ. 539, 540).

ვფიქრობ, ამ სიტყვებში ბევრი რამ იგულისხმება, პირველ რიგში რუსიფიკატორული პოლიტიკა, რომელმაც ერის ზედა ფენა ბიუროკრატ მოხელედ აქცია და საძულველ მტრად მოუვლინა იმავე ერის მეორე ნაწილს – ქვედა ფენას.

ასეთი იყო ვითარება აჭარის, ლივანის, შავშეთ-იმერხევისა და ლაზეთის გათავისუფლების წინა პერიოდის საქართველოში.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ბათუმის ოლქის ქართველი თავადაზნაურობა რუსთა მმართველობის დროს

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებას (1801 წ.) ზედიზედ მოჰყვა იმერეთის სამეფოს, აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს სამთავროების გაუქმება და ახლციხის საფაშოს შემოერთება.

საბოლოოდ მთელი საქართველო რუსეთის იმპერიის ფარგლებში მოექცა. ოსმალეთის მფლობელობაში დარჩა მხოლოდ აჭარა, ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-იმერხევი, ლივანა და ლაზეთი.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად ოსმალეთმა ეს მხარეებიც რუსეთს დაუთმო. 1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმში რუს-ქართველთა ლაშქარი შემოვიდა. ეს დღე ისტორიული საქართველოს საკმაოდ დიდი ნაწილის გათავისუფლების დღედ ითვლება.

რუსეთის ადმინისტრაციამ ამ მხარეს **ბათუმის ოლქი** უწოდა, რომლის შემადგენლობაში შედიოდა ართვინის ოკრუგი, შავშეთ-იმერხევის და ლაზეთის ნაწილით, აგრეთვე ზემო აჭარის, ქვემო აჭარის, მაჭახლის, გონიოსა და კინტრიშის ნაწილები. ოლქს გენერალ-გუბერნატორი მართავდა.

ოფიციალურად ბათუმის ოლქის საზღვრები იყო: ჩრდილოეთით ქუთაისის გუბერნია და შავი ზღვა, აღმოსავლეთით – თბილისის გუბერნია და ყარსის ოლქი, დასავლეთით – თურქეთის ლაზისტანის სანჯაყი, ადმინისტრაციულად ბათუმის ოლქი იყოფოდა ბათუმის, ართვინისა და აჭარის ოკრუგებად, 1885 წელს ბათუმის ოლქი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, გაუქმდა და ქუთაისის გუბერნიასთან გაერთიანდა. ტერიტორია ორ ოკრუგად გაიყო: ბათუმისა და ართვინის. 1903 წელს ეს ოკრუგები კვლავ ბათუმის ოლქად გაერთიანდა, რომელშიც შედიოდა ართვინის ოკრუგი. 1903 წლის მდგომარეობით ბათუმის ოლქის ტერიტორია 3779 კვ. კილომეტრს, ხოლო მოსახლეობის რიცხვი – 144 323 სულს შეადგენდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა




ბათუმის ოლქის რუკა
1905 წ.

საქართველოს სხვა მთიანი რეგიონების მსგავსად, ბათუმის ოლქის ისტორიულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა მარადჟამს იბრძოდა თავისუფლებისთვის და ნაწილობრივ ამას აღწევდა კიდეც. აქ ფაქტობრივად, ბატონყმობა არასოდეს ყოფილა. საყურადღებოა, რომ ძველ წყაროებში არსად არაა აღწერილი თავადაზნაურობის მიერ გლეხის ისეთი გაუგონარი ექსპლუატაცია, როგორც ეს ხდებოდა ქართლ-კახეთში და გურია-სამეგრელოში (უსაშველო გადასახადები, პირველი ღამის უფლება, გლეხის ფიზიკური დასჯა და სხვ.). ამით აჭარისა და შავშეთ-იმერხევის ცხოვრება გარკვეულად ემსგავსებოდა სვანეთის, ხევის, მთიულეთის და თუშ-ფშავ-ხევსურეთის მოსახლეობის ცხოვრებას. თვით ისეთი დიდი თავადი, როგორც იყო აჭარის მმართველი **შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი**, მნიშვნელოვან საქმეს არ გადაწყვეტდა ბოლქვაძეების, დავითაძეების, მიქელაძეების და სხვათა გარეშე. ეს აზნაურები კი, თავის მხრივ, გლეხთა წინამძღოლებს ეკითხებოდნენ.

შესაძლოა, ამითაც იყო გამოწვეული, რომ გლეხობასა და თავადაზნაურობას შორის კავშირი შედარებით ჯანსაღი იყო და ისინი ყოველი განსაცდელის ჟამს ერთად იყვნენ, ერთად ებრძოდნენ სოცალურ უკუღმართობას.

აჭარის, შავშეთ-იმერხევის, ლივანისა და ლაზეთის მოახლეობასთან ერთად, თავადაზნაურობამ დიდი როლი შეასრულა ამ მხარეების გათავისუფლებისა და დედა-სამშობლოსთან დაბრუნებისთვის. ამ მხრივ განსაკუთრებულად გამოირჩეოდნენ: **შერიფ და ნური ხიმშიაშვილები**, **ხუსეინ აბაშიძე**, **ხუსეინ ბეჟანიძე**, **ხასან სურმანიძე**, **სული-ბეგ მაჭახლელი (წულუკიძე), პეტრე ხარლამპოვი, ტერ-გრიგორ პუჩინიანი, ხასან-ბეგ ბეჟანიძე, ახმედ-ეგენდი ხალვაში, ოსმან-აღა მაკრიალელი, ემინ-ეფენდი მუფტი-ზადე, პეტროს პუჩინიანი, სიმიონ საგამიონი,** რომლებმაც თავიანთი პატრიოტული გან-



ბათუმის ოლქის გერბი

1881 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყობილება გამოხატეს 1878 წლის 20 ნოემბერს, თბილისში, მუხრან-ბატონის სასახლეში გამართულ ბანკეტზე.

ამ ბანკეტს აჭარა აჭარა-შავშეთის 15-კაციანი დელეგაცია ესწრებოდა. საყურადღებოა, რომ თბილისში გამგზავრების მსურველი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ თავადაზნაურთა დიდმა ნაწილმა ეს ვერ შეძლო, რის გამო დიდი სინანული გამოთქვეს: რეშიტ-ეფენდი კეკელიძემ, შირინ-აღა დავითაძემ, თოფან-ბეგ შერვაშიძემ, აბდულ-ბეგ ბეჟანიძემ, ულფან-ბეგ და დურსუნ-ბეგ ათაბაგებმა, ფელულ-ბეგ ხიმშიაშვილმა, სეფერ-ბეგ იმერხეველმა, ალი-ბეგ წულუკიძემ და სხვებმა.

ამ მხარეებში თავადთა (ბეგთა) ორი ძირითადი კატეგორია მოქმედებდა: ჩვეულებრივი თავადი (ბეგი) და სანჯაყ-ბეგი (ბეგლარ-ბეგი), რომელიც დიდ უგანათლებულეს თავადს (светлейший князь) უტოლდებოდა და ერთ ან რამდენიმე დიდი რეგიონის მმართველს უდრიდა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ტრაქტატზე თანდართული და 1850 წელს რეგისტრირებული თავადაზნაურთა სია არ შეხებია ბათუმის ოლქში მცხოვრებ გვარებს, მაგრამ აქ მცხოვრები რამდენიმე წარჩინებული გვარი ისედაც მოხვდა ამ სიებში, ამიტომ ამ მხარეების შემოერთების შემდეგ რუსეთის ხელისუფლების კეთილი ნების გამოხატვის შემთხვევაში იოლი იყო თავად-აზნაურთა პრივილეგიების აღდგენა, თუმცა ხელისუფლება თავს არ იწუხებდა, რადგანაც მას ხელიდან გამოეცლებოდა სახაზინო მიწების დიდი ნაწილი, გარდა ამისა, მაღალი ფენის მრავალ წარმომადგენელს უნდა დანიშვნოდა პენსია, რაც უარყოფითად იმოქმედებდა ხაზინაზე.ამიტომ მეფის მოხელეები ცდილობდნენ სხვადასხვა მიზეზით შეეფერხებინათ წოდებრიობის დადგენა და მოსახლეობის კანონიერი უფლებების აღდგენა.

აქვე მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოვიტანოთ სია თავადაზნაურთა გვარებისა, რომლებიც შეტანილნი არიან

ტრაქტატის დანართში, აგრეთვე 1850 წელს შედგენილ სიებში და რომელთა თანამოგვარეები ცხოვრობდნენ ბათუმის ოლქში:თავადები: აბაშიძე, ახვლედიანი, გუგუნავა, დიასამიძე, თავდგირიძე, ლორთქიფანიძე, მარშანია, მიქელაძე, ნაკაშიძე, ნიჟარაძე, სურმანიძე, ფალავანდიშვილი, ფაღავა, ყიფიანი, შალიკაშვილი, შერვაშიძე, ჩიჯავაძე, წულუკიძე, ხიმშიაშვილი, ჯაიანი, ჯაფარიძე, ჯაყელი.

აზნაურები: აბულაძე, ანთაძე, ბერიძე, ბოლქვაძე, გეგიძე, გოგიბერიძე, გოგიტიძე, გოგოლიშვილი, დუმბაძე, თავართქილაძე, იშხნელი, კორძაია, კომახიძე, მიქელაძე, მელიქიშვილი, მანელიშვილი, მახარაძე, მგელაძე, ნაკაიძე, ჟღენტი, ჟორდანია, ქადაგიძე, ქავთარაძე, ღლონტი, ყიფიანი, შარაშიძე, ჩივაძე,* ჭყონია, ჯაფარიძე, ჯაყელი.

საინტერესო ცნობას წავაწყდი გაზეთ „კავკაზ“-ში (№45, 1879 წ.). ანონიმი ავტორი ასახელებს აჭარაში მცხოვრები ზოგიერთი თავადის გვარს, რომელიც აქ დახვდა რუსეთის ხელისუფლებას: „ნამდვილი ბეგები აქ ცოტაა. თურქეთის ხელისუფლების დროს, ყველა მოხერხებულმა ავაზაკმა თავისთავს ბეგი უწოდა. ძველმა ქართულმა თავადურმა და აზნაურულმა გვარებმა დაკარგეს თავისი ღირსება სულთანის წყალობით, რომელმაც მათ გამოსტყუა თავადობისა და აზნაურობის დამადასტურებელი სამეფო სიგელები და საბუთები. დღეს შემორჩენილია მხოლოდ რამდენიმე ძველი გვარი: სანჯაყ-ბეგიშვილი (თავდგირიძე და აბაშიძე) ბათუმში, ხიმშიაშვილი ზემო აჭარაში, თავდგირიძე ქობულეთში,

* **ჩივაძეები** ცხოვრობდნენ კინტრიშის ხეობაში, სოფელ ზერაბოსელში. ისინი საკმაოდ ძლიერი ფეოდალები, ფაშები ყოფილან, რის გამო ოსმალობის დროს ფაშიოღლის გვარს ატარებდნენ. როგორც ჩანს, მთელი გვარი მუჰაჯირად წავიდა. ამჟამად ისინი იმერხევის სოფელ უბეში ცხოვრობენ და კაიას გვარს ატარებენ. (მომითხრო 1994 წ. ხასან კაია-ჩივაძემ. რ. ს.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის ტრაპიზონის ოსმან-ფაშა, რომელიც იქედან ეწევა აგიტაციას და აღელვებს აქაურ მოსახლეობას. არიან კიდევ ბეგები ჩაქვში – ბეჟან-ოღლი, მაჭახელში კვირიტიძე, რომლებიც თავის თავს წულუკიძედ თვლიან. მათგან მე სულეიმან-ბეგსა და ალი-ბეგს ვიცნობ.

რაც შეეხება აღებს, მათი კლასი განსაკუთრებით მომრავლდა ბოლო ომის დროს. ყველა, ვინც აღმართავდა საბრძოლო ნიშანს და გამოიყვანდა ორ კაცს, აღა ხდებოდა.“

რუსული გაზეთის კორესპონდენტმა ბოლო ფრაზა გამოაქვეყნა არა იმიტომ, რომ თავადაზნაურობის ღირსების დაკარგვის გამო წუხდა, არამედ ამით მან მუჰაჯირობის ერთ-ერთი მიზეზი დაასახელა, კერძოდ ის, რომ ტრაპიზონიდან **ოსმან-ფაშა** აღელვებს ხალხს და ცდილობს მათს გადაბირებასო, აქაური ბეგები კვლავ ავიწროებენ ხალხს, გამოჩნდნენ თვითმარქვიებიო და ა. შ. შესაძლოა, ეს მართლაც ასე იყო, მაგრამ გავა სულ რაღაც 2-3 წელი და რუსეთის ხელისუფლებაც ანალოგიურად გამოსტყუებს თავადაზნაურობას აქა-იქ ჯერ კიდევ შემორჩენილ სიგელ-გუჯრებს და მათ ფაქტობრივად საბოლოოდ წაართმევს კანონიერ მიწა-წყალს, გამოაცხადებს, რომ ახლა ყველა მიწა ხაზინისააო.

მართალია, 1850 წლის სიაში ჩამოთვლილ თანამოგვარეთაგან ბათუმის ოლქში ბევრს საერთოდ არ ჰქონდა თავადაზნაურის ტიტული, ზოგი თავადის ნაცვლად აზნაურის, ზოგიც აზნაურის ნაცვლად თავადის ტიტულს ფლობდა, მაგრამ, ვიმეორებ, თუ რუსეთის ხელისუფლება იმთავითვე საქმის სწორად გადაწყვეტით დაინტერესდებოდა, ეს სიები მას სახელმძღვანელოდ და საორიენტაციოდ გამოადგებოდა, გარდა ამისა, დაემატებოდა ის გვარები, რომლებიც სიაში არაა შეტანილი და გაცილებით ადრე დადგინდებოდა ბათუმის ოლქში მცხოვრები თავადაზნაურთა ოჯახების საგვარეულო სიები. თუმცა ცარიზმის ხელისუფლება ამით არ

დაინტერესებულა და დიდხანს არც ცნობდა ბათუმის ოლქში მცხოვრებ თავად-აზნაურთა უფლებებს.

ახალი წყობილების დამყარებას, ბუნებრივია, სრულიად ახალი სამართლებრივი სისტემის შემოღება, საკუთრების ფორმების დაკანონება, საზოგადოების ფენების ახლებურად დაყოფა, ახალი ჩინოვნიკების გამოჩენა და სხვა რადიკალური ცვლილებები მოჰყვა. ასეთი მოვლენები საკმაოდ მტკივნეულია და მოსახლეობაში დიდ გაუგებრობას იწვევს. ეს კარგად ესმოდათ ქართველ მოღვაწეებს და აშკარა შეშფოთებასაც გამოთქვამდნენ.

ამ მხრივ საინტერესოა **დიმიტრი ყიფიანის** დამოკიდებულება აღა-ბეგების უფლება-მოვალეობების და მათი წოდებრიობის აღდგენის საქმეში. 1846 წლიდან, ვორონცოვის და ბარიათინსკის მთავარმართებლობის დროს, ეს საკითხი გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბდა, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა დიმიტრი ყიფიანი.

როგორც ცნობილია, მუსლიმანური რელიგიური ეთიკით უარყოფილია ბატონყმური ურთიერთობა, ბეგსა და აღას არ ჰქონდა მიწაზე მესაკუთრის უფლება, იგი ითვლებოდა მემკვიდრეობით მფლობელად, რითაც იგი განსხვავდებოდა ქრისტიანი მემამულისგან. გარდა ამისა მუსლიმანი გლეხი ითვლებოდა აღა-ბეგის მიწის მოიჯარადრედ, მაშინ, როცა იგი ქრისტიანი მემამულის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა (**С. Авалиани**. Крестьянский вопрос в Закавказье. т. 3, стр. 1-16. 1914 г.).

საქართველოს სამეფოს მოხელეები, პირველ ათწლეულში რუსეთის მოხელეებიც ჯერ კიდევ ვერ ერკვეოდნენ მიწათმფლობელობის მუსლიმანურ წესებში, ისინი შიშველი ადმინისტრირებით თავს ახვევდნენ თავის კანონებს მუსლიმანური თემების მოსახლეობას, რასაც მათი დიდი უკმაოფილება და აჯანყებები მოჰყვა.

**ვორონცოვმა** სანახევროდ შეცვალა ეს სისტემა, მუსლიმანთა მაღალ წოდებას მიეცა მიწის საკუთრების უფლება, მაგრამ გლეხები ნახევრად მონებად გადაიქცნენ. მ. ვორონცოვის მიერ შემოღებულ სისტემას ბარათინსკის დროს მოწინააღმდეგეები გმოუჩნდა, რომელთა წინააღმდეგ გაილაშქრა დ. ყიფიანმა. იგი ამბობდა, რომ შეიძლება მაღალ წოდებას მართლაც მეტი მიწები მისცეს, „ვიდრე ღირსი იყო, მაგრამ მისცეს უმაღლესი ხელისუფლების სახელით," ამის გამო არ გვქონია მხედველობაში არც ერთი უკმაყოფილება რომელიმე დაინტერესებული მხარისგან"-ო (**დ. ყიფიანი**. მემუარები. ტფილისი. 1934 წ. გვ. 64). რაც მთავარია, გლეხებმა შეიგნეს, რომ ეს კანონები იცავს მათს უფლებებსა და საკუთრებას: „საჭიროა შეიცვალოს ის შეცდომები, რომლებიც თესენ არეულობას და რევენ გონებას; და არა ის კანონები, რომელნიც ამშვიდებენ მთელი ასიათასობით მცხოვრებთ" – ამბობდა დიმიტრი ყიფიანი (**სიმონ ხუნდაძე**. დიმიტრი ყიფიანი. ტფილისი. 1936 წ. გვ. 120).

ამგვარად დ. ყიფიანი ემხრობოდა მ. ვორონცოვის პოლიტიკას, კერძოდ აღა-ბეგებისგან რუსეთის მსგავსი არისტოკრატიული წოდების ჩამოყალიბებას, თუმცა გლეხები გადადიოდნენ ბატონყმურ მდგომარეობაზე და იქცეოდნენ საექსპლუატაციო ობიექტად.

შემოერთების შემდეგ სამუსლიმანო საქართველოში ამ სანახევრო შეღავათებსაც ვერ ახორციელებდნენ, რასაც წინასწარ გრძნობდა **გრიგოლ ორბელიანი**. იგი სამუსლიმანო საქართველოს შემოერთების შემდეგ **ლევან მელიქიშვილს** წერდა:

„დიდად მეშინია, რომ აჭარაში არ დააფუძნონ ჩვენი მიროვოის სუდები და არ აღჩნდეს ახალს შეუჩვეველს ხალხში მეუფება ჩინოვნიკობისა, როგორც აფხაზეთში, სადაც დაამტკიცეს, რომ მიწა ეკუთვნის გუშინდელ იქ შესულს – ხაზინას

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა იმ ხალხს, რომელიც იქა მკვიდრობს ნოეს დაბადებიდამ: ნეტავი დაღესტნის ფორმა უპრავლენიისა იქ შეიტანონ, თუ უნდათ ხალხის დამშვიდება და კეთილდღეობა“ (**იონა მეუნარგია**. ცხოვრება და ღვაწლი **გრიგოლ ორბელიანისა**. ქართული მწერლობა. ტ. 22. თბილისი. 2004. გვ. 124, 125).

დასაწყისში თითქოს ყველაფერი რიგზე იყო. რუსეთის ხელისუფლებამ თანამდებობებზე დანიშნა მაღალი ფენის ადგილობრივი წარმომადგენლები: **გრიგოლ გურიელი**, **თევფიყ-ბეგ თავდგირიძე, ნური-ბეგ ხიმშიაშვილი**, **მარჯან-აღა მარშანია**, **დურსუნ-ბეგ ათაბეგოვი** და სხვა. მოსახლეობასაც გამოუცხადა, თუ ემიგრაციაში წასვლა (მუჰაჯირობა) გსურთ, თქვენი ნებაა, წაბრძანდით, თუ იქ არ მოგეწონებათ და სამი წლის ვადაში უკან დაბრუნდებით, თქვენივე კუთვნილ მიწებზე დასახლდებითო. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ურცხვად დაარღვია პირობა. პირველ რიგში თანამდებობებიდან დაითხოვა ყველა ზემოთ დასახელებული ადგილობრივი პირი, თვით უდიდესი დამსახურების მქონე თავადი გრიგოლ გურიელი, რომელსაც სამხედრო წოდება მანამდე არ აღირსა და გენერლობა მიანიჭა მას შემდეგ, როცა შეურაცხყოფილი მოღვაწე თავის პოსტს ჩამოაშორა.

ხელისუფლებამ მოატყუა მოსახლეობაც. როგორც შემდეგში გამოირკვა, ადგილობრივი მოსახლეობის აყრა და გადასახლება მარტო რელიგიური მოტივებით, ოსმალო ემისრების და ადგილობრივი თურქოფილების მიზეზით არ მომხდარა. ამ საქმეში რუსეთის მზაკვრულმა პოლიტიკამაც ითამაშა დიდი როლი, რაზეც დიდი გულისტკივილით, გაბედულად და გასაოცარი გულახდილობით წერს **გრიგოლ ორბელიანი დ. ი. სვიატოპოლ-მირსკის**: „ამჟამად ყარსის ოლქი წარმოადგენს სამწუხარო სურათს მოოხრებისას. 200 ათას სულზედ მეტი ოსმალეთში გადასახლდა. სირცხვილია ჩვენთვის, რომ, ვით ჭირიანებს, გაგვირბის ხალხი! მაშ, ამდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლს რაღასთვისა ვღვრით, რად ვიმორჩილებთ! სადღაა ის სახელგანთქმული რუსული ჰუმანური ცივილიზაცია, ან რუსული მეცნიერება, რომლების შესახებაც ჩვენი პუბლიცისტები ასე ბევრს ლაპარაკობენ. უდაბნოებს აბა რაში გამოადგებათ და ხალხს კი ველალებით, აჭარაშიაც დიდი უკმაყოფილებაა და ყოველსავე ამას ფანატიზმს ამიზეზებენ. რა სიბეცეა. მიზეზი თვალითა სჩანს კარგათა“ (იქვე).

ემიგრირებული მოსახლეობის თითქმის ნახევარი გზაზე გარდაიცვალა, ხოლო იქედან უკან მობრუნება ვინც გაბედა (და ასეთთა რიცხვი ძალზე ცოტა იყო), სამშობლოში ჩამოსვლამდე, გზაზე მეორეჯერ განახევრდა. ჩამოსულებს კი მათი მიწები რეკვიზირებული, ხაზინაზე გადაცემული დახვდათ. მალე ამ მიწებს მეფის გენერლები დაეუფლნენ. ასე დაიწყო ქართული მიწების ოკუპაცია, რაც ფაქტობრივი ანექსიით დასრულდა.

ცარიზმის მოხელეები პირველ რიგში მაღალი ფენის თავადაზნაურობას (აღა-ბეგებს) მისდგნენ, რადგანაც მათ ხელში დიდი უძრავ-მოძრავი ქონება ეგულებოდათ. ის, რაც ვერ შეძლო ოსმალეთის ხელისუფლებამ, რომელიც ასეა თუ ისე, იძულებული იყო ქართველი თავადაზნაურობისთვის შეენარჩუნებინა ძველი პრივილებიები, რუსეთის ხელისუფლებამ საბოლოოდ მოუთავა ხელი.

მოსახლეობის მასობრივმა ემიგრაციამ (მუჰაჯირობამ) დიდი არევ-დარევა გამოიწვია მიწების კუთვნილების გარკვევაში. წასული მიწათმფლობელების ნაკვეთები დარჩენილებმა თვითნებურად მიისაკუთრეს, ზოგმა მოახერხა საბუთების გაფორმება და სხვისი ქონების დაკანონება. სხვისი მიწა-წყლის მიტაცებაში განსაკუთრებით აქტიურობდნენ ვაჭარ-მრეწველები და მეფის მოხელეები, ჩინოვნიკები და გენერლები; ცარიზმის ადმინისტრაცია ამ უკანონობას არა-

თუ ხელს უშლიდა, პირიქით, უფრო მეტად აქეზებდა და ხელს უწყობდა ახალი მიწათმფლობელობის დაკანონებას.

ამ პროცესს მწვავე ჟურნალისტური ხერხებით და შთამბეჭდავად ეხმაურება **სერგეი მესხი**. ეს დიდებული ქართველი პატრიოტი და ქართული ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი თავად არაერთხელ ჩამოვიდა ბათუმში და საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ ჯიგჯიგებდნენ და იტაცებდნენ ვაჭარ-სოვდაგრები, უპირატესად არაქართველები, თავგზააბნეული მუჰაჯირების ქონებასა და მიწა-წყალს. ბათუმის გათავისუფლებიდან სულ რაღაც მეექვსე დღეს „დიდძალი ხალხი ჩამოვიდა აქ გურიიდამ, სამეგრელოდამ, იმერეთიდამ და ტრაპიზონიდამ. სულ ვაჭრები არიან (არაქართველები, რ. ს.). ყველა აქ მოელის გაკეთებას. დარბიან, დაცმაცურობენ, ჰყვირიან, ჩურჩულებენ, დილიდამ საღამომდინ აქა-იქ დაძვრებიან, სამაღაზიო, სასტუმრო, სადუქნო სახლებს ქირაობენ, ადგილებს ყიდულობენ, „საქმეს" ეძებენ." („დროება, №176," 31 აგვისტო, 1878 წ.). ქართული მიწა-წყლის ასეთ განუკითხავ მტაცებლებს სერგეი მესხი მშიერ მგლებს ადარებს: „...როგორც მგლები მძორს, ისე შეესია იმერეთიდან, გურიიდან,სამეგრელოდან და ტრაპიზონიდან ჩამოსული ხალხი." („დროება". №184, 13 სექტემბერი, 1878 წ.).

რუსეთის იმპერიულმა პოლიტიკამ, მეფის მოხელეთა თავგასულობამ და ძალმომრეობამ უარყოფითად იმოქმედა დაბალ ფენებზეც და მოსახლეობის მასობრივი აყრა-გადასახლების მიზეზი გახდა. **ილია** გულისტკივილით ამბობდა, რომ „ამ ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია თურმე ყველა კალიაზედ მსუნაგი, უფრო ხარბი, უფრო გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა... როცა ამათს ამბავს ლაპარაკობენ, თმა ყალყზე დგება, ამათ შორის, საცა გამოუსადეგი, უხეირო, თავზედხელაღებული იყო, იმ ახალ ქვეყნებში მოხელეობა მიიღო. აბა რა კეთილს დააყრიან ხალხს? თუ ეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამარცხვინო საქმე მოხდა და აჭარა გადასახლდა, ბრალი იმათ უნდა დაედოთ, ვინც მოხელეთაგანი აქამდის მიიყვანს საქმეს...“ (თხზულებანი. თბილისი. 1989. გვ. 812, 813).

ერის მამას დიდად აწუხებდა ბათუმსა და მის შემოგარენში მიწათმფლობელობის მოუგვარებლობა. როგორც ზ. ჭიჭინაძის წერილით ირკვევა, ამ მხარის გათავისუფლებიდან 10 წლის შემდეგაც მიწის საკუთრება არ იყო დადგენილი და მასზე არ ვრცელდებოდა რაიმე წესი. მართალია, 1879 წელს შეიქმნა „ბათუმის საადგილმამულო კომისია,“ რომელიც ათი წლის განმავლობაში იკვლევდა საბუთებს, სიგელებსა და ფირმანებს, მაგრამ მიწის კუთვნილების საკითხს თავი მაინც ვერ, ან არ მოება. ილიას თქმით, ასეთი დავიდარაბა დიდად აზიანებს მოქალაქეთა ინტერესებს და ხელს უშლის მხარის განვითარებას. ამავე დროს დიდი ერისკაცი იძლევა რეკომენდაციებს, რაც ექვს პუნქტად არის ჩამოყალიბებული. ერთ-ერთ თავის წერილში ილია ჭავჭავაძე იმედს გამოთქვამს, რომ ეს აშლილ-აწეწილი საქმე დაბოლავდება და „როგორც ქალაქი ბათუმი, ისეც იქაურნი მკვიდრნი თავთავის კუთვნილებას ხელ-შეუხებლად და შეურყევლად დაისაკუთრებენ.“ როგორც ვიცით, ეს იმედი არ გამართლდა. ადგილობრივ მკვიდრთა ქონების კუთვნილების საკითხი მუდმივი დავისა და მეტოქეობის საგნად დარჩა.

ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვის შემდეგ, ქართულ წეს-ჩვეულებებს, კანონ-სამართალს ქართული ოჯახები პატრონობდნენ, ისინი ინახავდნენ სახელმწიფოებრიობისა და თავისუფლების იდეებს. ამიტომ სპობდა გეგმაზომიერად რუსეთის მთავრობა, შემდეგ ბოლშევიკები ქართულ ოჯახებს, უპირატესად თავადაზნაურთა გვარეულობას, რომელმაც ეს ეროვნული მისია იკისრა.

მძიმე მგომარეობაში აღმოჩნდნენ არა მარტო გლეხები, არამედ აღა-ბეგები, რომელთა პრივილეგიების აღიარებას

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ქალაქ ბათუმის გერბი
1881 წ.

რუსეთის ხელისუფლება ჯიუტად არ ჩქარობდა. ამიტომ **გახშირდა წარჩინებული ფენის წარმომადგენელთა თხოვნები და საჩივრები, რათა ახალ მმართველობას ეცნო მათი ძველი ტიტულები და პრივილეგიები**. ამის მრავალი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ შევჩერდებით მხოლოდ ერთზე, რომელიც ტიპობრივი და დამახასიათებელია ბათუმის ოლქის ყველა წარჩინებული გვარისთვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მაღალი ფენის ადგილობრივ წარმომადგენ-ლებს რუსეთის ხელისუფლებამ მიანიჭა სამხედრო წოდებები, ზოგს დაუნიშნა პენსია, მაგრამ მათი უძრავ-მოძრავი ქონების საკუთრების საკითხი ღიად დატოვა. სწორედ ამით იყო გამოწვეული გენერალ-მაიორ **შერიფ ხიმშიაშვილის** წერილობითი თხოვნა, რომელიც მან 1879 წლის 19 თებერვალს კავკასიის არმიის სარდალს გენ-ერალ-ადიუტანტს **სვიატოპოლ-მირსკის** მიართვა: „...ამჟამად შესაძლებლობა მაქვს ვიცხოვრო მისი უდიდებულესობის მთავრობის მაღალი მფარველობის ქვეშ, საქართველოს ძველ სათავადო გვარებს შორის, რომელსაც ხიმშიაშვილის სახელით ოდესღაც ჩემი გვარიც ეკუთვნოდა, სანამ ჩემი სამშობლო არ მოექცეოდა თურქეთის იმპერატორების მფლობელობაში. თუმცა თურქეთის მთავრობაც ანგარიშს უწევდა ჩემი გვარის როლს დამორჩილებულ მხარეში და ჩვენი სახლის წევრებს აჯილდოებდა სიგელებით და შესაძლებლობას უქმნიდა განეგრძოთ თავიანთი მაღალი მდგომარეობა. ჩემი უფროსი ძმის (**ასლან ბეგის, თუ ქამილ-ბეგის? რ. ს.**)* სიკვდილის შემდეგ. მამაჩემის, ახმედ-ფაშის თხოვნით, მიბოძეს ზემო აჭარის სანჯაყის მემკვიდრეობით

---

* ეს უნდა იყოს 1828-1829 წ.წ. ომის დროს დაღუპული ასლან-ბეგ ხიმშიაშვილი, ან მისი ძმა ქამილ-ბეგი (იხ. **გ. ყაზბეგი.** ლაზისტანის სანჯაყის სამხედრო სტატისტიკური და სტრატეგიული ნარკვევი. თარგმნა **ლელა ჩოგოვაძემ,** (ხელნაწერი)..

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მართვა სათანადო ტიტულით, ულუფითა და მამულებით... ახლა კი მე ჩემი ბავშვების ბედი დამრჩა საზრუნავი, ამიტომ თავს ნებას ვაძლევ, ვთხოვო თქვენს ბრწყინვალებას, მიშუამდგომლოთ მე და ჩემს შვილებს ჩარიცხულ ვიქნეთ თავადი ხიმშიაშვილების გვარეულობაში (**ხ. ახვლედიანი**. ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათუმი. 1944. გვ. 61).

მოგვიანებით, გენერალ სვიატოპოლ-მირსკის შერიფ-ბეგის ეს თხოვნა გასარკვევად თავად **დავით სუმბათაშვილისთვის** გადაუცია. მასაც დაუდასტურებია, რომ ხიმშიაშვილი არის ძველი ქართული თავადური გვარი და მათი ერთი შტო აჭარაში ცხოვრობსო.

შერიფ-ბეგის განცხადება შემდეგ ახლად შემოერთებული მხარეების მამულების კუთვნილების შემსწავლელ სპეციალურ კომისიას 1880 წელს განუხილავს და დაუდგენია: ოსმალური წყობილების დროს ყველა მამული სახელმწიფოსი ყოფილა და ახლაც სახელმწიფოს უნდა დარჩესო.

სრულიად უმწეო მდგომარეობაში მყოფი შერიფ-ბეგი გამოსავალს კვლავ იმპერატორთან ეძიებს. 1883 წელს ის პეტერბურგში გაემგზავრა, ჩვენ არ ვიცით ამ ვიზიტის ძირითადი მიზეზი, მაგრამ ერთი დოკუმენტი, რომელიც ჩვენ 2002 წელს **ნიკო ნიკოლაძის** არქივში აღმოვაჩინეთ, მეტყველებს, რომ გენერალ ხიმშიაშვილის გამგზავრება პირად საქმესთან იყო დაკავშირებული. გავეცნოთ წერილის შინაარსს:

„მის მაღალ კეთილშობილებას,
ბატონ ნიკოლაძეს!

უმორჩილესად გთხოვთ გადამიწეროთ ან უკეთესად დამიწეროთ ეს ქაღალდი, ამ საბუთით თქვენ მიხვდებით,რა მსურს. თქვენ უკეთესად იცით, როგორ აჯობებს, რისთვისაც დიდად მადლობელი დაგრჩებით. გარდა ამისა, გთხოვთ, თუ შეიძლება, ეს წერილი მოამზადოთ ზეგისთვის. დაიმედებული ვარ, რომ თქვენ ჩემს საქმეებზე, რომლებიც თქვენ გეხებათ, არავის არაფერს ეტყვით.

გთხოვთ მოხვიდეთ ჩემთან, მაგრამ ამის შესახებ არავის უთხრათ. ჩემი მისამართია: Крестовский остров, Константиновский проспект, дача Юнге № 4;

სანქტ-პეტერბურგი. 6 ივნისი, 1883 წ.

გენერალ მაიორი შერიფ-ბეგ ადჟარსკი."*

ამ წერილს ჩვენ ვრცელი ნარკვევი მივუძღვენით, რომელიც დაიბეჭდა გაზეთებში („აჭარა," №13. 7 სექტემბერი, 2002 წ. გვ. 6 და „ლიტერატურული საქართველო," № 34, 22-28 აგვისტო, 2003 წ. გვ. 7), ამიტომ ამ კონფიდენციალურ შეხვედრას დაწვრილებით აღარ შევეხებით. ჩვენ არც იმ „ქაღალდის" შინაარსი ვიცით, რაც ნიკო ნიკოლაძეს უნდა გადაეწერა, ან უკეთ დაეწერა. ვვარაუდობდით, რომ ეს იყო თხოვნა იმპერატორისადმი, აღედგინა ხიმშიაშვილები დიდ თავადთა უფლებებში და დაებრუნებინა მათთვის მემკვიდრეობით კუთვნილი და წინაპართაგან გადმოცემული მიწები. 15 შვილის პატრონ ხიმშიაშვილს ამაზე დიდი სათხოვარი მეფისადმი არ უნდა ჰქონოდა.**

როგორც ირკვევა, ამ თხოვნებმა და დასკვნებმა საბოლოოდ თავი მოიყარა რუსეთის იმპერიის განსაკუთრებული რწმუნებულების მქონე უმაღლესი განმწესებელი კომისიის უფროსთან, ადრე გენერალ-გუბერნატორ, ხოლო შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრთან, გრაფ **მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვთან** (1827-1888), რომელსაც შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი თბილისიდან კარგად იცნობდა. სტამბური წესით დაბეჭდილ ლორის-მელიქოვის წერილს, რომელიც ეგზავნე-

---

* წერილის რუსულიდან თარგმანი ჩვენ გვეკუთვნის.

** მოსკოვის სამხედრო-ისტორიული არქივიდან მიღებული ახალი საბუთების გაცნობით გაგვიჩნდა მეორე ვარაუდი იმის შესახებ, რომ ეს წერილი ავტორს უნდა გაეგზავნა **დანიელ პრინცესა ავგუსტას** მისამართით, რომელიც ზუსტად ამ პერიოდში აჭარაში ჩამოიყვანა და სამოქალაქო ქორწინების წესით ცოლად შეირთო

ეროვნული
ბიბლიოთეკა



Его Высокоблагородию
Господину Николадзе!

Прошу Вас покорнейше перешлите мне эту бумагу, или вернее напишите как лучше в этой бумаге Вы можете заключить мою просьбу. Вы лучше знаете как надо, за что буду Вам очень благодарен. И Прошу если можно что приготовьте к послезавтрашнему дню. Будьте уверены что Вы никогда не скажете насчёт моих дел, относительно от Вас. — Прошу принять как мне, но никому ни слова об этом. Адрес мой Крестовский остров, Константиновский проспект, дача Юнг № 4.

С. Петербург 6го Июня 1883го.

Генерал Майоръ Шериф Бекъ [illegible]

შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის
წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი
6/VI, 1883 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა სამხედრო მინისტრს, ჩვენ მივაკვლიეთ ხ. ახვლედიანის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში (№232 09/1; 1201/1,2), რომელშიც ნათქვამია შემდეგი: „გენერალი შერიფ-ბეგ ადჟარსკი 1880 წლის 8 ივნისს ცარსკოე სელოში წარუდგა ხელმწიფე იმპერატორს. მისმა იმპერატორობითმა უმაღლესობამ მოწყალებით მიიღო შერიფ-ბეგი და კეთილ ინება ეთქვა, რომ ის არ დაივიწყებს სამსახურს, რომელიც მან ხელისუფლებას გაუწია ომის დროს. გარდა ამისა, მისმა უმაღლესობამ მე დამავალა, რათა თქვენთვის გადმომეცა შერიფ-ბეგის თხოვნა, უშუამდგომლოთ მას და მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის განკარგულება გადასცეთ კავკასიის არმიის მთავარსარდალს. დასახელებული შუამდგომლობა გამოიხატება შემდეგში:

1. დაუმკვიდრდეს მას არტაანის მახლობლად (ყარსის ოლქში) საგვარეულო მამული.

2. ბათუმის ოლქში მისი მამულის შემდგომი ფლობის შეუძლებლობის შემთხვევაში, ხელისუფლებისგან ზუსტად იქნას განსაზღვრული მამულის ღირებულება და მას აუნაზღაურდეს ფულადი ჯილდოს სახით.

3. მიეცეს მის ოჯახს საკუთარი ქონებით თავისუფალი სარგებლობის უფლება.

4. გაირკვეს ყარსის დუქნების კუთვნილების საკითხი, აგრეთვე საგვარეულო სავაყუფო ქონებისა, საიდანაც შემოსავლის ერთი ნაწილი ხმარდებოდა იქაურ მეჩეთებს, დანარჩენი კი ეკუთვნოდა შერიფ-ბეგს.

5. **აღიარებული იქნას მისი თავადური ღირსებები**, რომლითაც საქართველოში სარგებლობდნენ მისი წინაპრები, თავადი ხიმშიაშვილები და თვით შერიფ-ბეგიც, როცა ის იყო ოტომანთა პორტას ქვეშევრდომი, რაც დადასტურებულია მის ხელთ არსებული სულთანის ფირმანით... მაქვს პატივი მოვახსენო თქვენს ბრწყინვალებას, რათა მისი იმ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პერატორობითი უმაღლესობის სახელით გენერალ-მაიორი შერიფ-ბეგ ადჟარსკის აღნიშნული შუამდგომლობა კეთილ-განხილვისა და განკარგულებისთვის წარუდგინოთ დიდ თავადს **მიხეილ ნიკოლოზის ძეს**.*

ამასთან ერთად ვალად ვრაცხ თქვენი ყურადღება მივაქციო იმას, რომ თურქეთისგან ახლად შემოერთებულ მხარეში მუდმივი საცხოვრებელი ადგილის უქონლობის გამო, ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი შერიფ-ბეგის თბილისში ორი წლის ცხოვრების, ასევე პეტერბურგში მოგზაურობის, იქ ცხოვრების და უკან კავკასიაში დაბრუნებისთვის გაწეული მნიშვნელოვანი ხარჯების განაღდება. ამიტომ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა დასახელებული გენერლისთვის გაეცათ ერთდროული ფულადი შემწეობა, ფინანსთა მინისტრთან თანხმობის ფარგლებში. ამის საფუძველზე მე დავუკავშირდი გენერალ-ადიუტანტ გრეიგს, შერიფ-ბეგზე 10 000 მანეთის დახმარების გაწევის თაობაზე, რომელიც შეესაბამება იმ თანხის რაოდენობას, რომელსაც ის ადრე ღებულობდა თურქეთის ხელისუფლებისგან. გთხოვთ ირწმუნოთ ჩემი თქვენდამი პატივისცემა და სრული ერთგულება.

გრაფი **ლორის-მელიქოვი**. 13 ივნისი, 1883 წელი, № 3425.“ (ფურ. 40).

მიუხედავად ასეთი კეთილმოსურნე დასკვნებისა, თხოვნა ამჯერადაც დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და შერიფ-ბეგს 1600 დესეტინა მამულებიდან მხოლოდ მეასედი, 16 დესეტინა დაუტოვეს. რუსთა სამსახურზე თავგადაკლული გენერალი კი ისე გარდაიცვალა, რომ თავისი მიწათმფლობელობის დასაბუთებას ვერ მოესწრო.

---

* რომანოვს, რ. ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მოწინავე ქართველი საზოგადოება დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა მაჰმადიან მოსახლეობასთან, განსაკუთრებით თავადაზნაურობასთან ურთიერთობის გაუმჯობესებას. ამის თაობაზე არაერთხელ სერგეი მესხის „დროება“ შეახსენებდა ხელისუფლებას. ერთ-ერთ ნომერში ნათქვამია, რომ აუცილებელია ბათუმისა და ახლციხის თავადაზნაურობაზე წოდებების აღდგენა, გარკვეული უფლებების მინიჭება, რათა ისინი აქტიურად ჩაებან საზოგადოებრივ საქმიანობაშიო („დროება,“ № 86, 1882 წ. 28 აპრილი. გვ. 1-3), აჭარის აღებთან და ბეგებთან დაახლოების მიზანსა და აუცილებლობას გაზეთის მომდევნო ნომრებშიც ვხვდებით, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს **პეტრე უმიკაშვილი** (1885 წ. 30 იანვარი. № 23, გვ. 1-2, 17 მაისი, № 101, გვ. 1-2).

1884 წელს ბათუმის ოლქის კინტრიშის უბნის მცხოვრებლებმა გუგუნავებმა, მანელიშვილებმა, ცივაძეებმა, პაპუნაიშვილებმა, გოგოლიშვილებმა, გოგიტიძეებმა, გიორგაძეებმა, იაშვილებმა,* კომახიძეებმა, ცეცხლაძეებმა, შაქარიშვილებმა, წილოსნებმა, ბერიძეებმა და შარაშიძეებმა თხოვნით მიმართეს რუსეთის მთავრობას, აღედგინა მათთვის აზნაურის პრივილეგიები, ზოგ მათგანს, იაშვილებსა და ცეცხლაძეებს, ამის დამადასტურებელი სიგელებიც ჰქონდათ, ზოგიერთი 1850 წელს დამტკიცებულ სიაშიც შედიოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, მცირე გამონაკლისის გარდა, რუსეთის ხელისუფლებამ ყველას უარი უთხრა (**ქ. ჩხატარაიშვილი.** გურიის სამთავროს შეერთება რუსეთთან. თბილისი. 1985. გვ. 11).

---

* ჩვენ აზრით აქ უნდა იგულისხმებოდეს არა იაშვილი, არამედ ინაიშვილი. რ. ს.

როგორც ცნობილია, 1885 წლის ივნისში ქუთაისის თავადაზნაურობის წინამძღოლად აირჩიეს დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწე **დიმიტრი ყიფიანი**. როგორც ჩანს, ეს მოვლენა გახდა სტიმული იმისა, რომ არაერთხელ გაწბილებულ ბათუმის მაზრის თავადაზნაურობას მისთვის მიემართა, რათა ისინი „ქუთათურის გუბერნიის თავადაზნაურთა სიაში“ ჩაერიცხათ და მათთვის ძველი წოდებები და პრივილეგიები დაებრუნებინათ.

1885 წლის 8 ივლისის მიმართვას ხელს აწერენ ბათუმის ოლქსა და მაზრაში ცნობილი პიროვნებები: **ხუსეინ და იბრაიმ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები, ხუსეინ-ბეგ აზ-აბაღა-ზადე (წულუკიძე), დურსუნ-ბეგ ბიბინ-ზადე (ბიბინეიშვილი), ხასან-აღა და მეშედ-აღა ქიქავები, ესედ-აღა ლონკო-ზადე (ლომყრუიშვილი, მარადიდელი), ოსმან-აღა მუფთი-ოღლი (მუფთიშვილი), ალი-აღა ჯედიოღლი (ჩურუქსუელი), ოსმან-აღა შაშიკ-ზადე (შაშიკაძე, მაჭახლელი), თეარ-აღა ფაღავა, ალი-აღა გვარელოღლი (ნაკაშიძე) და გვარელ-ზადე ხუსეინაღა-ზადე მაჭახელი, იბრეიმ-აღა ელიოღლი (ჯაფარიძე, შარაბიძე-ებიდან), აბდიაღა-ზადე ყედირ-აღა და აბდი-აღა (ვარშალომიძე?), ხასან-აღა თაფალოღლი (ჯოჭოდან) და ხასან-აღა ჩელებ-აღა-ზადე (ჩიჯავაძე)** ბათუმიდან, სულ 19 კაცი („დროება,“ №152, 17 ივლისი, 1885 წ. გვ. 1).

ისინი ღმერთს მადლობას სწირავენ, რომ კვლავ შეაერთა ღვიძლ ძმებთან და აღნიშნავენ, რომ მიეკუთვნებიან ძველ თავადაზნაურთა კეთილშობილ ფენას, დღესაც აქვთ ზნეობრივი კავშირი ქართველ თავადაზნაურობასთან, მაგრამ აუცილებელია ამის ოფიციალური დადასტურება. ამისთვის სურვილს გამოთქვამენ, ისინი ჩაწერონ ქუთაისის გუბერნიის კეთილშობილ წოდებაში, რათა ეზიარონ თავადაზნაურთა დანიშნულებასა და მოვალეობას.

ამ თხოვნას იმავე გაზეთის იმავე გვერდზე მოსდევს სარედაქციო წერილი, რომელიც კიდევ უფრო ამძაფრებს თავადაზნაურთა მოთხოვნას და მკითხველს შეახსენებს დანაპირებს, რომელიც საზოგადოებამ ახლად დაბრუნებულ ძმებს არ შეუსრულა.

ჩემი აზრით, აქ მხედველობაშია ის დანაპირები, რომელიც დიდმა მთავარმა **მიხეილ ნიკოლოზის ძემ** ბათუმის ოლქის თავად-აზნაურობას **გრიგოლ ორბელიანის** პირით შეუთვალა (**ზ. ჭიჭინაძე**. მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თფილისი. 1913, გვ. 312, 313): „ახლა ბათუმელები თვითონ გვაგონებენ თავს, თვითონ გვასინდისებენ, თვითონ მოგვმართავენ ჩვენ და გვეუბნებიან: შეგვიერთეთ, თქვენთან გვამყოფეთ ჭირშიც და ლხინშიცო.“

ამ წერილში საუბარია იმაზეც, რომ **ბათუმის მაზრის თავადაზნაურობა ნათესაურ კავშირშია გურიისა და იმერეთის თანამოგვარეებთან** და საკმარისია ეს ნათესაობა წერილობით დადასტურდეს, რომ მათ თავიანთი წოდებები აღიდგინონო, თუმცა იმავე წერილში ისიცაა ნათქვამი, რომ თუ გვსურს გუბერნიაში ყველგან მოწინავე ადამიანები ერთგვარი უფლებებით აღვჭურვოთ და მამაპაპურ ადგილებზე დავამაგროთ, საჭიროა კეთილი ნება, ერთსულოვნება და საქმისადმი ერთგულება, საჭიროების შემთხვევაში შეკრება, ხმების დათვლა და ამ დიდი საშვილიშვილო საქმის გადაწყვეტაო (იქვე).

ჯერ კიდევ 1878 წლის 20 ნოემბერს, სამუსლიმანო საქართველოს დელეგაციის საპატივცემულოდ გამართულ ბანკეტზე, რომელიც **დიმიტრი ყიფიანის** ინიციატივით გაიმართა, მანვე დასვა საკითხი ახლადგათავისუფლებული ისტორიული საქართველოს თავადაზნაურობის წოდებების აღდგენის და მათთვის იმ პრივილეგიების მინიჭების შესახებ,

რომლითაც საქართველოს სხვა მხარეების თავადაზნაურობა სარგებლობდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ 1878 წელს შექმნილი დროებითი კომისიის წევრი **დიმიტრი ბაქრაძე** მთლიანად იზიარებს ბათუმის ოლქის წარჩინებულ პირთა მოსაზრებას და 1885 წელს დახმარებისთვის წერილით მიმართავს **დიმიტრი ყიფიანს**. ეს წერილი საკმაოდ დიდია, მაგრამ მასში იმდენად კარგადაა ასახული იმდროინდელი ვითარება, რომ იგი მკითხველის ინტერესის საგანიც გახდება.

„თქვენო აღმატებულებავ, **დიმიტრი ივანიჩ**,

ბოდიშს ვითხოვ თქვენ წინაშე, რომ ბათუმის მხარის ბეგებზე ცნობები და ჩემი აზრი მოუცლელობის გამო შეგიგვიანეთ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ვინც კი ბათუმის მხარეში ძველს დრომდე მაღალს წოდებას ეკუთვნოდა, ახლა უპირველესნი მათგანნი მოყვანილნი არიან ცნობაში კომისიისგან, რომელიც 1878 წელს იყო დროებით დაწესებული და რომლის მოთავედ მე თვითონ გახლდი. ამ წოდებას შეადგენენ: 1. ქობულეთში მოსახლენი გურიის თავად **თავდგირიძეთ** განაყოფნი თავდგირიძენივე, რომელნიც ამას წინათ გადასახლდნენ ოსმალეთში. დარჩა მათგანი მხოლოდ ერთი ობოლი ყმაწვილი კაცი; 2. ბათუმის „სანჯაყ-ბეგებად" წოდებულნი **აბაშიძენი**; 3. ლივანის ბეგები **ათაბაგოვები**, ძველის სამცხე-სათაბაგოს მთავარი გვარის შთამომავალნი; 4. ბეგები შავშეთ-იმერხევისა, მაჭახელ-აჭარისა და ზემო აჭარისა. ამათში პირველნი თვლიან თავიანთ თავს **ბაგრატიონებად**, ზოგნიც როგორც მახსოვს, **ერისთავებად**, და უკანასკნელნი **ხიმშიაშვილებად**, რომ ეს გვარნი მაღალ უწყებას შეადგენდნენ ოსმალოს მმართველობის დროს. ამას მოწმობს შემდეგი ფაქტი: უკანასკნელს ოსმალოს რეფარმამდეც (1859

წ.) იგინი განაგებდნენ მემკვიდრეობით მთელს ბათუმის მხარეს, როგორც სანჯაყ-ბეგები, ისე იგი მცირე-მცირე გუბერნატორები, ანუ ჩვენებურად ერისთავები. „პატტი შერიფნის“ შემდეგ მათ ჩამოერთვა ადმინისტრატიული უფლება და ის სოფლები, რომლებიც მათ საკვებად ჰქონდა ძველადვე და ნაცვლად მიენიჭათ პორტის მმართველობისგან საშვილიშვილოდ ფულის პენსიები. ეს პენსიები თვით რუსის მმართველობამ კანონიერად აღიარა და ამის გამო ახლა ჩვენის ხაზინიდამ თვითეულს მათგანს ეძლევა ხვედრი პენსია.

გარდა ხსენებულ გვართა, არიან კიდევაც სხვა გვარნი, რომლებთაც პენსია არ ეძლევათ, მაგრამ მის აღმატებულებას დიმიტრი ყიფიანს მათ თავად-აზნაურობის მიმდინარეობაზე ეჭვი არ აქვს. იმათ, როგორც წინად ხსენებულის კატეგორიის გვარებს, აქვთ ხელში თავის ღირსების დასამტკიცებლად საბუთები, ანუ სულთანთა ფირმანები.

მოგახსენებთ, რომ **კნ. ვარანცოვის** თუ **ბარიატინსკის** დროდამ სამოქალაქო უწყებაში დაწესდა რამდენიმე კომისია კავკასიის – იქეთ მუსულმანთ ტომ ნათესავებში ბეგებ-აღების ცნობაში მოსაყვანად, იმათ შორის თვით ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, სადაც ეს წოდება შეკავშირებული იყო ბათუმის მხარის მაღალ წოდებასთან. ხსენებული კომისიები ხელმძღვანელობდნენ საკუთრივ ამ აზრით შედგენილის ინსტრუქციით. ეს ინსტრუქცია სახელმძღვანელოდ მიეცა თვით იმ კომისიებს, რომელნიც შემდეგ დაარსდნენ სამხედრო უწყებაში: აფხაზეთში, ზაქათალის მაზრაში და დაღესტანში და 1883 წელს დაიხშნენ და მათ ნაცვლად დაფუძნდა თბილისში ერთად-ერთი „Комиссия окончания сословно-поземельнаго вопроса в частиях Кавказскаго края военно-народнаго управления“; რაც რომ მოვალეობა გაუქმებულ კომისიებს ჰქონდა, ახლა ამ ახლად დაწესებულის კომისიის მოვალეობად შეიქმნა. ეს კია, რომ ჯერეთ ჩვენს

სამხედრო უწყებაში მართებულობის მხრივ მიღებული არ აქვს, უნდა თუ არა მაღალი უწყება აღიარებულ იქმნას ბათუმისა და ყარსის მხარეებში. თუ რომ ამ აზრს მართებულობა შეიწყნარებს, მაშინ იმ ადგილებში მოყვანა ცნობად მაღალის წოდების ჩვენის კომისიის მოვალეობა იქნება და ამ კომისიას მიეცემა სახელმძღვანელოდ. რასაკვირველია თითქმის იგივე ინსტრუქცია, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ გაუქმებული კომისიები. მაგრამ მგონია, რომ ეს მოვალეობა სამოქალაქო უწყებაზეც გადავიდეს, რადგანაც ამ კომისიის გაუქმების ანუ სამთავრო-მმართველ კანცელარიასთან შეერთების პროექტი უკვე წარდგენილია პეტერბურგში და მომავალს იანვრამდე სამხედრო კომისია გაუქმდება.

თუ რომ თქვენ, ბატონო დიმიტრი ივანიჩ, ბათუმის მხარის მაღალ უწყებაზე აზრი გაქვთ აღძრათ მართებლობის წინაშეც, მაშინ, ჩემის აზრით, სხვათა ისტორიულ საბუთთა შორის ზემოდ მოყვანილი ცნობებიც მხედველობაში უნდა იქონიოთ. ეს თქვენგან აღძრული საგანი, თუ მანამდე ჩვენი კომისია გაუქმებული არ იქნება, გადმოეცემა მთავარმართველს და რა საკვირველია მოეთხოვება თავისი აზრი და მთვარ-მართველსაც ამაზე კომისიის მხრივ მოხსენდება სრული ცნობა.

ეს გახლავთ ჯერ-ჯერობით მოკლე ცნობა თქვენგან პირადად ჩემთან აღძრულ საგანზე და მიმართავთ პირდაპირ უმაღლეს მართველობას, თუ კავკასიის მთავარ-მმართველს, ეს ჩემის აზრით, სულ ერთი გახლდებათ.

დავშთები თქვენს აღმატებულების

მარად პატივმცემელი

**დიმ. ბაქრაძე**

11 ნოემბერი, 1885. ქ. თბილისი“

(ქუთაისის სახ. ცენტრ. ისტორიული არქივი. ფ. 1, ს. 3119).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრი ყიფიანის ხელში შესაძლოა ეს საქმე მართლაც კეთილად დაგვირგვინებულიყო,მაგრამ ეს დიდი მამულიშვილი რამდენიმე თვის შემდეგ დააპატიმრეს და სტავროპოლში მოკლეს (1887 წლის 24 ოქტომბერი).

ამგვარად, მხარის გათავისუფლებიდან 6-7 წლის შემდეგ მომწიფდა აზრი – საზოგადოების ყველა ფენა უფლებრივად და ღირსებით გათანაბრებოდა საქართველოს სხვა მხარეების მცხოვრებლებს, მაგრამ არსებული ბიუროკრატიული და იმპერიული რეჟიმის წყალობით, ამ საქმეს აღსრულება კარგა ხანს არ ეწერა.

ამაზე მეტყველებს ზაქარია ჭიჭინაძის ერთი ცნობა, რომელიც 1888 წელს უნდა მიეკუთვნებოდეს. ამ ცნობით დასტურდება,რომ ბათუმის ოლქის თავადაზნაურობას, **გრიგოლ გურიელისა** და **ლევან მელიქიშვილის** დახმარებით, მხარის გათავისუფლებისთანავე, 1878 წელს მიუმართავს რუსეთის ხელისუფლებისთვის, აღედგინა მათი წოდებები, მაგრამ ეს თხოვნა ათი წლის განმავლობაში დაუკმაყოფილებელი დარჩენილა. მოვუსმინოთ თვით ზაქარია ჭიჭინაძეს:

### „ქართველ მაჰმადიანთ ბეგიების და აღიების თხოვნა მათი წოდებების აღდგენის გამო

ის იყო 1878 წ. ომი გათავდა, ქართველ მაჰმადიანთ შორის ეს საქმე ბევრს ესიამოვნა, ნამეტურ მათ, ვისაც აქ დარჩენა სურდა და ცხოვრება. ასეთ პირებში ზოგნი ბეგებიც ერივნენ, რომელთა შთამომავლობაც ძველად ქართველთ თავადის შვილების ოჯახებს ეკუთვნოდნენ. ამათ გაახსენდათ თავიანთი ძველი წარსული. მამაპაპათ წოდება: თავადობა და აზნაურობა. ამის გამო ლაპარაკიც მომართეს და თხოვნა უმაღლეს მთავრობასთან, რომ ჩვენ ძველად ქართველთ მეფეთა დროს, თავადნი და აზნაურნი ვიყავით. მერე ეს ღირსება ოსმალეთმა ჩამოგვართვა, მის მაგიერ ბეგობა მოგვეცაო. ეხლა რაკი ჩვენს მონათესავე ქართველებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუერთდით, ამიტომ გვსურს, რომ ჩვენ აღდგენილ გვექმნეს ჩვენი თავადაზნაურობაო.

ქართველ მაჰმადიანთ ბეგიების და აღიების შესახებ მოვიყვანთ შემდეგს: ქართველ თავადაზნაურები ამ წოდებას ჰკარგავდნენ მაშინ, როცა იგინი ისლამს უკავშირდებოდნენ. ასე რომ ზოგმა თავადაზნაურმა ადრე დაკარგა თავისი წოდება, ზოგმა გვიან. ასეც იყო, რომ თავადი და აზნაური ოსმალოს ქვეშევრდომათ იყო, მაგრამ იგი ქრისტიანობის მეოხებით თავადად და აზნაურად ირიცხებოდა. თუმცა ოსმალეთის მთავრობა მის თავადაზნაურობას არად სთვლიდა. ამ წოდებას მთავრობა მხოლოდ მაშინ იცნავდა, როცა იგინი ისლამს დაუკავშირდებოდნენ. მაშინ ამის მაგიერ ისინი მიიღებდნენ ბეგობას, ალაი ბეგობას, სანჯაყ-ბეგობას და სხვანი. უისლამოდ კი ეს შეუძლებელი იყო, ამიტომ ზოგს თავადაზნაურთ ადრე დაუკარგეს თვისი წოდება, ზოგს გვიან, უმთავრესად კი ოსმალოს მთავრობისგან ამ წოდების გაუქმების ხანა უნდა მიეწეროს 1789 წლებს. ამ დროს მათ გამოაცხადეს სამუდამოდ, რომ თავადაზნაურების წოდების ტარება აღიკრძალაო. ამ დროს, აქაურ თავადაზნაურებს ყველა საგვარეულო ცნობებიც ჩამოართვეს და მის მაგიერ ოსმალური მოწმობანი მისცეს ანუ თაფები.

ესეთი მოწმობანი მათ მიტომ მისცეს, რადგანაც ამ დღიდამ, როცა ქართველ მაჰმადიანთ თავადაზნაურნი ჰკარგავდნენ თავიანთ წოდებას, იმ დღიდამ მათ ხელიდამ ეცლებოდათ თვისი საკუთარ მამულებიც. ძველ დროს, ქართველ მეფეთაგან ბოძებული სიგელ-გუჯრები საკუთრების შესახებ და ამ დღიდამ ეს მამულებიც შერიცხულ ხდებოდა ოსმალოს მთავრობის საკუთრებად, ხოლო მასზედ მცხოვრებ ბეგებს მფლობელად, ანუ მოიჯარადრე გამგეთ, იმ უპირატესობით კი, რომ ამის ფლობის ძალა მათს ხელში უნდა ყოფილიყოს ყოველთვის და მემკვიდრეობიდამ მემკვიდრეედ უნდა გადასულიყოს. აწინდელ ქართველ მაჰმადიანთ ბეგებმა ეს საგვა-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

რეულო საქმე და ადგილმდებარეობის უფლება უკანონოდ იცნეს და ამიტომ ხმა აღიმაღლეს, რომ ჩვენ ჩვენი უფლება და წოდება დაგვიბრუნდეს ისევე, როგორც ეს ჩვენ ძველად გვქონია ქართველთ მეფეთაგან ბოძებულიო.

ამის შესახებ პირველათ ხმა დასძრეს 1878 წლის გასულს და მის მერე მთავრობასაც მიმართეს შეერთებულის თხოვნით, რომელ თხოვნას დიდათ მფარველობდა თავადი **გრიგოლ გურიელი** და იმ დროის მთავარმართებლის თანაშემწე თავადი **ლევან მელიქიშვილი**, რომელიც ქართველ მაჰმადიანთ საქმეებს დიდის გულის მტკივნეულობით უმზერდა, თვით ამ პირის თანხმობით შეაგულიანა გრიგოლ გურიელმა ქართველ მაჰმადიანთ ბეგიები თავადაზნაურობის თხოვნაზედ.

დღეს ამათი საქმე სახელმწიფოს სამინისტროს სათათბიროშია გადაცემული და იქ განიხილავენ და განჩინებას მისცემენ ამათ დავალებას. ცხადი საქმეა, რომ აქ უმთავრესად ისტორიულ გამოკვლევას უნდა მიექცეს ყურადღება" (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913. გვ. 320-322).

* * *

**ილია ჭავჭავაძემ** ახლადგათავისუფლებულ მხარეებში მიწის ნაკვეთებზე საკუთრების დროულად გარკვევას და კანონიერ მფლობელებზე მათს გადაცემას თავის გაზეთში საგანგებო წერილები მიუძღვნა („ივერია," №55, 56, 1889 წ.).

ბათუმის ოლქის თავადაზნაურთა სურვილი, აღედგინათ ძველი ღირსებები, ზაქარია ჭიჭინაძესთან პირადი საუბრის დროს, 1889 წელსაც მკაფიოდ გამოუხატავს ზენდიდელ **სულეიმან ბეჟანიძეს**: „ერთადერთი საფიქრალი და სადარდელი ახლა ამ პირებისა ის გამხდარა, რომ თავიანთ წოდების შესახებ რამე გააწყონ, ამ ღირსებით დაშთენა დღეს ჩვენ



**ბათუმის ოლქის ოსმალთაგან გათავისუფლების 30 წლისთავი. 1908 წ.**

პირველ რიგში მარცხნიდან: 1. შერვაშიძე შაქირ-აღა; 2. კომახიძე ესედ-აღა; 3. ცივაძე ესედ-ეფენდი; 4. ქიქავა ხასან-აღა; 5. ბიბინეიშვილი ჰადირ-ბეგი;

მეორე რიგში: 1. ლორთქიფანიძე ყადირ-ეფენდი; 2. შერვაშიძე თუფან-ბეგი; 5. ფონ-პარკაუ (გუბერნატორი); 6. ბორის რომანოვსკი-რომანკო; 7. არჩილ მუატი; 8. ხიმშიაშვილი ჯემალ-ბეგ;

მესამე რიგში: 1. ზვანბაია ხაჯირათ-ბეგ 5. ხარაზი ყემბერ-აღა; 12. ხალვაში ისაკ-ეფენდი;

მეოთხე რიგში: 1. ხიმშიაშვილი თემურ-ბეგ; 3. ხიმშიაშვილი ყაია-ბეგ; 5. ლორთქიფანიძე ისმაილ ეფენდი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

აღარ გამოგვადგებაო, ჩვენ უნდა ვეძიოთ ის გვარიშვილობა, რაც ჩვენი მეფეების დროს გვქონდაო, დღეს კი ჩვენ არაფერი ღირსება გვაქვს, ჩვენი ძველი წერილები და საბუთები სტამბოლშია წაღებული, ჩვენ არ ვიცით ესენი სად ინახება, ახლა გვინდა თავადაზნაურობის შესახებ დავა დავიწყოთ და არ ვიცით, როგორ მოვახერხოთ, იმედია, რომ ამ საქმეში საქართველოს თავადაზნაურებიც დაგვეხმარება და იმეცადინებენ, რომ ჩვენც მოგვენიჭოს უფლება და იმათთან შევერთდეთ სამუდამოთ“ (**ზ. ჭიჭინაძე**. ქართველი მაჰმადიანები. კინტრიშის ხეობაზე. ტფილისი. 1891. გვ, 38, 39).

როგორც ირკვევა, თავადაზნაურობის მსგავსი თხოვნები მესხეთ-ჯავახეთში 1915 წელსაც არ ყოფილა გადაწყვეტილი. ამის შესახებ იგივე ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „მთელ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ მაჰმადიან ბეგებს და აღებს სახელმწიფო სათათბიროში თხოვნა აქვთ მიცემული, რომ მათში ძველ ქართველ თავადაზნაურებს, რომელთაც ჟამთა ვითარების წყალობით ეს წოდება დაუკარგავთ, დღეს მათ სხვა და სხვა ისტორიულის გამოძიებით მთავრობამ აღუდგინოსთ მათ ძველი წოდებრივი უფლებანი და თუ მათთვის ცალკე არა, მაშინ იგინი მიწერილ იქმნენ ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა საკრებულოზე, ან იმერეთის საკრებულოზე. ეს კითხვები შარშან (1915 წ.) ნოემბერში უნდა გაერჩიათ, მაგრამ დღემდე არ გაურჩევიათ, რადგანაც ცნობები არ ჰქონიათ საკმაოდ შეკრებილი“ (ქართველ მაჰმადიანთ ცხოვრება. აკინძული **ზ. ჭიჭინაძისაგან**. ტფილისი. 1916. გვ. 68, 69).

ბათუმის ოლქის ქართველი თავადაზნაურობა უძრავ ქონებას ფლობდა ქალაქ ბათუმშიც. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ: თავადები აბაშიძეები, ათაბაგები, ბეჟანიძეები, გვარიშვილები, თავდგირიძეები, ლორთქიფანიძეები, სურმანიძეები, შერვაშიძეები, ხიმშიაშვილები; აგრეთვე: ბაკურიძეები, დიასამიძეები, ვარშანიძეები, ვარშალომიძეები,

კონცელიძეები, მჟავანაძეები, ქათამაძეები, ცინცქილაძეები, შაშიკაშვილები, ჭიჭინაძეები, ხალვაშები, ხარაზები, ჯაფარიძეები და სხვ. სახლებს, სასტუმროებს, მაღაზიებს, სამრეწველო საამქროებს და საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობებს ბათუმში მრავალი არაქართველი, უცხო ქვეყნის მოქალაქეც ფლობდა. მათ შორის იყვნენ რუსები, სომხები, თურქები, აზერბაიჯანელები, აგრეთვე რამდენიმე ევროპული ქვეყნის ქვეშევრდომი.

ქართველთა უძრავ-მოძრავი ქონების შესყიდვით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ემიგრირებული სომხები. ისინი ჩალის ფასად იძენდნენ ძვირფას სახლებს და მიწებს.

გაუგონარი დაბალი ტარიფებით მიწებისა და სახლკარის უცხო ერებზე გასხვისებას ყურადღება მიაქცია რუსმა მოღვაწემ **ი. კ. კანადპევმა**. 1902 წელს სანქტ-პეტერბურგში გამოცემულ წიგნში ის აღნიშნავდა, რომ 7-8 ათას მანეთად ღირებულ სახლებს ქართველები რაღაც 200-300 მანეთად უთმობდნენ სომხებს (Очерки За кавказской жизни. Баку. 1990. с. 66). ავტორი შემდეგ განაგრძობს, რომ მათ განსაკუთრებით ბევრი და ძვირადღირებული მიწები ჩაიგდეს ხელში ბათუმშიო, რასაც შედეგად ამ ქალაქში სომხური ელემენტის კოლოსალური მატება მოჰყვა (იქვე, გვ. 5). ამაზე მეტყველებს 1922 წლის აღწერის მონაცემებიც. მაშინ თურმე ქალაქში 14 969 სომეხი ცხოვრობდა, რომელთა 68 %, ანუ 10 288 ბათუმში არ იყო დაბადებული. დაახლოებით იგივე მდგომარეობა დადგინდა სოხუმშიც (59,3%). ეს პროცესი შემდეგაც გაგრძელდა. ერთი საუკუნის განმავლობაში (1886-1989) აფხაზეთში სომხური ეთნოსის რიცხვმა 70,2-ჯერ მოიმატა და 76 541 სული შეადგინა (იხ. **ანზორ თოთაძის** წერილი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა," №184, 5 აგვისტო, 2005 წ. გვ. 7).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცარიზმი დათმობაზე მიდის

900-იანი წლების რევოლუციურმა მოძრაობამ რუსეთის ადმინისტრაცია საგონებელში ჩააგდო. 1902 წლიდან მოყოლებული, ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანდა არა მარტო მოსახლეობის დაბალი ფენა, მუშათა კლასი და პროლეტარიატი (როგორც მაშინ ეძახდნენ), არამედ წარჩინებული გვარების წარმომადგენლები და გლეხები, რომლებიც ძველი პრივილეგიების ჩამორთმევის გამო აშკარად გამოხატავდნენ თავის უკმაყოფილებას არსებული წყობილების წინააღმდეგ. მათ შორის ისედაც ბევრი იყო ჭეშმარიტი პატრიოტი, რომლებსაც ამოძრავებდათ არა მხოლოდ ფეოდალური პრესტიჟის აღდგენა; ისინი ილიას და მისი თანამებრძოლების პოზიციებზე დადგნენ ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხელისუფლება არჩევანის წინაშე აღმოჩნდა: ან თავადაზნაურობას უერთგულებდა და ისიც დარჩებოდა მის გვერდით, ან დაკარგავდა საზოგადოებაში სერიოზულ დასაყრდენს. მეფის მოხელეებმა პირველი გზა აირჩიეს და გაიხსენეს ბათუმის ოლქში 30 წლის წინ დაწყებული და ჯერ კიდევ გადაუწყვეტელი თავადაზნაურთა თხოვნა – აღედგინათ მათი წოდებები და პრივილეგიები. უფრო მეტიც, ამ ბუნდოვანობის გარკვევა ნაწილობრივ დაავალეს თვით წოდების მაძიებელ ქართველებს, რომლებსაც რუსეთის ხელისუფლება სხვადასხვა სახელმწიფო საქმეებს ანდობდა. (**თუფან-ბეგ შერვაშიძე, ნური-ეფენდი ბერიძე, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი** და სხვ.).

1900 წელს საადგილმამულო გადასახადების გადამხდელთაგან ხელისუფლებამ თავადაზნაურთა წარმომადგენლებად ბათუმის ოლქში მიიწვია საკრებულოს შტატგარეშე მოსამსახურე **ი. ი. ვორონკოვი**, ხოლო ართვინის ოლქის

საკრებულოში **ნური-ბეგ ხიმშიაშვილი** (გაზ. „ივერია," № 171, 8 აგვისტო, 1900 წ. გვ. 1).

აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ზემოთ-დასახელებულ ფონდში დაცული საბუთებით დადგინდა, რომ ამ მიზნით 1911 წელს ბათუმის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიასთან შეიქმნა „წოდებრივი კუთვნილების შემსწავლელი და მიმნიჭებელი კომისია," რომელსაც თავმჯდომარეობდა გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი პოლკოვნიკი **ა. დ. პოდგურსკი**; კომისიაში შედიოდნენ: კანცელარიის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი **ა. რ. მუატი,** ბათუმის ოლქის უფროსი, პოლკოვნიკი **ნ. გ. სატოვი**, ართვინის ოკრუგის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, პოდპოლკოვნიკი **მ. ს. პანინი** და ართვინის ოლქის უფროსის თანაშემწე, პოდპოლკოვნიკი **ნ. ვ. ვოიჩეკი**, რომელიც, კომისიის წევრობის გარდა, ასრულებდა საქმისმწარმოებლის მოვალეობას. როგორც ვხედავთ, კომისიაში არ შედის არც ერთი ადგილობრივი მკვიდრი (მოხელეც კი), არ გვხვდება არც ერთი ქართული გვარი.

კომისიის სახელზე განცხადებებს, წესისამებრ, მამაკაცები, როგორც ცალკე პიროვნებები, ასევე მათი ჯგუფებიც წერდნენ. ჯგუფურ განცხადებაში ზოგჯერ მითითებულია მათი ნათესაური ურთიერთდამოკიდებულება (მამა, დედა, შვილი, ძმა, ბიძაშვილი და ა. შ.), თუმცა ხშირ შემთხვევაში თანამოგვარეთა ნათესაური ურთიერთობა გაუგებარია, რადგანაც საბუთები რუსულადაა შევსებული, რუსულში კი ნათესაობის აღმნიშვნელი ტერმინოლოგია ძალზე ღარიბია. ასე, მაგალითად, ყოფილ ბათუმის ოლქში (დორჯომის, ჭვანის, სხალთის, მერისის, კინტრიშის ხეობებში) ამ ტერმინთა რაოდენობა 18-22-ს აღწევს. რუსულში კი მათი რიცხვი 12-13-ს არ აღემატება (ნუგზარ მგელაძე. აჭარული ნოგრო და გვარი. ბათუმი. 2004. გვ. 44-49). რუსულში ბიცო-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლას, დეიდას და მამიდას შესატყვისი მხოლოდ ერთი ტერმინი „ტიოტია“ აქვს. ასევე „დვოეროდნი ბრატ“ ან „სესტრა“ რამდენიმე ქართულ ტერმინს – დეიდაშვილს, მამიდაშვილს, ბიძაშვილს (ემიაშვილს, ტაიაშვილს) აერთიანებს.

აღნიშნულის გამო საოჯახო სიებში, რომლებიც მთლიანად რუსულადაა შედგენილი, ხშირ შემთხვევაში ვერ დავადგინეთ განმცხადებლების ოჯახის უფროსთან ნათესაური ურთიერთობა.

ზოგიერთი საგვარეულოს არქივებში ვნახეთ საოჯახო სიებიც, ასაკის და ნათესაური კავშირის მითითებით. მიგვაჩნია, რომ გვარების გენეალოგიის დასადგენად ეს დოკუმენტები მკვლევარებს კარგ სამსახურს გაუწევენ, ამიტომ ყველა ცნობა უცვლელად მოვიტანეთ (ათაბაგები, ხიმშიაშვილები, შერვაშიძეები, სურმანიძეები, თავდგირიძეები, წულუკიძეები და სხვ.).

წოდებრივი კომისია მუშაობდა მკაცრად განსაზღვრული წესით. წოდების მაძიებელს განცხადება უნდა დაეწერა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის სახელზე, რომელშიც უნდა დაესახელებინა, თუ რა წოდება (თავადი, აზნაური) ჰქონდა ქართული სახელმწიფოს არსებობის დროს და ოსმალთა წყობილების (ბეგი, აღა) პერიოდში, ყველა მოტივი განმცხადებელს უნდა გაემაგრებინა არგუმენტებით, მიეთითებინა მოწმეების გვარები და, რაც მთავარია, წარმოედგინა წოდებისა და პრივილეგიების დამადასტურებელი საბუთები.

როგორც აღვნიშნეთ, თავადაზნაურული წოდების აღდგენის ძირითადი მიზანი იყო ძველი პრივილეგიების აღდგენა და მორალური რეაბილიტაცია, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა საკუთრების დადასტურებას, რაც თავისთავად წოდების აღდგენის გარეშე შეუძლებელი იყო. ალბათ ამიტომაა, რომ ზოგი განმცხადებელი თხოვნაში

ელექტრონული ბიბლიოთეკა
ბსუ

მიუთითებს არა თავის ფუძე-ადგილს, არამედ იმ სოფელს, სადაც მას თავისი კუთვნილი მამული (ზოგჯერ სადავო) ეგულება.

მოწმეებად უპირატესად წოდების ან ჯილდოების მქონე და რუსეთის ხელისუფლების მიერ აღიარებული პირები სახელდებოდნენ. თითოეული მაძიებლის განცხადების განხილვისას მოწმეთა რაოდენობა 10-15-ს შორის მერყეობდა. ასე, მაგალითად, **ძენწმანელ სურმანიძეებს** დასახელებული ჰყავთ 14 მოწმე, რომელთა შორის არიან დურსუნ-აღა ბეჟანიძე (ზენდიდი), ხულუს-აღა აბდი-აღა ზადე (გულები), შაქირ-აღა თორნიოღლი (ცხემნა), სეფერ-აღა ხახუჩოღლი-შერვაშიძე (საღორეთი), ისმაილ-აღა ჭალოღლი (საღორეთი), ლომან-ბაირახტარი-თებიძე (საღორეთი), ხუსეინ-აღა ხახუჩოღლი (ხოხნა), ხასან-აღა-ზადე (ძენწმანი), შამილ-აღა მიქელაძე (ძენწმანი), შაქირ-ჩაუშ ლომან-აღა-ზადე (ორცვა), ხასან ბაირახტარ-მოლა-ოღლი (შავაბური), ასლან-აღა ჩხეიძე (აქუცა), ახმედ-ეფენდი დემურჩოღლი-ბერიძე (ზესოფელი).

ვფიქრობთ, უინტერესო არ იქნება დავასახელოთ სხვა მოწმეების გვარებიც ქალაქ ბათუმიდან და ბათუმის ოლქის სხვა სოფლებიდან.

**<u>მოწმეები ბათუმიდან</u>**: ფეზლი-ბეგ სანჯაყ-ბეგ-ზადე აბაშიძე, ალი-ბეგ სანჯაყ-ბეგ-ზადე აბაშიძე, ხუსეინ-აღა მოლა-მელიქ-ზადე აბაშიძე, მახმუდ-აღა ალი-ბეგ-ზადე ქიქავა, იუსუფ-აღა მოლა-მელიქ-ზადე აბაშიძე, იუსუფ-აღა მახმუდ-აღა-ზადე, რეჯებ-ეფენდი შაშიკაშვილი, მურად-ბეგ საიდ-ბეგ-ოღლი, ხასან-ეფენდი ასლან-ზადე, ხუსეინ შერიფ-აღა ოღლი ჭიჭინაძე, რემზი-ეფენდი ეუბ-აღა-ზადე ჭიჭინაძე, იუსუფ-აღა კონცელიძე, ხუსეინ-აღა ყამბარ-ოღლი.

**<u>მოწმეები ქვემო აჭარიდან: დანდალო</u>**: ხასან-აღა ზაქარაძე, მემედ-აღა არძენაძე, სულეიმან შირინოღლი, მუხამედ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ნეევენოღლი (არძენაძე), ლომან ყირიმლი-ოღლი (დიასამიძე), ომერ მეძიბნოღლი (ანანიძე), მევლუდ ხაჯი-ეფენდი-ოღლი (ხაჯიშვილი), ბაშაღ ყასუმ-ოღლი (მგელაძე), მუსტაფ-ყასუმოღლი, ეუბ ოდაბაშოღლი.

**ახო**: უსტა-დურსუნ მუთიოღლი (ბოლქვაძე), შერიფ ალიშანოღლი, ახმედ ისპიროღლი (ბოლქვაძე), ისმაილ ალიბაირახტაროღლი (დიასამიძე), მემედ-აღა ეფენდოღლი (დიასამიძე), ხუსეინ მოლა-ისმაილოღლი, ხასან-ჩაუშ ქოროღლი (ბერიძე).

**გონიოს უბნის სოფელ ქვემო მარადიდის მოწმეები:** ენიზ-ბეგ ჯინალიაღაზადე (მიქელაძე), სეიდ მოლოშიძე, **რეშიდ აზნაურიძე**, **ხუსეინ აზნაურიძე**.*

მოწმეები კინტრიშის უბნიდან: ყოროლისთავი: ხასან გურგენიძე, ემინ ყავეჯიოღლი, ხასან ღელეყვა, სულეიმან გურგენიძე, ალი ყავეჯიოღლი, ხასან ფაყვაძე, შერიფ ინანოღლი, ახმედ ლაგვარიძე, ახმედ ცენტერაძე, იუსუფ იაზიჯოღლი, ალი ალკინოღლი, ალი ინანოღლი.

**ჭახათი**: ხუშუტ-აღა ცეცხლაძე, იუსუფ ბაჟუნოღლი (ბაჟუნაიშვილი), დურსუნ ელიაძე, იუსუფ ცეცხლაძე, ასლან ნოღაიდელი, ალი ნოღაიდელი, ყემბერ ელიაძე, ალი ქათამაძე, იუსუფ ხახუტოღლი (ხახუტაიშვილი), მოლა-რეჯებ

---

* აჭარაში ამ გვარის არსებობაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც ჩანს,ისინი ყოფილი აზნაურის შთამომავლები არიან. წოდებამ გვარში ჰპოვა თავისი ფუძე. აზნაუროღლი-აზნაურიშვილები გვხვდებიან სოფელ ნამლისევშიც (ქედის რ.). საყურადღებოა, რომ თურქეთში ქართული წოდებრიობის ფუძის მქონე სხვა გვარიცაა დაფიქსირებული. ასე, მაგალითად, ჟურნალ „ჩვენებური“-ს ერთ-ერთი რესპოდენტი (წარმოშობით გურამიშვილი, რ. ს.) ქამილ ოლგუნი თავისთავს თავადიძე-ს უწოდებს (№2. 2005 წ. გვ. 18), რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული გვარის დაკარგვის შემდეგაც ოსმალეთში მცხოვრები ქართველობა თავის წოდებრიობას ადვილად არ შეელია და შეეცადა მისი შენახვა გვარის მეშვეობით. შემდეგ გვარიც შეიცვალა, მაგრამ ძველი ქართული ღირსებების გამომხატველი ფუძე – თავადი მაინც არ დაკარგა.

გეგიძე, მოლა ხუსეინ სურემელ-ოღლი, ხუშუტ ბაჟუნოღლი (ბაჟუნაიშვილი).

**ხუცუბანი**: რეშიდ-ეფენდი ბაჯელიძე, ხასან-აღა ნაკაიძე, ახმედ-ჩაუშ მოწყობილი, ალი-აღა შაქარიშვილი, ხუშუტ-აღა ჯინჭარაძე, ხასან-აღა თხილაიშვილი, სულეიმან მოწყობილი, მემედ ბეჟი-ოღლი, რეჯებ გოგმაჩაძე, დილავერ მესხიძე, ოსმან-აღა მაჭახლელი, რამიზ-აღა მანელიშვილი.

**ქობულეთი**: ოსმან-აღა დოხჩიროღლი, ალი-აღა მეგრელიძე, ახმედ-აღა გუგუნავა, ალი-აღა პაპიოღლი, ხუსეინ-აღა ინაიშვილი, შაქირ-აღა ჭყონია, ოსმან-აღა ართმელაძე, ალი-აღა ჯაში, შერიფ-ეფენდი დადიანი, ხუსეინ-აღა ჯაში, ასლან მოწყობილი.

**კინტრიში**: ხუსეინ-ეფენდი ხარაზი, არიფ-აღა მოწყობილი, ფერათ-აღა მანელიშვილი, რამიზ-აღა მანელიშვილი, ახმედ-აღა მჟავანაძე, მემედ-აღა ყურშუმ-აღა-ზადე ჭყონია, რეშიტ-ეფენდი ბაჯელიძე, ახმედ-აღა გუგუნავა, ხუსეინ-აღა გოგიტიძე, ყემბერ-აღა ხარაზი, გულვაღა კაიკაციშვილი, ხუშუტ-აღა თამაზაშვილი, ხასან ხინიკაძე, ახმედ ბეჟანიძე, ნური ეფენდი ჩიჯავაძე, მამუდ-აღა მჟავანაძე, ხურშუტ-აღა ლაზიშვილი, სულეიმან-აღა ლაზიშვილი, ესედ-აღა კომახიძე, ალი-აღა მეგრელიძე.

მოწმეებს ურიგებდნენ არაბულ და რუსულ ენაზე დაბეჭდილ ფიცის ფურცლებს; **თვით ფიცში ნათქვამია:** „აღთქმას ვდებ და ვიფიცებ ყოვლისშემძლე ღმერთს, რომ არ შემაცდენს არც მეგობრობა, არც ნათესაობა, არც გამორჩენისა და სხვა რაიმეს მოლოდინი და მე ჩემი სინდისით ამ საქმეში დავამტკიცებ ყოველივე სიმართლეს, რაც ჩემთვის ცნობილია, მოვიხსენიებ მხოლოდ იმას, რისი პასუხიც შემეძლება კანონის, აგრეთვე ღმერთის უმკაცრესი სამსჯავროს წინაშე. ჩემი ამ ფიცის დასადასტურებლად ვემთხვევი ყურანს. ამინ!“.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მოწმეები საბუთს ხელს აწერდნენ ისე, ვის როგორ შეეძლო: ქართულად, ოსმალურად, რუსულად და საბუთზე სვამდნენ პირად ბეჭდებს. ფიცის მიღებას ყოველთვის ესწრებოდა კომისიის საქმის მწარმოებელი პოდპოლკოვნიკი **ნ. ვ. ვოიჩეკი**.

აღსანიშნავია, რომ მოწმეები თავიანთ ჩვენებებში ზოგჯერ პრინციპული ხასიათის შეცდომებს უშვებდნენ, რაც უარყოფითი დასკვნის საბაბი ხდებოდა. ასე, მაგალითად, ტიტულის მაძიებლებზე, ხუცუბნელ მესხიძეზე, ქობულეთელ ბეჟანიძეზე, ჭახათელ თხილაიშვილზე, ხალელ ხალვაშზე ამბობდნენ, რომ ისინი, ან მათი წინაპრები აქტიურად იბრძოდნენ ყირიმის, ან რუსეთ-თურქეთის სხვა ომების დროს ოსმალეთის მხარეზეო; წოდებრივი კომისია, რომელიც მთლიანად რუსი ჩინოვნიკებისგან შედგებოდა, ამაზე თავის უარყოფით დამოკიდებულებას აშკარად არ გამოხატავდა, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ დახურულ კარს მიღმა განხილვის დროს, სულ ცოტა, წოდების აღდგენაზე უარს ამბობდნენ, შემდეგ ამ პირებზე ალბათ ოხრანკა თვალთვალსაც დააწესებდა.

სასურველი შედეგის მიღწევის მიზნით წოდების მაძიებლები და მოწმეები მოტივად დიდგვაროვან ოჯახებთან მოყვრობასაც ასახელებდნენ. ამას დადებითი შედეგი მოსდევდა იმ შემთხვევაში, თუ თავადაც წარჩინებულ გვარს მიეკუთვნებოდნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კომისია ამ მოტივით წოდების მინიჭებაზე თავს იკავებდა.

თავის მხრივ, მოწმეებს უნდა დაესახელებინათ, მაძიებელ პირს როდის და ვისგან ჰქონდა მინიჭებული ეს პრივილეგიები და რაში გამოიხატებოდა(მემკვიდრეობა, ომში მონაწილეობა, ჯილდოები, მიწათმფლობელობა, გლეხების მიერ მათზე გადასახადების გადახდა და ა. შ.). იმის მიუხედავად, რომ ზოგჯერ მოწმეები ამას ვერაფრით ვერ ასაბუთებდნენ,

წოდების მაძიებლის ყველა განცხადებას იხილავდა სპეციალურად შექმნილი სამოქალაქო რწმუნებულთა კრება, რომელიც აერთიანებდა მთელს ოლქში მცხოვრებ ყველაზე უფრო პოპულარულ და ცნობილ პიროვნებებს, სამხედრო და სამოქალაქო ჩინოვნიკებს, სასულიერო პირებსა და სასამართლოს მესვეურებს.



**თემურ-ფაშა შერიფის ძე ხიმშიაშვილი**
**(1867–1921)**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჩვენი გათვლით, სამოქალაქო რწმუნებულთა რიცხვი 20-ს აღწევდა. მათ შორის იყვნენ: **თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი-ადჟარსკი, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი-ადჟარსკი, ხუსეინ-ბეგ ბიბინეიშვილი, ყადირ-ბეგ ზვანბაია, ესედ-აღა კომახიძე, ემინ-აღა ქათამიძე, თუფან-ბეგ შერვაშიძე, ხუსეინ-აღა ხალვაში, ყემბერ-აღა ხარაზი, ისკენდერ-ბეგ ჯინალი-აღა-ზადე** (მიქელაძე, ბორჩხიდან) და სხვები. სამოქალაქო რწმუნებულები მსჯელობდნენ წარმოდგენილი საბუთების, აგრეთვე მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე და გამოჰქონდათ თავიანთი დასკვნები ღია კენჭისყრით. დასკვნა კეთდებოდა ხმების უმრავლესობის საფუძველზე, მაგრამ, როგორც ჩანს, უბრალო უმრავლესობა საკმარისად არ იყო მიჩნეული. ასე, მაგალითად, **ჯაფარიძეების** აზნაურად აღიარებას მხარი დაუჭირა 11-მა რწმუნებულმა, ხოლო 9–მ უარი განაცხადა. რწმუნებულთა კომისიამ უმრავლესობით ისინი აზნაურებად მიიჩნია და საბუთები საოლქო წოდებრივ კომისიას გადაუგზავნა. მან რწმუნებულთა დასკვნა საკმარისად არ ჩათვალა და უარი განაცხადა. ამგვარად, საოლქო წოდებრივი კომისიის დასკვნა საბოლოო, მაგრამ ხშირ შემთხვევაში არაობიექტური იყო.

სამოქალაქო რწმუნებულების მიერ მიღებული დასკვნები ასეთი იყო: „მიჩნეულია ბეგად,“ „მიჩნეულია აღად,“ „მიჩნეულია თავადის ან აზნაურის მემკვიდრედ,“ „მიჩნეულია საპატიო მოქალაქედ,“ „მიჩნეულია პირადი წოდების მქონედ, შთამომავლობის გადაცემის უფლებით ან მის გარეშე“ და ა. შ. ამის გარდა არის დასკვნა: „არცერთი წოდების მატარებლად არაა მიჩნეული.“ რწმუნებულების დასკვნები საკმაოდ პრინციპულია. ზოგჯერ ისინი დოკუმენტის სიყალბეზეც ამახვილებდნენ ყურადღებას. მის პატრონს, რა თქმა უნდა, უარით ისტუმრებდნენ, მაგრამ სიყალბის ჩადენისთვის რა ადმინისტრაციულ ზომებს ღებულობდნენ,

ელექტრონული ბიბლიოთეკა

უცნობია. ასეთ შემთხვევას, მაგალითად, ადგილი ჰქონდა ჩაქვისთავის მცხოვრების ახმედ-აღა დედი-აღისძე უზუნ-მემედ-ოღლის მიმართ. როგორც ჩანს, იმ დროს ბათუმის ოლქსაც ჰყავდა თავისი „აშორდია", საბუთების გამყალბებელი.*

რწმუნებულთა პრინციპულობას ისიც ადასტურებს, რომ მათ შთამომავლობით აღის წოდების მინიჭებაზე უარი უთხრეს თავისივე რწმუნებულს, იმ დროისთვის საკმაოდ ცნობილ და გავლენიან პიროვნებას **ყემბერ-აღა ხარაზს** და მას ეს წოდება მხოლოდ პირადად მიანიჭეს მემკვიდრეებზე გადაცემის უფლების გარეშე.

ეს გვარი წარჩინებულთა რიგს რომ მიეკუთვნებოდა ნათლად ჩანს უძველესი ქართული დოკუმენტებით, რომელთა ანალიზი და დასკვნები ჩვენ გამოვაქვეყნეთ 2004 წელს გაზ. „აჭარაში" (№20, 25 მაისი, გვ. 8).

რწმუნებულთა შორის ხმების გაყოფის შემთხვევაში, უპირატესობა ეძლეოდა დასკვნას, რომელსაც მხარს დაუჭერდა დამსწრე ჩინოვნიკი, ძირითადად საქმის მწარმოებელი.

განმცხადებლების მიერ კომისიის წინაშე წარდგენილი უცხო ენაზე შესრულებული დოკუმენტების სათარგმნელად მოწვეული იყო სამკაციანი კომისია: მილიციის პორუჩიკის **აბდულ-ბეგ ბეჟანიძის**, მილიციის პრაპორშჩიკის **თემურ-ბეგ ხიმშიევ-ადჟარსკის** და ზემო აჭარის უბნის სასულიერო მოსამართლის (ყადის) **ნური-ეფენდი ბერიძის** შემადგენლობით.

---

* საუბარია ცნობილი ავანტიურისტზე და ყალბისმქნელზე სოლომონ გვაჯის ძე აშორდიაზე, რომელმაც ყალბად გაფორმებული საბუთებით სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში ასეულობით ბოგანოს „მიანიჭა" თავადისა და აზნაურის წოდებები.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**ნური-ეფენდი ბერიძე**
**(1852–1919)**

შთამომავლობითი წოდების მინიჭების შემთხვევაში კომისია ადგენდა ოჯახის წევრთა ვინაობას, ოჯახის უფროსზე დამოკიდებულებას, სქესს, ასაკს და ა. შ.

საოლქო წოდებრივი კომისიის სუბიექტივიზმი ყოველგვარ ზღვარს სცილდებოდა. ოჯახის წევრებს, რომელთაც როგორც ქართული, ისე ოსმალური წეს-წყობილების დროს მემკვიდრეობით ჰქონდათ თავადაზნაურული პრივილეგიები, ეს კომისია ან სულ უარს ეუბნებოდა, ან დაბალ წოდებას ანიჭებდა, ან აღადგენდა მხოლოდ ოჯახის ერთ-ერთი წევრის პრივილეგიებს, მემკვიდრეობით გადაცემის გარეშე. დანარჩენი წევრები კი ყოველგვარ პატივს მოკლებულნი იყვნენ. ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, გადამწყვეტი იყო ცარიზმისთვის სასარგებლო სამსახური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20

# Протоколъ. № 178

1912 года Января 18, Марта 3 дня. Гор. Батумъ.

...атумской Областной Комиссіи, разсматривавшей доказательства ...инадлежности жителя селенія Дандало Нижне-Ад...рскаго участка Батумскаго округа и Области Зекерія Бекъ Мамудъ Бекъ оглы Авалiани

...сословному званію

...НОВАНІЕ: Предписаніе Намѣстника ЕГО ИМПЕРАТОРСКАГО ...ЛИЧЕСТВА на Кавказѣ отъ 3 марта 1911 г. за № 4654 и ст. 68 т. ...Зак. о Сост.

Въ доказательство своихъ правъ на привиллегированное сос... вышепоименованное въ семъ протоколѣ лицо никакихъ документовъ не представилъ. Заявленіемъ участниковъ отъ населенія въ предварительномъ совѣщаніи въ Батумскомъ Окружномъ Управленіи названное лицо причислено ... участники эти немогли установить когда, кѣмъ и за что пожаловано ему это зва...

Спр. Протоколъ совѣщанія отъ 21 Марта 1911 года и рапортъ Начальника Батумскаго округа отъ 31 того-же марта за № 1312.

Привиллегированная обладаетъ военной наградой по отличію ... Спр. Рапортъ Н-ка Батумскаго Округа 23 февр. 1912 № 688

... Уполномоченныхъ отъ населенія Признали потом...

კომისიის სანიმუშო ოქმი

წოდებრივი კომისია თითქმის ორ წელიწადს მოუნდა მასალების შესწავლასა და განმცხადებლებზე პასუხის გაცემას.

კომისიის მიერ გამოტანილ დასკვნებზე, ბუნებრივია, იქმნებოდა საჩივრებიც, მაგრამ ასეთი მასალა ჩვენს მიერ შესწავლილ საქმეებში არ აღმოჩნდა. კომისიის მუშაობის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა (პირველი მსოფლიო ომი, ოქტომბრის გადატრიალება და სხვ.) საჩივრებს საბოლოოდ დაუდო ზღვარი.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა „გასწორდა მთა და ბარია“ და თავადაზნაურული წოდებრიობის გამოცხადება საშიში გახდა, ბევრმა წოდების მქონე პირმა თავის წარჩინებულ გვარზე უარი განაცხადა და სხვა გვარი შეირქვა, ხოლო ბევრმა მდაბიომ, რომელსაც ხელისუფლება არას ერჩოდა, გვარი გამოიცვალა და წარჩინებული გვარის წარმომადგენელი გახდა.

საყურადღებოა, რომ საქართველოს მთიანეთში, მათ შორის აჭარაშიც, წარჩინებული გვარის ხელაღებით მითვისება სოფლის მცხოვრებთა რისხვის საგანი ხდებოდა და სირცხვილადაც ითვლებოდა. ასეთ პიროვნებებს, რომლებიც ცდილობდნენ შეეღწიათ, ან რაღაც გზებით უკვე შეაღწიეს ელიტურ სზოგადოებაში და ბაძავდნენ იქ მიღებულ ცხოვრების წესსა და მანერებს, ყველა აგდებით ექცეოდა და გმობდა მის საქციელს*. ალბათ ამის რიდით იყო, რომ ჩვენს მიერ განხილულ საქმეებში თავადაზნაურული წოდებების აღდგენაზე განმცხადებელთა ყველა მოთხოვნა საფუძვლიანად ჩათვალეს, თუმცა გუბერნატორის კომისიამ, საკუთარი იმპერიული მოსაზრებების გამო ბევრი მათგანი უარით გაისტუმრა.

---

* ფრანგები ამას პარვენიუ-ს უწოდებენ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

* * *

ფეოდალურ საქართველოში წოდებების კანონიერების დასადგენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მემკვიდრეობითი დინასტიების და შთამომავლობითი კავშირების ცოდნას, ამაზე იყო დამოკიდებული ქონებრივი საკითხები, ორ მხარეს შორის დავის კანონიერად გადაჭრა, წარმომავლობისა და წოდების დამტკიცება და ა. შ.

ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები თავადების წარმომავლობის გასაცნობად მიზნად დავისახეთ მკითხველისთვის გაგვეცნო რუსეთის ხელისუფლების მიერ 1912 წელს აღიარებული 21 თავადური გვარის მოკლე ისტორია.*

---

* ზოგი გვარის ისტორია ვერ დავადგინე გვარის გაქრობის გამო (ავტ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბათუმის ოლქის ზოგიერთი თავადური გვარის ონომასტიკონი

ელექტრონული
ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დიდი თავადი აბაშიძე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# აბაშიძე

აბაშიძის წარმომავლობას ზოგი მეცნიერი ეთიოპიის ტოპონიმს აბაშ-ს უკავშირებს. თითქოს აქედან მურვან-ყრუს ლაშქართან ერთად 678 წელს მოვიდა ამ გვარის მამამთავარი; მურვანის უკუქცევის დროს მისი ერთი მოლაშქრე აბაში „თავისთა ნებითა" დარჩენილა საქართველოში. მეფე არჩილს ის პატივით მიუღია, თავადობა უბოძებია და ამიერიდან აბაშიძეებად იხსენიებოდნენო. ეს ლეგენდა, რომელიც ისტორიულ წყაროებს არ ეყრდნობა, ძალზე მიმზიდველია და შეიძლება კიდეც დაიჯერო და კიდეც არა. მთავარი, რაც ამ მოსაზრების სისწორეს ეჭვის ქვეშ აყენებს, არის დიდი, თითქმის ათასწლოვანი პერიოდი, როცა მაღალი ფენის თავდათა გვარი არ არსებობდა, ხოლო აბაშიძე წყაროებში მომდევნო პერიოდშიც დიდხანს არ ჩანს.

ჩვენი აზრით, გვარის მამამთავრად მიჩნეულ უნდა იქნას **აბაში**, რომელიც 1488 წელს მოწმედაა დასახელებული ფალავანდიშვილთა სასისხლო სიგელში. ის დიდ სააღმშენებლო საქმიანობას ეწეოდა იმერეთში. სოფელ ჭალაში ააშენა წმიდა გიორგის ეკლესია, რომლის კედელზე გამოსახულია თვით აბაში, მისი მეუღლე კეკლუცი, ძმა ლომინი, მეუღლე გულნარასთან ერთად და ძმები იანქო და შერმაზანი (**ოლღა სოსელია**. ნარკვევი ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. წ. 1. გამომცემლობა „მეცნიერება." თბილისი. 1973. გვ. 153-156).

ამ გვარის წარმომადგენელთა ბათუმის მხარეში ჩამოსახლებაზე ბოლო ათწლეულში იმდენი ფანტასტიკური თარიღი დასახელდა, რომ ყველა მათგანის განხილვა თავისი აბსურდულობის გამო მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ზოგ პანეგერიკულ ნაშრომში აბაშიძეთა აჭარაში დამკვიდრების თარიღად დასახელებულია

ელექტრონული ბიბლიოთეკა

1463 წელი, როცა ეს გვარი საერთოდ არ არსებობდა. ზოგ წყაროში მოხმობილი კახაბერ ვარდანის ძე ერისთავი (რომელიც დროებით მართლაც ფლობდა აჭარა-გურიის დიდ ტერიტორიებს), გაიგივებულია აბაშიძეებთან, რაიმე საბუთის გარეშე, რაც მიუღებელია. ასევე არავინ იცის, ვინ და რა გვარისანი იყვნენ სანჯაყ-ბეგი მემედი, მისი შვილი ხოსრო, მემკვიდრეები ახმედი და მუსტაფა, რომლებიც ფლობდნენ გონიას, ბათუმს, ჩაქვს, ერგეს, ყოროლისთავს, რადგანაც მათთან მიმართებაში გვარი აბაშიძე არც ერთი საბუთით არ დასტურდება.

ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს აბაშიძეთა გვარის გამოჩენა ბათუმის მხარეში მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში, სახელდობრ, 1711 წლის შემდეგ, როცა იმერეთში მძლავრობდა გიორგი აბაშიძე. მან ურჩი ფეოდალები იმერეთიდან გააძევა, მათ შორის იყვნენ მისი თანამოგვარეებიც, რომლებმაც ოსმალეთს შეაფარეს თავი. გამაჰმადიანების შემდეგ სულთანმა ისინი შეიწყალა, დანიშნა მონაპირე მხარის სანჯაყ-ბეგებად და 1713 წელს გადასცა ამის დამადასტურებელი სიგელი, ხოლო 1716 წელს თაფი (ო. სოსელია, იქვე, გვ. 209; აგრეთვე ბათუმის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. საქმე № 48. „სანჯაყ-ბეგ აბაშიძეების შესახებ ცნობები," შეკრებილი იუსუფ ალის ძე აბაშიძის მიერ (ხელნაწერი). 1946 წ. გვ. 1, დანართი № 3).

ერთ-ერთ საბუთში ოტია დადიანის შეპყრობა, რაჭის ერისთავის და აბაშიძის იმერეთიდან გაქცევა 1732 წლითაა დათარიღებული. აქ კერძოდ ნათქვამია შემდეგი: „1732 წ. აქა გაემარჯვა მეფე ალექსანდრეს ჩიხორს; ოტია დადიანი დაიჭირეს, რაჭის ერისთავი და აბაშიძე გაიქცა" (ქხა*, შ-კოლექცია, ტ. I, გვ. 259-გ).

---

* ქართული ხალნაწერთა აღწერილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ საუბარია იმერეთის მეფე ალექსანდრე მეხუთეზე, რომელმაც დაამარცხა მოქიშპე ფეოდალები, ოტია დადიანი შეიპყრო, ხოლო რაჭის ერისთავმა და აბაშიძემ გაქცევით უშველეს თავს. საით გაიქცნენ? ამ აბაშიძემაც სულთანს შეაფარა თავი, თუ ბათუმში მყოფი თანამოგვარეების ბედი გაიზიარა? საბოლოო პასუხი ჯერჯერობით არ გვაქვს, თუმცა დაინტერესებული მკითხველი ბევრს ნახავს ჟ. „კვალი"-ს 1896 წლის №26-ში (გვ.455), სადაც საუბარია „მოდი ნახეს" ციხის აღებაზე და აბაშიძეთა ბათუმში გადახვეწაზე.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 1716 წელს ბათუმის ციხის უფროსობა მართლაც უბოძეს მეჰმედს, მაგრამ ჩვენ მისი ქართული გვარი არ ვიცით. 4 წლის შემდეგ, 1720 წელს იგივე პირი გონიოსა და ბათუმის სანჯაყის მფლობელია (მე-16-18 საუკუნეების ოსმალური დოკუმენტური წყაროები. წ. 1. თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა **ნოდარ შენგელიამ**. თბილისი. 1887. გვ. 90), 1723 წელს კი გონიოს სანჯაყის მფლობელად მუსტაფ-ფაშა, ხოლო ბათუმის ციხის უფროსად 1733 წელს აბულ კასიმი იხსენიება (იქვე, გვ. 93, 96).

უნდა ვიფიქროთ, რომ 1711 წლიდან ბათუმის მხარეში დამკვიდრებული აბაშიძეები რაღაც მიზეზის გამო კვლავ დაკნინდნენ, დაკარგეს ძველი დიდება. მათი მეორე აღზევება ბათუმში მოხდა მეფე სოლომონ პირველის ლაშქრობის დროს, როცა იმერელ დიდებულთა დიდი ნაწილი ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს და სტამბოლში სულთანს მიჰგვარეს. მათ შორის უნდა ვიგულისხმოთ თავადი აბაშიძე, რომელიც გამუსლიმანდა. ამის საპასუხოდ მადლიერმა სულთანმა მოგვიანებით, იგი ბათუმში გამოგზავნა, მისცა ადგილ-მამულები, ქონება და სანჯაყ-ბეგის წოდებაც. სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა მესამე აღზევება დოკუმენტურად დასაბუთებულია 1833 წლიდან (იუსუფ-ბაგი). მანამდე ბათუმში, ფოთსა და სოხუმში

ბეგლარ-ბეგებად უპირატესად შერვაშიძეთა ბრწყინვალე გვარის შთამომავლები ჩანან. ბათუმში ერთხანს სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის ნათესავი, ჭანეთის ბეგი ომარ ჟორდანია ბატონობდა. მისი და ცოლად ჰყავდა ბათუმის ადრინდელ ბეგლარ-ბეგს ქუჩუკ-ბეი შერვაშიძეს (АКАК. т. 4. стр. 237, 238).



**ბათუმის სანჯაყ-ბეგთა (ხევისთავთა) შთამომავალი**

**მემედ-ბეგ აბაშიძე**

ამგვარად, აბაშიძეთა გვარის ბუდე-ადგილად იმერეთი ითვლება. დანარჩენ საქართველოში, მათ შორის ბათუმის ოლქშიც, ამ გვარის განსახლება იმერეთიდან მოხდა, დაახლოებით 1711 წლის შემდეგ.

1912 წელს ბათუმის საოლქო წოდებრივი კომისიისთვის აქაურ თავად აბაშიძეებს განცხადებით არ მიუმართავთ, რადგანაც მათი წოდება ისედაც აღიარებული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აბაშიძეთა გენეალოგიური ხე (იმერეთი, ბათუმი)



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# თავადი ავალიანი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# ავალიანი*

ბათუმის ოლქის თავადაზნაურთა გალერეაში საპატიო ადგილი უკავია ავალიანთა გვარს. ისე, როგორც სხვა წარჩინებულ ოჯახებს, ამ გვარსაც თავისი ისტორია აქვს, მაგრამ სხვებისგან განსხვავებით, ავალიანთა წარსული ძალზე საინტერესო და დრამატულია.

ავალიანთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მათი წინაპრები წარსულში სვანეთში ცხოვრობდნენ. ვფიქრობ, ეს უფრო მოარული აზრია და უბრალოდ, სვანური გვარების ბოლოსართის (იანი) მსგავსებითაა გამოწვეული. გარდა ამისა, ამ მოსაზრებას აბათილებს ისიც, რომ თედორე ავალიანის მიერ მოყვანილ აზნაურებსა და ყმა გლეხებს შორის არც ერთს არა აქვს სვანური გვარი, ყველა მათგანის ეტიმოლოგია მესხურ-ქართლურია (იხ. ქვემოთ).

გვარის ერთ-ერთი გამორჩეული წევრის **სელიმ-ბეგ ავალიანის** თქმით (1967 წ.), ავალიშვილთა რამდენიმე ოჯახი დანდალოში ახალციხიდან და სურამიდან გადმოსახლდა. **მათი მამამთავარი იყო თედორე**. მას თან ჩამოჰყვა ძმა და სხვა თანამოგვარეები, აგრეთვე აზნაურები და ყმა გლეხები, რომლებიც დანდალოში და მეზობელ სოფლებში დასახლდნენ.

ავალიშვილებმა აღიარეს ისლამი, თავიანთ ხელქვეითებსაც მიაღებინეს მაჰამადის სარწმუნოება, მაგრამ გვარს ოდნავ სახე შეუცვალეს და ავალიანებად იწოდნენ. ოსმალურ საბუთებში კი თედიოღლებად (თედორეს მემკვიდრეებად) იხსენიებიან. ამის შემდეგ სულთანმაც გაიღო

---

* დაწვრილებით იხ. **რამაზ სურმანიძე**. ავალის შთამომავალნი. თბილისი. 2012 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

წყალობა და მათ საკუთრებაში გადასცა ქვემო აჭარის დიდი ტერიტორია.

თედორეს მომდევნო 2-3 თაობის შესახებ ცნობები არ გვაქვს, ხოლო 4-5 თაობის წინა კაცად მიჩნეულია საკმაოდ განსწავლული, მაჰმადიანი, მაგრამ ქრისტეს რჯულის ფარული დამფასებელი **ბექირ-ბეგ ავალიანი**, რომელიც ახალციხის სამთუდიანი ფაშის **სელიმ ხიმშიაშვილის** კარზე დიდ და საპასუხისმგებლო დავალებებს ასრულებდა. მისი შვილი **სულეიმან-ბეგი** სელიმ-ფაშის ჯარის ერთ-ერთი მეთაური იყო.

სელიმ-ფაშის სიკვდილით დასჯის შემდეგ (1815 წ. 3 ივნისი) ოსმალებმა მისი მომხრე თავადების, მათ შორის დანდალოში ავალიანთა ოჯახიც გაანადგურეს, ყველა მამაკაცი მცირეწლოვან ბიჭებთან ერთად დახოცეს და საერთო ორმოში ჩამარხეს. გადარჩა მხოლოდ ბექირ-ბეგი, რომელიც ამ დროს ტრაპიზონში იყო, აგრეთვე ერთ-ერთი ავალიანის ორსული ცოლი, რომელიც 12 წლის მაზლიშვილთან(ვაჟი) ერთად ამ დროს მეზობელ სოფელში სტუმრად იყვნენ.

გადარჩენილმა ქალებმა ბიჭს გოგოს ტანსაცმელი გადააცვეს, ბათუმში ჩაიყვანეს და ნაცნობის მეშვეობით ტრაპიზონში ბექირ-ბეგთან გახიზნეს.

სელიმ-ბეგ ავალიანმა ისიც გვითხრა, რომ იმ ორსულ ქალს ვაჟი შეეძინა და დანდალოელ ავალიანთა მთელი მოდგმა მისი ნამრავლი ვართო. ასეთია გვარში დარჩენილი ხსოვნა. ისტორიული საბუთების დამოწმებით, ზეპირგადმოცემა ძირითადად დადასტურდა.

მე-16 საუკუნის ბოლოს, როცა დაიწყო მესხეთ-ჯავახეთის საყოველთაო აღწერა და ოსმალური წეს-წყობილების დამყარება, ზოგი დიდგვაროვანი ოჯახი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული გახდა მშობლიურ მხარეს გასცლოდა. მათი ნაწილი ქართლში, ნაწილი შავშეთ-იმერხევსა და აჭარაში გადასახლდა.

ისტორიულად ავალიანთა ფეოდალური საგვარეულო მე-15 საუკუნეში თორში დაწინაურდა. აქ ჩამოყალიბდა მათი სათავადო, რომელიც 1545 წლიდან სამცხე-საათაბაგოში შედიოდა. გვარის მამამთავარს **ავალა** რქმევია. ოსმალთა მოძალების შემდეგ ზოგი ავალიშვილი იმერეთში გადასახლდა, ზოგმა ქართლში, სოფელ ბრეთში დაიდო ბინა, ზოგიც სამცხეში დარჩა და გამაჰმადიანდა, ნაწილმა კი მეზობელ აჭარა-შავშეთს მიაშურა (**იაკობ ახუაშვილი**, ქართული გვარ-სახელები. თბილისი. 1994. გვ. 196).

ამის შესახებ მოგვითხრობს საფარის მონასტრის წინამძღვარი და პოლიტიკური მოღვაწე **არსენ ავალიშვილი**, რომელიც 1627 წელს, ბექა ათაბაგის მიერ ისლამის აღიარების შემდეგ, იძულებული გახდა მიეტოვებინა მონასტერი, რადგანაც „მაჰმადიანთა მიერ მონასტერი, ყოვლად დიდებული, მოოხრებულიყო და მამულნი, მეოტნი სოფელნი, დაბანი და აგარაკნი წახდომილიყვნეს“ (**თედო ჟორდანია.** ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები. ფოთი. 1903. გვ. 157).

სხვათა შორის, 1874 წელს შავშეთში (არტანუჯში) მოგზაურობის დროს გიორგი ყაზბეგსაც ჩაუწერია: „აქ ახლა შემორჩენილია ცნობილი ქართული გვარი ავალიშვილი“ (**გ. ყაზბეგი**, სამი თვე თურქეთის საქართველოში. თარგმნა **რამაზ სურმანიძემ**, გამოსცა **მამია ხარაზმა**. ბათუმი. 1995. გვ. 20).

საყურადღებოა, რომ წინამძღვარ არსენის ლტოლვილობას თითქმის ემთხვევა ქვემო აჭარაში ავალიშვილ-ავალიან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თა გამოჩენაც, ამიტომ ვვარაუდობთ, რომ ამ შტოს მამამთავარი თედორე შესაძლოა არსენ ავალიშვილის ოჯახიდან იყოს.*

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, ქართველი დიდგვაროვნების სიას, რომელიც 1516 წელსაა შედგენილი, მიაკვლია **დიმიტრი ბაქრაძემ**. სხვებთან ერთად აქ მოხსენიებულია ავალიშვილთა გვარიც; სამხრეთ საქართველოში მათი მიგრაცია მარტო თავშეფარებას არ ისახავდა მიზნად. მათ სხვა, უფრო დიდი მისიაც აკისრიათ – ახალ საცხოვრისში ციხე-კოშკებისა და ეკლესია-მონასტრების აშენება. ავალიშვილებს დანდალოში მოუხდათ, როგორც ციხის, ასევე ეკლესიის აშენებაც, რადგანაც დანდალო გეოგრაფიულად სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილზე მდებარეობდა, გარდა ამისა, ის აღმოჩნდა ორი დიდი ქართული ეპარქიის მიჯნაზე, **სადაც გადიოდა მტბევარისა და ქუთათელის სამწყსოების საზღვარი**; „დახატულას ზედათი, ანაკერთს აქეთ სულა შავშეთი მიჭიხიანთ ბატონის კათალიკოსის იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა. აჭარა დანდალოს ზეითი მას ჰქონია, დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა“ (**დიმიტრი ბაქრაძე.** არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. ბათუმი. 1987. გვ. 5, 6).

ავალიანთა გვარებს ახლა აჭარის მრავალ სოფლებში შეხვდებით, მაგრამ თავის ბუდე-სოფლად ყველა

---

* ამ წლებს ემთხვევა აგრეთვე **გიორგი სააკაძის** ბოლო ლტოლვილობა ოსმალეთში. მას სამცხეში მრავალი მომხრე და თანამებრძოლი ჰყავდა, რომელთა ნაწილი ლტოლვილობაში თან იახლა. სხვადასხვა მიზეზით ზოგი მათგანი გზად დატოვა იმ სოფლებში, სადაც გადიოდა გიორგი სააკაძის გზა. მათი შთამომავლები დღესაც წინაპრების გვარით იხსენიებიან (ბარათაშვილები, ქარციძე-ქარცივაძეები, ჯაყელები, თავდგირიძეები, შალიკაშვილები, ბეჟანისძეები და სხვ.).

დანდალოს დაგისახელებთ. მართლაც, ამ გვარის მორჩილებაში იყვნენ აზნაურები და ყმა გლეხები, რომლებიც ცხოვრობდნენ ჯალაბაშვილებში, გოგიაშვილებში, კოკოტაურში, ძანაძეებში, ბაბუჩაშვილებში, ბალაძეებში და სხვა სოფლებში (**ზაქარია ჭიჭინაძე.** მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913. გვ. 101).



ავალიანი იუსუფ-ბეგ ალის ძე
(1884–1937)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენ შევეცადეთ ვრცელ ნარკვევში დაგვედგინა დანდალოელ ავალიანთა მამამთავრის და მისი მემკვიდრეების ვინაობა, მაგრამ ამ ნარკვევის ვრცლად მოტანა აქ აუცილებლად არ მიგვაჩნია (იხ. **რ. სურმანიძე.** წმინდანის ნაკვალევზე. გაზ. „აჭარა,“ №41, 1 მარტი. 2000. გვ. 4, 5).

ავალიანთა (ავალიშვილთა) გვარი ბათუმის ოლქში სამცხიდან (შესაძლოა, იმერეთიდანაც) მოვიდა.

1912 წელს ბათუმის საოლქო-წოდებრივ კომისიას განცხადებით მიმართა ავალიანთა რამდენიმე ოჯახმა. მათ შორის დანდალოელებმა: თემურ ნურის ძემ, ასლან მამუდის ძემ, სეფერ ალის ძემ, აგრეთვე ზესოფლელმა ოსმან თეარის ძემ და მისმა ძმისშვილმა მახმუდ ავალიანებმა, იუსუფ ალის ძემ, ისმაილ სეფერის ძემ, თევფიყ სეფერის ძემ. მათ მოითხოვეს თავადის (ბეგის) ტიტულის აღდგენა. როგორც წინასწარ თათბირზე, ასევე სამოქალაქო რწმუნებულთა საოლქო კომისიის სხდომებზე ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება ავალიანებისთვის რუსეთის თავადის ტიტულის აღდგენის და საპატიო წოდებების მინიჭების შესახებ.


თევდორე ავალიანი სამცხე ჯავახეთიდან 1627 წ.
სამი უცნობი თაობა
მეოთხე უცნობი თაობა
ბექა, ბექირ-ბეგი (იგივე წმინდა თევდორე აჭარელი (1772-1822)
მეოთხე უცნობი თაობა
ფატმა-ხანუმი+ თუფან-ბეგ შერვაშიძე (1846-1914)
სელიმ-ბეგი
სულეიმან-ბეგი (სოლომონ II მომხრე, დაიღუპა 1810 წ.)
მემედ-ბეგი
მაიშექერ-ხანუმ+ კვირიკაძე
ფელულ-ბეგი
აიშე-ხანუმი+ დიასამიძე
დოდო-ხანუმი+ ბერიძე
ყუდრეთ-ხანუმი+ ნიჟარაძე
ალი-ბეგი+ ბილბილ-ხანუმ სურმანიძე (ჭალა)
აიშე + თევფიყ ავალიანი (1897-1937)
ქალიშვილ+ ანანიძე
ბექირ-ბეგი (თურქეთში გადაიხვეწა)
ფადიმე + ისმაილ ავალიანი (1897-1937)
უსუფ-ბეგი
ალა-ბეგი (ადრე გარდაიცვალა)
სელიმ-ბეგი (1892-1978) მირიბან
მამუდ-ბეგი
კაკიე (1909-1970) ახმედ-ბეგ თავდგირიძე (1906-1975)
სეფერ-ბეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი თავადი ათაბაგი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ათაბაგი

ათაბაგი – თურქულად სიტყვა-სიტყვით მამა-ბატონს ნიშნავს. სელჩუკთა სულთნის მემკვიდრის აღმზრდელი, შემდგომში დამოუკიდებელი სამთავროს მეთაური, ეგვიპტეში – მამლუქთა მხედართმთავარიც იყო.

საქართველოში ათაბაგი იყო ერთ-ერთი ვეზირი, რომლის ფუნქციას ტახტის მემკვიდრის აღზრდა შეადგენდა. მსხვილი ფეოდალების გაძლიერების შემდეგ ათაბაგობა მეფის ოპოზიციურ დიდებულთა გაერთიანება გახდა. პირველი ათაბაგი იყო ივანე მხარგრძელი (1212 წ.). ერთხანს ათაბაგები ითავსებდნენ ამირსპასალარობასაც.

1334 წელს გიორგი V ბრწყინვალემ ათაბაგად დანიშნა თავისი ბიძა სარგის ჯაყელი. ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცების შემდეგ ათაბაგი ვაზირის სახელით მოისპო და სამცხის მთავართა ტიტულად იქცა, ხოლო შემდეგ ათაბაგმა გვარის ფუნქცია შეიძინა.

1829 წელს, რუსთა მმართველობის დროს ათაბაგ-ჯაყელთა შტომ ქვაბლიანსკი-ს გვარი-ზედწოდებაც მიიღო და ათაბაგოვ-ქვაბლიანსკებად იწოდებოდნენ. ისინი ცდილობდნენ არ ჩამოშორებოდნენ ქართველ საზოგადოებას. მათ ძირითადი სამფლობელი ფოცხოვის ხეობაში ჰქონდათ.

ათაბაგი-ს განაყოფი გვარი უნდა იყოს ათაბაძე (ქობულეთი).

ათაბაგთა დიდ აღზევებას დიდი დაცემაც მოჰყვა. რაც მე-17 საუკუნიდან იწყება. ერთი ასეთი გაღატაკებული დიდთავადი 1874 წელს გიორგი ყაზბეგსაც შეხვედრია სოფელ ოქრობაგეთში: „ათაბაგის გვარის ერთადერთი შთამომავალი ცხოვრობს სოფელ ოქრობაგეთში. ეს არის 40 წლის, გაბედოვლათებული, გალოთებული და გაღატაკებული კაცი, ხელისუფლე-ბისგან ღებულობს მცირე პენსიას. ბეგის

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თქმით, ყველა მისი საბუთი კონსტანტინეპოლშია და გადმოცემით, იგი ახალციხის როსტომ ათაბაგის, თურქეთის საქართველოში პორტას პირველი ვასალის, ყველაზე უწინ მუსლიმანობის მაღიარებლის (ჰიჯრის 1016, ე. ი. ჩვ. წ. ა. 1600 წ.) მეშვიდე თაობაა. ამ ბეგის მამას მიუყიდია თავისი მამული აჭარის აბდი-ბეგ ხიმშიაშვილზე."

ამ გვარის წარმომადგენლებს გიორგი ყაზბეგი ართვინშიც (ლივანში) შეხვდა. მათ ოქრობაგეთში მცხოვრები ათაბაგი თვითმარქვია ბეგად გამოაცხადეს (შესაძლოა სტუმართან სირცხვილად მიიჩნიეს მისი ბედოვლათობა) და თქვეს, რომ მხოლოდ ისინი მიეკუთვნებიან ცნობილ გვარს... „...ართვინის ბეგების გვარში ძველი საბუთები არ შემორჩათ. ისინი დაიწვა ახმედ ფაშის (ხიმშიაშვილის რ. ს.) თანამედროვის ალი-ბეგის სახლში... ართვინის ახლანდელი ბეგების წარმომავლობაზე მხოლოდ უკანასკნელი 130 წლით შეიძლება იმსჯელო. სტუმართმოყვარე მასპინძელმა გაგვაცნო თავისი გვარის ტაბულა, რომლიდანაც ჩანს, რომ ამჟამად ართვინში ათაბაგთა გვარის ათამდე ოჯახი ცხოვრობს, მაგრამ ყველა მათგანმა დაკარგა მნიშვნელობა და აღებისგან დიდად არ განსხვავდებიან" (**გიორგი ყაზბეგი**. გვ. 94, 111, 113). თუმცა ცნობილია მათი აღზევებაც: ათაბეი-ზადე რიზა-ფაშა ყოფილა ოსმალეთის საზღვაო, შემდეგ სამხედრო მინისტრი. **მურატ ქასაბის** წიგნში შევხვდით მრავალ ათაბაგს, რომელთაც ოსმალეთში ძალზე მაღალი თანამდებობები ეკავათ. (ოსმალეთის ქართველები. სტამბოლი. 2012 წ.)

აჭარაში მცხოვრები ათაბაგები ისტორიული მოვლენების მიზეზით საათაბაგოდან იძულებით გადმოსახლებულთა შთამომავლები იყვნენ.

1997 წლის მდგომარეობით, საქართველოში ათაბაგთა რიცხვი 167-ს უდრიდა, აქედან 137 აჭარაში ცხოვრობდა, ხოლო დანარჩენი 39 საქართველოს სხვა რაიონებსა და ქა-



**ალი რიზა ფაშა ათაბაგი**

ლაქებში იყო გაფანტული. ასევე 183 ათაბაძედან მხოლოდ 6 სული ცხოვრობს სხვაგან, დანარჩენს 177-ს ქობულეთსა და ბათუმში აქვთ ოჯახები.

შუახევის რაიონის სოფლებში, ბრილსა და ცეკვაში ათაბაგთა ოჯახები სამცხეში ოსმალთა მოძალების შემდეგ, მე-17 საუკუნის დასაწყისიდან უნდა იყოს ჩამოსახლებული. ვფიქრობდით, რომ ქობულეთის სოფლებში – ხინოსა და ჭახათში, აგრეთვე წყალტუბოსა და მარტვილის რაიონებში ათაბაგები და ათაბაძეები ჭვანის ხეობიდან გადასახლდნენ, შემდეგ კი სხვა სოფლებში დაიდეს ბინა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ბრილის მკვიდრის, **რამაზ ათაბაგის** აზრით, მისი წინაპრები ქობულეთის რაიონის სოფელ მესხიქედში ცხოვრობდნენ. ხინოს ეკლესიის ერთ-ერთ ქვას თურმე ათაბაგის გვარის წარწერაც ამშვენებდა. ხინოში ათაბაგები მესხეთიდან ჩასულან, აქედან ჯერ სოფელ ცეკვაში, ხოლო შემდეგ ბრილში დამკვიდრებულან.

რამაზისავე გადმოცემით, მუჰაჯირობის დროს ქობულეთიდან (ჩურუქ-სუ) ათაბაგთა ოჯახები ოსმალეთში, კერძოდ, საქარიას (ადაბაზარისა) და ორდუს ვილაიეთებში ჩასახლებულან. ისინი დღესაც ათაბეგის გვარს ატარებენ. ქალაქ ორდუს შესასვლელში დიდი აზრა გვაუწყებს, რომ იქ ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის მფლობელი ათაბაგია. ისინი ცხოვრობენ აგრეთვე ფაცასა და უნიაში. უშუალოდ სოფელ ცეკვადან გადასახლებული მუჰაჯირი **იშიღალი ათაბაგი** საქარიას ვილაიეთის სოფელ დუზჯეში ცხოვრობს.

ამ გვარს აჭარის წარჩინებულთა შორის რატომღაც ვეღარ ვხედავთ, გამონაკლისია შავშეთ-იმერხევის ათაბეგოვები, რომლებსაც თითქმის მთლიანად ეპყრათ ამ რეგიონის სოფლები.

სამხრეთ საქართველოს ოსმალთაგან დათმობის შემდეგ ათაბაგთა (ათაბეგოვთა) მთელმა მოდგმამ შავშეთ-იმერხევსა და ლივანაში მოიყარა თავი.* ისინი შეძლებისდაგვარად მონაწილეობენ საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში.

1881 წელს ართვინში ჩასულ გუბერნატორს **კ. კომაროვს** წარუდგინეს **დედე-ბეგ ათაბაგი-ართვინსკის 16 წლის**

---

* შავშეთის დაბა სათლელ-რაბათის ამჟამინდელი გამგებელი **გუნდუზ ათაბაგია** (ნუგზარ ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან. ბათუმი. 2004 წ. გვ. 250).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**ვაჟი ომერი**, რომელიც შემდგომ წლებში ასრულებდა რუსეთის ადმინისტრაციის მოხელის მოვალეობას და შეძლებისდაგვარად იცავდა ქართველი მოსახლეობის ინტერესებს (Кавказ, № 217, 1881 г.).

1909 წლის 1 იანვარს შედგენილი სიით, **ალათ-ბეგ ათაბაგი** (არტანუჯელი), **დურსუნ-ეფენდი ქიქავა** (ბათუმელი), **თაიარ-აღა ცეცხლაძე** ითვლებიან საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დამხმარე წევრებად (**რ. მეტრეველი**. საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება). ერთ დროს უწარჩინებულესი მთავრობის შთამომავალნი და უგანათლებულესი გვარის მემკვიდრენი საკმაოდ გამრავლდნენ, მაგრამ დაკარგეს ძველი პრივილეგიები, რაც მთავარია, აღარ ჰყოფნიდათ მიწა-წყალი და სიღატაკეში ცხოვრობდნენ. მათი ცხოვრება არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი, გაღარიბებული აზნაურის ცხოვრებისგან.

1911 წელს ათაბაგთა მრავალმა ოჯახმა თხოვნით მიმართა ბათუმის ოლქის წოდებრივ კომისიას, აღედგინა მათი ძველი უფლებები და პრივილეგიები. ამ ოჯახთა შორის იყვნენ: მახმუდ სულეიმანის ძე და მეზერ მუსტაფის ძე ათაბაგ-ლივანსკები, სოფელ **ბეშაულის** მცხოვრებლები შაქირ და ნუსრეთ სალიხის ძე, მურთაზ და ალი ღალიბის ძე, ასლან და ნური ოსმანის ძე ათაბაგები, სოფელ **ტბეთის** მცხოვრებლები ჯემალ, ვასიფ, დედე თაირის ძე, სადიყ ხეირულას ძე, ახმედ ემრულას ძე, ხასან იზეთის ძე ათაბაგები, სოფელ **სხლობანის** მცხოვრებლები მუხამედ სეფერის ძე, დურაღა ახმედის ძე ათაბაგები, სოფელ **ველის** მცხოვრებლები ასლან ხუსეინის ძე (სათლელ-რაბათის დეპუტატი), ფუად და შერიფ მუხამედის ძე ათაბაგები.მათი დიდი ნაწილი მოითხოვდა თავადის ტიტულის აღდგენას, ხოლო სოფელ



**ახმედ-ბეგ ათაბაგი**
**(ფოცხოვის გამგებელი)**

ტბეთის მცხოვრებლები, ძირითადად სასულიერო პირები, ითხოვდნენ აზნაურის წოდების დაბრუნებას.

კომისიამ ათაბაგთა ძირითად ნაწილს აღუდგინა რუსეთის თავადთა პრივილეგიები, ხოლო ტბეთელ სასულიერო პირებს მუსტაფ, ყარაბეგ, სადიყ, ახმედ და ხასან ათაბაგებს ყოველგვარ საპატიო წოდების მინიჭებაზე, ჩვენთვის უცნობი მიზეზებით, უარი განუცხადა.

# აჭარელ ათაბაგთა გენეალოგია



## ბეჟანიძე*

ბეჟან-ფუძის მქონე გვარები საქართველოში საკმაოდ ბევრია (ბეჟანეიშვილი, ბეჟანიშვილი), რომლებსაც ათანაბრებენ ბეჟანიძესთან. ზოგი კიდევ უფრო შორს მიდის და ბეჟან და ბეჟ- ფუძეს ერთ კონტექსტში განიხილავს (ი. მაისურაძე, ი. ახუაშვილი, ი. ბექირიშვილი). ბეჟ- ფუძის მქონე გვარებია: ბეჟაშვილი, ბეჟიაშვილი, ბეჟიკელაშვილი, ბეჟიკოშვილი, ბეჟიტაშვილი, ბეჟოშვილი, ბეჟუაშვილი, ბეჟღულაშვილი, რომლებიც უპირატესად აღმოსავლეთ საქართველოში გვხვდება და არაფერი აქვთ საერთო ბეჟანიძესთან. გვარი ბეჟანიძე კი მხოლოდ აჭარაში და მესხეთ-ჯავახეთშია (თითქმის ყველა რაიონში) გავრცელებული, ამიტომ ვფიქრობთ, მისი ონომასტიკა და ეტიმოლოგიაც სწორედ ამ მხარეებში უნდა ვეძიოთ.

ბეჟანიძეთა გვარის მამამთავრად ყველა მეცნიერს სამართლიანად **ბეჟანის** სახელის მქონე ადამიანი მიაჩნიათ. მოსაზრებები განსხვავებულია იმ მხრივ, თუ ეს ბეჟანი ადრე რა გვარს ატარებდა. ისტორიკოსი **რამაზ ხალვაში** გამოთქვამს საკმაოდ საინტერესო ვარაუდს. მისი აზრით, ბეჟანი გვარად არის აბუსერის ძე, ერისთავთ-ერისთავთა ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, რომელსაც ოსმალეთის მთავრობამ ჩამოართვა აჭარის ხეობა და გადასცა ისპირის მმართველს, მემედ ბეგს. ორი წლის შემდეგ ბეჟანი სტამბოლში ჩავიდა, ისლამი აღიარა და სახელად მანაც მეჰმედი მიიღო. სულთანს მისთვის სოფელი ზენდიდი უბოძებია, სადაც ბეჟანს, ამიერიდან მეჰმედს, ციხე აუგია. ამ ვარაუდის დასადასტურებლად რ. ხალვაში იმოწმებს **ზაზა**

* დაწვრილებით იხ. **რამაზ სურმანიძე**. ბეჟანიძეები. თბილისი. 2011 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შაშიკაძის** ნაშრომს, სადაც ნათქვამია, რომ აჭარაში ოსმალური მმართველობის დამყარების თარიღი 1561 წელია და ზენდიდის ციხის აგებაც ამ თარიღს ემთხვევაო (ბათუმის უნივერსიტეტის შრომათა კრებული. III. ბათუმი. 2002. გვ. 146-158; რ. ხალვაში).

ეს მოსაზრებები საკმაოდ საინტერესოა, მაგრამ აჭარაში ოსმალური მმართველობის დამყარების დათარიღება 1561 წლით, ძნელი დასაჯერებელია, რადგანაც ყველა ადრინდელი ისტორიკოსი ამ მოვლენას 1630 წლით ათარიღებს, თანაც მხოლოდ პირობით, რადგანაც აჭარის და შავშეთ-იმერხევის ოფიციალური ოსმალიზაცია მე-18 საუკუნით თარიღდება. გარდა ამისა, ავტორებს არ გააჩნიათ ბეჟან აბუსერისძის და ზენდიდის ციხის ამშენებელ ბეჟანის, იგივე მეჰმედის იდენტურობის დამადასტურებელი საბუთი.

ზემოთქმულის გამო უფრო სარწმუნოდ რჩება **ზაქარია ჭიჭინაძის** მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომელიც აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრები ბეჟანიძეების თქმულებებს, გვარში დარჩენილ ხსოვნას ემყარება. ამ თქმულებებში ბეჟანიძეთა წინაპრად არსად არაა ნახსენები აბუსერის ძე, სამაგიეროდ, ყველა ხანდაზმული ერთსულოვნად აცხადებს, რომ მათი წინაპარი დიასამიძეა. ამის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ ზენდიდის ციხის გვერდით, მეზობელ სოფელში ასევე აშენებულია გულების ციხე, რომელიც დღესაც დიასამიძეების ციხედაა ცნობილი.

ზაქარია ჭიჭინაძე ზეპირ გადმოცემას ასე ავითარებს: მე-17 საუკუნის დამლევს, ერთ დიასამიძეთაგანს, რომელსაც ისლამი მიუღია და სახელად ბეჟანი რქმევია, ოსმალებს მისი შთამომავლებისთვის ბეჟან-ოღლი უწოდებიათ. ასე წარმოქმნილა დიასამიძეთაგან ახალი გვარის შტო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა




**თამარის ციხე ბათუმის მხრიდან. მოჩანს მოგვიანებით აშენებული ბეჟანიძის სასახლე**

საყურადღებოა მისი მეორე არგუმენტიც. დიასამიძეები თამარის დროს დედოფლის კარის მსახურნი, პირფარეშები ყოფილან, ამიტომ მათ პირმსახურისძეებად, პირფარეშისძეებად მოიხსენიებდნენ. დიასამიძეთა ძირითადმა შტომ არ შეინარჩუნა იერარქიული ტიტულიდან მომდინარე გვარი, სამაგიეროდ, მათმა განშტოებამ ბეჟანიძეებმა შეინარჩუნეს ის და ბოლო დრომდე პირმსახურისძე – პირმსახუროღლიდ იწოდებიან (ამათი ძველი განშტოებაა მსახურიძეთა გვარი, რომელიც ახლაც ნათესაობს ბეჟანიძეთა გვართან და მხოლოდ აჭარაშია გავრცელებული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორია კიდევ ერთ ბეჟანს იცნობს, რომელიც ჩვენი ვარაუდით, შესაძლოა იყოს ბეჟანიძეთა გვარის მამამთავარი. ესაა **გიორგი სააკაძის მხლებლის, გორგასალის ვაჟი ბეჟანი**, რომელიც მოურავთან ერთად სიკვდილით უნდა დაესაჯათ, მაგრამ მამა გამოესარჩლა და ჯალათს თხოვა შვილის მაგივრად თვითონ დაესაჯათ. მართლაც შეისმინეს თხოვნა – გორგასალს თავი მოკვეთეს, ხოლო ბეჟანი ცოცხლად გაუშვეს. იმის გამო, რომ მეფე თეიმურაზ პირველი მოურავის მომხრეებსა და მით უმეტეს, მხლებლებს, რომელთაც აღიარეს ისლამი, სასტიკად ექცეოდა, ბეჟან გორგასალისძემ ვერ გაბედა ქართლ-კახეთში დაბრუნება და თავი აჭარას შეაფარა. ჩვენ არ ვიცით დიდი მოურავის მხლებლების გორგასლისა და მისი ვაჟის ბეჟანის გვარი, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის იყო სამცხის დიდგვაროვანი ოჯახის, დიასამიძის შვილი („დიდმოურავიანის" ავტორის **იოსებ სააკაძის** თქმით, ერთ-ერთი თანუნა დიასამიძე გიორგი საკაძის მხლებელი მართლაც იყო). პოეტმა იოსებ სააკაძემ თავისი პოემის მრავალ გმირს შეუცვალა სახელი. არაა გამორიცხული, რომ თანუნა იგივე გორგასალი დიასამიძე იყოს. ამგვარად, არსებობს ვარაუდი, რომ ზენდიდის ციხის ამგები არის **ბეჟან დიასამიძე**, ხოლო მისი მომდევნო თაობა ბეჟანიძეები არიან.

ბეჟანიძეთა გვარში მეორე საპირისპირო ხსოვნაც არსებობს. თამარის კარზე პირმსახურად იყო არა დიასამიძე, არამედ ბეჟანიძე, რომელიც შემდეგ პირმსახურის შვილადაა ცნობილი. ზენდიდის ციხეც ამ ბეჟანიძემ ააგო, დიასამიძეებმა კი ითხოვეს ამ ციხეში შეხიზვნა, შემდეგ ვერაგობით ჩაიგდეს ხელში გასაღებები და თავი არა მარტო ციხის, არამედ ბეჟანიძეთა მამულების მფლობელებად გამოაცხადესო.

ასე თუ ისე, თავად ბეჟანიძეთა გვარის მამამთავრად ბეჟანი რომ ითვლება, ამას ყველა ემხრობა. ვინ იყო ის: აბუსერისძე, ბეჟანიძე თუ დიასამიძე, ამაზე საბოლოო პასუხი მომავალმა მკვლევარებმა უნდა გასცენ.*



ხუსეინ-ბეგ სეფერის ძე
ბეჟანიძე
ჩაქვი (1822–1883)



ხუსეინ აბდულის ძე
ბეჟანიძე
ზენდიდი (1881–1958)

ბეჟანიძეთა ზენდიდური გვარის გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს ქობულეთისა და ჭვანის განშტოებები (თუმცა არააა გამორიხული, რომ ჭვანელი ბეჟანიძეები ამავე თემში მცხოვრები პირმსახურისძე-მსახურაძეთა განაყოფი იყოს).

ზენდიდელ, ქობულეთელ და ჭვანელ ბეჟანიძეთა დამაკავშირებელი შესაძლოა იყოს მუთი-ბეგ თულუმბა ბე-

* მკითხველს და მკვლევარებს ორი ხუსეინ ბეჟანიძე ერთმანეთში ერევათ. მაგ. უფროსი ხუსეინისგან ჩაწერილ, თამარზე მიძღვნილ ლექსს, უმცროსს მიაწერენ, ამიტომ ვაქვეყნებთ ორივეს ფოტოს და ცხოვრების წლებს.

ჟანიძის თანამედროვე (შესაძლოა, ძმა) **ალი-ბეგი**, რომელიც ითვლება ბეჟანიძეთა მამამთავრად როგორც ქობულეთში, ასევე ჭვანაში (იხ. გენეალოგიური სქემები).

ყველა ისტორიული წყარო და დოკუმენტი იმაზე მეტყველებს, რომ გვარი ბეჟანიძე აჭარაში აღმოცენდა და მთელს საქართველოშიც აქედან გადასახლდნენ ამ გვარის შვილები.

1912 წელს ბათუმის საოლქო წოდებრივმა კომისიამ განიხილა ბეჟანიძეების თხოვნაც და დევრიშ, იბრაიმ, ხემიდ, დედე, ასლან, სულეიმან, ბეხრი, ახმედ, ნური ბეჟანიძეებს, აბდულ, ლიუტფი, თევფიყ, რიზა სულეიმანისძეებს და დურსუნ ბეგიაღის ძეს (ს. ზენდიდი), ოსმან, ნური, მემედ, ჰაიდარ, ჯელილ და შერიფ ბეჟანიძე-ბეჟანოღლებს აღუდგინა რუსეთის თავადის ტიტული და პრივილეგიები.

აზნაურის წოდების აღდგენას თხოულობდნენ ხუსეინ-აღა (ქობულეთი) და ისმაილ-აღა ალის ძე (ჭვანა) ბეჟანიძეე-




**წარწერა აბდულ-ბეგ ბეჟანიძის სახლზე ქედაში**

ბი, სინამდვილეს ადასტურებდნენ მოწმეები და სამოქალაქო რწმუნებულები, მაგრამ საოლქო კომისიამ უარი განუცხადა სათანადო საბუთების უქონლობის გამო, ვფიქრობთ, უარი უფრო პოლიტიკური მოტივებით იყო გამოწვეული.

## ბეჟანიძეთა გვარის გენეალოგიური სქემა (მე-12-18 ს.ს.) №1



## ბიბინეიშვილი

აჭარის თავადებს მიეკუთვნებიან სოფელ ერგეში მცხოვრები ბიბინეიშვილები. ამ საკმაოდ მცირერიცხოვანი გვარის წარმომადგენლები ახლაც ცხოვრობენ თბილისში, ოზურგეთში, ჩოხატაურში, ბიბინაძეები – ფუშრუკაულში (ხულოს რ.), ბიბინიძეები – ქობულეთში, ხონში, დედოფლისწყაროში. ჩვენი აზრით, ამ გვარის ფუძე უნდა იყოს ბიბილა – მამაკაცის სახელი, რომელიც რამდენჯერმე დაფიქსირებულია „ტბეთის სულთა მატეანის“ მე-14-15 საუკუნეების ხელნაწერებში (ტექსტი მოამზადა, გამოკვლევა და საძიებელი დაურთო **თინა ენუქიძემ.** გამომცემლობა „მეცნიერება.“ თბილისი. 1977). „სულსა ეგნატეთ იოვანესასა და მეტეხელისშვილისა, არსლანიშვილისა ბიბილასა, მურუყასა და მეუღლესა მისისა შეუნდვენ ღმერთმან“ (გვ. 86); „სულსა... ბიბილასა და მარიამისასა შეუნდვენ ღმერთმან“ (გვ. 88); „სულსა მიმინოსძისა ბიბილასა და მისისა ძმისა მახარებლისა და მისისა მეუღლისა ნათელისასა შეუნდვენ ღმერთმან“ (გვ. 108).

პავლე ინგოროყვა ბიბილა-ს ძველ ქართულ სახელად თვლის, მეცნიერს არსად არ აქვს ნახსენები ბიბინა (**პ. ინგოროყვა**. თხზულებანი. ტ. 1. გვ. 720).

საკუთარი სახელი ბიბინა ჩვენც არ შეგვხვედრია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ბიბინეიშვილის ფუძე უნდა იყოს ბიბილა, წინამორბედი გვარი ბიბილეიშვილი, რომელიც დროთა განმავლობაში ბიბინეიშვილად გადაკეთდა.

აჭარის გათავისუფლების პირველ წლებში საზოგადოებრივ ასპარეზზე ჩანს სოფელ კახაბრის მცხოვრები და მიწათმფლობელი **დურსუნ-ბეგ ომერის ძე ბიბინეიშვილი** (ბიბინ-ზადე). მას ოსმალთა ჯარში სოლ-აღასის (მაიორი) წოდება ჰქონდა და ასრულებდა ბატალიონის უფრო-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სის მოადგილის მოვალეობას, შემდეგ კი აქტიურად ჩაება სამოქალაქო ცხოვრებაში (**ხარიტონ ახვლედიანი**. ნარკვევი აჭარის წარსულიდან. ბათუმი. 1944. გვ. 202).

1882 წლის დასაწყისში, როცა ბათუმის ქართულ სკოლაში მაჰმადიანი ქართველი მოსწავლეების რიცხვი შემცირდა და თვით სკოლის გამგე ალექსანდრე ნანეიშვილიც იძულებული იყო განეცხადებინა, რომ სკოლა დავხუროთო, ბათუმელმა ბეგებმა, მათ შორის იბრაიმ, დურსუნ და ხუსეინ აბაშიძეებმა, **დურსუნ ბიბინეიშვილმა**, აგრეთვე შაინ ბოლქვაძემ, ხასან ქიქავამ, ხასან და ხუსეინ ბაკურიძეებმა, მერჯან მარშანიამ, რეჯებ შაშიკაშვილმა (1854-1921) და სხვებმა კატეგორიულად მოითხოვეს სკოლის ბათუმში დატოვება და პირველ რიგში იმ მიზეზების აღმოფხვრა, რამაც გამოიწვია მოსწავლეთა რიცხვის შემცირება.ამ მოწოდებას მხარი დაუჭირა **სერგეი მესხმა** (წერილები აჭარაზე. შეადგინა **რამაზ სურმანიძემ.** ბათუმი. 2000. გვ. 3).

ჩვენთვის უცნობია ვინაობა თურქეთში დაკრძალული **მერის (ალბათ მერი, რ. ს.) ბიბინეიშვილისა**, ასევე არ ვიცით მისი თურქეთში გადახვეწის მიზეზი (**თამარ პაპავა**. გაბნეული საფლავები. თბილისი. 1990. გვ. 120). რაც შეეხება **ომერს**, მის შესახებ ქვემოთ მოგითხრობთ.

ბიბინეიშვილთა რამდენიმე წარმომადგენელი აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. სახელმწიფო სამსახურში ყოფილა **ჰაიდარ ბიბინეიშვილი.** 1909 წლის მონაცემებით, ის პოლიციის დაცვის ოფიცერია, პრაპორშჩიკის წოდება აქვს და ბათუმის საოლქო სამმართველოში თარჯიმნის მოვალეობასაც ასრულებს (Кавказский календарь. 1910 г. стр. 323).

1911 წელს ბათუმის ოლქის წოდებრივ კომისიას თხოვნით მიმართეს ერგეს მცხოვრებლებმა **დურსუნ-ბეგმა და მისმა შვილმა ხუსეინ-ბეგ ბიბინეიშვილებმა**, რათა მათთვის მიენ-

იჭებინათ თავადის წოდება. დურსუნ-ბეგმა წარმოადგინა ბათუმის ოლქის უფროსის ცნობა. მასში ნათქვამია, რომ მას რუსეთის ადმინისტრაციისთვის 1881 წელს ჩაუბარებია თურქული საბუთი „ბუირუთი,“ რომლითაც დადასტურდა, რომ ის იყო თურქეთის არმიის ოფიცერი (ბინ-ბაში) და ჰქონდა ბეგის წოდება. ეს საბუთი წაუღია ბათუმის ოკრუგის უფროსს, პოლკოვნიკ **გასპარ სტეპანოვს** (1837-?) და აღარ დაუბრუნებია.

თავის განცხადებაში დურსუნ-ბეგ ბიბინეიშვილი აღნიშნავს, რომ 45 წლის წინ, ე. ი. 1866 წელს მისი მამა ომერი წავიდა თურქეთში და იქვე გარდაიცვალა. სხვა ფასეულობებთან ერთად დაიკარგა ბეგის წოდების დამადასტურებელი ფირმანებიცო.

საოლქო წოდებრივმა კომისიამ სწორად ცნო მამა-შვილის განცხადებაში მოტანილი არგუმენტები და დურსუნ-ბეგს მიანიჭა რუსეთის თავადის პირადი წოდება, ხოლო მის შვილს ხუსეინ-ბეგს რუსეთის საპატიო მოქალაქის საპატიო წოდება შთამომავლობით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ჩეკისტთა მიერ ფარულ თუ აშკარა დევნას ვერც ბიბინეიშვილები გადაურჩნენ. 1923 წელს შედგენილ სიაში მოხსენიებულ მემედ-ბეგ, სალი-ბეგ, რიზა-ბეგ და რემზი-ბეგ ბიბინეიშვილები თურქულ ორიენტაციაში დაადანაშაულეს და, ბუნებრივია, მათზე განსაკუთრებული მეთვალყურეობაც დააწესეს. 1937 წელს კი ფიზიკურადაც გაუსწორდნენ. მარტო ბათუმში ამ გვარის სამი პიროვნება დახვრიტეს, მათ შორის 20 წლის გოგონა გულიზარ ისკენდერის ასული ბიბინეიშვილი.

თურქეთში გადახვეწილი **ხუსეინ და ჰაიდარ ბიბინეიშვილები** რამდენიმე წლის შემდეგ სტამბოლში დასახლდნენ. პროფესორმა **შუშანა ფუტკარაძემ** საფუძვლიანად შეისწავლა მათი ცხოვრება-მოღვაწეობა და აღნიშნა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა



**დგანან მარცხნიდან: სულეიმან (სული-ბეგ) ბიბინეიშვილი**
**მამუდ ბიბინეიშვილი**
**მემედ-ბეგ თავდგირიძე**
**სხედან: ოსმან თავდგირიძე**
**ჰაიდარ-ბეგ ბიბინეიშვილი**

ისინი მეგობრობდნენ ქართველ კათოლიკებთან, ბინაც კათოლიკური ეკლესიის ახლოს, შიშლის უბანში გაიჩინეს. ხუსეინის ვაჟი იუსუფი დაუახლოვდა ნოე ჟორდანიას მთავრობის წევრებს, რომლებიც ერთხანს სტამბოლში ცხოვრობდნენ, მეგობრობდა სანდრო მენაღარიშვილთან, რომელიც ხელმძღვანელობდა საქართველოს ეროვნული გათავისუფლების ორგანოს („სერგო“) სტამბოლის ბიუროს. იუსუფ ბიბინეიშვილი ამ ორგანიზაციის აქტიური წევრი იყო (გაზ. „ფესვები“. სელიმ ხიმშიაშვილის საზოგადოების ორგანო. № 1, ნოემბერი. 2005. გვ. 7). ხუსეინ და ჰაიდარ ბიბინეიშვილების შთამომავლობა 2003 წლის ივლისში ბათუმში გვეწვივნენ.

სტუმართა შორის იყვნენ ჰაიდარ-ბეგ ბიბინეიშვილის ქალიშვილი აჟლანი, მისი მეუღლე ბეჰზად კავკასლი-ერისთავი (თორნიკე ერისთავის პირდაპირი შთამომავალი) და მათი ქალიშვილი, ექიმი-გინეკოლოგი აიშე კავკასლი-ერისთავი. 2009 წელს ჰაიდარის ასულს აჟლან ბიბინეიშვილს, გურამ ხიმშიაშვილთან ერთად ამ სტრიქონების ავტორი ეწვია სტამბოლში.

## ომერ ბიბინეიშვილის შთამომავალთა გენეალოგიური ხე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დიდი თავადი თავდგირიძე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე

თავდგირიძეთა თავადური გვარის პირველი წარმომადგენლები **ფოცხუერი და ამირა** XIV-XV საუკუნეებში მოღვაწეობდნენ (**ს. კაკაბაძე.** კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ. ტფილისი. 1920. გვ. 7. **ე. თაყაიშვილი.** არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები. I. ტფილისი. 1907. გვ. 75); სამხრეთ-საქართველოს ისტორიის მასალები (მე-15-16 საუკუნეები) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევები და საძიებლები **ქრისტინე შარაშიძისა**. თბილისი. 1961. გვ. 33).

**იოანე ბატონიშვილი** ცდილობს დაადგინოს გვარის ეტიმოლოგია, მიუთითებს აგრეთვე მათს პირველმოსახლეობას და სხვაგან განსახლებასაც. მისი თქმით, „თადგირ“ იყო „თავადი ბუზმუნიელთა, ვანის მხარეს. წელსა 1211-ს... ამათი გუარი მოვიდა მეფისა თანა ახალციხეს და მიიღო თავდგირიძედ. რომელნიმე დაშთენ ახალციხეს და ზოგნი რომელნიმე დაესახლნენ გურიას“ (ხელნაწერთა ინსტიტუტის ფ. 5, № 3.29, გვ. 119).

გვარის მამამთავრის „მეფესა თანა“ ახალციხეს მოსვლა შემთხვევითი არ იყო, ამ ოჯახის რაღაც დიდ აღზევებასთან უნდა გვქონოდა საქმე. როგორც ჩანს, ეს მართლაც ასეა. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში ინახება საბუთი, რომელშიც ნათქვამია, რომ თავდგირიძენი არიან თაქთაქიშვილთა წინაპარნი: „სამცხესა შინა მათ სჭერიათ სამფლობელოთ თვით ახალციხე, ფოცხისი (ფოცხოვი, რ. ს.) ხეობითა აჭარით, ლიონით (ლივანით, რ. ს.) ოლთ-ნარიშნით და აქვნდათ ორიცა მონასტერი საფარა და ვარძია თავისი ხეობითა და იყო მთავარი და უპირველესი სამცხისა და იდგა თვით ახალციხისა შინა, რომელსა ეწოდა სახელი იოვანე ახალციხელ.

მხოლოდ ქართლისა კერძოსა ეპყრა ციხე ხეობასა შინა ჯვრვისა რველისა ხეობით და სოფლებით, რომელსაც დღეს მფლობელობენ ხეობისა ციხესა და სოფლებთა. იოვანე ათაბაგი თავდგირიძე, ფარსადან ათაბაგი თავდგირიძე“ (საბ. № 158-გ).

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ახალციხეს თავდგირიძეთა გვარი მეფე თამართან ერთად მოსულა. დედოფალს მისთვის უბოძებია თითქმის მთლიანად მთელი სამხრეთი საქართველო: აჭარა, ლივანა, ოლთისი, აგრეთვე იმ დროს უდიდესი მონასტრები საფარა და ვარძია. ქართლის სოფლები ციხე-სიმაგრეებით, რაც მთავარია, ივანე და ფარსადან ათაბაგები, რომლებსაც ეპყრათ ეს დიდი სახელო, თავდგირიძეებად იხსენიებიან.

თავდგირიძეების სამცხიდან მოსვლას ადასტურებს **ვახუშტიც**. მისი ცნობით: „...გურიას გურიელი, იგიცა თვით ჰფლობს და იტყვის ვარდანისძეობას, და სხუანი მის ქუეშენი არიან ესენი: თავდგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდამ, შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთიდამ, ბერიძე, კვერღელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხუანი, ეგრეთვე აზნაურიცა“ (ქართლის ცხოვრება. 1. თბილისი. 1973. გვ. 35, 37. გამოსაცემად მოამზადა **სიმონ ყაუხჩიშვილმა**).

**იოანე ბატონიშვილის** ცნობიდან ო. სოსელიას სარწმუნოდ მიაჩნია გვარის წარმომავლობა „თადგირი“-დან და რომ სამცხიდან წამოსული თავდგირიძეები, „რომელნიმე დაესახლნენ გურიას.“ მათ პირველ წარმომადგენლებად ავტორს მიაჩნია გიორგი და მირზაბეგ თავდგირიძეები, რომლებსაც 1664-1684 წლებში გიორგი III გურიელმა უბოძა მაჭუტაძისა და მელიმონაძის ბეითალმანი მამული აჭყვისთავს, ჭახათს, ჩაქვს, აცანასა და ქობულეთში (**ოლღა სოსელია**. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. წ. II. თბილისი. 1981. გვ. 177, 178).

ვახუშტის ცნობით, მე-17 საუკუნის მიწურულს თავდგირიძეებს ეჭირათ ბათუმის მხარე და გონია. მათს სამფლობელოში შედიოდა ხინო, მისი საეპისკოპოსო კათედრითა და სამწყსოთი, აგრეთვე ქობულეთი და ალამბარი, სადაც ჰქონდათ საგვარეულო ციხე-სიმაგრე (იქვე. გვ. 179).

მომდევნო წლებში თავდგირიძეები კიდევ უფრო აღზევდნენ. მე-19 საუკუნის პირველ მესამედში, სამთავროს გაუქმებამდე, გურიელის კარზე მათ ეჭირათ ბოქაულთუხუცესის, მდივანბეგისა და სარდლის მაღალი თანამდებობები.

თავდგირიძეებმა დაარღვიეს გურიელებთან ვასალური დამოკიდებულების პირობა, რის გამო გურიელმა მათ ჩამოართვა ბათუმის მხარე, მაგრამ თავდგირიძეთა გვარის ორმა წარმომადგენელმა ისლამი აღიარა და სულთანის დახმარებით კვლავ დაიბრუნა ჩამორთმეული ტერიტორიები. **დიმიტრი ბაქრაძის** ცნობით, 1718 წელს სანჯაყ-ბეგებმა ახმედ და მუსტაფ თავდგირიძეებმა სულთან-მაჰმუდისგან* სამკვიდროდ მიიღეს ბათუმი, ანარია, ქისატური (მასაური – ?), ახალშენი, ყოროლისთავი და სამება. მათვე უბოძეს ლიმანის თევზის სარეწი და მდინარე ჭოროხში ნაოსნობის ბაჟი. ამ გულუხვობით ოსმალეთმა ეს მხარე საქართველოს ჩამოაშორა (**Дм. Бакрадзе**. Историчуский очерк турецкой системы землевладения. Протоколы Кавк. Юрид. Общ-ва, №9, 1889. с. 13, 14).

როგორც ჩანს, თავდგირიძეთა სამფლობელო ციხე-კოშკებისა და ეკლესიების რაოდენობა ზემოთქმულითაც არ ამოიწურებოდა. ამაზე მეტყველებს საქართველოს ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ერთი 4-ფურცლიანი საბუთი, ე. წ. „თავდგირიძის ქორანიკონი" (S-კოლექცია), რომლის შედგენა 1744 წელს დაუწყიათ და 1844 წელს დაუმ-

* უნდა იყოს ახმედ III, რომელიც ფადიშაჰად იყო 1703-1730 წწ. ხოლო მაჰმუდ I-ს სულთნობა გადაეცა 1730 წელს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავრებიათ. ასწლოვანი საბუთის 1744 წლის პირველივე ჩანაწერი გვაუწყებს, რომ „...ამა ქორანიკონსა მოიყვანა თავდგირიძემ გიორგი შარვაშიძის ქალი. აღდგომა და ხარებაი სწორა იყო. კინტრიშს სასახლეში ქორწილი იყო, ფაშათ ერთი ძმა იყო შარვაშიძე რიონისა და ჭანეთის რიზ-ინს (რიზეს ლაზური სახელია, რ. ს.) ამოღმა მეორე ძმას ბათომის ბეგობაი ჰქონდა და მესამეს სოხუმის ბეგობაი ჰქონდა."

ამ მცირეოდენი ჩანაწერით შეიძლება მრავალი ისტორი-ული ფაქტის დადასტურება:

– მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოს შავ-იზღვისპირეთი მთლიანად ოსმალეთს ეპყრა;

– ამ რეგიონის ყველა დიდ ქალაქს და აჭარა-ლაზე-თის სანაპიროს ქართველი ფაშა და ბეგი შერვაშიძეები ფლობდნენ;

– კინტრიშს (ჩვენ აზრით, ეს უნდა იყოს სოფელი ქობუ-ლეთი ან ალამბარი) თავდგირიძეებს ედგათ სასახლე;

თავდგირიძეებისა და შერვაშიძეების დიდ გვარებს ჰქონ-დათ ახლო ნათესაური ურთიერთობა (შ-კოლექცია, საბუთი №1700).

ჩვენთვის კიდევ უფრო საინტერესოა. ქორონიკონის ის ნაწილი, სადაც ავგაროზის სახით წარმოდგენილია „ლოცვაი ყოვლისა სენისა მკურნალი" და ჩამოთვლილია წმინდა გიორგის ეკლესიების ადგილსამყოფელი, თითქმის მთელი დასავლეთი საქართველოს 31 საკულტო ცენტრი, მათ შორის, როგორც მოსალოდნელი იყო, ზღვისპირა აჭარ-ის სოფლები: ჯიხანჯური, აჭი, ხუცუბანი, დაგვა, ჩაქვი, აჭყვისთავი. აქვეა მთიანი აჭარის სოფლებიდან ერთადერთი „წმიდა გიორგი ჭვანისა," რაც იმაზე მეტყველებს, რომ 1744 წლისთვის ჭვანაში ჯერ კიდევ მოქმედებდა ეკლესია, ხოლო ახალციხიდან გადმოსულ თავდგირიძეებს სამფლობელოე-

ბი ჰქონდათ არა მარტო ქვემო (მახუნცეთი) და ზღვისპირა აჭარაში, არამედ იმერხევსა და ზემო აჭარაში.

ეს მოსაზრება კიდევ უფრო განამტკიცა ჩვენს მიერ ახლახან მიკვლეულმა საბუთმა, რომლითაც დასტურდება, რომ ზემო აჭარის (ახალდაბის, რ. ს.) მცხოვრებლები, **ემინ-ბეგ და თუფან-ბეგ თავდგირიძეები** ფლობენ სოფელ ვარჯანაულში მიწებს და თხოულობენ რუსეთის ხელისუფლებამ აღიაროს ისინი თავადებად (აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი. 1201X1 ფ. 50. 1912 წ.).

ჩვენთვის ეს საბუთი იმითაცაა საინტერესო, რომ ჭვანის წმიდა გიორგის ეკლესია სწორედ სოფელ ვარჯანაულში, თავდგირიძეთა მამულში იდგა და როგორც ირკვევა, მათი საგვარეულო კუთვნილება იყო.*

ახალციხიდან თავდგირიძეთა გურიაში მოსვლა ეჭვს არ იწვევს. დადასტურებულია გურიიდან მათი მიგრაცია ქობულეთშიც, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით, აჭარისწყლის ხეობაში თავდგირიძეები უშუალოდ სამცხიდან მოვიდნენ გიორგი სააკაძესთან ერთად. შესაძლოა ესენი გურიაში დამკვიდრებულ დიდფეოდალთა ერთ-ერთი განშტოება იყოს.

**ახმედ-ბეგ თავდგირიძე** ერთ-ერთი მდიდარი და დიდი გავლენის მქონე ფეოდალი იყო საქართველოს შავიზღვისპირეთში. მის სახელთან დაკავშირებულია ქართლის მეფე გიოგი VI-ის დრამატული ისტორია. ის ცდილობდა იმერთის ტახტს რუსეთში გადახვეწილი მისი ძმა არჩილი დაუფლებდა. გიორგიმ მართლაც ჩამოიყვანა იგი საქართველოში, მაგრამ ძმებმა განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს. არჩილი

---

* თუმცა მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ ზოგჯერ ჭვანის მაგივრად თემის ცენტრად ვარჯანაული (მეჩეთის მიმდებარე ტერიტორია) ითვლებოდა. შესაძლოა თავადმა თადგირიძეებმაც თავის საცხოვრისად ეს პუნქტი მიუთითეს.

გადავიდა დიდგორს და იქ დაბინავდა, ხოლო გიორგი XI მამია გურიელს შეეხიზნა. ცრუ მოენეებმა გურიელი დაარწმუნეს, რომ გიორგი მეფეს გურიის ხელში ჩაგდება სურსო, რის გამო გურიელმა მისი მხლებლები შეიპყრო, ხოლო თვით მეფემ გონიოში ახმედ-ბეგ თავდგირიძეს შეაფარა თავი. მასპინძელმა იგი დიდი პატივით მიიღო (**მიხეილ რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო. თბილისი. 1989. გვ. 139, 140). ეს ამბები 1688-1690 წლებში მოხდა.

გიორგი XI-ს ოსმალეთში გახიზვნის დეტალებს ეხება **ვახუშტი** და ამბობს: „...გიორგი მეფე წარვიდა გურიას და გურიელმან მამიამ ისტუმრა პატივითა დიდითა. არამედ მთავართა გუნებურთა უმეტეს და მეფეცა ნიჭვიდა მათ. ამისათვის აზრახეს მამიას: „ნებავს გურია გიორგი მეფესა თვისად." არამედ მამია ვინაითგან ყრმა იყო, ისმინა მათი, რომელნიმე შეიპყრნა და სხვანი უპატიო ჰყვნა. ამის მხილველი გიორგი მეფე წარვიდა გონიას, მოეგება თავდგირიძე აჰმედ-ბეგ, რამეთუ იყო გამაჰმადიანებული და დიდითა პატივითა დაასადგურა და წარსაგებლითა თვისითა უმასპინძლებდა რაოდენსამე ჟამსა" (ვახუშტი. ქართ. ცხოვრება. IV. გვ. 852).

გამაჰმადიანებულ და ქრისტიან თავდგირიძეთა შორის არსებულმა შფოთმა ოსმალეთს გაუადვილა ქართული მიწების ხელში ჩაგდება.

გურიელის დახმარებით აკეთში დასახლებული თავდგირიძეები, რომელთაც აქ ახალი სათავადო შექმნეს, ცდილობდნენ ოსმალთა მიერ მიტაცებული ტერიტორიების დაბრუნებას. ამ საკითხს მრავალი ისტორიკოსი შეეხო, რომელთა უმრავლესობა თვლის, რომ „სწორედ ამიტომ დაავალა თურქეთის მთავრობამ აჭარის ბეგს **აბდულ ხიმშიაშვილს** აკეთში გადმოხიზნული ქრისტიან თავდგირიძეთა სახლის განადგურება. 1784 წლის დამდეგს აბდულ-ბეგი მრავალრიცხოვანი ჯარით თავს დაესხა აკეთს. ამ განსაცდელის

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჟამს თავდგირიძეებს მეზობელი თავადი **გიორგი გუგუნავა** მიეშველა. გაერთიანებული ძალებით თავდამსხმელები დაამარცხეს. აბდულ-ბეგი ბრძოლაში დაიღუპა“ (**ო. სოსელია.** იქვე. გვ. 183).

**თედო სახოკია** გურიაში მოგზაურობისას იმოწმებს იქაურ მთხრობელებს და წერს, თითქოს აბდულ-ბეგი მამუკა თავდგირიძესთან პირისპირ შებმისას დაიღუპა (მოგზაურობანი. თბილისი. 1950. გვ. 73). ივერიის“ კორესპონდენტი **დ. აკეთელი** უფრო აზუსტებს აბდულ-ბეგის დაღუპვის ფაქტს და ამბობს, რომ აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილმა აკეთში ლაშქრობის დრო ჯარის უფროსი, გვარად **ცხოიძე** ხმლით შუაზე გაკვეთა, მაგრამ შემდეგ თვითონ გახდა **იესე პატეიშვილის** თოფის მსხვერპლიო (გაზ. „ივერია“. № 195. 1891).

ჩვენი აზრით, ძმათა შორის სისხლის ღვრის ეს ცნობა უფრო სარწმუნო უნდა იყოს.

ამ მოვლენის გაგრძელებას თითქოს წარმოადგენს იმერეთის მეფე **სოლომონ პირველის** ლაშქრობა ციხისძირ-ჩაქვში; მეფეს მამუკა თავდგირიძის დახმარება ჰქონდა მიზნად და მისი გალაშქრება აბდულ-ბეგის თავდასხმით იყო გამოწვეულიო.

სამწუხაროდ, მკვლევარებს არეული აქვთ თარიღები, ამიტომ თვით ისტორიული ფაქტიც შეცდომითაა შეფასებული. ჯერ ერთი, აჭარაზე სოლომონ პირველმა 1781 წლის ზაფხულშიც გაილაშქრა.მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია, რადგანაც აჭარაში შეჭრა ბუნებრივი ზღუდეების გამო ძნელი აღმოჩნდა (**მ. რეხვიაშვილი**. იმერეთის სამეფო. თბილისი. 1989.გვ. 271); მეორეც, სინამდვილეში ჯერ სოლომონ პირველმა დალაშქრა ქობულეთი, ციხისძირი და ჩაქვი. თანაც გაუგონარი სისასტიკით: „მეფის ბრძანებით გაჟლიტეს ჩამოსახლებული თურქები, ნაქალაქარი გადახნეს და მარილი მოაყარეს – ჩაქვის ბრძოლა მოხდა 1784 წლის 9 მარტს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

იმავე წლის 23 აპრილს, დღის 2 საათზე, როცა სოლომონ მეფე გიორგობის დღესასწაულზე ხონში მიდიოდა, ცხენზე ამხედრების დროს უეცრად გადმოვარდა და გარდაიცვალა" (**მიხეილ რეხვიაშვილი**. იმერთა მეფენი. გამომცემლობა „სარანგი." ქუთაისი. 1992. გვ. 140, 141). ჩაქვის ბრძოლაში სოლომონი სასტიკად დამარცხდა.ამიტომ მისი მემატიანეები თვლიან, რომ მეფე ამ მარცხის ელდას გადაჰყვაო.

ახლა ვნახოთ როდის ილაშქრა აკეთს აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილმა. შემოქმედის მონასტერში **დიმიტრი ბაქრაძეს** გააცნეს ერთი ქრონიკა, რომლის ქვეშ მოყვანილია ცნობა: „ჩღპდ წელსა, მაისის კთ-ს აბდულ-აღა ხემშიაშვილი მოკლეს აკეთს." ისტორიკოსმა გაშიფრა ეს თარიღი და თავის წიგნში ჩაწერა: „1784 г. 29 мая. Абдул-ага химшиашвили (отец Селим-паши) убыт в Акети" (Ар. пут. в Гур. и Аджар. с 154; Tedo Jordania. qronikebi. III. 1967. gv. 389).

სხვათა შორის, თედო ჟორდანიას ამ ფაქტზე სხვა საბუთიც, კერძოდ, **გაბრიელ მახარაძის** „მატიანეც" ჰქონია, რომელშიც იგივე თარიღი მეორდება: „ჩღპდ – მაისის კთ დღესა (1784 წ. 29 მაისს, რ. ს.) აბდულაღა ხემშიაშვილი მოკლეს. აბდულ-აღა იყო თათარი და ქრისტიანებს ხოცვიდა" (იქვე, გვ. 492, 654).

ამგვარად, შეიძლება დადასტურებულად ჩაითვალოს, რომ ქრონოლოგიურად ჯერ მეფე სოლომონმა ილაშქრა ჩაქვსა და ქობულეთ-ციხისძირს, ხოლო ამის პასუხი იყო აბდულ ხიმშიაშვილის თავდასხმა აკეთზე, როცა სოლომონი უკვე გარდაცვლილი იყო, თუმცა გამორიცხული არაა, რომ აბდულ-ბეგს მართლაც სურდა თავდგირიძეთა დარბევა. ფაქტია, რომ სოლომონის მარცხის გამო **მამუკა თავდგირიძე** ქობულეთს ვერ დაეუფლა. ამისთვის აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილის დამარცხება საკმარისი არ აღმოჩნდა. მამუკა შეეგუა ამას. უფრო მეტიც, პირველი ცოლი, აგრეთვე ვაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მაქსიმე** მძევლად დაუტოვა ოსმალებს, რომელიც შემდეგ გამაჰმადიანდა და **სულეიმან-ბეგად იწოდა**.

ეს ამბები 1786 წელს მომხდარა. ამის შესახებ გენერალი **სიმონოვიჩი** გენერალ **ტორმასოვს** 1811 წლის 8 სექტემბრის ოფიციალური წერილით აცნობებდა, რომ 25 წლის წინ, ე. ი. 1786 წელს ბათუმი, ჩაქვი, ციხისძირი, ქობულეთი და ხინო გურიელს ჩამოერთვა იმასთან დაკავშირებით, რომ თავდგირიძემ ისლამი აღიარა და თურქეთის ქვეშევრდომი გახდაო (АКАК. т. 4, с. 448).

**ზაქარია ჭიჭინაძე** აღწერს გურიელებისა და ქობულეთელი თავდგირიძეების ურთიერთობას და აღნიშნავს, რომ თავდგირიძეები იმდენად გაულაღდნენ მთავარს, რომ თავად ისურვეს გურიელობა და ამ ნიადაგზე მათ შორის დიდი შუღლი ჩამოვარდაო. ავტორის თქმით, მამუკა თავდგირიძე, რომელსაც ცოლად სოლომონ პირველის ქალი ჰყავდა, ახალციხეში ფაშას ეახლა და ერთგულება გამოუცხადა, სამაგიეროდ, ფაშამ მას აჭარაში მამულები აჩუქა, რის შემდეგ ზოგი თავდგირიძე მახუნცეთს დასახლდა. ეს ამბები კი 1760-1770 წლებში მოხდაო (**ალი-ფაშა თავდგირიძე**. ახალ-სენაკი. კ. თავართქილაძის სტამბა. 1896. გვ. 15, 16).

ზაქარია ჭიჭინაძისავე ერთ ცნობაში ნათქვამია, რომ „მახუნცეთის სასაფლაოზედ ერთი ქვა აჩენს, რომ თავდგირიძეები, ქობულეთიდან გამოსულნი აქ მოსულან 1760 წელს გათათრებულნი“* (მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. თფილისი. 1913. გვ. 123).

აჭარაში მცხოვრებ თავდგირიძეთაგან თავადის პრივილეგიებით სარგებლობდნენ ს. ახალდაბას მცხოვრები თავდ-

* ეს შეუსაბამო ტერმინი **ზაქარია ჭიჭინაძემ** ბევრ თავის ჩანაწერში გამოიყენა, რის გამო მეგობრებისგან (ჰაიდარ აბაშიძე, დიმიტრი მიქელაძე) მკაცრი შენიშვნები მიიღო.

გირიძეები, რომლებიც, ჩვენი აზრით, მახუნცეთში დასახლებულ თავდგირიძეთა მეორე შტოს წარმოადგენს.

**სულეიმან-ბეგ (მაქსიმე) მამუკას ძე თავდგირიძეს ცოლად** ჰყავდა ვახტანგ III გურიელისა და მარიამ ზაალის ასულ **ორბელიანის** ქალი **ელენე**; იგი დაკრძალულია სოფელ გვარას, თეთროსნის ნაეკლესიარზე ხუცუბანს ზემოთ. მამუკა იხსენიება 1770-1833 წლების საბუთებში, როგორც ჩანს, მამუკას მაქსიმე (იგივე სულეიმან-ბეგი) ოსმალებისთვის მძევლად დატოვებული პირველი ცოლისგან შეეძინა. მომდევნო შვილები (მეორე ცოლისგან, მაქსიმენიშვილის ქალისგან) კი არიან: გიორგი (ბოქაულთუხუცესი და სარდალი, 1827 წელს გურიის ქვრივი დედოფლის კარზე საბჭოს წევრად დანიშნეს), სოლომონი (1795-1845) – პრაპორშჩიკი, ალექსანდრე – შტაბს-კაპიტანი (1826 წელს იხსენიება გურიის დიდებულთა სიაში), მიზარ-ბეგი, ფრიდონი და ალმასხანი (Князья царства грузинского, **Станислава Думина и Юрия Чиковани**. т. 4. М. 1998. с. 40, 203-205).

თავდგირიძეების მიმართ დიდ ნდობას გამოხატავდნენ ქართული სამეფო კარის დიდებულები, რუსეთის მთავრობამ კი მათ პატივი აჰყარა და უფლებები ჩამოართვა.

1828-29 წ.წ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს ქობულეთელ თავდგირიძეებთან თავს აფარებდნენ და სამეფო ტახტის დაბრუნებისთვის ახალ-ახალი ბრძოლების გეგმებს ადგენდნენ მეფისწულები **ალექსანდრე და ვახტანგ ბატონიშვილები** (**Потто**. Кавказская война. т. 4. Ставрополь 1994. стр. 210, 212, 213).

ქობულეთის ერთ ნაწილს, გურიის სამთავროს მოსაზღვრე ტერიტორიებს სულეიმან-ბეგის შვილი **ასლან-ბეგ თავდგირიძე** ფლობდა. თვითონ სულეიმანი და მისი შვილი **მემედ-ბეგი** (?-1855) თანახმა იყვნენ რუსეთის მხარეს გადასულიყვნენ, მაგრამ ოსმალეთს აქ ძლიერი ჯარი ჰყავდა და ამის განხორციელება გაუძნელდათ.

მემედ-ბეგის მეუღლე იყო ლაზი, ჰაჯი შაინოღლის ქალი, დინდილ-ხანუმი. მათ ჰყავდათ შვილები: ალი (შემდგომში ფაშა), ოსმანი (შემდგომში ტრაპიზონის გუბერნატორი), ხასან-ბეგი და სულეიმან-ბეგი.

ისტორიულ ლიტერატურაში ხასან-ბეგ თავდგირიძის დაღუპვის თარიღები სხვადასხვაგვარია. მკვლევართა აზრები აქ 1-1.5 წლის ფარგლებში მერყეობს. ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს АКАК-ის (კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები. ტ. X. 1885. ტფილისი. გვ. 796-799) ცნობა, კერძოდ, პოდპოლკოვნიკ **ერისტოვის** 1854 წლის 28 მაისის რაპორტი გენერალ-მაიორ **ბრუნერისადმი**, სადაც ნათქვამია, რომ 26-27 მაისის ბრძოლებში „დაიღუპნენ: ეგვიპტის ლივა-ფაშა და ქობულეთის ხასან-ფაშა, რომლის სხეული ჩვენ ხელში ჩაგვივარდა. დაჭრილნი არიან რეშიდ-ფაშა და მოღალატე დათა გურიელი." **შამშე მეგრელიძის** ცნობით, ხასან-ფაშა **ერასტი ჭყონიას** ხელით დაიღუპა, რომელმაც მას „თავი წააცალა" (საქართველო აღმოსავლეთის ომებში. თბილისი. 1974. გვ. 29).

ხასან-ფაშის მოჭრილი თავი ქუთაისში ჩაუტანიათ, რასაც შესწრებია 12 წლის ნიკო ნიკოლაძე:

„იმ წელიწადს (1854) ბრძოლა ჩვენს მხარეზე მარტო გურიაში სწარმოებდა. ჩვენი ჯარი იმარჯვებდა, ქუთაისს მოიტანეს და მთელ ქალაქს აჩვენეს წაკვეთილი თავი **ხასან-ბეგ თავდგირიძისა**, რომლის დამარცხება და მოკვლა იმოდენა სასახელო საქმედ მიაჩნდათ, რომ მისი გაფითრებული თავი ქუთაისიდან დიდის ამბით ტფილისს გაგზავნეს ხალხის საჩვენებლად. იმ ხანებში გურულებმა თავი ისახელეს... როცა შემოსეულ მტერს ჩვენს საზღვრებიდან გარეკდენ, თითონ გადაიჭრებოდნენ ქობულეთში და რაც შეეძლებოდათ, უფრო მეტ ზიანს ატეხდენ თავს. შემოდგომაზე ჩვენი საზღვრები სულ გაწმენდილ იქნა მტრისგან... მარტო ჩვენე-

ბური მილიციის მეოხებით. იმ დროს ეს ღვაწლი დაფასდა... თავათ რუს ხელმწიფისაგან... მერმე მზაკვარმა ჩინის მძებნელებმა ქართველებს რუსეთის ორგულობა შესწამეს“ (**ნიკო ნიკოლაძე**. მოგონებები. 1984. გვ. 34, 35).

ესეც ცარიზმის ჩვეული პოლიტიკა გახლდათ – მძიმე ვითარებაში დახმარების უხვად მიღება, შემდეგ კი რაღაც მაქინაციებით, ჭორითა და ბოროტებით იმ პირთა ჩამოცილება, ვინც ყველაზე მეტად გამოადგათ იმპერიის დამქაშებს.

ხასან-ბეგის მოკვეთილი თავი მეორე ცნობილ ქართველ მწერალსა და პუბლიცისტს **გიორგი წერეთელსაც** უნახავს. იგი უფრო დეტალურად აღწერს ამ მომენტს: „...მ**ემედ-ბეგის შვილებიდან ჰასან-ფაშა** ყირიმის ომის დროს ქობულეთელებს მეთაურობდა. ჩოლოქთან ბრძოლისას გაანადგურეს და მოკლეს. მე თვითონ მახსოვს, მისი თავი საჩვენელად ქუთაისში, სპირტიან შუშის ქილაში რომ ჩამოიტანეს. მაშინ 10 წლისა ვიყავი და კარგად დამახსომდა თურქეთის ფაშის ეს წარმოსადეგი თავი სპირტში, შავი, მოკლედ შეჭრილი წვერით, არწივისებური ცხვირით, ბრიალა თვალებით და რკალისებურად მოხრილი სქელი წარბებით.“ (газ. „Голос“ №55, 24 февраля, 1878. თარგმანი ჩვენია; იხ. აგრეთვე გ. წერეთელი. პუბლიცისტიკა. თბილისი. 1973 წ. გვ. 105).

ოფიციალური საბუთებით დასტურდება, რომ თავდგირიძეთა გვარში იყო მეორე ხასან-ბეგი. ერთ-ერთი საბუთი იუწყება, რომ „ლაზისტანის სანჯაყ-ბეგად დანიშნულია „აჭარის მხარის მკვიდრი, აჭარის მეჯლისის წევრი ხასან-ბეი თავდგირიძე. ლაზისტანის სანჯაყის ნაჰიეთა მმართველებს ევალებათ დაემორჩილონ მას და ხელი შეუწყონ საქმიანობაში.“ საბუთს აქვს თარიღიც – 1869 წელი.

**დიმიტრი ბაქრაძის** ცნობითაც, ხიმშიაშვილების შემდეგ აჭარაში ყველაზე შეძლებულ თავადებად თავდგირიძეები

ითვლებიან. მათ 1873 წლის მდგომარეობით, „თაფის, ანუ დავთრის მიხედვით, 1600 ნაკვეთი აქთ. ნაკვეთის სიგრძე და განი 40-40 ნაბიჯია“ (არქ. მოგზაურობა გურიასა და აჭარაში. თარგმნა არჩილ ტოტოჩავამ. ბათუმი. 1987, გვ. 63).

ნათელი ხდება, რომ არა მარტო აჭარის, არამედ ლაზეთის მმართველობაც, ამ მხარეების საქართველოსთან დაბრუნების წინა წლებშიც, ხელთ ჰქონდათ ქართველ თავადებს – თავდგირიძეებს.*

ალი-ფაშა თავდგირიძეს პირველ ცოლად ჰყავდა ქობულეთელი **ბეჟანიძის** ქალი, მეორე ცოლად **მენაბდის** ქალი შეირთო, ხოლო მისი მესამე ცოლი ქაქუთელი **ქარცივაძის** ქალი იყო. **ზაქარია ჭიჭინაძის** ჩანაწერებში ალი-ფაშა რეაქციონერ პოლიტიკოსად, დაუნდობელ და მოღალატე ფეოდალად იხსენიება. ერთგან ასევეა დახასიათებული მისი ძმა ოსმან-ფაშაც (იხ. მისი ალი-ფაშა თავდგირიძე. გვ. 45, 48). თუმცა მეორეგან ავტორი ოსმან-ფაშას მიმართ ერთობ ლოიალურია და აქებს კიდეც: „...ეს ფაშა ტრაპიზონიდამ წერილებს სწერდა ქართველ მაჰმადიანებს და ურჩევდა, რომ საქართველოდამ ნუ აიყრებითო, ეგ ქვეყანა ძვირფასი ქვეყანაა, თქვენი მამა-პაპის სამშობლოა. ნუ გადმოსახლდებით აქეთ, თორემ ბოლოს ინანებთო. ჩვენ ნუ გვიყურებთ, ჩვენ ფაშები ვართ, ჩვენ დიდ ჯამაგირებს გვაძლევენ და ამიტომ წამოველით აქეთ, თორემ თქვენსავით რომ ვიყოთ, მაშინ ფეხსაც არ მოვიცვლიდით მანდედამო, ყოველთვის ამ აზრის ყოფილა ეს ფაშა...“ (ქართველი მაჰმადიანები. ტფილისი. 1891. გვ. 44).

---

* ამის დამადასტურებელი, ოსმალურ ენაზე გაფორმებული საბუთი, რომლის ქართული თარგმანი ეკუთვნის აწ განსვენებულ **მუხამედ ვანილიშს**, გადმოგვცა თავადმა **როსტომ თავდგირიძემ,** რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ (ავტორი).

ელექტრონული
ბიბლიოთეკა



ქობულელთა რაზმი. შუაში ზის ალი-ფაშა ღავდგირიძე,
მარცხნიდან პირველი დგას დედიაღა ნიჟარაძე

ამ გადაწყვეტილებას **ა. ფრენკელიც** სწორად თვლის, რადგანაც „ოსმან-ფაშას ბათუმში და სხვა ადგილებში აქვს დიდი მიწათმფლობელობა, თვითონ მას მიაჩნია, რომ რუსეთისთვის ცუდი მსახური იქნება“ (გვ. 24).

ოსმან-ფაშა მე-19 საუკუნის შუა წლებში ქვემო აჭარას განაგებდა. 1877-1878 წლებში იგი ბათუმის მუთესარიფი იყო და „აჭარელ ოსმალ-ფაშად იწოდებოდა.“ 1878 წელს თურქეთში გადასახლდა და ტრაპიზონის გუბერნატორი გახდა. რუსეთის მთავრობას მძევლად დაუტოვა თავისი ბავშვი.

ოსმან-ფაშას სახლი და მამული ქედაშიც ჰქონდა. ამას ადასტურებს 1884 წელს აქ მყოფი **ჟან მურიე,** რომელიც წერს, რომ მან ნახა „მთის სამკუთხოვან ქიმზე გაშენებული დაბა ქედა, ოდესღაც ოსმან-ფაშა თავდგირიძის მამული. კოშკებით გარშემორტყმული მისი სახლის ნანგრევები დღესაც მოჩანს კლდეზე“ (ბათუმი და ჭოროხის აუზი. თარგმანი **იზა ლორთქიფანიძისა**. რედაქტორი **იური სიხარულიძე**. ბათუმი. 1962. გვ. 39).

ოსმან-ფაშა ისტორიის სხვა ფურცლებშიც საკმაოდ პროგრესულ პიროვნებად ჩანს. **აპოლონ წულაძის** ცნობით, მან განათლება ტრაპიზონში მიიღო, მაგრამ ერთხანს ბათუმის ქართულ სკოლაში საღვთო სჯულის მასწავლებლად იყო. ქართული წერა-კითხვაც იცისო. მისივე თქმით, ოსმან-ფაშა თავდგირიძეს მშობლიურ სოფელ მახუნცეთში 1912 წელს სკოლა დაუარსებია. „დიდი მოწადინებულია აჭარაში სწავლა და მეურნეობა გავრცელდეს, ჩვენი ერთობა სწამს და მის განმტკიცებას ხელს უწყობს“ (ძმური სიტყვა. ბათუმი. 1991. გვ. 26).

ქართულმა პრესამ კარგად შემოგვინახა **მურად თავდგირიძის**, როგორც გამორჩეული ეროვნული მოღვაწის სახელი. იგი ცნობილი ხასან-ბეგის შვილია. ოსმან თავდგირიძის შემდეგ მის ადგილას, ქობულეთის ჯარის წინამძღოლად

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დევრიშ-ფაშამ მურად-ბეგი დანიშნა. აქედანაც ის დიდ ყურადღებას იჩენდა თანამემამულეებისადმი. ომის დროს ქობულეთის სოფლებში განლაგებულ ქართველ რაზმებს, რომლებიც დაზავებას ელოდნენ, ცხენების საძოვრად ისპანის მინდვრები დაუთმო, ძრიელ პატივს სცემს. მთელი ოსმალოს ატრიადის სურსათი ქობულეთში მიდის და იქიდან ყველას ჯარებს ურიგებსო– წერდა გაზეთი „დროება“ (20 ივლისი, 1878 წ.). იმავე წლის სექტემბერში დევრიშ-ფაშის მიერ გამოგზავნილ 160 სუარი (გამტაცებლები), რომლებიც მოსახლეობას თურქეთისკენ ერეკებოდნენ, მურად-ბეგ თავდგირიძემ ქობულეთიდან განდევნა და ხალხი უაზრო მუჰაჯირობას გადაარჩინა („დროება,“ 21 სექტემბერი, 1878 წ.).

ოსმალეთში გადასახლებულ თავდგირიძეთაგან მრავალი მოღვაწე, სამხედრო და სამოქალაქო პირი გამოვიდა, რომლებსაც საპატიო ადგილები ეკავათ სულთნების კარზე. მასალების სიმწირის გამო ყველა მათგანზე ვერ შევჩერდებით. ერთ-ერთი მათგანი იყო ბაჰრი-ბეგ ასლანის ძე თავდგირიძე, გვარდიის პოლკოვნიკი, რომელიც 1878 წლის ომის შემდეგ გენერალი გახდა და სულთანის კართან დაახლოებულ პირად ითვლებოდა (**ა. ავალიანი**. მიწათმფლობელობის ფორმები აჭარაში. ბათუმი. 1960. გვ. 64).

აქ უნდა დავასახელოთ **ზაქარია ჭიჭინაძის** მიერ მოხსენიებული „საგენერლო შტაბის აფიცრები, პოლკოვნიკები აჰმედ და მაჰმუდ-ბეგები თავდგირიძენი (ქობულეთელები) პარტიის ბურჯად ითვლებიან. აჰმედ-ბეი ამ ათი თვის წინად, „ახალ თურქთა პარტიის მიმხრობისთვის როდოსში დაატყვევეს, მაგრამ მალე გაიქცა პარიზში და იქ პარტიის გაზეთ „მეშვერეთ“-ში მუშაობდა“ (**ზაქარია ჭიჭინაძე**. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. ტფილისი. 1916. გვ. 73).

ალი-ფაშა თავდგირიძის საგვარეულოში მისი შვილები გამოირჩეოდნენ ქართველებისადმი განსაკუთრებული სიმ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პათიით. ოსმალეთის ხელისუფლების წინააღმდეგობების და რეპრესიების მიუხედავად, ისინი ბედავდნენ ქართველ მოღვაწეებთან ურთიერთობას და რისკის ქვეშ აყენებდნენ თავიანთ კარიერას. ერთ-ერთი მათგანია ალი-ფაშის უმცროსი ვაჟი **ქამილ-ბეგი**, დაბადებული 1890 წელს, რომელიც სამსუნში მოღვაწეობდა. იგი 1914 წელს აქ შეხვდა ქართველ ლეგიონერთა ერთ-ერთ მეთაურს **გიორგი კერესელიძეს**, რომელიც თავის ძმასთან ლეოსთან ერთად ის-ის იყო აყალიბებდა ქართულ ლეგიონს (ჟ. „თანამემამულე,“ №3, 2009 წ. გვ. 25-27).

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში გადასახლებულ თავდგირიძეთა არისტოკრატიული ოჯახის შთამომავალია თანამედროვე თურქი მწერალი **ჰალდუნ თანერი**, რომელმაც 2004 წელს გამოსცა საინტერესო წიგნი „აწვიმდა სტამბოლს“ (ქართულად თარგმნა **ლია ჩლაიძემ**). თანერი დაიბადა 1916 წელს სტამბოლში. მამა სტამბოლის უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი იყო და, როგორც ამბობენ, ქართულადაც ლაპარაკობდა.

მეფის სატრაპების მხრიდან უმადურობის მკაფიო გამოხატულება იყო 1915 წელს ხიჭაურში ადგილობრივ მკვიდრთა მიმართ გათამაშებული ტრაგედია, რომელიც ზემო აჭარის სოფელ ახალდაბის მცხოვრებ თავდგირიძეების ოჯახს შეეხო. საქმე კი ასე დაიწყო:

1913 წლის დასაწყისში ხელოსნებისა და მათხოვრების სახელით აჭარაში შემოვიდნენ თურქეთის აგენტები, რომლებიც მოსახლეობაში, მათი თქმით, რელიგიურ და ანტირუსულ აგიტაციას ატარებდნენ, მაგრამ ეს საუბრები თურქეთის ჯარის მოსალოდნელ შემოჭრასთან დაკავშირებული და საბოლოოდ ქართველი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული.

აჭარის მოსახლეობა აღაშფოთა თურქეთის ემისრების ამ მოქმედებამ. ხალხმა სოფლებიდან ამოირჩია მოწინავე კაცები, რომლებსაც დაევალათ რუსეთის ხელისუფლებისთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ეცნობებინათ არსებული ვითარება და ხელი შეეშალათ ჯარის შემოჭრისთვის. მოსახლეობის წარმომადგენლებმა: **ალი-აღა სირაძემ** (დიდ-აჭარა), **მამულაძემ** (თხილვანა), **ქელეშ-აღა გაბაიძემ** (ხიხაძირი), **ხასან მახალაკიძემ** (დარჩიძეები), **თუფან-ბეგ თავდგირიძემ** (ახალდაბა), **შახველედ დიასამიძემ** (ჩანჩხალო), **იუნუს-აღა ბერიძემ** (ფურტიო), **სულეიმან ბოლქვაძემ** (ალმე), **ემინ-ეფენდი ქარცივაძემ** (ოლადაური) და კიდევ სხვა სამმა პიროვნებამ რუსეთის ხელისუფლებას მიართვეს წერილი, რომლითაც მთავრობას აცნობებდნენ შემდეგს: ცნობილი გახდა, თურქეთის განზრახვა – აჭარას შემოუსიოს ჩეთნიკები, რასაც მოჰყვება დიდძალი ჯარის შემოსვლა, ამიტომ გლეხობის სახელით მოვითხოვთ დროულად გაამაგრონ საზღვრები, რაშიც ჩვენ მივიღებთ მონაწილეობასო.მოსახლეობის რწმუნებულები ხელს აწერდნენ ამ საბუთს და ზოგი მათგანი პირადი ბეჭდის დასმითაც ადასტურებდა თავის მოსაზრებას.*

როგორც ჩანს, მთავრობამ ამ გაფრთხილებას ყურადღება არ მიაქცია, რის გამო აჭარაში ჩეთნიკებიც შემოვიდნენ. ამასობაში პირველი მსოფლიო ომიც გაჩაღდა. თავისი დაუდევრობა და უსუსურობა რომ მიეჩქმალა და საკუთარი ტყავი გადაერჩინა, ბათუმის ოლქის ხელმძღვანელობამ მთელი სიმძიმე მოსახლეობაზე გადაიტანა, მისი მოწინავე ნაწილი, 200-მდე კაცი, მათ შორის ზემოთ დასახელებული რწმუნებულები ხიჭაურში შეამწყვდია, იქვე სახრჩობელები აღმართა და ყოველგვარი გასამართლების გარეშე დაიწყო მათი ფიზიკური განადგურება. 1914 წლის 14 დეკემბერს პოლკოვნიკ **გუბსკის** ბრძანებით სრულიად უდანაშაულო, ორი „მოღალატე“ **თუფან-ბეგ თავდგირიძე** და **შახველედ დიასამიძე** სა-

---

* ერთ-ერთი განმცხადებლის, **ნური-ეფენდი ბერიძის** მონაწილეობით ერთი თურქი ემისარი, ახმედ ყადიოღლი შეიპყრეს კიდეც, მაგრამ ხულოს საპყრობილიდან ის რუს ზედამხედველებს გაექცათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაროდ ჩამოახრჩვეს. საბედნიეროდ, ამ ტრაგედიას მოუსწრო ფურტიოს მწერალმა **სტეფანე ქემხაძემ;** მან აღვირახსნილ პოლკოვნიკს წარუდგინა აჭარის რწმუნებულთა იმდროინდელი წერილი, რის შედეგადაც დამსჯელი ოპერაციები იმ დღეს შეწყდა, თუმცა აჭარლების „ღალატის საქმე“ არ დახურულა და მისი გამოძიება მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. როგორც ცნობილია, ქართველი საზოგადოების აქტიური ჩარევით ყველაფერი სამართლიანად გაირკვა და აჭარის მოსახლეობას ჩამოცილდა მოღალატის სამარცხვინო ლაქა.

1911 წელს ბათუმის ოლქში მცხოვრებმა თავდგირიძეთა რამდენიმე ოჯახმა ახოდან, მახუნცეთიდან, დევსკელიდან და ვარჯანაულიდან საოლქო წოდებრივ კომისიას სთხოვეს აღედგინა მათი ძველთაძველი პრივილეგიები. სხვათა-შორის, ისინი ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გურიის თავადი თავდგირიძეები მათი ნათესავები არიან, 1850 წელს მათ აღიდგინეს თავადური წოდებები, ამიტომ ამ პრივილეგიებს ჩვენც ვიმსახურებთო. კომისიამ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები და აღუდგინა რუსეთის თავადის წოდებები.

1929 წელს, ჩადრის ახდის მასობრივი კამპანიის გამო აზვირთებულმა ხალხმა დაარბია საბჭოთა დაწესებულებები და სკოლები. ნაღვარევის სკოლის გამგე, **სარდიონ კალანდარიშვილი** სიკვდილს გადაარჩინა იქაურმა ბეგმა **მერჯან თავდგირიძემ (შოთა ცეცხლაძე**. რას მოგვითხრობენ საარქივო ჩანაწერები. ბათ. 2011. გვ. 126).

საბჭოთა ხელისუფლება სასტიკად გაუსწორდა წარჩინებული გვარის შვილებს, მათ შორის თავდგირიძეებსაც. 7 მათგანი რეპრესირებულ იქნა 1937 წელს, მათ შორის ოთხი – ზექერია თოფანის ძე, ხასან თევფიყის ძე, ოსმან ხუსეინის ძე და ხემიდ ისკენდერის ძე თავდგირიძეები დახვრიტეს, სამი კი 10 წლით გადაასახლეს. გადასახლებულთა შორის იყო ს. ურეხის მცხოვრები, 50 წლის ქალბატონი ზერა სულეიმანის ასული თავდგირიძე, რომლის შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქობულეთელ და მახუნცეთელ თავდგირიძეთა გენეალოგიური ხე №1



ეროვნული ბიბლიოთეკა

## შუახევის (ახალდაბის) თავდგირიძეთა გენეალოგიური ხე № 2



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# კამიშოღლი

ართვინის ოკრუგის სოფელი კათაფხია ერთ-ერთი გამონაკლისია, სადაც ათაბაგებისა და ხიმშიაშვილების გარდა, ყოფილა თავადური გვარი კამიშ-ოღლი. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ დავადგინეთ მისი ქართული შესატყვისი,* მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ საქმე გვაქვს ქართულ წარჩინებულ ოჯახთან. ამის სასარგებლოდ ისიც მეტყველებს, რომ დღესაც კატაფხიაში მხოლოდ ქართული ტომის მოსახლეობა ცხოვრობს, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ენა და წარსულის ხსოვნა.

ამ გვარის ერთი წარმომადგენელი, წარმოშობით ს. კატაფხიიდან, ომერ-აღა კამიშოღლი 1844 წელს ბათუმის მახლობლად, სოფ. ბარცხანაში ჩამოსახლებულა. ოთხი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა და მისი მამული, ორდიდუზად წოდებული ბეითალმანად გამოუცხადებიათ. ამ ფაქტების აღწერას ვხვდებით ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც **ხარიტონ ახვლედიანმა** თავის პირველ წიგნში გამოაქვეყნა: „**ქამიშ-ოღლი ომერ-აღა** გარდაიცვალა. მას ბავშვები არ დაუტოვებია და მის მფლობელობაში ყოფილი ნაკვეთი ბარცხანაში, ორდიდუზად წოდებული ბეითალმანი გახდა. ომერ-აღის ბიძაშვილები კატაფხიას მცხოვრებნი ასლან-ბეგი და მემედ-ბეგი თხოულობდნენ, რათა მათთვის მიგვეცა აღნიშნული ნაკვეთი და მე გადავახდევინე მათ თავის საფასური და მივეცი იგი ასლანს და მემედს. დეე, დაამუშაონ მათ იგი, ფლობდნენ და სარგებლობდნენ მით" (ნარკვევი აჭარის ისტორიიდან. ბათუმი. 1944 წ. გვ. 96).

ამ საბუთით დასტურდება, რომ კამიშოღლები ნამდვილად არიან სოფელ კატაფხიიდან, ამავე დროს ისინი წარჩინებულ გვარს (ბეგს, აღას) მიეკუთვნებიან. ბათუმის კომისიისთვის ბეგის წოდების აღდგენაზე განცხადების შემომ-

* წიგნი აწყობილი იყო, როცა ბორჩხელმა **ათამანი-ჯაშმა** გვითხრა: კამიშოღლები ჩემი ნათესავები არიან და მათი ქართული გვარი კიკნაძე იყოო.

ტანი **ელიმ-ბეგი და მეზერ-ბეგი** დასახელებული მემედ-ბეგის შვილიშვილები არიან და ცხოვრობენ ბარცხანაში. მათი ქართული გვარის ნაწილობრივ გარკვევის შესაძლებლობას გვაძლევს იმერხევის სოფელ ბაძგირეთის ერთ-ერთი ზემო უბნის სახელი გამიშეთი, რომელიც პირველად 1904 წელს ჩაიწერა **ნიკო მარმა**. პროფესორმა **იური სიხარულიძემ** თავის „შავშეთ-იმერხევში" (ბათუმი, 1988. გვ. 5) ეს ტოპონიმი ორი ფორმით მოიხსენია: გომიშეთი და გამიშეთი, რომელიც ძირითადად ნიკო მარის ჩანაწერებს ეფუძნებოდა.

1995-1998 წლებში შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია საფუძვლიანად შეისწავლა **ნუგზარ ცეცხლაძემ**, რომელიც, როგორც კერძო პირი, ასევე საველე ეთნოგრაფიული ექსპედიციის წევრი, მონაწილეობდა ართვინის, ყარსისა და არტაანის ვილაეთების სოფლებისა და ნასოფლარების სახელების აღწერაში. ნ. ცეცხლაძემ შეისწავლა 300-ზე მეტი ტოპონიმი და ასეულობით გვარ-სახელი, რომლებიც ორ წიგნად გამოაქვეყნა (შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია. ბათუმი. 2000; ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიდან. ბათუმი. 2004).

ნ. ცეცხლაძემ ყურადღება მიაქცია გვარს **გამეშისძეს**, რომელიც „ასწლოვან მატეანეში"-ც და „ტბეთის სულთა მატეანე"-ს მე-14-15 საუკუნეების საბუთშიც გვხვდება (თბილისი. 1977, გვ. 106).

ავტორი ავლებს პარალელს გვარსა და ტოპონიმ გამეშეთს შორის და მიიჩნევს, რომ ზემო აჭარის სოფელ თხილვანაში გავრცელებული გვარი ქამაშიძე გამეშიძე-ს სახეცვლილება უნდა იყოს: „საინტერესოა, რომ ეს გვარ-სახელი მხოლოდ აჭარაშია გავრცელებული და ბუდე-ადგილად სოფელი თხილვანაა მიჩნეული." უეჭველია, რომ თხილვანელი ქამაშიძეების წინაპარი იმერხევის სოფელ ბაძგირეთიდან არიან გადმოსული ზემო აჭარაში. ამას ადასტურებენ ადგილობრივი მცხოვრებნიც: „ქამაშიძე იქ არიან დარჩენილი ჩუენ სოფლიდამ", – უთქვამს **შუშანა ფუტკარაძისთვის** ბაძგირეთელ **ასიმ დუზგუნს-ჯივანიძეს** (იხ. ნ. ცეცხლაძე. ძიებანი. 13-14).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩვენს მიერ საძიებელი გვარი **ქამიშოღლი**, რაც ქართულად ქამიშიძეს ნიშნავს, თავისი ფონეტიკური შემადგენლობით ძალზე ჰგავს ქამაშიძე-ს. მართლაც, ქამიშოღლი – ქამიშ-ზადე და ქამაშიძე ერთი და იგივე გვარი ხომ არ არის? ამას ალბათ შემდგომი კვლევა გაარკვევს. თუ ეს დადასტურდება, მაშინ ქართულ წარჩინებულ გვარებს კიდევ ერთი კლარჯელი თავადის გვარიც შეემატება.

თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. საკუთრივ ლაზეთში (მაკრიალი, სარფი) გავრცელებულია გვარი – კამიშოღლი, რომლის მემკვიდრეები ამჟამადაც გამოღმა სარფში ცხოვრობენ. ჩვენი ყურადღება პირველ რიგში მიიქცია სარფის თავზე, მთის წვერთან არსებულმა წყაროს სათავემ,რომელსაც ახლა ფლეთილი ქვითა და მასზე არსებული წარწერით თუ შეამჩნევ. თურმე სოფელში მცხოვრებმა **ფადიმე კამიშოღლი-თანდილავამ** (1900-1961) სიკვდილის წინ ანდერძი დატოვა – უწყლო სოფელში სასმელი წყალი სწორედ ამ მთიდან გაეყვანათ. შვილებმაც შეასრულეს დედის ანდერძი, წყაროს კი გაუკეთეს წარწერა: „ეს წყარო გაკეთებულია ძვირფასი დედის კამიშოღლი-თანდილავას ანდერძით 1962 წელს.“

ვინ იყო ფადიმე კამიშოღლი, ვინ არიან მისი წინაპრები, ხომ არ არის კატაფხიელი თავადების შთამომავალი? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პოეტ **იაშა თანდილავასთან** ერთად, სოფელ სარფში ვეწვიე ფადიმე კამიშოღლის შვილს, 76 წლის **მამულა თანდილავას**.

მართალია, მისმა ნაამბობმა კატაფხიელ კამიშოღლებისა და ქალბატონ ფადიმეს პირდაპირ ნათესაობამდე ვერ მიგვიყვანა, მაგრამ ინფორმატორის მიერ დასახელებული გვარები (თანთოღლი-თანდილავა, გრალოღლი-კარალოღლი და სხვები), რომლებსაც ნათესაური ურთიერთობა აკავშირებდათ დედამისთან და როგორც ოსმალეთის, ისე რუსთა მმართველობის დროს ეკავათ მაღალი პოსტები, აშკარად მიუთითებს მათს მაღალ წოდებრიობას. დარწმუნებული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვართ, რომ შემდგომი კვლევით დადგინდება მაკრიალელ და კატაფხიელ კამიშოღლების ნათესაური ურთიერთობაც.

დავუბრუნდეთ 1912 წლის დოკუმენტს, რომლითაც ცხადი ხდება, რომ ბათუმის ოლქის წოდებრივი კომისია 31 იანვრიდან 12 მარტამდე განიხილავდა ძმების **ელიმ-ბეგ და მეზერ-ბეგ კამიშოღლების** განცხადებას და თანდართულ საბუთს, რომელიც გაცემულია 1844 წელს მათ ბაბუაზე: ამ საბუთით დასტურდება, რომ მემედ-ბეგ კამიშ-ზადე მარადიდში ფლობდა შემოსავალს (იყო ეიანე).

კომისიამ საკმარისად ცნო ეს საბუთი და ორივე განმცხადებელს დაუდგინა თავადის წოდება.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# თავადი ლორთქიფანიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლორთქიფანიძე

ლორთქიფანიძეთა გვარი პირველად მე-14-15 საუკუნეების დოკუმენტებში გვხვდება. ამ გვარის პირველი წარმომადგენელი **თუალია ლორთქიფანიძე** დასახელებულია ბაგრატ მეფის მოწმეთა შორის ყიფიანების სასისხლო სიგელში. გვარის მამამთავრად ითვლება **ლორთქიფანი**, რომელიც მე-14 საუკუნეში ცხოვრობდა. თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ 1573 წელს ასპარეზზე ჩანს **ქაქაოზ ლორთქიფანიძე.** ამ გვარის სათავადოს თავკაცს თავისი სასახლე, ციხე და ეკლესია ჩუნეშში აუშენებია. გვარის ერთ განაყოფს ადგილსამყოფელი დიხაშხოში ჰქონდა. 1651 წლის ფიცის წიგნში იხსენიება ოტია და გედეონ ლორთქიფანიძეები. ეს უკანასკნელი სასულიერო იერარქიით დაწინაურდა და ერთხანს ნიკორწმინდის ეისკოპოსად ზის. მას 1668 წელს მდინარე ჭიშურაზე ორთაღიანი ქვის ხიდი აუშენებია. 15 წლის შემდეგ გედეონის ძმისშვილს ნიკოლოზ ლორთქიფანიძეს გენათლის სახელო უკავია.

მე-17 საუკუნეში პოლიტიკურ ასპარეზზე დიდხანს ჩანს გედეონ ეპისკოპოსის ძმა **ბეჟან ლორთქიფანიძე**, რომელიც იმდენად წარჩინებული თავადია, რომ სამეფოს საქმეებშიც ერევა. მას მოლარეთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის თანამდებობებზე ვხედავთ. მას ერთ-ერთ რუსულ საბუთში „დიდ ბოიარად„ იხსენიებენ. განსაკუთრებული იყო მისი სამხედრო წარმატება ქუთაისის ციხიდან ოსმალთა განდევნის დროს.

**ბაგრატ IV** გარდაცვალების შემდეგ ბეჟან ლორთქიფანიძე იმერეთის კანონიერი მეფის **ალექსანდრე IV** წინააღმდეგ იბრძვის და თავისი ნათესავების **გიორგი ლიპარტიანის** და რაჭის ერისთავის მხარეზე დგება. ამ ბრძოლაში ისინი გამარჯვებული გამოდიან. 1690 წლის შემდეგ ბეჟანი გარდაიცვალა. თუმცა მისი ძლიერება შთამომავლობა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეც გავრცელდა. რაჭის ერისთავად ბეჟანის შვილიშვილი **შოშიტა** დაჯდა. ხოლო მისი ვაჟი გრიგოლი კათალიკოსად აკურთხეს.

გრიგოლი გონიერი კაცი აღმოჩნდა. ის მხარს უჭერდა კანონიერ მეფეს. თავის ახლობელ ფეოდალებსაც კი ტყვეთა ყიდვას, ქვეყნის საზიანო სხვა საქმეებსაც არ პატიობდა. გრიგოლის გარდაცვალების (1742 წ.) შემდეგ ასპარეზზე ჩანს მისი სახლიკაცი (შესაძლოა, ძმა) **ოტია ლორთქიფანიძე,** რომელსაც მოლარეთუხუცესისა და ქუთაისის მოურავის თანამდებობა უკავია.

მე-18 საუკუნის შუა წლებიდან იწყება ლორთქიფანიძეთა დაქვეითება. ისინი ისევე კარგავენ თავის კარიერას, როგორც მოიპოვეს (ჩხეიძეთა დამცრობის ფასად). ამ გვარის ხარჯზე იმერეთში ძლიერდებიან აბაშიძენი და წულუკიძენი.

იმერეთის მეფის ტახტზე ორი პრეტენდენტის (დავით გიორგის ძე და სოლომონ მეორე) ჭიდილის დროს სამეფო კარზე მომხდარ მოვლენებში მონაწილეობენ ბერი, ნიკოლოზ, ოტია, თამაზ და როსტომ ლორთქიფანიძეები, მაგრამ მათი როლი სამეფო კარზე ძალზე მცირეა.

1812 წელს ლორთქიფანიძეებმა გააფორმეს ე. წ. „ერთობის წიგნი,“ რაც დასაბამს აძლევდა მათს ადრინდელ ქონებრივ დავას და გვარის ერთობას მოასწავებდა, თუმცა ეს მორიგება ხანმოკლე აღმოჩნდა. 1823 წლის აპრილში საგვარეულოს წევრები გაიყარნენ, რაშიც თავისი უარყოფითი როლი რუსულმა მმართველობამ შეასრულა (**ოლღა სოსელია**. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბილისი. 1973. გვ. 133-152).

ბათუმის ოლქში ლორთქიფანიძეთა მიგრაციაზე პირდაპირ მინიშნებას ვერც ერთ წყაროში ვერ მივაკვლიეთ. ამიტომ აქაც მხოლოდ ვვარაუდობთ, რომ ამ გვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რის დამკვიდრება აჭარა-შავშეთში დაკავშირებულია იმერეთში მომხდარ ისტორიულ მოვლენებთან (სამეფოს გაუქმება, სოლომონ მეორის გახიზვნა ოსმალეთში, თავის ამალასთან ერთად, სათავადოების ლიკვიდაცია, რუსების წინააღმდეგ ამბოხი და სხვ.), როცა აბაშიძეებისა და წუ-ლუკიძეების მსგავსად, ფეოდალური პრივილეგიების და-კარგვით, ან უფრო მეტად ფიზიკური ანგარიშსწორების შიშით, ლორთქიფანიძეთა ერთი ნაწილი შედარებით უში-შარ მხარეში, ამ შემთხვევაში, აჭარაში გადასახლდა და დათმო შედარებით მცირე (სარწმუნოება), რათა შეენარ-ჩუნებინა უფრო დიდი: თვითმყოფადობა, ენა, გვარი და საკუთარი პრესტიჟი.

გამორიცხული არაა, რომ ლორთქიფანიძეთა აჭარაში მიგრაცია მომხდარიყო იმერეთიდან აბაშიძეთა და წულ-უკიძეთა ამ მხარეში შემოხიზვნის დროს (იხ. შესაბამისი თავები).

სტატისტიკური მაჩვენებლებით ირკვევა, რომ ლორთქ-იფანიძეები აჭარის რამდენიმე რაიონში განსახლდნენ. აქ ისინი საკმაოდ გამრავლდნენ და ამჟამად საქართველოში ამ გვარის 3 400 მცხოვრებიდან 35% აჭარაზე მოდის. უპი-რატესად ხელვაჩაურის რაიონში (600-ზე მეტი) და ქალაქ ბათუმში (340-მდე); ძალზე მცირე შუახევში. ყველაზე მეტი – 1000 სული ცხოვრობს თბილისში. სხვა რეგიონებში გვა-რის განთესვა იმდენად დიდია, რომ თავის ბუდე-ადგილას, იმერეთში ლორთქიფანიძეთა გვარი მხოლოდ ერთეულები გვხვდება (ამ მხრივ გამონაკლისია ვანის რაიონი, სადაც 1997 წელს 338 სული ცხოვრობდა).

აჭარაში მიგრირებული ლორთქიფანიძეები ყველაზე ადრე ბათუმში დამკვიდრდნენ. როგორც ჩანს, აქედან გა-დასახლდნენ სხვა ადგილებში და ოსმალეთშიც.

შერიფ-ბეგის თანამებრძოლი **აბდულ ლორთქიფანიძე** ვაიოელია. ლორთქიფანიძეთა ერთი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებშიც დამკვიდრდა. მათ ძირითად შტოს **შამბა-შოღლის** გვარით იცნობდნენ. შემდეგ ეს გვარი **შაჰინბაშად** გადაკეთდა. ისინი თვლიან, რომ მათი პირველი წინაპარი **სულეიმანი** ოსმალეთში მე-19 საუკუნის 20-იან წლებში გა-დასახლდა. მის შვილს ერქვა ავნი, რომელსაც განათლება სამხედრო სასწავლებელში მიუღია და გენერალი (ფაშა) გამხდარა. მას ცოლად ჰყავდა ასევე ქართული წარმომა-ვლობის ქალი მინირე-ხანუმი. მასთან ორი ვაჟი და ხუთი ქალიშვილი შეძენია.

ავნი-ფაშა არზრუმსა და იზმირში დიდ სამხედრო ქვე-დანაყოფებს სარდლობდა. შემდეგ სტამბოლში სულთანის



**ავნი-ფაშა ლორთქიფანიძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

კარზე სამხედრო მინისტრის მოადგილეც ყოფილა, ხოლო ბოლოს სულთანის სპეციალურ თანაშემწედ უმოღვაწია. **ავნი-ფაშას ათა-თურქთანაც** ჰქონია ურთიერთობა. მისთვის გემი სწორედ ავნი ლორთქიფანიძეს გამოუნახავს და სამსონში გაუმგზავრებია.

მიუხედავად ამისა, ოსმალეთის რევოლუციის დროს, როცა 150 კაცი გადაასახლეს, ავნი-ფაშა ლორთქიფანიძესაც იგივე ემუქრებოდა, ამიტომ ჯერ რუმინეთში, შემდეგ საფრანგეთის ქალაქ მარსელში გაიხიზნა. თურქეთში საპრეზიდენტო წყობილების დამყარების შემდეგ ავნი-ფაშის შვილები სულეიმანი და მუნირი თურქეთში დაბრუნდნენ, ხოლო თვით ავნი-ფაშა ბეირუთში წავიდა და იქვე გარდაიცვალა (**ავნი შაჰინბაშის** პირადი წერილი სოფელ ხალის მცხოვრებ **ნოდარ ლორთქიფანიძეს**. 13 დეკემბერი, 1991 წელი).

ავნი-ფაშის პატრიოტულ სულისკვეთებას თავის წერილში იხსენებს საქართველოს დამკომის ერთ-ერთი დამფუძნებელი **ივანე გოგოლაშვილიც**.

1919 წელს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა **ევგენი გეგეჭკორმა** ი. გოგოლაშვილს დაავალა, ყურადღება მიექცია ტრაპიზონში **სოლომონ II-ს** საფლავისთვის. ამ დროს კონსტანტინეპოლის **პატრიარქ მელეტისთან** მიმდინარეობდა მოლაპარაკება მუჰაჯირთა სამშობლოში დაბრუნების თაობაზე. მოლაპარაკებაში აქტიურად მონაწილეობდნენ **სულთან ვაჰიდედინის** მინისტრი შამბელანი. თავად სულთანის უფროსი მეუღლე ქართველი ქალბატონი, **ჯაფარიძის** ქალი ყოფილა, ამიტომ სულთანიც ამ საქმეს თანაგრძნობით შეხვდა. საყურადღებოა, რომ ამ მოლაპარაკებაში მონაწილეობდა სულთანის კარზე დაწინაურებული **ავნი-ფაშა ლორთქიფანიძე**. ვაჰიდედინზე ქართველი ქალის გავლენა იმდენად დიდი ყოფილა, რომ გადატრიალების დროს, მასთან ერთად

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წასასვლელად ავნი-ფაშის მიპატიჟებისას, **სულთანს უთქვამს: ორივე ქართველები ვართ და არ მიმატოვო, ჩემთან ერთად წამოდიო**. ქემალ-ფაშის ძალებმა მალე დაიპყრეს მთელი ოსმალეთი, ქვეყნიდან განდევნეს საქართველოს წარმომადგენლობაც და ბერძენთა სმღვდელოებაც, რის გამო ეს სასიკეთო იდეა ჩაიშალა (**ი. გოგოლაშვილი**. ბედი ქართლისა. გაზ. „თბილისი." 18 ოქტომბერი, 1990 წ. გვ. 4. გ. შარაძის პუბლიკაცია).

ოსმალეთში მცხოვრებ ლორთქიფანიძეებს თავის წიგნებში ეხება **ზაქარია ჭიჭინაძეც** „...სტამბოლის ქართველობა დიაღაც საქებარია და უეჭველია, ამ ცოტა ხანში დიდ მნიშვნელოვან ძალად შეიქნება. ახალგაზრდა თურქების პარტიებში უმთავრესი ადგილები სულ ქართველებს უჭირავთ და ხალხიც დიდის ნდობით ეპყრობა მათ. ჯერ-ხანად პარტიის ლიდერებში ჩამოგითვლით შემდეგ პირთ: საგენერლო შტაბის აფიცერი, 28 წლის ყმაწვილი **უსუფ-ბეი ლორთქიფანიძე**" (ბათუმელი). ის იყო პირველი, რომელმაც სალონიკში თავისი ბატალიონი თავისუფლებას შეაფიცა. საუცხოვოდ განათლებულია, განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნებაში და მალე სამხედრო აკადემიის პროფესორად დაინიშნება. **მისი ძმა, საგენერლო შტაბის პოლკოვნიკი, „ითიადის" ლიდერი თვით შტაბის აფიცერთა შორის"** (**ზაქარია ჭიჭინაძე**. ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება. თბილისი. 1916. გვ. 73).

სხვათა შორის, ჩვენს მიერ ზემოთ დამოწმებულ წერილში ავნი შახინბაში-ლორთქიფანიძე ამბობს, რომ ჩვენი ნათესავები სამხედრო სკოლაში სწავლობდნენო. მას მხედველობაში ჰყავდა ზაქარია ჭიჭინაძის მიერ დასახელებული „საგენერლო შტაბის აფიცერი, 28 წლის ყმაწვილი უსუფ-ბეი ლორთქიფანიძე (ბათუმელი)..., რომელმაც სალონიკში თავისი ბატალიონი თავისუფლებას შეაფიცა."

თურქეთის სოფლის მეურნეობის მინისტრად, შემდეგ სახელმწიფო მინისტრად წლების მანძილზე მოღვაწეობდა **რიფაიდინ შაჰინი-ლორთქიფანიძე**. ამჟამად ის თურქეთის მეჯლისის წევრია და დიდი წვლილი შეაქვს თურქეთ-საქართველოს კულტურულ და ეკონომიკურ დაახლოებაში. მისი სახელობის სკოლა-ლიცეუმი ბათუმში გაიხსნა 1994 წელს და მრავალი ახალგაზრდა მოამზადა.

ლორთქიფანიძეებს გამორჩეული ადგილი ეკავათ ცარიზმის დროსაც. 1916 წლის საბუთებში **ყადირ-ეფენდი ლორთქიფანიძე** ბათუმის საქალაქო სათათბიროს ხმოსანი-დეპუტატია, ამავე დროს ის მთავარ სახალხო სასამართლოს წევრადაც აურჩევიათ. იმავე პერიოდში ბათუმის საოლქო ადმინისტრაციული სასამართლოს თარჯიმნის მოვალეობას ასრულებს **ოსმან-ეფენდი ლორთქიფანიძე**.

1912 წელს ბათუმის საოლქო წოდებრივ კომისიას თხოვნით მიმართა სოფელ ერგეს მცხოვრებმა **ხუსეინ-აღა ლორთქიფანიძე-შამბაშოღლიმ**, რათა მისთვის აღედგინათ ძველი პრვილეგიები. მან ძველი საბუთები ვერ წარადგინა და ამ წარჩინებულ გვარს უარი უთხრეს, ანდა როგორ წარადგენდა, როცა წოდებისა და უძრავ-მოძრავი ქონების კუთვნილების დამადასტურებელი ყველა საბუთი ჯერ ოსმალეთის ხელისუფლებამ, შემდეგ რუსეთის ადმინისტრაციამ წაიღო და უკან აღარ დააბრუნა.

ალბათ მხოლოდ წოდებრიობა გახდა საბედისწერო საბაბი იმისა, რომ 60 წლის ხუსეინ ლორთქიფანიძეს 1937 წელს 10 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, ხოლო მისი შვილი, ზემო დასახლებული თარჯიმანი **ოსმანი**, იმავე წელს სრულიად უმიზეზოდ ბათუმში დახვრიტეს.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვიტყვით, რომ 1937 წელს თითქმის მთლიანად განადგურდა ლორთქიფანიძეთა ცნო-

ბილი გვარი: ზექერია (აჭარის ცაკის თავმჯდომარე), შევქეთი, სელმანი, გიორგი, ნიკოლოზი (ცნობილი პედაგოგი), გრიგოლი (საქართველოს სამხედრო მინისტრი), ტიტე (კომისარი) ლორთქიფანიძეები და სხვ. სულ 13 კაცი დახვრიტეს, ხოლო ამავე გვარის 10-მდე წარმომადგენელსა და მათი ოჯახის წევრებს 10-წლიანი გადასახლება მიუსაჯეს.

საყურადღებოა, რომ II მსოფლიო ომში მარტო აჭარიდან დაიღუპა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა აქაურ ლორთქიფანიძეთა გვარის 9 წარმომადგენელი.*

* ლორთქიფანიძეთა მემკვიდრეებისგან ვერ მივიღეთ წინაპართა სია, რის გამო გენეალოგიური სქემის შედგენა არ მოხერხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თურქეთში მცხოვრებ ლორთქიფანიძეთა (შაჰინბაშთა) გენეალოგია – ხუსეინ-ფაშის შტო (ს. ხალა)




შეადგინა რამაზ სურმანიძემ
23 ივლისი, 2015 წ.

# თავადი ნაკაშიძე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ნაკაშიძე-გვარელაშვილები

ქედის რაიონის სოფელ უჩხითის თავადებად ოდითგანვე ითვლებოდნენ გვარელაშვილები (ოსმალთა მოსვლის შემდეგ – გვარელოღლები). გვარ-ფუძის მქონე გვარები საქართველოში ბევრია (გვარაკიძე, გვარალია, გვარამაშვილი, გვარლიანი, გვარაშვილი, გვარიშვილი, გვარმიანი და სხვ.). როგორც ჩანს, აჭარაში მცხოვრები გვარელოღლების ძველთაძველი ფუძეა კაცის სახელი გვარელა, რომელიც ოსმალურად გადაკეთებულ გვარშიც სწორად იქნა შენარჩუნებული. ამის შესახებ ცნობა დაცულია „ტბეთის სულთა მატიანის" მე-14 საუკუნის საბუთში, სადაც ნათქვამია: „სულსა გუარელასშვილისა გიორგისა და მისა მეუღლისა თინასა შეუნდვენ" (იქვე, გვ. 134). ამგვარად, გუარელა (გვარელა), როგორც ირკვევა, იყო საკუთარი სახელი, საიდანაც წარმოსდგა გვარელასშვილი. თუ ჩვენი ვარაუდი სწორია, მაშინ გვარელასშვილი სრულიად დამოუკიდებელი გვარია და **არაფერი აქვს საერთო ზემოთ დასახელებული „გვარ"-ფუძის მქონე სხვა გვარებთან, მათ შორის გვარიშვილთან**.

ბოლო დროს გვარიშვილი-ს წარმომავლობაზე ძალზე ბევრი და საინტერესო მასალა დაგროვდა. თვლიან, რომ მათი წინაპარი იყო არც ისე დიდი ხნის წინ სვანეთიდან აჭარაში ლტოლვილი **დადეშქელიანი**. ამ თემაზე გამოქვეყნდა მრავალი ნაშრომი და წერილი (**სტეფანე ქემხაძე, იოსებ ბექირიშვილი, ოსიკო გვარიშვილი, თემურ ამყოლაძე**), რომლებმაც, ჯერ ერთი, დაადასტურეს ჩვენი ვარაუდი, რომ გვარელასშვილი და გვარიშვილი, არაა ერთი და იგივე გვარი და მეორეც, სვანეთში ამჟამადაც მცხოვრებმა რამდენიმე დადეშქელიანმა წერილობით დაგვიდასტურა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათი ერთ-ერთი წინაპარი მართლაც გაიხიზნა აჭარაში და გახდა გვარიშვილთა გვარის ფუძემდებელი, ჩაქველი გვარიშვილები ამიტომაც იხსენიებიან ბეგებად. ჩვენ ამ თემაზე ცალკე ნაშრომს ვამზადებთ, ამიტომ ამჯერად ნათქვამს დავჯერდებით.

ახლა, რაც შეეხება გვარელაშვილი-ს კავშირს ნაკაშიძის გვართან. როგორც ცნობილია, ნაკაშიძე ცნობილი თავადური გარია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გურიაში. აჭარელ და გურულ ნაკაშიძეებს დღემდე აქვთ ნათესაური ურთიერთობა. ჩვენ არ შევუდგებით ნაკაშიძეთა გვარის ონომასტიკონის განხილვას და აჭარაში მათი განსახლების ისტორიას. ამ თემაზე ნაკაშიძეთა საგვარეულო ამზადებს მონოგრაფიას, სადაც დეტალურად აღწერენ გვარის წარმომავლობას, ისტორიას და მისი ცნობილი წარმომადგენლების ბიოგრაფიებს. აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ გვარში დარჩენილ თქმულებას იმის შესახებ, რომ ერთ-ერთი ქალბატონი **გვარელაშვილების** გვარიდან, გათხოვილი ყოფილა ნაკაშიძეთა თავადური შტოს ერთ-ერთ წევრზე. ეს ქალბატონი დიდ უძრავ-მოძრავ ქონებას ფლობდა, რის გამოც მის მეუღლეს გვარელაშვილის გვარი მიუღია, მაგრამ ნაკაშიძის გვარსაც ატარებდა. ასეთი შემთხვევები საქართველოში ხშირი იყო, ამიტომ ეს ცნობა ჩვენც რეალურად მიგვაჩნია. მით უმეტეს, ამის შესახებ ჩვენ პირადადაც მოგვისმენია ნაკაშიძეთა ისტორიის შესანიშნავი მცოდნის, ცნობილი პედაგოგისა და ინტელიგენტის **მიხეილ ნაკაშიძისგან**.

**ზაქარია ჭიჭინაძე** არაერთხელ ჩამოთვლის ბათუმის ოლქის თავადაზნაურთა გვარებს და თითქმის ყოველთვის გამორჩევით ასახელებს ნაკაშიძეებს, რომლებიც გურიის თავადთა შთამომავლები არიანო, აჭარაში წიგნების

გავრცელებას რომ ეხება, ავტორი სიხარულით აღნიშნავს: აქ ქართულმა წიგნებმა ცოტათი მოიკიდა ფეხი, დღეს მთელი სოფელი კითხულობსო და ამ მნიშვნელოვან პროცესს ნაკაშიძეების ოჯახს უკავშირებს. უფრო მეტიც, ერთ-ერთ ნაკაშიძეს „ვეფხისტყაოსანი" შეუძენია, რაც ამ ოჯახის დიდ განათლებულობაზეც მეტყველებს: „**ნაკაშიძეებს** ბათუმში შეეძინათ „ვეფხისტყაოსანი" და რამდენიმეც სხვა ქართული წიგნები" (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. 1913. გვ. 81, 114, 115).

1890 წელს ზაქარია ჭიჭინაძე შეხვედრია ორცველ **შაველედ ნაკაშიძეს**, რომლის მონათხრობი „აჭარის გამაჰმადიანება," სიტყვა-სიტყვით ჩაუწერია. აქ საუბარია აჭარის მწარე წარსულზე და იმ დიდ ტკივილებზე, რაც მოსახლეობას უცხოთა ბატონობის დროს თავს დაატყდა (ქართველთა გამუსლიმანება... თბილისი. 2004. გვ. 81, 83).

1897 წელს ქედაში **თედო სახოკია** ერთ-ერთ სასულიერო პირს, გვარად ნაკაშიძეს გასაუბრებია, რომელიც, მისი თქმით, „თვალსაჩინო ორატორული ნიჭის პატრონი უნდა ყოფილიყო" (მოგზაურობანი. თბილისი. 1950. გვ. 242). ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს მემედ სარაჯოღლი-ნაკაშიძე, ცნობილი მოღვაწე და პატრიოტი, რომელიც 1913 წელს, რომანოვების 300 წლის იუბილეზე, თბილისში ახლდა აჭარის დელეგაციას (შემორჩენილია ამ დელეგაციის კარგად შენახული ფოტოსურათი).

მემედ-ეფენდის ცოლად ყოლია **მემედ-ბეგ სანჯაყ-ბეგ აბაშიძის** ქალიშვილი **აიშე**, რომელსაც მზითვად გაატანეს ხერთვისი, აჭარისწყლის მიდამოები და კახაბრის ნაწილი (ი. აბაშიძე. ხელნაწერი).

ბათუმის ოლქის სოფლების აღწერისას **ზ. ჭიჭინაძე** გვარელოღლების (ნაკაშიძეების) გვარს ქართველ თავადთა

ელექტრონული ბიბლიოთეკა



ბათუმის ოლქის დეპუტაცია თბილისში
რომანოვების მეფობის 300 წლის იუბილეზე
20-21 თებერვალი. 1913 წ.

I რიგში მარცხნიდან: ოსმან კურდიკიძე (იმერხევი), ჯეფერ მიქელაძე (აჭარა), თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი (აჭარა), ადულ-აღა (აჭარა), შევქეთ გოგორაძე (შავშეთი);

II რიგში: თოფან-ბეგ შერვაშიძე (აჭარა), რეჯებ შაშიკაშვილი (ბათუმი), ყადი ნური-ეფენდი ბერიძე (აჭარა), მემედ სარაჯოღლი-ნაკაშიძე (ბათუმის მუფთი), ისაკ ხალვაში (მარადიდი), რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე (ბათუმი), ყემბერ-აღა ხარაზი (ქობულეთი).

III რიგში: ასლან-აღა ჯიჯარაძე (შავშეთი), ქერიმოღლი (შავშეთი), შუქრი თურმანიძე (აჭარა), აზმი-ეფენდი ყუმაძე (შავშეთი), თორუნ ფანჯიძე (იმერხევი), ჰაიდარ-ბეგ ბიბინეიშვილი (ბათუმი).

სიაში ასახელებს და აღნიშნავს, რომ სახალხო საქმეების გარჩევის დროს მათ ხშირად „ბრძოლა და ვაი-ვაგლახიც“ ჰქონდათ თავადებთან, ქავთარაძეებთან და ზაქარიაძეებთ-ანო (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართ-ველოში. ტფილისი. 1913. გვ. 188).

გვარელაშვილების ოჯახი ზაქარია ჭიჭინაძეს პირადა-დაც მოუნახულებია. მათთან ერთ-ერთი სტუმრობის დროს მასთან სოფელ ეფრატის მამასახლისი **ოსმან-აღა ტყიბო-რიძე** შეხვედრია, რომელსაც თავის სოფელში მიუპატიჟე-ბია, მაგრამ მასპინძელ გვარელაშვილებს გზებზე ყაჩაღო-ბის მიზეზით ამაზე უარი განუცხადებიათ და სტუმარსაც ველარ გაუბედავს წასვლა (იქვე, გვ. 191).

ზაქარია ჭიჭინაძე ეხება აგრეთვე გვარის ფუძეს, მის წარმომავლობას და აღნიშნავს, რომ ეს მაჭახლის ხეო-ბის სოფელ გვარადან უნდა მოდიოდესო (იქვე, გვ. 195), რაც ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია. ჩვენი აზრით, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვარელაშვილი-ს ფუძე უნდა იყოს საკუთარი სახელი გვარელა, რომელიც მოხსენიებულია „ტბეთის სულთა მატიანეში.“ დასაწყისში გვქონდა გვა-რელასშვილი, რომლის შესატყვისი იყო ოსმალური გვა-რელოღლი.

ბათუმის ოლქის წოდებრივ კომისიაში შეტანილი და განხილული პირველი განცხადება, რომლითაც ითხოვდ-ნენ თავადის წოდების აღდგენას, სწორედ ქვემო აჭარ-ის სოფელ უჩხითის მცხოვრებლებს: **ისა-ბეგ, შაქირ-ბეგ, მემედ-ბეგ, დურსუნ-ბეგ, იუსუფ-ბეგ, რამიზ-ბეგ, შევქეთ-ბეგ, ჯემალ-ბეგ და ახმედ-ბეგ ნაკაშიძე-გვარელოღლებს** ეკუთ-ვნით.

დასახლებულმა პიროვნებებმა თავისი პრივილეგიების აღდგენისთვის ვერ წარმოადგინეს შესაფერისი საბუთები,

მაგრამ წინასწარი თათბირის მონაწილეებმა და მოწმეებმა თავისი ზეპირი განცხადებებით ისინი აღიარეს შთამომავლობით ბეგებად, თუმცა მათაც ვერ დაასახელეს, როდის და ვის მიერ იქნა მათზე მინიჭებული ეს წოდება.

შემდეგ საქმე განიხილა სამოქალაქო რწმუნებულთა კრებამ, რომელშიც მონაწილეობდნენ: **ესედ-აღა კომახიძე, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, ყემბერ-აღა ხარაზი, ხუსეინ ხალვაში, თუფან-ბეგ შერვაშიძე, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი** და სხვები, რომლებმაც ერთჯერ კიდევ დაადასტურეს მათი მაღალი წოდება და მოითხოვეს მისი აღდგენა.

საოლქო კომისიამ დააკმაყოფილა განმცხადებელთა თხოვნა და ნაკაშიძეებს აღუდგინა რუსეთის თავადაზნაურობის უფლებები და პრივილეგიები.*

*** * ***

საგანგებო განხილვას იმსახურებს უჩხითელი გვარელაშვილების (ნაკაშიძეების) და ჩაქველი გვარიშვილების ნათესაური ურთიერთობა. მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ ისინი ერთი წარმომავლობისანი არიან, რაც სწორი არაა.

გვარელაშვილების წარმომავლობაზე ზემოთ ვთქვით და აღარ გავიმეორებთ. რაც შეეხება გვარიშვილებს, ისინი თავის თავს სამართლიანად თვლიან სვანი დადეშქელიანების შთამომავლებად.** ამის თაობაზე შეგროვდა მრავალი დო-

---

* ნაკაშიძეთა მემკვიდრეებისგან ვერ მივიღეთ წინაპრების სია, რის გამო გენეალოგიური სქემის შედგენა არ მოხერხდა.

** ჩვენ ამ თემაზე ვამზადებთ ცალკე მონოგრაფიას.

კუმენტური მასალა, აგრეთვე სვანეთში მცხოვრები ათეულობით დადეშქელიანის წერილობითი დასტური, რომ ჩაქველი (ხალელი) გვარიშვილები არიან სვანეთიდან იძულებით გამოხიზნული დადეშქელიანის და ჩაქვში მასთან შეუღლებული ხალვაშის ქალის შთამომავლები.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# თავადი ნიჟარაძე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ნიჟარაძე

ნიჟარაძეს წარმომავლობაზე მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. იოანე ბაგრატიონი გვარის ფუძედ ირანულ საკუთარ სახელს ნიჟადა-ს მიიჩნევს.

მეორე, შედარებით უფრო მისაღები ვერსიაა გვარის სვანური წარმომავლობა. თვლიან, რომ „სვანეთის ჟამთა-აღმწერლობის კრებულში" საკუთარი სახელი **ნიჟარაი** უნდა იყოს გვარის ფუძე და ამის ცოცხალ არგუმენტად მოჰყავთ სვანეთში ოდითგანვე გავრცელებული და დღემდე არსებული თავადური გვარი ნიჟარაძე.

გვარის სიძველეზე მრავალი საბუთი მეტყველებს. გამოჩინებულის (გურიაში) წმინდა გიორგის ეკლესიის დასავლეთ ფასადზე ამოტვიფრულია მე-14 საუკუნის წარწერა. სადაც ნიჟარაძე-ც არის მოხსენიებული; **ვახუშტი** ბაგრატიონი მე-15 საუკუნის იმერელ ფეოდალთა შორის ნიჟარაძესაც ასახელებს. მე-16 საუკუნის ერთ-ერთ დოკუმენტში, კერძოდ, ბაგრატ მეფის ცნობაში ნათქვამია, რომ „ნიჟარაძე დემეტრე უშვილო გარდახდა და ესე მეზუთხენი მისეული დაგურჩა და ჩუენის სულისათვის გაენათ შევსწირეთ მათითა ბეგრითა" (**თედო ჟორდანია**. ქრონიკები. II. ტფილისი. 1897. გვ. 242). ვარაუდობენ, რომ ნიჟარაძეთა სათავადო იმერეთში მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში ჩამოყალიბდა. სათავადოში შედიოდა სოფლები: მაღლაკონი, ოფშკვითი, საყულია, ჭყვიში, ნამაშევი, მიწაწითელი, სულ შვიდი სოფელი. თავად ნიჟარაძეებს რეზიდენცია ზემო მაღლაკში ჰქონდათ. აქვე იყო მათი სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე.

ნიჟარაძეთა მეორე მნიშვნელოვანი ადგილსამყოფელი ოფშკვითი იყო. აქ გვარის ერთ-ერთი შტო დამკვიდრდა და აქვე ააშენა სასახლე, ეკლესია, ციხე და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე-17 საუკუნის შუა წლებიდან ნიჟარაძეები იმერთა მეფეების კარზე მნიშვნელოვან მოვალეობას ასრულებენ. ამ დროიდან იხსენიებიან „მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან:“ გიორგი, პეპუნა, ბასილი, მამუკა, ბადრი ნიჟარაძეები. ერთ-ერთი მათგანი გიორგი (მეორე) ნიჟარაძე მეფის მოწინააღმდეგე ფეოდალის გიორგი აბაშიძის სიძე იყო და მას ეხმარებოდა, რის გამო 1714 წელს „მეფემ შეიპყრა. აღმოხადნა თუალნი.“ ცოლიც წაართვა, და ბოლოს „ბრმა ნიჟარაძე გარდმოაგდო კლდესა და მოკლა,“ მისი მეუღლე კი ცოლად შეირთო (**ვახუშტი**. ქართლის ცხოვრება. IV. თბილისი. 1973. გვ. 872-875).

ამგვარად, გიორგი ნიჟარაძე თავისი სიმამრის გიორგი აბაშიძის მიმხრობას შეეწირა, ნიჟარაძეების ნაწილი კი იმერეთს გაეცალა. შემთხვევითი არაა, რომ აბაშიძეების და ნიჟარაძეების ოსმალეთში ოტება, სულთანისგან წყალობის მიღება და აჭარაში მამულების ბოძება ერთსა და იმავე დროს მოხდა (იხ. ზემოთ თავი აბაშიძეები).

არც **სოლომონ დიდი** წყალობდა ნიჟარაძეებს; ისინი დაახლოებულნი იყვნენ ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესთან, რომელიც მეფეს აუჯანყდა და ამ ჯანყში მერაბ ნიჟარაძეც მონაწილეობდა. მერაბმა გიორგი ნიჟარაძის ბედი გაიზიარა, მასაც თვალები დასთხარეს, ყმა-მამული ჩამოართვეს და მის მოქიშპე თავად ქაიხოსრო აგიაშვილს გადასცეს.

ნიჟარაძეთა კვლავ დაწინაურება მოხდა **სოლომონ მეორის** მეფობის დროს: აბესალომ ნიჟარაძე იმერთა დედოფლის მოლარეთუხუცესია. კაცია მეორე კი მეფის ბაზიერთუხუცესი და მოურავიცაა. მათი მომდევნო თაობებიდან მრავალი ცნობილი პიროვნება გამოვიდა, მაგრამ ჩვენ მათზე ვრცლად აღარ ვისაუბრებთ, რადგანაც ამ გვარის ისტორია დეტალურდაა განხილული ბევრ ნაშრომში (ჩვენ ვისარგებლეთ **ოლღა სოსელიას** წიგნიდან, „ნარკვევები ფეოდალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან." წ. II. თბილისი. 1981. გვ. 149-162).

ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამავე ნაშრომში გამოთქმული და გაზიარებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანეთიდან სამი ძმა წამოსულა: ერთი ქუთაისის გორაზე დასახლებულა, მეორე აჭარაში წასულა და მესამე აფხაზეთში. ამ პიროვნებების ვინაობის დადგენა შეუძლებელია და ეს მიმზიდველი ფრაზა ალბათ მუდმივად თქმულება-ლეგენდად დარჩება.

მეორე მოსაზრებით, ნიჟარაძეთა აჭარული შტო ტრაპიზონში ლტოლვილ სოლომონ მეორის ამალის წევრებს უკავშირდება. მართლაც, მეფეს თავის ერთგულ დიდებულთაგან უცხოეთში ახლდნენ **როსტომ, აბესალომ და კონსტანტინე ნიჟარაძეები**. როსტომი, რომელიც მეფეს ტახტისთვის ბრძოლის არც ერთ ეტაპზე არ მოშორებია, 1811 წელს ტრაპიზონში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს. აბესალომისა და კონსტანტინეს ბედი ჩვენთვის უცნობია. ფიქრობენ, რომ აჭარაში მცხოვრები ნიჟარაძეები მათი შთამომავლები არიან.

კავკასიის მთავარმმართველის **ნიკოლოზ თევდორეს ძე რტიშჩევისადმი** 1815 წლის 7 მარტს მიწერილი საბუთით **მამია გურიელი** იმპერიის დიდმოხელეს ატყობინებს ტრაპიზონში **სოლომონ მეორის** გარდაცვალებას და წერს, რომ „დანაშთობნი ძმანი მისნი თავადნი თუ კეთილშობილნი ჯერეთცა მუნ იმყოფებიან. სამნი მათგანი თავადნი წარსულან სტამბოლს ხვანთქართან, იქიდან მოელიან გარდაწყვეტას დიდად მომლოდინე არიან"-ო (**იური სიხარულიძე**. რამდენიმე საბუთი სელიმ ხიმშიაშვილზე. ჟ. „ლიტერატურული აჭარა," №4, 1961. გვ. 85-87).

ამგვარად, სოლომონ მეორის თანმხლებთაგან, მეფის გარდაცვალების შემდეგ, სამი თავადი სტამბოლში სულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანს ეახლა და შემწეობა ითხოვეს. ჩვენი აზრით, ესენი უნდა იყვნენ: **ერთ-ერთი ლორთქიფანიძე და ძმები აბესალომ და კონსტანტინე ნიჟარაძეები**. ნაკლებად სავარაუდოა მათ შორის ყოფილიყო ხოსია წულუკიძე, რადგანაც იმერეთიდან იგი მოგვიანებით, 1820 წელს გაიქცა (იხ. შესაბამისი თავები. ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე, წულუკიძე).

საყურადღებოა, რომ მეფის გარდაცვალების შემდეგ, მისი 60-კაციანი ამალიდან* ბევრი საქართველოში დაბრუნდა და რუსეთის ხელისუფლებას მორჩილება განუცხადა. იქ დარჩენილებმა გვარები ბერძნულ ყაიდაზე გადაიკეთეს და „ივერპულოდ“ იწოდებოდნენ.** ვინ იცის, იქნებ რომელიმე ივერპულო მართლაც შეეხიზნა აჭარას, დაიბრუნა თავისი გვარი და დამკვიდრდა. ამისი დამადასტურებელი საბუთი არ გაგვაჩნია.

ყურადღებას იქცევს სოფელ ალამბარში ქესკინ ნიჟარაძის საკარმიდამო ნაკვეთში აღმოჩენილი სასაფლაო და ქვაზე დარჩენილი ეპიტაფია: „აქ განისვენებენ ბასილ ნიჟარაძე, მაღლაკელი, მამია, ვასილი, მემი-აღა, ახმედ-აღა და ილიას-აღა ნიჟარაძეები“ (**ტარიელ ნიჟარაძე**. ნიჟარაძეები. ბათუმი. 2002. გვ. 23). ჩვენ არ ვიცით, მაღლაკელი ბასილი,

---

* ვ. ჩუდინოვის ცნობით, მეფეს თან ახლდა 17 თავადი, 18 აზნაური ოჯახებით, მღვდელი ნიკოლოზ დევდარიანი და 150 გლეხი (მ. გონიკიშვილი. იმერეთი მე-18-19 საუკუნეებში. თბილისი. 1979. გვ. 196). ზოგი მათგანი მალე სამშობლოში დაბრუნდა ან სხვა ქვეყანაში გადაიხვეწა. საბოლოოდ მეფესთან 60 კაცი დარჩენილა. ამათ ნაწილსაც სხვადასხვა დროს დაუტოვებია ტრაპიზონი. „აქტები“-ს განხილვით შესაძლებლობა მოგვეცა დაგვედგინა მეფის ამალის ზოგიერთი წევრის სახელ-გვარი. ესენია: იასე ავალიანი (საზანოს თავადი), **ივანე ბოდიკაძე, კაციელა ბუჩუნაძე, პაპუნა გოგბერაშვილი, ნიკოლოზ დათიძე, ნიკოლა ვაჭარაძე, თაბუკაშვილი** (ფარეში)**, სეხნია ნასრაძე, ესიკა საყვარელიძე, დავითელა სამხარაძე, მამუკა სარაძე, სეხნია ტყემალაძე** (ტ. IV. გვ. 256, 264, 283, 284, 308).

** მიხეილ გონიკიშვილი. იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასილი და მამია ვისი შთამომავალნი არიან. ფაქტია, რომ ისინი ქრისტიანულ სახელებს ატარებენ, ხოლო მათი მომდევნო თაობა (მემედ-აღა, ახმედ-აღა, ილიას-აღა), რომელმაც ისლამი აღიარა, მუსლიმანური სახელებით გვევლინებიან. საინტერესოა ისიც, რომ მემია, ახმედი და ილიასი აღებად იხსენიებიან, ე. ი. მათ აზნაურის წოდებაც ჰქონიათ, რომელიც შემდეგ ნიჟარაძეთა თაობებშიც გაგრძელდა.

საფლავის ამ წარწერებით შესაძლო ხდება დადასტურებულად მივიჩნიოთ, რომ ქობულეთელ ნიჟარაძეთა მამამთავარი სწორედ გიორგი (II) ნიჟარაძის თანამედროვე (შესაძლოა შვილი), ბასილ ნიჟარაძეა, რომელსაც იმერეთის მეფის გიორგი მეექვსის (იმეფა 1703-1720 წლებში) ხელით გიორგი ნიჟარაძის სასტიკად დასჯის (თვალების დათხრა, ცოლის წართმევა, კლდიდან გადაგდება) შემდეგ იმერეთში აღარ დაედგომებოდათ, რადგანაც მეფე დანარჩენ ნიჟარაძეებსაც მტრობდა. სწორედ ამიტომაა, რომ „გიორგი ნიჟარაძის შემდეგ მისი სახლიკაცები ერთხანს არ ჩანან ისტორიის სარბიელზე“ (ო. სოსელია. II. გვ. 155). ისინი მაღლაკს გაეცალნენ და ალამბარში გადმოსახლდნენ. საფლავზე აღნიშნული მემი-აღა უნდა იყოს, იგივე მამუკა ნიჟარაძე, რომელმაც ნიჟარაძეთაგან პირველმა აღიარა ისლამი და სულთნისგან წყალობა, კერძოდ, მამულები მიიღო. ალი ნიჟარაძე მამუკას (იგივე მემი-აღის) შვილი, ან შვილიშვილი უნდა იყოს (იხ. გენეალოგიური ხე).

ქობულეთელი ნიჟარაძეები ოსმალთა მძლავრობის დროს ბასილოღლებადაც იწოდებოდნენ. დღემდე ამ ფაქტით არავინ დაინტერესებულა და ამას ჩვეულებრივ გვარის შეცვლად თვლიან. შეიძლება გვარის ასეთი შეცვლა მართლაც ერთ-ერთ რიგით მოვლენად მივიჩნიოთ, მაგრამ თუ გავიხსენებთ ქესკინ ნიჟარაძის კარმიდამოში აღმოჩენილ საფლავის ეპიტაფიას, დავრწმუნდებით, რომ ძალზე საინტერესო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

შემთხვევასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ცნობილი ხდება, რომ **ბასილი მაღლაკელი**-ნიჟარაძე სწორედ ის კაცია, ვინც ქობულეთში ამ გვარს დაუდო სათავე, სწორედ ისაა ქობულეთელ ნიჟარაძეთა მამამთავარი, ხოლო დედეაღა* შესაძლოა მისი შვილიშვილი იყოს და გვარი თუ მამის სახელი ბასილოღლიც აქედან მოდიოდეს.

ჩვენი ვარაუდი განამტკიცა ქუთაისის სახელმწიფო არქივში აღმოჩენილმა დედეაღას „სრულმა სამსახურებრივმა სიამ," სადაც მისი სახელ-გვარი სიტყვა-სიტყვით ასეა ჩაწერილი: „დედეაღა ბასილოღლი-ნიჟარაძე." როგორც ვხედავთ, აქ სახელი რომ დედეაღაა და გვარი ნიჟარაძე, დავას არ იწვევს. ჩემი აზრით, სადავო არც ის უნდა იყოს, რომ ბასილოღლი – ამ შემთხვევაში მამის სახელია (ბასილის ძე) და არა შერქმეული მეორე გვარი, როგორც დღემდე ფიქრობდნენ და მას ატარებდნენ დედე-აღას წინაპრებიც: (მემი-აღა), ილიას-აღა, ალი-აღა).

სამსახურებრივ სიაში, რომელიც შევსებულია 1894 წლის 26 მარტს, დედეაღის ბიოგრაფიიდან სხვა საინტერესო ცნობებსაც მივაკვლიეთ:

– ამ დროისთვის დედეაღა ბასილის ძე ნიჟარაძე მილიციის პრაპორშჩიკია;

– უკავია ბათუმის პირველი ფეხოსანი მილიციის უფროსის მოადგილის პოსტი;

– აქვს ვერცხლის მედალი „მამაცობისთვის თურქეთის ხელისუფლებისგან."

– დაბადებულია 1837 წელს;

---

* თითქმის ყველა ავტორი თვლის, რომ მისი სახელია დედე, ხოლო აღა წოდებას ნიშნავსო. სინამდვილეში დედეაღა მთლიანობაში სახელს ნიშნავს (ბაშაღას, სოლაღას და სხვათა მსგავსად).

ეროვნული ბიბლიოთეკა

– არის ბათუმის ოლქის მცხოვრები, აღის (აზნაურის) წოდების მქონე;

– სარწმუნოებით მაჰმადიანი;

– წლიური ხელფასი 550 მანეთი;

– სამსახურს შეუდგა 1880 წლის 1 აგვისტოს;*

– 1887 წლის 26 თებერვლის უმაღლესი ბრძანებით მიენიჭა პრაპორშჩიკის წოდება;

– ქორწინებაშია **ალი-აღა გოგიტიძის ქალიშვილთან, მეშურთან**; ჰყავს ვაჟები: ხულუსი, რეჯები და ახმედი; ქალიშვილები: ფატიმა და აიშე;

– უძრავ ქონებას ფლობს ბათუმის ოლქის კინტრიშის უბანში;

– სასჯელი არ ჰქონია;

– ლაშქრობებში არ ყოფილა;

– ამ ობერ-ოფიცრის სამსახურში ყოფნის დროს არ ყოფილა რაიმე გარემოება, რომელიც ხელს შეუშლიდა საპატიო ნიშნით მის დაჯილდოებას.

სამსახურებრივ სიას ხელს აწერს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, გენერალ-ლეიტენანტი

(ქუთაისის ცენტრ. არქივი, ფ. №186, საქმე № 8. ფურც. 294-19).

1880 წელს, სახელმწიფო სამსახურში ჩაბმის პარალელურად, დედეაღა ნიჟარაძე ახლადგათავისუფლებული აჭარის პირველი მეჯლისის წევრადაც აირჩიეს (შემონახულია ამ დროს გადაღებული კოლექტიური ფოტო, სადაც დედე-აღა სამხედრო ფორმითაა წარმოდგენილი).

---

* ბოლო მონაცემებით ირკვევა, რომ 1877-1878 წლების ომის დროს დედიაღა ჩაეწერა ქართულ რაზმში, რომელმაც 1877 წლის 24 აპრილის ბრძოლებში გამოიჩინა თავი (გიორგი მისირელი. „გუარი ესე, რომელ არს ნიჟარაძე“. თბილისი. 2005. გვ. 86).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის დაწყებამდე, 1875 წელს დედეაღა აქტიურად მონაწილეობდა ქობულეთელთა ჯანყში. მათ უარი განაცხადეს ოსმალეთის არმიაში სამსახურზე და ამით სოლიდარობა განუცხადეს თავისუფლების მოყვარე ბოსნიელებსა და ჰერცოგოვინელებს.

მართალია, ომის დაწყებამდე დედეაღა ოსმალეთის არმიაში ირიცხებოდა (ჩაქველი ხუსეინ-ბეგ ბეჟანიძის და სხვა პატრიოტების მსგავსად), მაგრამ იმთავითვე ფარულად ქართველ მოხალისეთა რაზმებს, გურიის დრუჟინას მიეკედლა და დიდად გაისარჯა, რათა ტყუილუბრალოდ სისხლი არ დაღვრილიყო და აჭარა დედა-სამშობლოს დაბრუნებოდა.

დედეაღას პოეტური ნიჭიც ჰქონდა. ალი-ფაშა თავდგირიძეზე მიძღვნილი ლექსის ერთ-ერთი ვარიანტის ავტორი სწორედ ის არის („ამ ლექსისა გამომთქმელი დედეაღა ვარ იუზბაში“).* ცნობილია მისი გაპაექრება გურულ მოლექსეებთან. ის კარგად იცნობდა გრიგოლ და მამია (პოეტ) გურიელებს, მუდმივი კავშირი ჰქონდა საქრისტიანო საქართველოსთან.

გათავისუფლებულ ბათუმის ოლქში დედეაღა გამოირჩეოდა თავისი პროგრესულობით, პატრიოტობით, განსწავლულობითა და ინტელიგენტურობით. მან გულა-აღა კაიკაციშვილთან ერთად პირველმა გაგზავნა თავისი შვილი **რეჯები** ჯერ თბილისის გიმნაზიაში, შემდეგ ოდესის უნივერსიტეტში, რაც იმ დროისთვის უპრეცედენტო მაგალითი იყო აჭარელი ახალგაზრდებისთვის და უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აქაურ მკვიდრთა შორის განათლებისა და კულტურისკენ სწრაფვის გასაღვივებლად.

---

* შემორჩენილია ერთი კარგად შენახული ფოტო, „ალი-ფაშა თავდგირიძე თავის თანამებრძოლებთან.“ ფოტოზე მარცხნიდან პირველი აღბეჭდილია ახალგაზრდა დედეაღა ნიჟარაძე.

**დავით კლდიაშვილი** პირადად იცნობდა დედეაღას, ისინი არაერთხელ შეხვედრიან ერთმანეთს ბათუმის ოლქის უფროსის თანაშემწის **მელიტონ ლორთქიფანიძის** ოჯახში. „დარბაისელმა, თავაზიანმა, ხალხოსანმა ადამიანმა მრავალი პატივისცემელი მოიპოვა; საღამოობით მისას ვის არ ნახავდით! დიდად უყვარდათ ადგილობრივ მცხოვრებლებსაც და მის გარშემო იყრიდნენ თავს. აქ ნახავდი მაშინ სიცოცხლით სავეს **გულო-აღა კაიკაციშვილსა და დედეაღა ნიჟარაძეს**, რომლებმაც შეისმინეს და თავიანთი ვაჟები თბილისში გაგზავნეს სათავაზნაურო გიმნაზიაში სასწავლებლად, როცა სხვები ამას გაურბოდნენ იმის შიშით, რომ შვილები გაგვიქრისტიანდებიანო. ამათ შვილებს კოწია მუხრანელი ზრდიდა თავის ხარჯზე“ (**დავით კლდიაშვილი.** „ჩემი ცხოვრების გზაზე.“ თბილისი. 1961. გვ. 8).



დედეაღა ნიჟარაძე
(1837–1902)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედეალის ოჯახთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ზაქარია ჭიჭინაძესაც. 1889 წელს ქობულეთში ჩამოსული მწიგნობარი ბინად გაჩერდა ალამბარში, სადაც „სცხოვრობს მემამულე დედეალა ბასილოღლი-ნიჟარაძე, ძველი ქართველი თავადიშვილთაგანი, ქართული ენისა და ჩვეულების დამცველი. ამას ძრიელ გაეხარდა ჩემი მისვლა, გზაში მომეგება: „ოჰ, შენი ჭირიმე, შენიო... ჩვენ ორნივე ერთნი ვართ, ჩვენი სამამულო ენა ქართულია, ჩვენც ქართველები ვართ, მხოლოდ თქვენ ქრისტიანები და ჩვენ მუსლიმანიო. ამათ სახლში ყველა ქართულად ლაპარაკობს და ქართული წერა-კითხვაც იციან. ამათთან რამდენიმე დღე დავყავ და დიდი პატივი მცეს“ (**ზ. ჭიჭინაძე**. მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913. გვ. 15, 16).

შემდეგ ზაქარია ჭიჭინაძე აგრძელებს თხრობას იმის თაობაზე, თუ რა დიდი სურვილი ჰქონდათ ნიჟარაძეებს, ქობულეთში სკოლის გახსნისა, რადგანაც ბათუმში ბავშვების გაგზავნა მათთვის ძნელი და საკმაოდ ძვირი ღირდა.

„ამავე სოფელში – აგრძელებს თხრობას ზ. ჭიჭინაძე – ერთ ალაგას ეკლესიის ქვები ჰყრია, ამ ეკლესიას წმინდა გიორგი შუშანეთისას უწოდებენ. ამას ხალხი დღესაც სცემს პატივს. მე მაჩვენეს ეს ადგილი და ერთი ქვის გვერდით ორი კოშტი წმინდა სანთლის ნაჭერი ვიპოვნე, ერთზე 3 კაპ. იყო მიკრული, ხოლო მეორეზე 2 კაპ. ერთი კვირის წინედ შეეწირათ!..“ (იქვე, გვ. 16).

ზაქარია ჭიჭინაძეს თავის წიგნში მოაქვს დედე-ალის პატრიოტული სულისკვეთებით ნათქვამი სიტყვებიც: „ახლა, ამ ბოლო დროს, ეს ენა და ერი თქვენ ჩაგაბარეთ და იმედია, რომ დღეის შემდეგ ჩვენი მოძმე ქართველები ჩვენს ენასა და ყოფა-ცხოვრებას თავიანთ მზრუნველობას არ მოაკლებენო.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ზოგს თავიანთის და ზოგს ჩვენის დახმარებით სკოლებს დაგვიარსებენ და ჩვენს ერში ქართულს წიგნებს და განათლებას გაავრცელებენო“ (იქვე, გვ. 21).

დედეალა ნიჟარაძე 1902 წელს გარდაიცვალა 65 წლის ასაკში. დაკრძალულია სოფელ მუხაესტატეში, ძმასთან, ქესკინთან ერთად.

ნიჟარაძეთა სხვა წარმომადგენლებიც გამოირჩეოდნენ სასარგებლო საქმიანობით. დედეალის ერთ-ერთი **შვილი მურადი**, რომელსაც ცოლად ჰყავდა აიშე კომახიძე, ხელმძღვანელობდა ბათუმი-ართვინის რკინიგზის მშენებლობას. მასვე ევალებოდა მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკოსებზე ხელფასების დარიგება. 1916 წელს, ბანკიდან ფულის მორიგი გამოტანის შემდეგ, მას თავს დაესხნენ მისივე მეუღლის ახლობელი კომახიძეები და ფულის გატაცების მიზნით მოკლეს, ნიჟარაძეებს ცხელ კვალზე სურდათ შური ეძიათ, მაგრამ მოკლულის ძმამ რეჯებმა მათ ამის უფლება არ მისცა, თუმცა მოგვიანებით ერთ-ერთ კომახიძეს შურისგებამ მაინც უწია.

მურადის დაღუპვის შემდეგ დაიბადა მისი ვაჟი, რომელსაც მამის სახელი მურადი დაარქვეს. სამწუხაროდ, დიდხანს არც მას უცოცხლია – 1937 წელს ის ავტოკატასტროფის დროს დაიღუპა ისე, რომ შთამომავლობა არ დარჩენია.*

აჭარელ წარჩინებულებთან იმერელ ნიჟარაძეებს მუდმივი ურთიერთობა ჰქონდათ. მივაკვლიეთ ერთ საინტერესო ცნობას, რომელშიც საუბარია მარადიდელ ხალვაშებზე. მათს ერთ-ერთ წარმომადგენელს, კერძოდ, გონიო-მარადი-

* მურად ნიჟარაძეზე და მის შვილზე ცნობა 2005 წელს მოგვაწოდა 94 წლის ელმას ქესკინის ასულმა ნიჟარაძე-ბეჟანიძემ (დაბად. 1911 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა



მურად და რეჯებ ნიჟარაძეები

დის უბნის უფროსს **ახმედ ხალვაშს** პირადი ურთიერთობა ჰქონდა იმერეთის თავად, პოლკოვნიკ **ერმალო ნიჟარაძესთან**, რომელიც 1881 წელს მარადიდში განლაგებული სამხედრო ნაწილის უფროსი იყო. ახმედ ხალვაშს საგანგებოდ დამზადებული თოფი „მაჭახელა" ერმალო ნიჟარაძისთვის უჩუქებია. ეს თოფი ახლა ქუთაისის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება.*

* მუზეუმში ყოფნისას გაირკვა, რომ ეს თოფი მუზეუმისთვის 1924 წელს ჩაუბარებია პატრიკეთის თემაღმასკომის თავმჯდომარეს, **კონსტანტინე გუბელაძეს**. უცნობია, როგორ მოხვდა თოფი მის ხელში (იხ. „ნიჟარაძეები"). შესაძლოა აჯანყების დროს რომელიმე ოჯახს ჩამოართვეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინტერესოა ისიც, რომ ერმალოს შორეული ნათესავი კაცია (იხსენიება 1730-1746 წლებში) ჩვენი აზრით, ქობულეთელ ნიჟარაძეთა მამამთავრის ბასილის ძმა უნდა იყოს, ნათესაობა კი ასე გრძელდება: კაცია➔თეიმურაზი (1752-1884 წ.წ.)➔ვახტანგი (1762 წ.)➔ოტია (1772-1824 წ.წ.)➔ერმალო ნიჟარაძე (1834-1894 წ.წ.).

ერმალოს ცოლად ჰყავდა სვანეთის უკანასკნელი მთავრის ანტირუსული მოძრაობის ცნობილი გმირის, **კონსტანტინე (მურზაყან) ციოყის ძე დადეშქელიანის** (1826-1857 წ.წ.) ასული **კესარია** (დაბად. 1852 წ.).

ამ მოყვრობით ერთგვარი სიცხადე შედის **დადეშქელიან-გვარიშვილთა** იდენტურობაშიც. ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებულ დადეშქელიანს, რომელიც ჩაქვში დამკვიდრდა და გვარიშვილად იწოდა, ცოლად ჰყავდა **ხალვაშის ქალი ნათელა**. იმ ხალვაშისა, რომელმაც იგი შეიკედლა და მიწებიც აჩუქა. ერმალო ნიჟარაძეც დადეშქელიანთა დიდი ოჯახის სიძე იყო. **ახმედ ხალვაშის, ჩაქველი ხალვაშების ნათესავის მიერ დადეშქელიანთა სიძეზე თოფი მაჭახელას ჩუქებაც ამ ორმაგი მოყვრობის გამოძახილი უნდა იყოს**.

ერმალო ნიჟარაძის ფერადი ფოტოსურათი, რომელზეც ის ეროვნული ტანსაცმლით, ეპოლეტებით, ჩინ-მედლებით, დამბაჩითა და ხმალ-ხანჯლითაა წარმოდგენილი, რამდენიმე გამოფენას ამშვენებდა. სამწუხაროდ, ზოგჯერ მისი სახელ-გვარი არ იცოდნენ და უცნობ პირად აცხადებდნენ, (**ე. ბურჭულაძე**. საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა. თბილისი. 1953. გვ. 212). ზოგგან კი ის დათა გუგუნავად იყო მიჩნეული. (**იოსებ მეგრელიძე**. გუგუნავები. ბათუმი. 1987. გვ. 21). აწ გარდაცვლილი ბათუმელი თავადიშვილის, ალექსანდრე (საშა) წულუკიძის ოჯახში ახლახან აღმოვაჩინეთ ამ ფოტოსურათის ორიგინალი, почтовая карточка, რომელსაც აქვს წარწერა „ერმალო ნიჟარაძე." ოჯახის დიასახლისმა ქალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონმა ჯულიეტა სურმავა-წულუკიძისამ თავაზიანად გად-მოგვცა აგრეთვე ერმალოს მეუღლის კესარია კონსტანტინეს ასული დადეშქელიანი-ნიჟარაძის ფოტოსურათი, რომელსაც აქვე ვთავაზობთ მკითხველებს.*



ერმალო ოტიას ძე
ნიჟარაძე,
გურიის რაზმის უფროსი
(1834–?)



ერმალოს მეუღლე,
კესარია კონსტანტინეს ას.
დადეშქელიანი-ნიჟარაძე,
(1852– ?)

---

* ერთგან ერმალო 1854 წელს გარდაცვლილად არის მოხსენიებული, როცა მისი მეუღლე კესარია დადეშქელიანი 1852 წელსაა დაბადებული (**გიორგი მისირელი.** „გუარი ესე, რომელ არს ნიჟარაძე.“ თბილისი. 2005. გვ. 66). ეს შეცდომაა. კესარიას ტყუპისცალი მარიამი ცოლად ჰყავდა თავად **იესე ალმასხანის ძე წულუკიძეს** (1848-?).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოდოკუმენტის შექმნა ძალზე საინტერესო დრამატულ ისტორიას უკავშირდება, იგი მკითხველსაც დააინტერესებს, ამიტომ მოკლედ მოვუთხრობთ მის შესახებაც. მაღალჩინოსანი ქუთაისის გუბერნატორი **ა. ი. სლავოჩინსკი** ცნობილი იყო, როგორც შოვინისტი მოხელე. იგი ცდილობდა ახლადდაპყრობილი ქართული მიწებიდან რაც შეიძლება მეტი ადგილობრივი მცხოვრები აეყარა და ოსმალეთში გადაერეკა, ხოლო მათი სახლ-კარი რუსეთიდან გადმოსახლებულებისთვის დაეთმო.

ბათუმის ოლქის უფროსად ყოფნისას ჭოროხს გაღმა სოფელ თხილნარში (ამჟამინდელი ხელვაჩაურის რ.) გუბერნატორმა შიგა რუსეთიდან ჩამოასახლა ხალხი, რომელთაც „სიმინდის მოყვანა არ იცოდნენ, პური კი ნესტიან ადგილას ჩალპა და არ ამოვიდა; ამასთანავე დაერიათ ციება და მოკლე დროში თითქმის განახევრდა ხალხი; გადარჩენილებმა მოკურცხლეს და გაიფანტნენ“ – წერს **დავით კლდიაშვილი** თავის მემუარებში (ჩემი ცხოვრების გზაზე. თბილისი. 1961 წ.).

ა. სლავოჩინსკის ერევნის გუბერნიაშიც უმსახურია და იქაც სასტიკად ეპყრობოდა ადგილობრივ მოსახლეობას, რაც ხელისუფლებამ დაუფასა. მიანიჭეს გენერლობა, ხოლო შემდეგ ქუთაისის გუბერნატორადაც დაუწინაურებიათ (გადააყენეს 1913 წ.). ამ ჩვენი ცოდვით სავსემ, კარიერისტობით და ანტიქართული ქმედებებით ცნობილმა ა. ი. სლავოჩინსკიმ, თურმე არ იკმარა თხილნარის მაგალითი და რუსეთის იმპერატორს საიდუმლო რაპორტი გაუგზავნა. იგი ითხოვდა არა მარტო ბათუმის ოლქის, არამედ მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მასობრივ გასახლებას და მათ ადგილას რუსების დამკვიდრებას.

ეს ვერაგული განზრახვა შემთხვევით გაიგო ექვთიმე თაყაიშვილის უფროსმა ძმამ, სამხედრო სამსახურში მყოფმა **ნიკოლოზ თაყაიშვილმა**. მან ამის შესახებ აცნობა იმერეთის თავადაზნაურთა წინამძღოლს, თავად **დავით ნიჟარაძეს** (1853-1922).

დავითმა არ დააყოვნა, იმპერატორთან აუდიენციისთვის იგი პეტერბურგში გაემგზავრა. თან წაიყვანა თავისი ძმა, გურიის დრუჟინის მეთაური **ერმალო ნიჟარაძე** (1834-?) და ცნობილი ექიმი **სამსონ თოფურია** (1854-1904).

დელეგაცია ჯერ რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრს პ. ა. სტოლიპინს შეხვდა. იგი იმთავითვე მოიხიბლა ქართველი ემისრების კეთილშობილებითა და განსწავლულობით. გაშინაურებულმა სტუმრებმა **პეტრე სტოლიპინს** გაუმხილეს სლავოჩინსკის განზრახვა, რამაც მისი დიდი გაოგნება და აღშფოთება გამოიწვია, არა იმდენად ქართველებისადმი პატივისცემის, რამდენადაც სახელმწიფო საიდუმლოების გამხელის გამო. ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ მოახსენა იმპერატორს, რომელმაც პირველ რიგში თანამდებობიდან **ა. ი. სლავოჩინსკი** გაიწვია, ქართველთა გასახლებაზე კი სამუდამოდ აიღო ხელი.

დელეგაციის წევრების გარეგნობით და სიტყვა-პასუხით **ნიკოლოზ მეორეც** მოიხიბლა. მას განსაკუთრებით მოეწონა ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი **ერმალო ნიჟარაძე. მეფემ ბრძანა, რომ მისი ფოტოსურათი ღია საფოსტო ბარათზე დაებეჭდათ და გაევრცელებინათ**.

ბარათის ალბათ ერთად-ერთი ეგზემპლარია, რომელიც ინახება **ჯულიეტა სურმავა-წულუკიძის** ოჯახში. ბარათზე არსებული წარწერები გვამცნობენ პიროვნების ვინაობას. ღია ბარათის უკანა მხარეზე შემორჩენილია სტამბური წარწერა карточка, შემდეგ ფანქრით „ერმალო ნიჟარაძე“ და კალმით „საშას ბებიის მამა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღია ბარათზე პიროვნებების სახელ-გვარს წესისამებრ არ აღნიშნავდნენ, რაც გახდა შეცდომის მიზეზი(„ქართული ლაშქრის მეთაურის ტიპი“ (ე. ბურჭულაძე), „შუახნის დავით გუგუნავა“ (ი. მეგრელიძე). როგორც ზემოთ ვთქვით, არც ერთი სწორი არაა. ეს ფერადი ფოტოსურათი ეკუთვნის გურიის დრუჟინის მეთაურს ერმალო ოტიას ძე ნიჟარაძეს.

ნიჟარაძეთა ოჯახში დაბადებულ-აღზრდილი ქალიშვილები უპირატესად თავადური წარმოშობის გვარის ვაჟებზე თხოვდებოდნენ. ერთ-ერთი მათგანი სოფელ ზერაბოსელის მკვიდრი **გული ნიჟარაძე** ზენდიდელ (ქედა) თავად **ჰაჯიასანბეგ ბეჟანიძეზე** იყო გათხოვილი. სწორედ მან განაგრძო ამ ოჯახში ქართული წერა-კითხვისა და წიგნიერების განვითარება. მან ოჯახური განათლება მრავალრიცხოვან შვილებსა და შვილიშვილებს მისცა.

მასთან სხვა წარჩინებული გვარების (შერვაშიძე, თავდგირიძე, სურმანიძე, ციციშვილი და სხვ.) შვილებიც ეზიარნენ ქართულ წერა-კითხვას. ქალბატონი გული კარგად ფლობდა ძველ ქართულ, ე. წ. „დედაბრულ“ დამწერლობას, რომელიც ჩაიწერა და სანიმუშოდ გამოაქვეყნა **თედო სახოკიამ** (მოგზაურობანი. თბილისი. 1950. გვ. 254).

ქობულეთის გარდა (ს. ალამბარი, ზერაბოსელი და სხვ.) ნიჟარაძეთა გვარი გავრცელებულია ქედის რაიონის სოფელ ვაიოში. აქაური ნიჟარაძეებიც თავიანთ წინაპარს მაღლაკიდან მოსულად თვლიან. აქაურთა გვარის მამამთავარი ყოფილა **გიორგი**, რომლის შვილს **ოტია** რქმევია. სწორედ ის ყოფილა პირველი **მაჰმადიანი ნიჟარაძე**, რომელსაც სახელად **ოსმანი** დაარქვეს.ვაიოს ნიჟარაძეები არ გამორიცხავენ ქობულეთელ (ზერაბოსლელ) თანამოგვარეებთან ნათესაურ კავშირს. ვაიოს ნიჟარაძეთა გვარიდან მრავალი ცნობილი

პიროვნება გამოვიდა, მაგრამ საგანგებოდ აღსანიშნავია ძმები: პროფესორები **ნადიმი და შოთა, აგრეთვე მურადი და ლევანი**.

ნიჟარაძეები სახლობენ შუახევის რაიონის სოფელ ქიძინიძეებში. ისინი თავის მხრივ თვლიან, რომ მათი წინაპარი აქ ვაიოდან ამოვიდა.ამის შესახებ მოგვითხრობს თავის წიგნში, „ნიჟარაძეები“, **ტარიელ ნიჟარაძე**.აქვე ვიტყვით რომ ნიჟარაძეთა რამდენიმე ოჯახი ხულოშიც ცხოვრობს.

ცხადი ხდება, რომ სხვა გვარების მსგავსად, ნიჟარაძეებიც, ნებით თუ იძულებით, საქართველოს სხვადასხვა მხარეებში გაიფანტნენ, თუმცა გვარის ბუდე-ადგილმა იმერეთმა პირველობა არ დათმო და აქ ახლაც (ქუთაისი, წყალტუბო)



**ქესკინ ნიჟარაძის სახლი საგვარეულო ფუძეზე (ს. მუხაესტატე). აშენდა დახლოებით 1888 წელს.**

800-მდე ნიჟარაძე ცხოვრობს, ისინი მრავალად (600-ზე მეტი) არიან თბილისშიც.

ნიჟარაძეთა წარჩინებული წოდება ეჭვს არასოდეს იწვევდა, მაგრამ ცარიზმის ხელისუფლება ამ გვარს მაინც-დამაინც არ წყალობდა, ერთ-ერთ მათგანს **სულეიმან-აღა ახმედის ძე ნიჟარაძეს** 1911 წელს განცხადებით მიუმართავს ბათუმის ოლქის წოდებრივი კომისიისთვის, აღედგინათ მისთვის რუსეთის აზნაურის წოდება. მოწმეებისა და სამოქალაქო რწმუნებულების დადებითი დასკვნების მიუხედავად, საოლქო კომისიამ სულეიმან ნიჟარაძის თხოვნა არ დააკმაყოფილა. თუმცა ამას ამ გვარის ავტორიტეტზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ყველა რუსულ და საბჭოთა პერიოდის საბუთებში **რეჯებ ნიჟარაძე თავადად (ბეგად)** მოიხსენიება. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ ოფიციალური საბუთი, მაგრამ ეჭვი არ გვეპარება, რომ საქართველოში მცხოვრებ სხვა ნიჟარაძეების მსგავსად, პირადად რეჯებ ნიჟარაძეს რუსეთის ხელისუფლებამ თავადის წოდება სხვა საბუთებით მიანიჭა და 1911 წელს შექმნილი წოდებრივი კომისიისთვის მას და მის სახლიკაცებს სწორედ ამიტომ არ მიუმართავთ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

* * *

ნიჟარაძეთა გვარს (და არა მარტო მას) გვირგვინად ადგას დედე-აღას ვაჟის **რეჯებ ნიჟარაძის** სახელი. ეს იყო აჭარის პირველი მკვიდრი, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო, პირველი იურისტი მთელი ოლქიდან.

რეჯები 1873 წელს დაიბადა სოფელ ალამბარში. პირველდაწყებითი განათლება მიიღო ოჯახში, სადაც ტრადიციულად ყველა ფლობდა ქართულ წერა-კითხვას. ბებია ოზურგეთის სასულიერო სემინარიის დამაარსებლის არქიმანდრიტ **არსენ მამულაიშვილის** ასული იყო, ხოლო დედა საკმაოდ განათლებული და მწიგნობარი ქალი – **მეშურე ალის ასული გოგიტიძე.** 1885 წელს რეჯები მამამ ფოთის დაწყებით სკოლაში შეიყვანა.

**პეტრე უმიკაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, დავით კლდიაშვილის, მელიტონ ლორთქიფანიძის** და სხვა ქართველ მოღვაწეთა რჩევით დედე-აღა ნიჟარაძემ და გულააღა კაიკაციშვილმა თავიანთი შვილები რეჯები და ასლანი თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიაში შეიყვანეს. ახალგაზრდები განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდნენ ქართული ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიისადმი. საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ერთ-ერთი დოკუმენტით დასტურდება, რომ **რეჯებ ნიჟარაძეს და ასლან კაიკაციშვილს** 1890 წელს გადაუწერიათ **იესე ტლაშაძის** „კათალიკოს-ბაქარიანის“ 108-გვერდიანი ხელნაწერი, 1-54 გვერდი – რეჯებს, ხოლო 55-108 გვერდი ასლანს (ქხა. შ-კოლექცია. ტ. VI. თბ. 1969. გვ. 155. საბ. № 4909). როგორც ამბობენ, გიმნაზიაში რეჯებს უსიამოვნება ჰქონდა დიდი თავადის მუხრან-ბატონის ვაჟთან, რის გამო მშობელმა ის თბილისს განარიდა. რეჯებმა სწავლა სტავროპოლის გიმნაზიაში განაგრძო, რომლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ნოვოროსიისკის (ოდესის) უნივერსიტე-

ტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქ კვლავ შეიყარა რეჯებისა და ასლან კაიკაციშვილის გზები. ასლანი უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ მალე 1897 წელს დასნეულდა და სულ რაღაც სამ დღეში გარდაიცვალა. რეჯებს თავზარი დასცა მეგობრის გარდაცვალებამ, რაც მის ჩანაწერებშიც იგრძნობა: „ჩვენი უბედურება ენით არ ითქმის, ჭკუაზე ვერ მოვდივართ... შეუბრალებელმა სიკვდილმა წაგვართვა ის კაცი, რომელსაც შეეძლო რაიმე ნაყოფი მოეტანა... ის იყო ჩვენი ქობულეთის იმედი“ (**ტარიელ ნიჟარაძე**. ნიჟარაძეები. ბათუმი. 2002. გვ. 29).

ასლანის გარდაცვალებამ დიდად დაამწუხრა დიდი ქართველი მეცნიერები **ვასილ პეტრიაშვილი და პეტრე მელიქიშვილი**, რომლებიც იმ დროს ოდესის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ. მათ თავიანთი ხარჯით გადმოასვენეს ასლანი ბათუმამდე.*

იურისტის დიპლომით რეჯები სამუშაოდ მცირე ხნით თბილისში, შემდეგ ბაქოში გაამწესეს. აქ მას თან ახლდა მეუღლე, წარმოშობით გერმანელი, სარწმუნოებით ლუთერანი ქალი **ეკატერინე, პეტრეს ასული** აფანასიევა** (1875-?). აქ რეჯები 6 წელი დარჩა, ხოლო შემდეგ კვლავ თბილისში დაბრუნდა, ერთხანს გუბერნატორის მდივნის მოვალეობას ასრულებდა.

---

* ბოლო დრომდე უცნობი იყო მიცვალებულის ოდესიდან საქართველომდე გამცილებელთა ვინაობა. ჩვენ დავადგინეთ, რომ მიცვალებულს თან ახლდნენ ასლანის თანაკურსელი, დიდ-ჯიხაშელი **ანდრია ლუარსაბის ძე ლორთქიფანიძე** (1880-1943) და ოდესის უნივერსიტეტის ასისტენტი, ამლეველი, **კონსტანტინე მიხეილის ძე ამირეჯიბი** (1869-1948). იხ. ჩვენი წერილი გაზ. „ბათუმი,“ 3 სექტემბერი, 2002. გვ. 5).

** რეჯებს მასთან შეეძინა ქალ-ვაჟი: სოფიო და რაშიდი (შემდგომში ქიმიკოს-ტექნოლოგი). გერმანიაში ქალიშვილთან, სოფიოსთან ერთად წასულმა ეკატერინემ მშობლები მოინახულა, მაგრამ უკან ველარ დაბრუნდა და იქვე გარდაიცვალა. რეჯებმა ცოლად ქობულეთელი აიშე ბეჟანიძე შეირთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1911 წლიდან რეჯებ ნიჟარაძე ბათუმშია, სადაც ის ქალაქის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ აირჩიეს. აქ ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა, როგორც ქართველ საზოგადოებრიობაში, ასევე რუსეთის ადმინისტრაციაშიც (აჭარის სახ. არქივი, ფ. ი-., აღ. 1. ს. № 531, გვ. 20-38). 1913 წელს ის შედიოდა ბათუმის ოლქის 18-კაციან დეპუტაციაში, რომელიც 20 თებერვალს თბილისში გაემგზავრა რომანოვების დინასტიის 300 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე და რომელიც დიდი პატივით მიიღო კავკასიის მეფისნაცვალის ადმინისტრაციამ (იხ. ზემოთ ფოტო).

ახალგაზრდა იურისტი აქტიურად ჩაება მშობლიური ქალაქის საზოგადოებრივ საქმიანობაში, რაც ხელს უწყობდა თავისი ქვეყნის აღმავლობას, კულტურულ და ეკონომიკურ დაწინაურებას: მონაწილეობდა საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციებში, თანამშრომლობდა ქართულ პრესაში, აქვეყნებდა მასალებს, რომლებიც გაჟღენთილი იყო ეროვნული სულისკვეთებით.

რეჯებ ნიჟარაძეს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მოღვაწეებთან, მწერლებთან, ხელოვნებისა და თეატრის მესვეურებთან; 1916 წლის მარტში რეჯები შედიოდა აჭარის დელეგაციაში, რომელმაც მხარის ინტერესები გამოხატა მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან საუბრის დროს. ამ ვიზიტმა ფიზიკურ განადგურებას და რეპრესიებს გადაარჩინა ათეულობით აჭარის მკვიდრი, რომელთაც გამოგონილ ღალატს სწამებდნენ. აჭარელთა ალიბის შეგროვებაში რეჯებს დიდ დახმარებას უწევდა ხელვაჩაურელი **იუსუფ ვარშალომიძე.**

1917 წლის შემოდგომაზე დაინიშნა რუსეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები; ამ კრებას უნდა დაედგინა, ვის გადაეცემოდა ძალაუფლება. საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მიერ წარდგენილ 13-კაციან სიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი – სულეიმან და რეჯებ ნიჟარაძეები არიან (გ. მისირელი. დასახ. წ. გვ. 145, 146).

1917 წლის ნოემბერში საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ რეჯებ ნიჟარაძე ეროვნული საბჭოს წევრად აირჩია. ის შედიოდა აგრეთვე ქართული უნივერსიტეტის დაარსების საგანგებო საბჭოს შემადგენლობაში.

როგორც აღვნიშნეთ, 1918 წლის 26 მაისს რეჯებ ნიჟარაძე აჭარის სხვა წრმომადგენლებთან ერთად ესწრებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელ კრებას.

1919 წლიდან რეჯებ ნიჟარაძე დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში მყოფი აჭარის პირველი მეჯლისის წევრია, ხოლო 1921 წლის 18 მარტს ის, მემედ აბაშიძესთან ერთად, აჭარის რევკომის წევრად აირჩიეს. სამშობლოს პატრიოტებმა ამაზე უარი არ განაცხადეს მხოლოდ იმ მოტივით, რომ აჭარა ავტონომიის სტატუსით საქართველოს ფარგლებში დარჩენილიყო და უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ვითარება კიდევ უფრო არ გამწვავებულიყო.

1922 წლის 18 იანვარს რეჯებ ნიჟარაძე აჭარის იუსტიციის სახალხო კომისრად დანიშნეს და ცაკის წევრად აირჩიეს, მაგრამ 1923 წლიდან წარჩინებულ პირთა მიმართ დევნის დაწყების გამო ის იძულებული გახდა აჭარას გასცლოდა და თბილისში გადასულიყო. დედაქალაქში ის 1933 წლამდე დარჩა. აქ რეჯები მჭიდრო ურთიერთობას აგრძელებს ცნობილი ქართველი მოღვაწეების ოჯახებთან.

1937 წლის 3 სექტემბერს რეჯებ ნიჟარაძე ბათუმში საკუთარ სახლში (კიროვის ქ. № 13) დააპატიმრეს, სამეულმა მოგონილი ბრალდებით, სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯა (იმავე წლის 22 ნოემბერს) და ბათუმშივე (სალიბაურში) მოუსწრაფეს სიცოცხლე. სიკვდილის ფაქტი დაუდასტურებია **ექიმ ლისოვს**, რომელსაც მოგვიანებით ოჯახისთვის შეუტყობინებია ეს ტრაგედია.

# ქობულეთელ ნიჟარაძეთა გენეალოგიური ხე №1
# (ბასილ ნიჟარაძის შტო)



# ქობულეთელ ნიჟარაძეთა გენეალოგიური ხე (დედეაღა ნიჟარაძის შტო)

## შედგენილია 94 წლის ელმას ნიჟარაძე-ბეჟანიძის მიერ მოწოდებული ცნობით. 21 სექტემბერი, 2005 წ.



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# თავადი სურმანიძე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## სურმანიძე

საქართველოში საკმაოდ გავრცელებული გვარის სურმანიძის ეტიმოლოგიაზე მრავალი მოსაზრება გამოითქვა. ერთნი ფიქრობენ, რომ ამ გვარის წარმოშობა საკუთარ სახელს სურმა-ს უკავშირდება, მეორენი მას ქიმიურ ელემენტს სურმა-ს (ვერცხლისფერ მყიფე ლითონს), საოლავს, აგრეთვე სარკმლის აჭარულ-იმერხევულ სახელს, სურმა-ს უკავშირებენ. ჩვენი დაკვირვებით, სამკურნალო ნივთიერება, თუნდაც სახლის რომელიმე დეტალი (კარი, ფანჯარა) გვარის ფუძედ არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, ამდენად, სურმანიძის წარმომავლობა სხვა სიტყვებში, უფრო მეტად ტოპონიმებში უნდა ვეძიოთ.

ყურადღებას იქცევს ისტორიული საქართველოს ოთხი ტოპონიმი: სურმანი, სურმენე, სურამი და სურევანი. ამათგან სამი ამჟამად საქართველოს ფარგლებს გარეთ მდებარეობს.

თამარ მეფის დროს სურმანი დვინის პროვინციას მიეკუთვნებოდა და საქართველოს კუთვნილ ტერიტორიას წარმოადგენდა. აქ 1203 წლიდან განსაკუთრებით გამრავლდა ქართველთა დასახლებები. ეს პროვინცია მე-18 საუკუნის მეორე ნახევარშიც, ერევნის სახანოს სახით, საქართველოს ფარგლებში იყო გაერთიანებული.

სურმანელნი თავს მედგრად იცავდნენ, მხარგრძელთაგან ერთ-ერთი დარბევის შემდეგ სურმანელებმა ძალები მოიკრიბეს, მომხდურები თავისი მიწა-წყლიდან განდევნეს და თამარ მეფეს ეახლნენ. მისგან წყალობაც მიიღეს და ბრძოლებში „მეშველადაც" გაჰყვნენ.

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ სურმანი ხელიდან ხელში გადადიოდა, რასაც თან ხშირი ბრძოლები და რბევა-აოხრება მოსდევდა.

რუსუდანის მეფობის დროს სურმანს შამშე მანდატურთუხუცესი (1207-1261) ფლობდა, რომელმაც ერთ-ერთი ბრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძოლის დროს ავაგ ათაბაგთან ერთად დაამარცხა ოსმალო ყარახანის 60-ათასიანი ლაშქარი.

მალე ამ პროვინციას მონღოლები შემოადგნენ. მათ დაიპყრეს სურმანი და სხვა ადგილები, აგრეთვე ქართლი, სამცხე, შავშეთი, კოლა-არტაანი, ხოლო „მანდატურთუხუცესი შანშე შეივლტოდა ქვეყანად აჭარას" (ქართ. ცხოვრება. II. თბილისი. 1961. გვ. 187).

**შანშე მანდატურთუხუცესმა და ბალშან სურმანელმა,** „პატრონმა დვინისა და სომხითისა," აღზრდა-განათლება ელდიგუზ და ივანე ათაბაგების კარზე მიიღეს. ისინი ერთმანეთთან მეგობრობდნენ, ამიტომ ვფიქრობთ, რომ **სურმანელთა დიდი ჯგუფის ოტება აჭარაში შანშესთან ერთად, დაახლოებით 1220-1261 წლებს შორის უნდა მომხდარიყო**, როცა ამ მხარეს ჯერ კიდევ ერისთავი აბუსერისძეები მართავდნენ. მათი სამფლობელოები, ეკლესიები და ციხე-კოშკები სხალთა-ხიხანის ხეობაში იყო განლაგებული. ერთ-ერთი ეკლესიის წარწერიანი ქვა სოფელ ვერნებში დღესაცაა შემონახული, ხოლო ვერნებისა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა ნახევარზე მეტი სურმანიძის გვარს ატარებს.

ამ შტოსგან დამოუკიდებლად სურმანიძეთა გვარს საფუძველი ჩაეყარა ქვემო აჭარაში, ამ პროცესს ყურადღება მიაქციეს ზაქარია ჭიჭინაძემ, ილია აღლაძემ და ნიკო მარმა, რომლებმაც იმოგზაურეს ლაზეთში. მათ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე დაასკვნეს, რომ ქვემო აჭარაში გავრცელებული გვარი **სურმანიძე ლაზეთის სოფელ სურმენესთანაა დაკავშირებული.**

ჩვენ შევეცადეთ ეს მოსაზრება გაგვემაგრებინა სხვა უფრო ძველი საბუთებით. თურქი ისტორიკოსი **ევლია ჩელები** თავის „მოგზაურობის წიგნში" (ნაკ. 1, თბილისი. 1973. გვ. 84) ტრაპიზონში **სულეიმან პირველი კანუნის** მიერ დამორჩილებული ბეგების მეტსახელად გვთავაზობს სურ-

მენელი-ოღლუს, რაც ქართულად სიტყვასიტყვით სურმენელისშვილს, სურმენელის ძეს ნიშნავს. აქ ყურადღება უნდა მიექცეს ქართულ ბოლოსართს: „-ელი," რაც სადაურობის ქართული აღმნიშვნელია. ეს უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სურმენედან აჭარაში გადმოსახლებულები დასაწყისში სურმენელის, სურმენელიძის გვარს ატარებდნენ, რაც შემდეგ სურმანიძედ იქცა.

ლაზეთიდან რამდენიმე ოჯახის ხელვაჩაურში გადმოსახლება ჩვენთან საუბარში დაადასტურა იუსუფ-ბეგ სურმანიძემ (1896-1969) და მიგვითითა სოფელ ხევყრუზე, სადაც ერთ-ერთ უბანს ახლაც სურმენელები ჰქვია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ევლია ჩელები მოიხსენიებს „სულთან კანუნის დამორჩილებულ ბეგებს," მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ იყვნენ „დაუმორჩილებელი ბეგებიც," რომლებიც მუდმივი საცხოვრისიდან აიყარნენ, ხელვაჩაურსა და ძენწმანში დაფუძნდნენ და საფუძველი ჩაუყარეს ახალ გვარს სურმანიძეს. ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო 1520-1566 წლებში, სულთან კანუნის ზეობის დროს, უფრო ზუსტად, 1547 წელს, როცა ლაზეთი აგრესორის ხელში მოხვდა.

ამ საკითხით დაინტერესებული ზოგი პიროვნება სურმანიძე-ს უკავშირებს სურამს და იმერხევის სოფელ სურევანს, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ მხოლოდ მსგავსი ბგერების ჟღერადობაა, მეტი არაფერი.

ამგვარად, აჭარაში არსებობს სურმანიძეთა ორი დამოუკიდებელი შტო, რომელთა ბუდე-სოფლად უნდა მივიჩნიოთ ზემო აჭარაში ვერნები და რაქვთა, ხოლო ქვემო აჭარაში ძენწმანი და ხელვაჩაური. ამ სოფლებიდან მოხდა სურმანიძეთა ინტენსიური განსახლება, არა მარტო აჭარის, არამედ მთლიანად საქართველოს სხვა რაიონებში: ჩოხატაური, ლანჩხუთი, ადიგენი, ასპინძა, ნინოწმინდა და სხვა (**რ. სურმანიძე**. სურმანიძეები. ბათუმი. 2001. გვ. 10-33).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ვერნებში ამჟამად ძირითადად ორი გვარი ცხოვრობს – სურმანიძე და აბაშიძე. ამ სოფელში დღესაც შემორჩენილია ეკლესიის ქვა წარწერით.

ეკლესია, როგორც ჩანს, ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეთა დიდ გვარს ეკუთვნოდა, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ მის აშენებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ამ სოფლის მკვიდრი სურმანიძეები და აბაშიძეები.

ძველი ეკლესიები და საგვარეულო ციხეები სურმანიძეებს ჰქონდათ ძენწმანში, არსენაულსა და ხელვაჩაურში, შედარებით ახალი ციხე-ეკლესია და საგვარეულო სასაფლაო სოფელ ჭალაში, რომელთა ნაშთები დღესაცაა შემონახული.



**დურსუნ-ბეგ სურმანიძე**
**(1898–1988)**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურმანიძეთა ზოგიერთ წარმომადგენელს, მათ შორის **შაქირ-ფაშას** (1733-1805), დიდი როლი მიუძღვის საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს შორის წამოჭრილი მრავალი სადავო საკითხის შუამავლობასა და მოგვარებაში. შაქირ-ფაშის ერთ-ერთი ძმა ძენწმანელი **სულეიმან-ფაშა** (1736-1780) ბათუმიდან არზრუმამდე ტერიტორიების გამგებელი იყო, ზრუნავდა საქართველოსთან დაახლოებისთვის, რასაც შეეწირა კიდეც.

სურმანიძეთა მოდგმას ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ თავადთა ოჯახებთან, ბევრ მათგანთან (ხიმშიაშვილები, შერვაშიძეები, თავდგირიძეები, ნაკაშიძეები, წულუკიძეები, ბეჟანიძეები, ათაბაგები და სხვ.) მოყვრობა-ნათესაობაც აკავშირებდა.

შაქირ-ფაშა სურმანიძის ქალი ელმასი ცოლად ჰყავდა ცნობილ სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილს. სწორედ ამ ქალბატონმა თავისი მზითვის ხარჯზე ააშენა თაღიანი ხიდი ბარათაულის წყალზე, რომელიც დღესაც შემონახულა.

რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ სურმანიძეთა უფლებები გარკვეულად შეირყა, მაგრამ გვარს თავისი ღირსებები, პატივმოყვარეობა და ავტორიტეტი არასოდეს დაუკარგავს. 1911 წლის 18 ივნისს სოფელ ძენწმანის მცხოვრებლებმა მუსტაფ, ბეხრი ხეირულას ძეებმა, ჰაფიზ-იუსუფ, შერიფ, ხუსეინ ალის ძეებმა, ახმედ ოსმანის ძემ, ხემიდ სულეიმანის ძე სურმანიძეებმა ბათუმის ოლქის გუბერნატორს წერილობითი თხოვნით მიმართეს, აღედგინა მათთვის თავადის წოდება და ოჯახებს ესარგებლათ ძველი პრივილეგიებით. მიუხედავად იმისა, რომ მათ საპატიო მიზეზით ვერ წარადგინეს თავისი წარჩინებული წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთი, საოლქო წოდებრივმა კომისიამ გაიზიარა მოწმეების და სამოქალაქო რწმუნებულების მოსაზრებები და განმცხადებლებს მიანიჭა რუსე-






თაღიანი ხიდი ჭვანაში, აშენებული 1780 წელს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თის თავადის წოდებები. ეს გადაწყვეტილება განმცხადებელთა განშტოებებზეც გავრცელდა არსენაულში, ჭალაში, ხელვაჩაურში, ურეხსა და გონიოში.

მართალია, სურმანიძეთა ისტორიული წინაპრები აჭარაში მოვიდნენ ძველი სურმანისა და ლაზეთის პროვინციებიდან, მაგრამ თვით გვარი აჭარაში (ძენწმანი, ხელვაჩაური, გონიო, ზემო აჭარა) დაიბადა, ხოლო ამ გვარის შვილები შემდეგ მთელს საქართველოში დაიფანტნენ.

სურმანიძეთა გვარს მრავლად ვხვდებით თურქეთის რესპუბლიკაშიც. ამჟამად იქ მათი რაოდენობა 500 სულს აღემატება. ისინი აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მათ შორის არიან მეცნიერები, პედაგოგები, ექიმები, ბიზნესმენები, სახელმწიფო მოღვაწეები.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში თურქეთის პარლამენტის თავმჯდომარე ფუად სურმენი (სურმანიძე) წარმოშობით ქართველი (ლაზი) იყო. მისი წინაპრები ლაზეთის ზღვისპირა დაბა სურმენედან აჭარაში გადასახლდნენ, აქ მიიღეს გვარი სურმანიძე, შემდეგ მუჰაჯირობის დროს კი ბედმა ისინი სმირნაში (იზმირში) ჩაიყვანა. აქ დაიბადა ფუადიც, რომელმაც ღირსეული კვალი დატოვა ქვეყნის კულტურულ და ეკონომიკურ წინსვლაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სურმანიძეთა გენეალოგიური ხე №1
# სურმენელი თავადები I თაობა – 1547-1554 წ.წ.
# გიორგი, კონსტანტინე, ალექსანდრე, ბოგდარი;
# II-V თაობა – უცნობია



# სურმანიძეთა გენეალოგიური ხე № 2
## (ფიქრი-ბეგის შტო)



# ᲡᲣᲠᲛᲐᲜᲘᲫᲔᲗᲐ ᲒᲔᲜᲔᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲮᲔ №3
# (ᲘᲣᲡᲣᲤ-ᲑᲔᲒᲘᲡ (ᲰᲐᲤᲘᲖ-ᲔᲤᲔᲜᲓᲘᲡ) ᲨᲢᲝ (Ს. ᲙᲔᲜᲬᲛᲐᲜᲘ)



## სურმანიძეთა გენეალოგიური ხე № 4
## (გულა-ბეგის შტო)



ელექტრონული
ბიბლიოთეკა

# დიდი თავადი შერვაშიძე



## შერვაშიძე

შერვაშიძეთა გვარი ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. პირველად ამ გვარს ვხვდებით თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში. დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ამ გვარის ეტიმოლოგია უკავშირდება **შარვანშაჰის** თანამდებობას, ხოლო გვარის ბუდე-ადგილი აფხაზეთია, ამიტომ ამ გვარის ყველა მატარებელი თავის წარმომავლობას აფხაზეთთან მოიაზრებს მაშინაც კი, როცა ამის არავითარი საბუთი არ არსებობს.

არის მეორე მოსაზრებაც იმის შესახებ, რომ გვარი შერვაშიძე ნაწარმოებია არა ტიტულით, არამედ გეოგრაფიული სახელით და მისი ბუდე-ადგილია არა აფხაზეთი, არამედ ქართლი. მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე **ვლადიმერ შერვაშიძე** თავს ქართლელ შერვაშიძეთა შთამომავლად თვლის, **ბონდო შერვაშიძეც**, რომელიც თავისი გვარის ისტორიას იკვლევდა, თავს შიდაქართლელად თვლიდა. ამ აზრს მთლიანად იზიარებს პროფესორი **იაკობ ახუაშვილი** და აცხადებს, რომ გვარი მოდის გეოგრაფიული შერვაშეთი-დან. ასეთი ტოპონიმი, შერვაშეთის მთა მართლაც არის შიდა ქართლში. **ვახუშტის** აზრით, შერვაშიძეები ქართლში „სხვა მხრიდან“ მოვიდნენ და შემდეგ მათი ნაწილი აფხაზეთში გადასახლდაო.

შუახევის რაიონი სოფელ წაბლანაში მცხოვრები შერვაშიძეები თავისი წარმომავლობის დასახელებისას უფრო ტაო-კლარჯეთისკენ იხრებიან და არა აფხაზეთისკენ. ჩვენც გვაქვს საბუთები, რომლებითაც შერვაშიძეთა ბუდე-ადგილად ტაო-კლარჯეთი მიიჩნევა. ერთ-ერთ მათგანში მოტანილია ბერშოეთელი პედაგოგის **ა. ნებიერიძის** მონათხრობი: კლარჯეთში (სამხრეთ საქართველო) ოთხ ძმას შერვაშიძეებს მამულის გაყოფის ნიადაგზე წარმოქმნილი დავის დროს უფროსი ძმა შემოკვდომიათ, რის გამო ფარულად კლარჯეთიდან ქართლში გადმოხიზნულან და თავი შიომღვიმის მონასტერში

შეუფარებიათ. მონასტრის წინამძღვარს ისინი შეუვრდომებია და ჩადენილი ცოდვის მოსანანიებლად მონასტრის ირგვლივ სამი წლის განმავლობაში ჩოქვით შემოვლა და ლოცვა დაუვალებია. სამი წლის ლიტანიის შემდეგ მღვდელმთავარს მათთვის ცოდვა მოუხსნია და მონასტრის თავისუფალ მიწაზე დაუსახლებია, ხოლო ცოდვაგანტევებული კლარჯელი ძმებისთვის ძველი გვარი შერვაშიძე კლარჯაძედ შეუცვლია, რაც შემდეგ გლურჯიძედ გადაკეთებულა (**თ. ხაჟომია**. მელქისედეკ ყანჩელის 1658 წლის საბუთი. კრებული. ქართული წყაროთმცოდნეობა. I. თბილისი. 1965. გვ. 96-103).

როგორც ჩანს, მომდევნო პერიოდში გლურჯიძეთა ერთმა ნაწილმა, ვისაც კარგად ახსოვდა თავისი გვარის ისტორია, დაიბრუნა შერვაშიძე, რომლის შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ ქართლში.

**იოანე ბატონიშვილიც** ადასტურებს შერვაშიძე-გლურჯიძეთა ნათესაობასა და იდენტურობას, თუმცა ქართლში მათ გამოჩენას ისიც აფხაზეთს უკავშირებს: „აზნაურ გლურჯიძეთა წინაპარნიც არიან აფხაზეთიდგან მოსულნი კონსტანტინე მეფის დროს 1473 წ. შარვაშიძეებთან, ვითარცა ზემორე დავწერეთ და მონათესავენი მათნი, გარნა აზნაურად მიღებულნი მეფეთაგან, რომელნიც მოსახლეობენ თეძმისა ხეობასა ზედა სასირეთს და არიან რაოდენიმე სახლად“ (აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. გამომცემლობა „დიალო.“ თბილისი. 1997. გვ. 32, 51).

ისტორიაში კარგადაა ცნობილი ტაო-კლარჯეთიდან მოსახლეობის სხვა დიდი ჯგუფების იძულებითი მიგრაცია, რომელმაც მასობრივი ხასიათი მიიღო. სხვათა შორის, ამ პერიოდს, კერძოდ, მე-15 საუკუნეს მიეკუთვნება ტაო-კლარჯეთიდან, კერძოდ, ფანასკერტიდან ბრძენთმთავრის, მკურნალისა და დიდი მეცნიერის **ზაზა ფანასკერტელის** გადმოსახლება ქართლში, კერძოდ, ძამას ხეობაში, გამორიცხული არაა, რომ მასთან ერთად მრავალი შერვაშიძეც იქნებოდა,

რომელთა კლარჯეთში ცხოვრებას ზემოთ ხსენებული სამი ძმის დრამატული ისტორიაც ადასტურებს.

შერვაშიძეთა ძლიერი გვარი მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში მთლიანად ფლობდა საქართველოს შავიზღვისპირეთს, როგორც ზემოთ (თავი „თავდგირიძეები") თავდგირიძეთა 1744 წლის ქორონიკონი გვაუწყებს: „ფაშათ ერთი ძმა იყო შარვაშიძე რიონისა და ჭანეთის რიზეს ამოღმა, მეორე ძმას ბათომის ბეგობაი ჰქონდა და მესამეს სოხუმის ბეგობაი ქონდა." სრულიად ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ შერვაშიძეთა აჭარაში დაფუძნება შესაძლოა სწორედ ამ დროს, ზღვისპირა აჭარაში ამ გვარის დიდი აღზევების დროს ან ოდნავ მოგვიანებით მოხდა.

აჭარელი შერვაშიძეები თავის თავს აფხაზეთიდან მიგრირებულად თვლიან, წინაპრად ალექსანდრეს (ალი-ბეგს) ასახელებენ, ბუდე-სოფლები კი ალიქოღლები (ამჟამინდელი ოქტომბერი) და კაკაოღლებია (სურმანიძეთა საზიარო სოფელი არსენაული), სადაც ამჟამადაც სახლობს ამ გვარების რამდენიმე ოჯახი. წარსულში ისინი ფლობდნენ ქვემო აჭარის რამდენიმე სოფელს.

შერვაშიძეთა აფხაზურ შტოში მე-18 საუკუნესა და მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ორი ალექსანდრეა ცნობილი.

ერთი მათგანი **მანუჩარ სოლომონის ძე შერვაშიძის** შვილია. რომელიც 1828 წლამდე სამურზაყანოს მართავდა: რუსეთის ხელისუფლებამ ალექსანდრე „შფოთის თესვაში" დაადანაშაულა. გადააყენა და ციმბირში გადაასახლა, მაგრამ მან მიჩნეულ ადგილამდე ველარ ჩააღწია. 1829 წელს გარდაიცვალა. ამ ალექსანდრე მანუჩარის ძის სამურზაყანოს გარეთ ცხოვრება არც ერთი დოკუმენტით არ დასტურდება. ჩვენთვის საძიებელი პირის ასაკიც არ შეეფერება მის წლოვანებას. ამიტომ აჭარელ შერვაშიძეთა მამამთავრად მას ვერ მივიჩნევთ.

მეორეა **ბექირ-ბეგ შირვან-ბეგის ძე შერვაშიძის ვაჟი ალი-ბეგი** (იგივე ალექსანდრე), რომელიც ჩვენი გათვლით,

1759 წელს უნდა იყოს დაბადებული. ის მაჰმადიანურ სამყაროში (ჩვენი ვარაუდით, ქვემო აჭარაში) ცხოვრობდა. მის შესახებ **ნიკო დადიანი** ამბობს: „...სიძე ჩემი ალი-ბეგ შარვაშიძე, რომელი იყო შთამომავლობითა მაჰმადიან, უწინარეს ამისა ოთხითა წლითა მოვიყვანე მართალსა სარწმუნოებასა ქრისტეს ღ-თისა ჩვენისას, ნათელ ვეც და უწოდე ალექსანდრე და მივეც ცოლად ასული ჩემი კესარია. ესე იყო მფლობელი ნახევრისა სრულისა აფხაზეთისა, რომელსა უწოდებენ შვა სოფელს.“

შუა სოფელი ანუ „აბჟუ“ მოიცავდა დღევადელი ოჩამჩირის უბანს (ქართველთ ცხოვრება. თბილისი. 1962. გვ. 209. 210).

როგორც ვხედავთ, ნიკო დადიანი მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე 1821 წლამდე ოთხი წლით ადრე, ე. ი. 1817 წელს მოვიყვანეო. თუ აჭარელი შერვაშიძეების მამამთავარი სახელად მართლაც ალექსანდრეა (ალი-ბეგი). მაშინ სხვა ვერავისზე ვივარაუდებთ, გარდა ბექირ-ბეის შვილზე, რადგანაც ის ამავე დროს ქუჩუკ-ბეის ძმაა. იმ ქუჩუკ-ბეისა, რომელიც 1810 წლამდე (გარდაცვალებამდე) თავადაც „მაჰმადიანურ სამყაროში“ ბათუმის ბეგად იჯდა და უფრო მოსალოდნელია, რომ მას ძმა ალექსანდრე თავისი გავლენის ქვეშ მყოფ ქვემო აჭარაში დაეფუძნებინა. ალექსანდრე სწორედ აქ გამაჰმადიანდა, იწოდა ალი-ბეიდ, რის საფასურადაც სულთანმა უბოძა მამულები. მან აჭარაშივე შექმნა ოჯახი, შეეძინა რამდენიმე შვილი (ჩვენთვის ცნობილია ორი: მემედ-ბეგი და ახმედ-აღა);

როგორც შემდგომი მოვლენებიდან ჩანს, ალი-ბეი დაუკავშირდა ქელეშ-ბეგ შერვაშიძის მკვლელს, ასლან-ბეგს, რომელიც ამ დანაშაულის ჩადენის გამო თავადაც ოსმალებთან იყო შეხიზნული.

1821 წლის თებერვალში გარდაიცვალა აფხაზეთის მთავარი **საფარ-ბეგ შერვაშიძე.** იმავე წელს რუსებმა ტყვედ ჩაიგდეს ქელეშ-ბეგის მეორე შვილი ხასან-ბეგი და რუსეთ-

ში გადაიყვანეს. აფხაზეთის მთავრის ტახტი ცარიელი აღმოჩნდა. „მცნობი ამისა ასლან-ბეგ შერვაშიძე, მამის მკვლელი, რომელი იყო თათართა შორის, მოვიდა აფხაზეთად და ვინაითგან არღარავინ იყო მემკვიდრე,“ მთელმა აფხაზეთმა მას ერთგულება შეჰფიცა. მიუხედვად ამისა, რუსეთის იმპერატორმა მთავრად გამოგზავნა იმ დროს პეტერბურგის სასწავლებელში მყოფი საფარ-ბეგის შვილი დიმიტრი და ბრძან ასლან-ბეგის განდევნა.

ამ პროცესებში მონაწილეობდა **ნიკო დადიანი**, რომელიც შეხვედრია განდევნილ და საბრძოლოდ გამზადებულ ასლან-ბეგს და სწორედ მაშინ გადაუბირებია მასთან მყოფი რამდენიმე კაცი, მათ შორის თავისი ცოლისძმა სულარუფუ მარშანია და ალი-ბეგ შერვაშიძე. მათი დახმარებით ნიკო დადიანს და გენერალ გორჩაკოვს დაუმარცხებიათ ასლან-ბეგი და აფხაზეთის მთავრად დიმიტრი დაუსვამთ.



**ალი-ბეგ შერვაშიძის კარმიდამო სოფელ ტამიშში.**

ამ დამსახურებისთვის ალი-ბეგ შერვაშიძეს პორუჩიკის წოდება მიანიჭეს. მას **კესარია დადიანთან (ნიკოს დასთან)** შეეძინა ხუთი შვილი: გრიგოლი (1818-1898), ესმა, რუსუდანი (1829-?), ლევანი (1831-?) და ნიკოლოზი (1832-1886-ის შემდეგ).

ალი-ბეგ შერვაშიძეზე ერთ ცნობას წავაწყდით გენერალ-მაიორ გესეს წერილში, რომელიც მან გენერალ-ლეიტენანტ სიპიაგინს 1828 წლის 22 თებერვალს გაუგზავნა. ავტორი აღწერს იმდროინდელ სამეგრელო-სამურზაყანოში არსებულ ვითარებას და აღნიშნავს, რომ რუსეთის ხელისუფლების მოწინააღმდეგე სამურზაყანოელები „იმალებიან სხვადასხვა ადგილებში, ზოგჯერ აფხაზეთში, ზოგჯერ კი ალი-ბეი შერვაშიძის სამფლობელოში, რომელიც სამურზაყანოს საზღვართან მდებარეობს“ (АКАК. т. 7. Тифлис. 1878. стр. 397).

ეს ცნობა გვაფიქრებინებს, რომ, მართალია, **ნიკო დადიანმა ალი-ბეი** გადაიბირა რუსების სასარგებლოდ, მაგრამ თავისუფლებისმოყვარე თავადი ფარულად მაინც ეწინააღმდეგებოდა რუსეთის დამპყრობლურ პოლიტიკას და მფარველობდა ოპოზიციას.

რუსეთის ერთგული აფხაზეთის მმართველები ცდილობენ დასაჯონ ურჩი ალი-ბეი, რომელსაც კავშირი აქვს მეამბოხე წებელდელებთან. ამ მიზნით მიხეილ შერვაშიძეს შეუკრებია აფხაზთა მილიცია. 1300 კაცის ოდენობით და 1830 წლის 8 მაისს სოხუმთან დაბანაკებულა, მაგრამ საქმეში მაიორი ხასან-ბეი შერვაშიძე ჩარეულა, რომელსაც თვით ამ მილიციის ერთგულებაში ეჭვი შეეპარა და შეეცადა ალი-ბეი შეერიგებინა აფხაზეთის მმართველთან (იქვე, გვ. 402, 403). ჩვენ არ ვიცით, მოხდა თუ არა ეს შერიგება და საბოლოოდ როგორ გაგრძელდა ალი-ბეი შერვაშიძის ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასთან.

ასეთია ჩვენი ვარაუდი აჭარელ შერვაშიძეთა მამამთავარზე. თავს ვერ დავდებთ ამ მოსაზრებების სისწორეზე, მაგრამ ვფიქრობთ, რომ სანამ სხვა უფრო სარწმუნო აზრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თუფან-ბეგ შერვაშიძე, ქედის მაზრის უფროსი. (1848–1914)**

არ გამოითქმება, ჩვენს ვარაუდს არსებობის იურიდიული უფლება შერჩება.

შერვაშიძეებს აჭარაში, სოფელ ალიქოღლებსა და ქედაში რამდენიმე ადგილას ჰქონდათ ციხე-კოშკები და საგვარეულო ეკლესიები, რომელთა ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი.

1912 წლის იანვარ-მარტში ბათუმის ოლქის წოდებრივი კომისია იხილავდა ქედის, არსენაულისა და სოფელ ალიქოღლების მცხოვრებლების მემედ, შირინ, ესედ, ნური, ასან, თუფან, მახმუდ, ემინ, ახმედ და ოსმან შერვაშიძეების თხოვნას, რომელიც მათი თავადური პრივილეგიების აღდგენას ეხებოდა. მათ ძველი სიგელ-გუჯრებიც წარადგინეს, რის შემდეგ **მიენიჭათ რუსეთის თავადის წოდებები**.

სხვათა შორის, აზნაურის წოდებაზე განაცხადი წარუდგენია სოფელ ვაიოს მცხოვრებ ხემიდ მემედის ძე შერვაშიძეს, მაგრამ სათანადო მტკიცებულებების უქონლობის გამო კომისიამ მას თხოვნაზე უარი განუცხადა.

# შერვაშიძეთა გენეალოგია №1
# (აფხაზეთი)




(ალი-ბეგ შერვაშიძის აჭარული შტო
იხ. მომდევნო სქემაში, რომელიც შეადგინა
**რევაზ შერვაშიძემ)**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# შერვაშიძეთა გენეალოგია №2



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავადი წულუკიძე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## წულუკიძე

იმერეთის სამეფოს ეს ერთ-ერთი ძლიერი და უწარჩინებულესი გვარი ისტორიაში მე-15 საუკუნიდან გამოჩნდა. წულუკიძეები რაჭაში 20-ზე მეტ სოფელს ფლობდნენ. მათი ძირითადი რეზიდენცია ხოტევში მდებარეობდა. აქვე იყო საგვარეულო ციხე და კარის ეკლესია. მეორე სამყოფელი მიქარწმინდაში, ხოლო მესამე ბუგეულს ჰქონიათ.

წულუკიძე ამჟამადაც საკმაოდ გავრცელებული გვარია საქართველოში. როგორც აღვნიშნეთ, ამ გვარის ბუდე-ადგილად რაჭა ითვლება, მაგრამ ამჟამად ამ მხარეში ეს გვარი შედარებით ნაკლებად გვხვდება, როგორც ჩანს, აქედან წულუკიძეები ინტენსიურად გადასახლდნენ სხვა ადგილებში. 1997 წლის მონაცემებით, საქართველოში 2272 წულუკიძე ცხოვრობდა, აქედან 452 თბილისში, 391 ქობულეთის, 363 ხელვაჩაურის და 235 ხულოს რაიონში. როგორც ვხედავთ, ამ გვარის გავრცელება აჭარაში გაცილებით სჭარბობს მის ბუდე-ადგილებს. ყოველ შემთხვევაში, რაჭასა და იმერეთში ყველაზე მეტად გავრცელებულ 50 გვარს შორის წულუკიძე არ ირიცხება.

ეს გვარი მაჭახლის ხეობაში პირველად მე-19 საუკუნის დასაწყისში გამოჩნდა. ფიქრობენ, რომ ისინი იყვნენ ტრაპიზონში გახიზნული და იქვე გარდაცვლილი (1815 წ.) სოლომონ მეორის ამალის წევრები, რომლებმაც მეფის დაკრძალვის შემდეგ საქართველოს მოაშურეს, მაგრამ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან რეპრესიების შიშით სახლებში ვერ დაბრუნდნენ და მეზობელ პროვინციებში, კერძოდ აჭარაში, მაჭახლის ხეობაში დაიდეს ბინა.

ეს მოსაზრება სწორი არაა. მართალია, ლევან, ბუჭუა, ოტია და სეხნია წულუკიძეები, აგრეთვე ნიკოლოზწმინდელი სოფრონიოსი სოლომონ მეორის ამალაში იყვნენ და მეფეს გენერალ ტორმასოვთან შესახვედრად ახლდნენ, მაგრამ იმერეთის სამეფოს აღდგენისთვის ბრძოლის დროს ოტი და

სეხნია მეფეს განუდგნენ და რუსეთის მხედრობასთან ერთად მის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ტრაპიზონში გახიზნულ სოლომონ მეორეს წულუკიძეთაგან აღარავინ ახლდა (ნიკო დადიანი. ქართველთ ცხოვრება. თბილისი. 1962. გვ. 202).



**თაღიანი ხიდი მაჭახლის ხეობაში მე-12 ს.**

ჩვენი აზრით, წულუკიძეები მაჭახლის ხეობაში ოდნავ გვიან, 1820 წლის შემდეგ დამკვიდრდნენ, ე. ი. მის შემდეგ, რაც შემოქმედთან მოკლეს (იმავე წლის აპრილი) პოლკოვნიკი ივანე ონოფრის ძე პუზირევსკი. რუსი მაღალჩინოსნის მკვლელობას მთელი დასავლეთ საქართველოს აოხრება მოჰყვა. მემატიანის თქმით, რუსეთის ხელისუფლებმა იოანე და ნიკოლოზ აბაშიძეები ოსმალეთში განდევნეს. ამბოხის მოთავეთა ნაწილი ჩამოახრჩვეს, რაჭველი თავადი წულუკიძეებიც მეამბოხეთა თანამზრახველებს მიაკუთვნეს;

რაჭაში პოლკოვნიკი **გორჩაკოვი**, თავისი დამსჯელი რაზმით ჩავიდა, თითქოსდა მოსალაპარაკებლად, მაგრამ მან პირობა დაარღვია და სოფელ მუმეულში შეიჭრა; ლევან წულუკიძე მოკლეს, გიორგი წულუკიძე მეუღლითურთ და შვილებიანად შეიპყრეს, სასახლეები დაუწვეს, ციხე-კოშკები დაანგრიეს, გიორგის შვილები სვიმონი, დავითი და მერაბი, აგრეთვე ძმები – ზურაბ და მერაბ წულუკიძეები ქუთაისში ჩაიყვანეს. „გაექცათ სვიმონ გიორგის ძე და ხოსია დავითის ძე წულუკიძენი და ხონს დაიჭირეს დავით წულუკიძე, გიორგის შვილი და ორნივე ძენი კაცია წულუკიძის პაატა და გოგია მიიყვანეს ქუთაისს, რომელნიცა... იყვნენ ქუთაისს ტუსაღათ ორ თვეს და... შემდეგ წაიყვანეს თბილისად" (**თ. ჟორდანია.** ქრონიკები. III. თბილისი. 1967. გვ. 597).

ამ მოვლენას თითქმის ანალოგიურად აღწერს ნიკო დადიანი. მისი თქმით, გენერალმა **ველიამინოვმა** „წარგზავნა პოლკოვნიკი თავადი გარჩაკოვი მხედრობითა დასამშვიდებლად რაჭას, და მივიდა და ყოველნი ურჩი მოსწვა და მოაოხრა, შეიპყრა წულუკიძე გიორგი და მერაბ და სხვანიცა მრავალნი თავად-აზნაურიშვილნი..., მერმეთ შეუდგენ დამშვიდებასა იმერეთისასა: მრავალნი მოჰკლეს, მრავალნი შეიპყრეს და ძელსა ზედა გადმოჰკიდეს. დაესხნენ თავს და მოჰკლეს **დავით ბაგრატიონი**, დიდი მეფე სოლომონის ძმისწული, ბაგრატის შვილი, გარდაყარეს **ვახტანგ ბაგრატოვანი**. დავით მეფის არაკანონიერი შვილისშვილი და მასთანა **იოანე აბაშიძე** და სხვანი მრავალნი თავადაზნაურნი და წარვიდენ ოსმალთა თანა ახალციხეს" (**ნიკო დადიანი.** ქართველთ ცხოვრება. თბილისი. 1962. გვ. 208)...

ამ ორომტრიალში მოხვედრილა **ხოსია წულუკიძეც,** რომელსც გიორგის მსგავსად „ჩამოართვეს ქონება და ხაზინას გადასცეს. თვითონ ხოსია კი სადღაც გადაიხვეწა" (**ოლღა სოსელია**. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან. თბილისი. 1981. გვ. 63).

რაჭის ფეოდალთა ამ დრამატული ისტორიიდან ნათლად ჩანს, რომ წარჩინებულთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი, კერძოდ, იოანე და ნიკოლოზ აბაშიძეები „ოსმალეთში გან- დევნეს,“ ხოლო „სვიმონ გიორგის ძე და ხოსია დავითის ძე წულუკიძეები გაექცნენ,“ ხოსია სადღაც გადაიხვეწაო.

ამგვარად, დადასტურებელია, რომ რუსთაგან რეპრე- სირებულმა ფეოდალებმა, წულუკიძეებმა, ოსმალეთს მია- შურეს, ამიტომ ხოსიას და მის თანმხლებთა „სადღაც გადახვეწა,“ ჩვენი ვარაუდით, უნდა ნიშნავდეს მაჭახლის ხეობაში მათს გახიზვნას და დამკვიდრებას.

იმერელ და მაჭახლელ წულუკიძეებს ბოლო დრომდე კარგად ახსოვდათ ერთმანეთის ნათესაობა და ერთი ფუძი- დან წარმომავლობა. სოფელ ქედ-ქედის მკვიდრი **ხასან ქონდ- არიძე** (1896-1976) 1904 წელს 8 წლის ასაკში ავად გამხდარა და ბაბუას (დედიდან) **ყარაღა წულუკიძეს** (1837-1915) ბათუმში ექიმთან წაუყვანია. ექიმი, გვარად წულუკიძე, მას შინაურუ- ლად გადახვევია, ოჯახიც მოუკითხავს: ბიძაჩემი როგორ ბრ- ძანდებაო, ყარაღას მამაზე, რა თქმა უნდა, ავადმყოფი უფა- სოდ გასინჯა, წამლებიც აჩუქა და გაისტუმრა. გზაზე ბაბუამ ბავშვს აუხსნა, რომ ეს ექიმი ქუთაისელი, ჩვენი ნათესავია, ქუთაისის მახლობლად სხვა ნათესავებიც გვყავსო.

ჩვენ დაგვაინტერესა ამ ექიმის ვინაობამ. მედიცინის ისტორიაზე მიძღვნილ ქართულ ცნობარებში წულუკიძის გვარით, ვინც მე-19-20 საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა, ვერავის მივაკვლიეთ (აკადემიკოსი **ალექსანდრე წულუკიძე** მოგვიანებით გამოვიდა საექიმო ასპარეზზე). პოლიტიკური ემიგრანტის, ვერმახტის გენერლის **შალვა მაღლაკელიძის** ჩანაწერებით გაირკვა, რომ ერთ-ერთ **ექიმ წულუკიძეს** სახ- ელად ერქვა მიხეილი. იყო მენშევკური პარტიის წევრი, 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში და მას (შალვას, რ. ს.) ბერლინ- ში შეხვდა (**შ. მაღლაკელიძე**. ქართველები გერმანული დრო- შის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში. თბილისი. 1994. გვ. 217).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყურადღებოა, რომ მაჭახლელ წულუკიძეთა გვარში ხშირად მეორდება იმერელი თანამოგვარეების სახელები: ბერი (ბეხრი), მოგვიანებით, გიორგი მიხეილი, დავითი და სხვ.

მაჭახლის ხეობის წულუკიძეებს ქართული გვარი არ შეუცვლიათ, თუმცა სხვადასხვა მოსაზრებებით (პოლიტიკური, ეკონომიკური, კონსპირაციული და სხვ.), ზოგჯერ ისინიც იძულებულნი იყვნენ სხვა გვარს ამოფარებოდნენ, მაგრამ კვლავ ქართულს ირჩევდნენ: ასეთი იყო, მაგალითად, **ზაქარიაძისა და კვირიტიძის** გვარები, რომელთაც პერიოდულად ატარებდნენ წულუკიძეები, თუმცა საბოლოოდ მაინც თავიანთი ძირძველი გვარის ერთგულნი რჩებოდნენ.*

რაც შეეხებათ ბათუმის ოლქის სხვადასხვა მაზრაში მცხოვრებლებს, მათ მოგვიანებით აღიდგინეს, ან დაირქვეს ეს წარჩინებული გვარი: ადლიაში – ყარაჯაშვილებმა, ტბეთში – შუბაშოღლებმა, ბობოყვათში – ხაჯიაღიოღლებმა, ლეღვაში – რომანაძეებმა და ა. შ. (იოსებ წულუკიძე. წულუკიძეთა გვარის ისტორიის ფურცლები. ხელნაწერი. 2003. გვ. 13).

რაკი წულუკიძეებთან მიმართებაში **ზაქარიაძეებიც** ვახსენეთ, მიზანშეწონილად მიმაჩნია ორიოდე სიტყვა ამ გვარზეც ვთქვა, რადგანაც, როგორც ირკვევა, ერთ დროს ისიც წარჩინებული იყო, ამ გვარის ერთ შტოსთან დაკავშირებულია მუჰაჯირობის მძიმე ხვედრი – კიდევ უფრო მეტი გვარის ასიმილაცია.

ოსმალთა მოძალებისას **ზაქარიაძეთა და საფარიძეთა** რამდენიმე ოჯახი აჭარისწყლის ხეობიდან ართვინში გადასახლებულა, სადაც კათოლიკეთ ოსმალო ხელისუფლება ხელს არ ახლებდა. გადასახლებულმა აჭარლებმა რწმენის სრულ დაკარგვას კათოლიკური სარწმუნოების მიღება არ-

---

* წულუკიძეებსა და ზაქარიძეებს მოყვრობა-ნათესაობაც აკავშირებდათ. სულეიმან ზაქარიაძეს ცოლად ჰყავდა რიზა თუფანის ძე წულუკიძის ქალი რაბიე.

ჩიეს. ართვინში საფარიძეთა გვარი საფარიანად, ხოლო ზაქარიაძეთა გვარი ზაქარიანად გადაკეთდა. ერთ-ერთ მათგანს ართვინის სომეხ-კათოლიკთა ეპისკოპოსის წოდებამდე მიუღწევია. ამ საქმეზე 1880 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 78) მას ცნობაც გამოუქვეყნებია: „ძველად მაჭახელი ერთობ მრავლად იყო დასახლებული, მთელი ხეობა სავსე იყო სოფლებითა, გათათრების დროს ბევრნი აქეთ-იქით გადასახლებულან, ბევრნიც გაფრანგებულან. მაგალითებრ ჩვენ, ართვინის სომეხ კათოლიკეს წოდებულნი, გვაროვნობით ქართველები ვართ, მაჭახლელები და იქვე გაფრანგებულნიო. რაც მაჭახლიდამ არის გასულნიო“ (**ზ. ჭიჭინაძე.** იქვე, გვ. 199, 200). ასეთივე წესით ბევრ ლაზსაც მიუღია კათოლიკური სარწმუნოება (იქვე, გვ. 246).

იმერხევის სოფელ გზათ-ში, ზ. ჭიჭინაძის თქმით, „ქართულათ ლაპარაკობენ, თათრული აქ არავინ იცის. აქვე ცხოვრობენ ზაქარიაძეები და ზოგნი ამ სოფელსაც ზაქარიაძეს უწოდებენ, 40 კომლია. ზაქარიაძეები მაჭახლის პირშიც სცხოვრობენ, ესენი ძველად აზნაურები ყოფილან, ამათ აქ თავიანთი საგვარეულო კოშკიც ჰქონიათ. დღეს აღიები არიან, ზოგნი ბეგები, ზემოხსენებულ სოფელ ზაქარიაძეების (გზათა, რ. ს.) მცხოვრებნი კი გლეხნი არიან...“ (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913. გვ. 102, 295).

მაჭახლელი წულუკიძეები აქტიურად ჩაებნენ საერთო სახალხო მოძრაობაში. ცნობილია, რომ 1844 წლის ანტიოსმალურ აჯანყებაში, რომელმაც მთელი აჭარა-შავშეთი და ლივანა-ლაზისტანი მოიცვა და რომელსაც ახალგაზრდა შავშელი თავადი სელიმ ხიმშიაშვილი (უმცროსი) მეთაურობდა, მონაწილეობდნენ მაჭახლელი **იუნუს და სულეიმან (სული-ბეგ) წულუკიძეები**.

ამგვარად, რუსთაგან შერისხული და გაძევებული წულუკიძეები, ახლა ოსმალებსაც აუმხედრდნენ და კიდევ უფრო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

გაირთულეს თავისი ისედაც აწეწილ-დაწეწილი ცხოვრება. ალბათ ამიტომაც იყო, რომ რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების შემდეგ ქართულ ორიენტაციაზე მდგომი სულეიმან-ბეგ წულუკიძე 1878 წლის 20 ნოემბრის ისტორიულ ბანკეტზე **სული-ბეგ მაჭახლელის** სახელით დაესწრო, როგორც ერთ-ერთი თავგამოდებული მომხრე დაკარგული ტერიტორიების საქართველოსთან დაბრუნებისა.

1878 წლის 30 აგვისტოს გენერალ კომაროვთან ერთად შავშეთიდან, ართვინიდან და მაჭახლიდან ჩამოვიდა ადგილობრივ მცხოვრებთა დეპუტაცია, რომელიც შედგებოდა სამოქალაქო და სასულიერო პირებისგან. მათ ნური-ბეგ ხიმშიაშვილი მეთაურობდა. დეპუტაციაში იყო ცნობილი და გამოჩენილი **ქუჩუკ-აღა მაჭახლელი**, წარსულში შეუპოვარი და ერთობ თავზე ხელაღებული პიროვნება, რომელსაც მთელი მხარე შიშის ქვეშ ჰყავდა. ვინც ქუჩუკ-აღას მოსწონდა, მას შეეძლო მშვიდად და უშიშრად ყოფილიყო, რადგანაც ის იმთავითვე მიემხრო რუს-ქართველთა ძალებს. გენერალ კომაროვის რაზმის ერთ რუს ოფიცერს **ა. ფრენკელისთვის** უამბნია, რომ როცა ჩვენმა ჯარმა გაიარა სოფელში, სადაც ქუჩუკ-აღა ცხოვრობდა, მან რუსები დიდი სიხარულით მიიღო; სახლიდან გამოვიდა ქუჩუკ-აღის გოგონა, რომელსაც ამ ოფიცერმა თურმე ვერცხლის ფული აჩუქა. მამამ დაინახა და თქვა, რომ ჩვენი ადათის მიხედვით, სტუმრებისგან ფულის აღება მიუღებელია. მაგრამ ის ამ ფულის აღების ნებას თავის გოგოს მისცემს მხოლოდ იმისთვის, რომ დარჩეს მის ოჯახში რუსი სტუმრის პირველად მოსვლის ხსოვნა (А. Френкель. Очерки Чурук-Су и Батума. Тифлис. 1879. с. 94).

ამ აქტის შემდეგ 1881 წელს ქუთაისში **სული-ბეგ წულუკიძე** შეხვდა **სვიატოპოლკ-მირსკის**, რომელმაც მოისურვა მაჭახლის ხეობის მონახულება მომდევნო წლის ზაფხულში. დიდ სტუმარს სათანადოდ უნდა დახვედროდნენ, ამიტომ სულეიმან-ბეგ წულუკიძე ართვინში გადავიდა მრავალ-

რიცხოვანი სტუმრებისთვის საჭირო ჭურჭლეულის, საძინებლების, პროდუქტების გადმოსატანად, მაგრამ, როგორც ჩანს, ოსმალო ჩინოვნიკებსაც არ ეძინათ. მათ ართვინიდან ადვილად გაიტყუეს სულეიმან წულუკიძე და ის ისე დაიკარგა, რომ მისი გზა-კვალი დღესაც არავინ იცის.

წულუკიძეებს მაჭახლის ხეობაში ჰქონდათ ციხე-სიმაგრე, რომელიც ფაქტობრივად ხეობის დამცველი და ჩამკეტი იყო. ციხეს ჰქონდა მნიშვნელოვანი სტრატეგიული მდებარეობა, ვიწრო ქედზე, სამი მხრიდან თლილი ქვებით იყო აგებული ექვსი მეტრის სიმაღლის კედელი. ციხე საცხოვრებელი სახლისა და სასტუმროს მოვალეობასაც ასრულებდა. როგორც ჩანს, აქვე იყო საგვარეულო ეკლესიაც.

სული-ბეგის თავიდან მოშორების შემდეგ ციხე-კოშკი დაანგრიეს. ამჟამად შემონახულია მისი ნაშთები, სადაც **ძნელაძეები** სახლობენ.

სამართლიანობა მოითხოვს ორიოდ სიტყვა ამ გვარზეც ვთქვათ, რადგანაც თვლიან, რომ მას კავშირი აქვს წულუკიძეთა დამკვიდრებასთან. დღემდე ჩვენთვის ცნობილ წყაროებში უძველესი ცნობა შემონახულია „ტბეთის სულთა მატიანის" მე-12-13 საუკუნეების საბუთში, სადაც ნათქვამია: „სულსა ძნელასძისა დემეტრესასა და მისისა მეუღლისასა შეუნდვენ ღმერთმან" (თბილისი. 1977. გვ. 96. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო **თინა ენუქიძემ**). ეს ხელნაწერი ძირითადად მაჭახლის ხეობის გვარებს მოიცავს და ამ ხეობის სულის მოსახსენებელია. აქედანვე მტკიცდება, რომ ძნელაძეები ამ ხეობაში შუა საუკუნეებიდან მკვიდრობენ. ამ მოსაზრებას განამტკიცებს ერთ-ერთი ადგილის სახელიც – ძნელიეთქედი.

ძნელაძეთა ოჯახებში ამ გვარის უკანასკნელ ქრისტიან მამამთავრად **მამუკა ძნელაძეს** თვლიან, რომელსც 17 შვილი ჰყოლია. მამუკამ არ აღიარა ისლამი და თავი მოჰკვეთეს. შვილთაგან ზოგი გურიაში გადასახლებულა,

ერთი შტო სოფელ სკურდიდში, ხოლო მეორე ქვემო აჭარის სოფელ ძენწმანში დასახლებულა. აქედან კი მათი ნამრავლი საცხოვრებლად ბათუმში, ორთაბათუმში, ქობულეთში გადასულან. როგორც ამბობენ, ორცველი ქაჯაიებიც ძნელაძეთა განშტოება იყოო. ძნელაძეთა ერთი შტო 1925 წელს ბორჩხაშიც გადასულა.

მაჭახლის ხეობის სოფელ ჩხუტუნეთში (ძნელიეთში) დარჩა ძნელაძეთა ერთი ოჯახი, რომელიც ოსმალობის დროს ქუჩუკ-ბაირახტაროღლის გვარით იყო ცნობილი. ამ ოჯახის ერთ-ერთ წევრს **სალიხ ძნელაძეს და ქავთარაძეს** მიაწერენ თოფის „მაჭახელა"-ს წარმოებას, ხოლო ძნელაძეს უსტა სალიხს უწოდებდნენ. ძნელიეთში აღმოჩენილი თოფის დასამზადებელი დაზგის ნაწილები დღესაც ინახება საქართველოს მუზეუმში.

ძნელაძეთა შორის ასეთი თქმულებაცაა დარჩენილი. **მემედ ძნელაძე** მის სიმამრს მაჭახლის ბეგს **სეიდალოღლის** მოუკლავს იმ მოტივით, თითქოს სიძეს სურდა მისთვის ბეგობა წაერთმია. მოკლული ძნელაძის მამული მის შვილს ფელულს და სალიხს ერგოთ. სოფლის მოსახლეობას ოსმალეთის ხელისუფლებისგან მოუთხოვია სიძის მკვლელის გასახლება, რაც სისრულეში მოუყვანიათ, მემედი მთელი გვარით უნიაში (ოსმალეთში) გაუსახლებიათ. ამის შემდეგ ხელისუფლებას მის ადგილას, მაჭახლის ხეობის ბეგად აფხაზეთიდან (თუ იმერეთიდან) გამოქცეული **თოფან აზაბა** (თუ აბაზა) დაუნიშნავს. მისი შთამომავლები არიან აზაბ-აღის (აბაზა-აღის) შვილები, წულუკიძეებიო (დავით ძნელაძის ხელნაწერი. ინახება ჩვენთან. რ. ს.). ვინ იცის, იქნებ აბაზა და ხოსია წულუკიძე ერთი და იგივე პიროვნებაა. იმერელმა თავადმა თავი აფხაზად იქნებ კონსპირაციის მიზნით გამოაცხადა, რათა გამძვინვარებულ რუს ჩინოვნიკებს აქაც არ მიეკვლიათ.

მაჭახლის ხეობის გათავისუფლებისა და იქ რუსული ადმინისტრაციული წყობილების დამყარებისთანავე, უბ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის უფროსად აკაკის უფროსი ძმა **დავით როსტომის ძე წერეთელი** (1832-1902) დანიშნეს. მკითხველისთვის კარგადაა ცნობილი, რომ დავითი „სხვიტორელის“ ფსევდონიმით იმდროინდელ პრესაშიც თანამშრომლობდა. „დროება“-ში აქვეყნებდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წერილებს. ერთ-ერთ წერილში ავტორი გვარებსაც ეხება და ამბობს, რომ „არის გვარი წულუკიძე და სხვანიც არიან ამ გვარისა, იწოდებიან კვირიტიძეებათაც“-ო (21 ნოემბერი, 1878 წ.). გარდა ამისა, დავითს მოაქვს იქაური გვარების სია: ზაქარაძე, ფატლაძე, კიბურიძე, მალაყმაძე, ქორტიძე, გვარისაშვილი (გვარელაშვილი) და სხვ.

წოდების მქონე სხვა გვარების მსგავსად, რუსეთის მთავრობისგან მაჭახლისპირელი წულუკიძეებიც მოითხოვდნენ თავისი პრივილეგიების აღდგენას. 1911 წელს ბათუმის ოლქის წოდებრივ კომისიას განცხადებით მიმართეს მაჭახლისპირელებმა: ფელულ, რიზა, იუსუფ, მემედ, დევრიშ, რიფათ, ოსმან, ფეზლი და ხელილ აზაბ-ზადე (ზაქარაძე) წულუკიძეებმა.* მართალია, მათ თავადის წოდების დამადასტურებელი ძველი საბუთები ვერ წარმოადგინეს, მაგრამ ბათუმის საოლქო სამმართველოში არსებული დოკუმენტებით დადასტურდა, რომ წულუკიძეთა მოდგმა მაჭახლის ხეობაში ადრიდანვე ბეგებად ითვლებოდა. ამ მხარის რუსეთთან შემოერთების შემდეგ მათ ხაზინის გადასახადი, როგორც პრივილიგირებული, შეეცვალათ ჯარში გაწვევით ცალკე სპეციალური განკარგულებით.

---

* დასაწყისში ვფიქრობდით, ეს განაცხადი სოფელ კიბეს მცხოვრებ ზაქარიაძეებს ეკუთვნოდათ, მაგრამ შემდგომში მათი, კერძოდ, თემელ ემინის ძე და ყედემ ემინის ძე ზაქარიაძეების თხოვნა სხვა საბუთში აღმოჩნდა. ცხადი გახდა, რომ სხვა გვართან გვქონდა საქმე. გარდა ამისა, დადასტურდა, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პიროვნების სახელი ნამდვილად მაჭახლისპირელ წულუკიძეებს ეკუთვნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობისგან არჩეულმა რწმუნებულებმაც (ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი, ყემბერ-აღა ხარაზი, ხუსეინ ხალვაში, ესედ-აღა კომახიძე, თუფან-ბეგ შერვაშიძე, თემურ-ბეგ ხიმშიაშვილი და სხვ.) დაადასტურეს, რომ მაჭახლისპირელი წულუკიძეები (იგივე აზაბ-აღა-ზადეები, იგივე ზაქარიაძეები) მიეკუთვნებიან ბეგის შთამომავლობას.

**საოლქო კომისიამ დასახელებულ პირებს მიაკუთვნა თავადის წოდება.**

კანონიერი გადაწყვეტილება წულუკიძეებისთვის საბედისწერო აღმოჩნდა. საბჭოთა ხელისუფლეიბის დამყარების შემდეგ თავად-აზნაურობაზე ჩეკას მიერ გამოცხადებული ნადირობა წულუკიძეებსაც შეეხო. იუსუფ-ბეგ წულუკიძემ შვილიშვილთან თახსიმთან ერთად, თურქეთში გაქცევით უშველა თავს. 5 მათგანი: ნევზეთი, დევრიში, ისრაფილი, სკენდერი და ფეზლი 1923 წელს თურქული ორიენტაციის, თუ უორიენტაციობის ბრალდებით, ნიშანში ამოიღეს (უფრო საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტთან კავშირის შიშით) და 1924 წელს რუსეთში გადაასახლეს. გადასახლებიდან დაბრუნებულებს 1937 წელს კიდევ 6 თანამეგვარე დაუმატეს და სამეულის გადაწყვეტილებით იმავე წელს დახვრიტეს. სამედიცინო ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი, 18 წლის კიკა წულუკიძე ტაშკენტში გაასახლეს და უგზოუკვლოდ დაიკარგა. დახვრეტას ვერ ასცდა წულუკიძეთა სიძე. იუსუფის ქალიშვილის **მინერის მეუღლე ფიქრი-ბეგ სურმანიძეც** (1887-1937), რომელიც ერთხანს ცოლეურს აფარებდა თავს, ბათუმში დახვრეტილ ნევზეთ რიზას ძე წულუკიძეს (მეუღლის ბიძაშვილს) მიკუთვნებული აქვს პატიმრის № 201, ხოლო მის სიძეს ფიქრი სურმანიძეს 202. როგორც ჩანს, ორივე ერთ დღეს დააპატიმრეს და ასევე ერთ დღეს მოუსწრაფეს სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაჭახლისპირელ წულუკიძეთა გენეალოგიური ხე №1. სული ბეგისა და ინუს-ბეგის შტო



## მაჭახლისპირელ წულუკიძეთა გენეალოგიური ხე №2.
## (იუსუფ-ბეგის შტო)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზნაური ხარაზი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხარაზი

ხარაზთა გვარის უძველეს წარმომადგენლებზე, კერძოდ ოქროპირ ხარაზზე (მე-11 ს.) და გიორგი ხარაზზე (მე-13), რომლებიც იერუსალიმში თავისი ქველმოქმედებით გამოირჩეოდნენ, მკითხველს ცნობები მივაწოდე 2001 წელს გამოცემულ წიგნში, „რეგიონული მედიცინის განვითარება საქართველოში" (ტ. I. ბათუმი. 2001 წ. გვ. 22-23).

მოგვიანებით გაირკვა, რომ ხარაზი-ს გვარი პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია ელია (ილია) წინასწარმეტყველთან. საქართველოს ეროვნულ მუზეუმში დაცულ ამქრის დროშებს შორის ერთ-ერთ მათგანზე ვნახე ამქრის მფარველი ელია წინასწარმეტყველი. ხალხში შემონახული გადმოცემით ელია ხელობით ხარაზი ყოფილა. თურმე თავისთავს მტკიცე პირობა დაადებინა, რომ ქალის სახე არასოდეს ეხილა. ამისთვის მან საამქრო ისე მოაწყო, რომ ესმოდა დამკვეთის ხმა და ხედავდა მხოლოდ მის ფეხს და აღებულ ანაბეჭდებს. ერთხელ მასთან მისული ქალისთვის ფეხის ზომის აღებისას სამზერი სარკმელი დათქმულზე მეტად ღია დარჩენილა და ქალი მთელი ტანით გამოჩენილა. ელიამ ეს დიდ ცოდვად ჩათვალა და სადგისით თვალები დაითხარა. საკუთარი წესის მკაცრად დამცველი და ზნეობისთვის თავგანწირული ელია, გადმოცემით, ანგელოზებმა ცაში წაიყვანეს და ღრუბელთა წინამძღოლობა თხოვეს. ხელოსანმა ხარაზებმა კი გაიხსენეს ელიას მოსაქმეობა, მიიჩნიეს იგი თავის მფარველ ღვთაებად და ამქრის დროშაზე გამოსახეს (**ლეილა მოლოდინი, გიორგი ჯალაბაძე.** საქართველოს ეროვნული მუზეუმის დროშების კატალოგი. თბ. 1969. გვ. 5, 6).

მეცნიერთა ერთი ნაწილი თვლის, რომ ელიას საქმიანობის წესი, არავის ჩვენებოდა, მხოლოს თავისი ხელობის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გასაიდუმლოებას ისახავდა მიზნად, მაგრამ ეს მოსაზრება კარგავს თავის მნიშვნელობას, თუ გავიხსენებთ, რომ იგი ემალებოდა მხოლოდ ქალებს, რომელთა შორის ხარაზის ხელობა საერთოდ არ იყო მიღებული და გასაიდუმლოება-საც აზრი არ ჰქონდა.

„ქართლის ცხოვრება“ ელიას ამქვეყნიურ სიცოცხ-ლეზეც მიუთითებს. ნათქვამია, რომ მან მოსესთან ერთად სინას მთაზე ააშენა მონასტერი, რისთვისაც დახარჯა მრა-ვალი ათასი ოქრო, მონასტერში კი შეიტანა საეკლესიო წიგნები და ძვირფასი ნივთები. საყურადღებოა, რომ მას გლახაკთა და ხმარების და მონასტრის ხარჯებს გულუხ-ვად სწირავდნენ ხელოსნები (ხარაზები), დანარჩენს კი სა-კუთარი ხელით მიღებული შემოსავლიდან ხარჯავდა: „და ამას არათუ ხელოსანთაგან მორთმეულისა იქმოდის, ანუ თუ საჭურჭლით, არამედ ხელთა თვისთა ნადირებულისა. რომელთაგანი თვისსა მოძღუარსა იოვანეს მისცა ოდესმე დრაჰკანი,* ვითარ ოცდაოთხიათასი, რათა განუყოს გლახაკ-თა და ესეცა მცირედი მრევლისგან თქმად შეუძლებელი.“ (ტ. I. თბილისი. 1954 წ. გვ. 353)/

ასეა თუ ისე, ხალხის ხსოვნამ და ჩვენმა დედა-ისტორიამ ისეთი ამბები შემოგვინახეს, რომლებიც ყველა დროში ან-გარიშგასაწევია. ძნელია, წინასწარმეტყველის წმინდა სახ-ელი რომელიმე გვარს ან მოვლენას დავუკავშიროთ, თუმცა მხედველობაში მისაღებია ელიასადმი დიდი თაყვანისცემა საქართველოში, განსაკუთრებით ზღვისპირა აჭარაში, ქობუ-ლეთში, სადაც არაერთი ტოპონიმი ატარებს ამ სახელს (ელიაწმინდა, ელიასციხე, ელიავრი და სხვ.).

* ძვ. ოქროს ფული. იწონიდა 1 მისხალს (4, 26 გრ.). ჭრიდნენ ბიზანტიაში და არაბეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

აუცილებლად მიმაჩნია აქაურ ძველ საეკლესიო მოღვაწეებზეც ვთქვა ორიოდ სიტყვა, რათა დავრწმუნდეთ, რომ ელიასადმი ვედრებას კვლავ ამ მხარისკენ მივყავართ.

1749 წელს ქობულეთელ (აჭყვისთაველ) ათანასე ქავჟარაძეს გადაუწერია „გულანი" (ყველა საღვთისმეტყველო წიგნების კრებული), სადაც იგი წმიდა ელიას ავედრებს გურიის მთავარს მამიას: „უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო და წმიდაო ელია, ადიდე ორთავე შინა ცხოვრების გურიელი მამია..." (**თედო ჟორდანია**. ქრონიკები. III. თბილისი. 1967. გვ. 204).

ასეთი მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ამით დავკმაყოფილდეთ. ის კი უნდა ითქვას, რომ ოსმალთა სამასწლოვანი ბატონობის და ისლამიზმის, აგრეთვე ბოლშევიკების 70-წლიანი სისხლიანი ათეიზმის პირობებშიც, ქობულეთის მოსახლეობას არასოდეს დაუკარგავს აღმსარებლობის გრძნობა, წმინდანების და წმიდა ადგილებისადმი თაყვანისცემა. საყურადღებოა, რომ აქ სახელი ილია, ილიასი, ზოგჯერ დღესაც გამოითქმის, როგორც ელია, ელიასი. ამას მავანნი მათს დიალექტად, ან ენობრივ შეცდომად თვლიდნენ. როგორც ჩანს, ეს შეცდომა არაა და ასეთ გამოთქმას აქვს უხსოვარი დროიდან მოყოლებული საფუძველი.

ყოველივე ზემოთქმულის გამო ვვარაუდობთ, რომ ელია წინასწარმეტყველის საერო საქმიანობა შესაძლოა ყოფილიყო გვარის წარმოქმნის ანარეკლი.

* * *

ხარაზი ერთ-ერთი უიშვიათესი და უძველესი გვარია საქართველოში. მართალია, ის საბედნიეროდ, „წითელ წიგნში" არაა შეტანილი, მაგრამ მაინც მცირერიცხოვან გვარებს მიეკუთვნება, რადგანაც ქვეყანაში ამ გვარის მატარებელთა რიცხვი 300-ს ოდნავ აღემატება. გვარის ბუდე-ადგილად ქობულეთის რაიონი უნდა მივიჩნიოთ, რადგანაც საერთო რაოდენობიდან (243) 80,2 % ამ რაიონში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენი 19,8 % ბათუმსა და თბილისში, თანაც ყველა მათგანი თავის წარმოშობის ადგილად ქობულეთის რაიონს ასახელებს.

მართალია, საქართველოში გავრცელებულ გვარებს – ხარაზიშვილს, ხარაზია – იგივე ფუძე აქვთ, მაგრამ ჩვენი დაკვირვებით, ისინი ქვეყნის აღმოსავლეთსა (თბილისი, ქართლი) და დასავლეთში (ფოთი, სამეგრელო) დამოუკიდებელ გეოგრაფიულ გარემოში წარმოქმნილი გვარების რიგს მიეკუთვნება და ერთმანეთთან საერთო მხოლოდ ფუძე და ასობგერათა ჟღერადობა უნდა ჰქონდეთ.

ამგვარად, გვარი ხარაზი წმინდა „ქობულეთურია" და საქართველოს სხვა რეგიონებში სწორედ აქედან უნდა იყოს გავრცელებული.

ჩვენს თემასთან დაკავშირებით საჭირო გახდა პროფესორ ელენე მეტრეველის მიერ შესწავლილი ათონის ივერთა მონასტრის აღაპების, კერძოდ, მიქელის აღაპზე (№32) დაკვირვება, რომლითაც ცნობილი ხდება მონასტერთან სასნეულოს აშენების თარიღი. აქვეა მომდევნო, რიგით 146-ე აღაპი; მასში ვკითხულობთ, რომ **ოქროპირ ხარაზს** 1054 წელს მონასტრისთვის შეუწირავს ფული, აგრეთვე ზეთისხილის ბაღი, რომელიც სასნეულოსთვის (სწორი ტერმინია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვნურად გართულებული „საავადმყოფოს“ ნაცვლად) გადაუციათ სნეულთა (ესეც სწორი ტერმინია და ცვლის სრულიად მიუღებელ „ავადმყოფს“) მოსახმარად. ე. ი. მონასტრის გამგებლებს ოქროპირ ხარაზის მიერ შემოწირული ზეთისხილის ბაღი, (ჩვენი გაგებით, დამხმარე მეურნეობა) გადაუციათ მესნეულის (ახლებური გაგებით, მთავარი ექიმის) განკარგულებაში.

როგორც ჩანს, იერუსალიმში ხარაზთა გვარის წარმომადგენლები მომდევნო საუკუნეშიც (მე-13-14) განაგრძობდნენ საქმიანობას. ამაზე მეტყველებს ჯვრის მონასტრის აღაპი (№33), სადაც ნათქვამია: „თუესა ოკდომბერსა ე, ამასვე დღესა გ-ი ხარაზისი პანაშვიდი...“. ამის შემდეგ ტექსტი გადაფხეკილია და აღარ იკითხება. მომდევნო აღაპი (№34) უფრო სრულყოფილი, ნაწილობრივ დაქარაგმებულია, მაგრამ კარგად იკითხება: „თუესა ოკდომბერსა ვ. ამასვე დღესა წირვაი და აღაპი საუკუნოი ჩუენისა **გიორგი ხარაზისაი**. შეუნდვენ ღმერთმან. და ვინცა შეცვალოს, შემცაცვალებულ არის შჯულისაგან ქრისტიანეთაისა.“ ჩვენი აზრით, ზემოთხსენებული გ-ი ხარაზი იგივე გიორგი ხარაზია (მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისთვის. თბილისი. 1962 წ. გვ. 82, 98).

ამგვარად შეიძლება ვთქვათ, რომ იერუსალიმში **ხარაზთა** გვარის პირველი წარმომადგენელი და ქველმოქმედი ოქროპირ ხარაზი მოღვაწეობდა მე-11 საუკუნეში, ხოლო მეორე, ჩვენთვის ცნობილი ამ გვარის შვილი, მონასტრის ძმა და ასევე ქველმოქმედი **გიორგი ხარაზი** მე-13, მე-14 საუკუნეებში. იმედია, მეცნიერული კვლევა ამ გზით კვლავ წარიმართება და ნათელი მოეფინება ქალაქ იერუსალიმში გადახვეწილ იმ ქართველთა საქმიანობას, რომლებმაც სამშობლოსგან შორს გაიტანეს ეროვნული ტრადიციები და

ღირსეული კვალი დატოვეს ქართული სულიერებისა და აზროვნების განვითარების ისტორიაში.

**მინაწერი: ოქროპირ და გიორგი ხარაზების** მამაშვილური ღვაწლის სიმბოლური და გენეტიკური ჯაჭვის რგოლად გვესახება ღვაწლი 800-950 წლის შემდეგ გარდაცვლილი მათი თანამოგვარის, მამია ხარაზისა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება და მატერიალური შესაძლებლობა მწიგნობრობას და წიგნის სიყვარულს, ქველმოქმედებას და მწერლობას შეალია.

რ. ს.



მამია ხარაზის ბიბლიოთეკა-მუზეუმში. 1983 წ.
მარჯვნიდან: მამია ხარაზი, ჯემალ ქათამაძე, რამაზ სურმანიძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

აი ამ გვარის წარმომადგენელი და წინა კაცი იყო ყემბერ-აღა ხარაზი, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა კომისიისგან (რომელშიც თავად აქტიურად მონაწილეობ-და) მოეთხოვა უმაღლესი წოდება, მაგრამ მოკრძალებული მოღვაწე აზნაურის პრივილეგიებს დასჯერდა. კომისიამ მის მიმართ „ხელმომჭირნეობა" გამოიჩინა და ეს წოდება მას მიანიჭა არა მემკვიდრეობით, არამედ პირადად და ამით ხარაზთა მომდევნო თაობებს დაუკარგა ხანგრძლივი ისტო-რიის მანძილზე მოპოვებული ღირსებები.



**ყემბერ ხარაზი**
**(1858–1917)**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დიდი თავადი ხიმშიაშვილი



ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ხიმშიაშვილი

საუკუნე-ნახევრის განმავლობაში სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილს, აჭარას, შავშეთ-იმერხევსა და ლივანას ხიმშიაშვილთა დიდი გვარი მართავდა. ისე, როგორც სხვა ცნობილი გვარების, ხიმშიაშვილთა გვარის წარმომავლობაზე მრავალი სინამდვილე და ლეგენდა არსებობს. ზოგი იმდენად მიამიტური და მარტივია, რომ მათი აქ მოტანა არც ღირს, თუმცა რეალობასთან შედარების მიზნით, ალბათ, აუცილებელია თუნდაც ერთი მათგანის გახსენება.

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, „ხიმშიაშვილების ძველები, კახეთიდან მოსული ყოფილან, დამოსახლებულან სოფელ ნიგაზეულში. ისინი ძალუან ფუხრად (ღარიბად, რ. ს.) ცხოვრობდნენ თურმინ. ბოლოხან იმფრათ დაღაიბებულან თურმის, ომ მეიტანდნენ შვიდი დღის ჭათ, შეახვევდნენ ჩევრეში (ნაჭერში, რ. ს.) და ყანი მუშაობი დროს ხეზე ჩამოკიდებდენ. მუშაობის დანთავრებიხან მივდოდა კაცი და ხეზე მიაკაკუნებდა: ხევ მშიაო! ხე, რასაკვირველია, ჭათ რაფერ მიცემდა? თითონ ჭათ არ ჩამეიღებენ და, რომ არ დეილიოსო.

გეიგონეს ეს მეზობლებმა და ამ კაც „ხემშია“ დაარქვეს, მის შვილეფ კი ხემშიაშვილები.“ (**იაკობ ახუაშვილი**. ქართულ გვარ-სახელები. გამომცემლობა „განათლება.“ თბილისი. 1994. გვ. 622).

ვიღაცის მიერ გამოგონილ დიალექტით შეჯერებულ ამ თქმულებას კომენტარს არ გავუკეთებდით, მაგრამ თვით გვარის ეტიმოლოგიის დასადგენად და „ხევ მშიას“ გვარის წარმომავლობაზე ლეგენდის გასაბათილებლად, ღირს ორიოდე სიტყვის თქმა. ქართული გვარები, არა ამგვარი ფრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზებიდან, არამედ უპირატესად, ადამიანთა და გეოგრაფიულ სახელთა ფუძიდან პოულობს დასაბამს. საქართველოში არის გეოგრაფიული სახელი ხიმში და ანთროპონიმიც – ხიმშია. ხიმში რაჭაშია, ხოლო ხიმშია უფრო აღმოსავლეთში გვხვდება. ჩვენი აზრით, ხიმშიაშვილი-ს ფუძე უნდა იყოს საკუთარი სახელი ხიმშია. ამ გვარის ბულაჩაურელ წარმომადგენლებში სწორედ ამ პიროვნებას თვლიან გვარის მამამთავრად.

გვარის ეტიმოლოგიის გასარკვევად საჭიროდ მიგვაჩნია კიდევ ერთი ნაშრომის გახსენება. 1995 წელს თურქეთში გამოვიდა აჭარელ ხიმშიაშვილთა პირდაპირი შთამომავლის, სელიმ-ბეგის შვილიშვილის **ახმედ აჯარის** (ხიმშიაშვილის) წიგნი „ხიმშიაშვილთა გვარი“, სადაც ამ გვარის ფუძედ გამოცხადებულია რაღაც მონღოლურ-თურქმენული სიტყვა „ჰამშა.“ ამ ფაქტმა ჩვენი დიდი გაკვირვება გამოიწვია, რადგანაც დიდი თავადის შვილი საკუთარი სურვილით უარს ამბობს ქართველობაზე და თავს მონღოლთა და თურქმენთა შთამომავლად თვლის. ავტორთან პირადმა საუბარმა შედეგი არ გამოიღო, მაგრამ შემდეგ სხვა საშუალებებით დადგინდა, რომ ეს წიგნი დაკვეთით დაიწერა სწორედ იმ პერიოდში (1995 წ.), როცა აჭარაში ზეპირი თუ წერილობითი ყველა საამო სიტყვა მხოლოდ ერთი გვარის ირგვლივ ტრიალებდა და სხვა გვარების ღირსებები ჩრდილში იყო მოქცეული (**Ahmet Acar**. Tarihte Hamşioğullari. Ankara. 1995).

თედო სახოკია იმოწმებს ზეპირ გადმოცემას და მოგვითხრობს: „–აწინდელი ხიმშიაშვილების წინაპარი აბდულა-ბეგი უბრალო, მშვიდობისმოყვარე მწყემსი ყოფილა და ქვეყნის უფროსობა ფიქრადაც არ გაუვლია, როცა მწყემსის ჩომბახი ეჭირა ხელში და საქონელს უვლიდა, მაგრამ

ბუნებრივმა ჭკუამ და სიმდიდრემ ხალხში გავლენა მოუპოვა, თავისთავს „ბეგი“ უწოდა და სხვამაც არ გაუტეხა ხათრი. ამ აბდულას, ერთ დროს მწყემსად ყოფილს, ჩვენ უკვე ვხედავთ აჭარელთაგან შედგენილ მეომართა რაზმის უფროსად, ძლევამოსილების მაძიებელს, გურიის სოფელ აკეთში თავად მამუკა თავდგირიძესთან მებრძოლს, მაგრამ ბრძოლის ველიდან ცოცხალი არ გასულა. ეს იყო 1782 წელს (უნდა იყოს 1784 წელს რ. ს.). აბდულა პირველი ხიმშიაშვილი იყო, რომელსაც ისტორიაც იცნობს და რომელმაც საძირკველი ჩაუყარა ზემო აჭარაში ხიმშიაშვილთა გვარეულობას“. (**თედო სახოკია**. მოგზაურობანი. სახელგამი. თბილისი. 1950. გვ. 144).

აბდულ ბეგის ამ მარცხს თან მისი რაზმის წევრების ტყვეებად ჩავარდნა და გაყიდვა მოჰყოლია. ამის შესახებ მოგვითხრობს 1822 წლის განჩინება ბეჟან სიამაშვილსა და ვინმე ონისიმას სასისხლო საქმეზე. ბეჟანის თქმით: „აკეთს, რომ აბდულ-აღა მოიშალა. მამაჩემმა სამი თათარი იშოვნა ამის მამის ზიარათ: წაართვა ამისმა მამამ ათასი მარჩილის თათრები,“ ამიტომ სამართალს ვთხოულობთო. (ქართული სამართლის ძეგლები. ტ. VI, თბილისი. 1977. გვ. 580. საბ. № 298).

როგორც აღვნიშნეთ, თედო სახოკიას ციტატა მთლიანად ზეპირგადმოცემას ემყარება. ავტორი მასზე კომენტარს არ აკეთებს. სხვა ადგილას გამოთქვამს აზრს, რაც გარკვეულად აბათილებს ზეპირგადმოცემას, სადაც აბდულ ხიმშიაშვილი მწყემსადაა მოხსენიებული: „ეს გვარი ...მონათესავეა არაგვისპირის (დუშეთის მაზრა) ხიმშიაშვილებისა. მათ წინაპარს მე-17 საუკუნეში კაცი შემოკვდომია არაგვის ხეობაში. მეფის რისხვას გაქცევია და აჭარაში შემოხიზნულა“ (იქვე). ამგვარად, ცხადი ხდება, რომ აჭარელი ხიმშიაშ-

ვილები ენათესავებიან არაგვისპირელ თანამოგვარეებს, ე. ი. ისინიც თავადური წარმოშობისანი არიან.

იოანე ბაგრატიონი თვლის, რომ ხიმშიაშვილები აჭარის თავადები იყვნენ და ოსმალთა მოძალების დროს მათი ნაწილი გადასახლდა კახეთსა და ქართლში (აქ ავტორი წელსაც მიუთითებს). ხოლო ნაწილი აჭარა-სამცხეში დარჩა: „ამათნი წინაპარნი ძველადვე არიან თავადნი აჭარისანი და ოდეს დაიპყრეს თურქთა ახალციხე და მიიღეს მუნ მრავალთა მახმადის ჰსჯული, ამათნი გვარნი რაოდენნიმე აიყარნენ მუნიდგან და მოვიდნენ კახეთს დროს დიდისა ლეონ მეფისასა წელსა 1605-სა და დაეშენნენ საგურამოს თავს საგნაკორაისა ადგილსა და არიან მუნ ჟამიდგან თავადნი რაოდენიმე სახლად განყოფილნი და სხვანი არიან აჭარას და ახალციხეს ბეგებად წოდებულნი ხიმშიაშვილებნი“ (**იოანე ბაგრატიონი**. აღწერა საქართველოს თავად-აზნაურთა გვარებისა. გამომცემლობა „დიალ“. თბილისი. 1997. გვ. 45).

იოანე ბაგრატიონის მოსაზრება ემყარება 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატზე თანდართულ თავად-აზნაურთა სიას. ამდენად ეს ცნობები ოფიციალური და უფრო მეტად დამაჯერებელია.

აჭარელ და არაგვისპირელ ხიმშიაშვილთა ნათესაობაზე თხრობას ერთობ დრამატული ფაქტით დავიწყებ. 1803 წელს, როცა მთავარმართებელმა **ციციანოვმა** უკანასკნელი ქართველი მეფის **გიორგი XII-ის** მეუღლის, **დედოფალ მარიამის** გასახლება მოინდომა და ამ გეგმის აღსრულებისას გენერალმა **ლაზარევმა** უხეშ, შეურაცხმყოფელ ძალას მიმართა, დედოფლის მხლებელმა **ნიკოლოზ ხიმშიაშვილმა** სატევრით განგმირა მოძალადე გენერალი. მკვლელობა დედოფალმა თავისთავზე აიღო, მაგრამ ნ. ხიმშიაშვილს

ელექტრონული ბიბლიოთეკა



სელიმ ხიმშიაშვილი
(1755–1815)

სამეფო კარზე აღარ დაედგომებოდა და თავი ახალციხეს შეაფარა. მისი ახალციხეში გახიზვნა შემთხვევითი არ იყო. ამ დროს, მთელს სამცხე-საათაბაგოს აჭარის ჩათვლით მართავდა სამთუღიანი ფაშა (სულთანის ვეზირი) **სელიმ ხიმშიაშვილი**. ნიკოლოზს უკეთესი მფარველი, ვიდრე მისი ნათესავი და სახელოვანი გვარიშვილი, სხვა არც ეგულებოდა. (**პლ. იოსელიანი.** ცხოვრება გიორგი მეცამეტისა. ტფილისი. 1936. გვ. 254).

ზაქარია ჭიჭინაძის თქმით, აჭარის მებატონეები, დაწყებული აბდულ ხიმშიაშვილისგან, მისი შვილი სელიმი, შვილიშვილი ახმედი და მომდევნო თაობებიც დიდ მფარველობას უწევდნენ არაგვის ხეობიდან, ფშავ-ხევსურეთიდან ჩამოსულ მეცხვარეებს: „ახმედ-ბეგი ქართველი მთიელი ხალხის დიდი მფარველი იყო. იგი მათ ისე იცავდა, რომ მთიელთ არსიანის და ჩირუხის საძოვარს მთებზედ მთელს ზაფხულშიც ერთი ცხვარი არ ეკარგებოდათ“. („ისტორია ოსმალთა ყოფილი საქართველოსი“. თბილისი. 1927. გვ. 188, 189).

ავტორი სხვა ნაშრომში კიდევ უფრო აზუსტებს ამ საკითხს: შავშელებისა და იმერხევლების „ტანსაცმლის შეკერილობა ცოტათი თუშ-ფშავ-ხევსურებისას წააგავს: მოკლე ჩოხების ნაპირები ყაითნებით აქვთ შემოვლებული; კაცი ხამათ რომ შეხვდეს შავშელს, ან იმერხეველ კაცს, იმას თუშ-ფშავ-ხევსურელი ეგონება. ამათში თუშების ცნობაც ყოფილა გავრცელებული, რადგანაც ზაფხულში არტაანის მთებზე თუშებს კახეთიდან ცხვარი დაჰყავთ საძოვრათ: მთელი არტაანის მთები ამათი ცხვრებით არის სავსე...“ (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქათველოში. თფილისი. 1913. გვ. 299).

მთიელთა (შესაძლოა, მთიულთა) და შავშელთა ახლობლობაზე საინტერესო ცნობას გვაწვდის გიორგი ყაზბეგი: „შავშეთის მთელი მოსახლეობა... საოჯახო ყოფაში სუფთა

ქართულით, მთიანი საქართველოს მოსახლეობის, ე. ი. კავკასიის მთიულების აქცენტით ლაპარაკობენ. გარდა ამისა, აქაურ მეტყველებაში ხევსურულ კილოსთვის დამახასიათებელ მრავალ სიტყვას შეხვდებით“. (**გიორგი ყაზბეგი**. სამი თვე თურქეთის საქართველოში. გამოსცა **მამია ხარაზმა.** თარგმნა, შესავალი წერილი, კომენტარები და საძიებლები დაურთო **რამაზ სურმანიძემ.** გამომცემლობა „აჭარა“. ბათუმი. 1995. გვ. 22).

ამ საინტერესო ცნობებს კიდევ უფრო აღრმავებს **ალექსანდრე ფრონელი**: „საბალახოდ ცხვრის ფარები ამოჰყავთ არტაანის მთებზე თუშებს, ქიზიყელებსა და დიდთონელებს. სოფელ დიდთონეთს (მანგლისის ახლოს) საკუთარი საბალახო აქვს არტაანის ოლქში. გენერალ პასკევიჩს უწყალობებია ეს საძოვარი დიდთონელებისთვის. დღევანდლამდე იგი მაგრად უჭირავთ აქაურებს და არავის ანებებენ“ (**ალექსანდრე ფრონელი**. დიდებული მესხეთი. თბილისი. 1991. გვ. 192, 193).

აქ მხოლოდ ერთი შესწორების შეტანა შეიძლება. არტაანის მთის საძოვრები ქართველ მოსახლეობას პასკევიჩმა კი არ უწყალობა (ამისათვის ის მაინცადამაინც არ მოიკლავდა თავს), არამედ ეს იყო აქაურ ხიმშიაშვილთა უძველესი საკუთრება, რომელიც მათ შეინარჩუნეს ოსმალთა მმართველობის დროსაც, ქართლსა და კახეთში გადასახლების შემდეგ. პასკევიჩის დროს კი მათ აღიდგინეს ამ ტერიტორიების მფლობელობა და თავის ხელქვეით მყოფ გლეხებსა და მეცხვარე-მეჯოგეებს საშუალება მისცეს ესარგებლათ მდიდარი საძოვრებით. ოსმალთა და რუსთა ბატონობის შავ-ბნელ პერიოდში ამას ჰქონდა არა ოდენ მერკანტილისტური, არამედ დიდი სულიერი და ზნეობრივი მნიშვნელობა, რადგანაც ხელს უწყობდა ორ სხვადასხვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამყაროში მცხოვრები ქართველი ძმების ყოფით და ტომობრივ დაახლოებას და ეროვნული ცნობიერების შენარჩუნებას.

მომდევნო წლებშიც მესხეთ-ჯავახეთში, აჭარაში, შავშეთ-იმერხევსა და ლივანაში ხიმშიაშვილებმა შეინარჩუნეს დიდი მამულები. მარტო აჭარაში ისინი 1600 დესეტინაზე მეტ ტერიტორიას ფლობდნენ.

როგორც ოსმალეთის, ისე რუსეთის იმპერიული ძალები ყოველთვის ცდილობდნენ პატარა ქართული სამთავრო-სათავადოების ერთმანეთზე წაკიდებას, ქვეყნის დასუსტებას, თავად-აზნაურობის დაკნინება-გაკოტრებას და თავის გავლენის გაძლიერებას. ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტად აჭარა, შავშეთ-იმერხევი, ლივანა და ლაზეთი დაზარალდა. ოსმალები აჭარის მმართველ ხიმშიაშვილებს, ხოლო რუსები გურიის მთავრებს აქეზებდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. რუსეთის ხელისუფლებას ვერ მოენელებინა, რომ თავის დროზე **სიმონ გურიელი და სელიმ ხიმშიაშვილი** დამოყვრდნენ. სელიმის ვაჟს **აბდის** (1789-1859) ცოლად ჰყავდა სიმონის ქალი **კესარია** (1785-1861) და ამით მათ შორის მშვიდობა და ძმობა დამყარდა.

კავკასიის მთავარმართებელმა **ერმოლოვმა** თავის საწადელს მაინც მიაღწია: მამია გურიელი დაითანხმა, რათა კესარია ჩვილ ბავშვთან (ესმა. 1819-1893) ერთად გურიაში გამოეწვია (ვითომც სტუმრად) და უკან აღარ დააბრუნა. ამ ფაქტმა დიდი მღელვარება გამოიწვია აჭარაში. ამას დაერთო ოსმალო ემისრების სისინიც. ხიმშიაშვილთა დიდი გვარი და მთლიანად აჭარის მოსახლეობა რძლის წართმევის გამო დიდად შეურაცხყოფილად თვლიდნენ თავს. ახმედ-ბეგ ხიმშიაშვილი, იმ დროს აჭარის მმართვე-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლი, 1819 წლის 9 აპრილს შეიჭრა გურიაში და სასტიკად დაარბია სოფელი ასკანა. მამია გურიელმა მოახერხა თავდამსხმელთა უკუქცევა, რამდენიმე აჭარელი ტყვედ ჩაიგდო. ერმოლოვმა 6 მაისს გურიელს ამისთვის მადლობა გამოუცხადა, რაც მის წამქეზებლურ როლზეც მეტყველებს (ქხა.  -კოლექცია. ტ. VI. თბილისი. 1953. გვ. 11. საბ. №2513. 17). ორი მეზობელი თანამოძმე ერთმანეთის მოსისხლე მტრებად იქცნენ.

1828-1829 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ახმედ-ფაშის დიდი გავლენისა და პოპულარობის წყალობით, ხიმშიაშვილთა გვარის მოქმედების სფერო კიდევ უფრო გაფართოვდა. მართალია, მისი გავლენა შეიზღუდა სამცხე-ჯავახეთში, სამაგიეროდ, ხიმშიაშვილთა სამფლობელოს საზღვრები აქეთ, ყოფილ ტაო-კლარჯეთისკენ გადაიწია.

სელიმ-ფაშის შვილებმა შეთანხმებულად და ყოველგვარი ქიშპის გარეშე გაინაწილეს საქართველოს ისტორიულად კუთვნილი ტერიტორიების მმართველობა. **ახმედბეგმა** დაისაკუთრა არტანუჯი და აჭარა, აბდი-ბეგმა შავშეთი და სათლელი, **ქორ-ხუსეინ-ბეგი** დაეუფლა ფანაკს, ხოლო **დურსუნ-ბეგი** თავასკერს (ტაოსკარი). ყველა მათგანს დასახელებულ პუნქტებში ჰქონდათ თავიანთი რეზიდენცია, ციხე-სიმაგრეები და კარის სამლოცველოები. ამჟამად კარგადაა შენახული ნიგაზეულისა და სათლელის ციხეთა ნაშთები. მომდევნო წლებში ამ მხარეების მფლობელთა ოჯახებში მომხდარი რაიმე ცვლილების შემთხვევაში (მემკვიდრის არყოლა, ოჯახის უფროსის გარდაცვალება და სხვ.) უპატრონოდ დატოვებულ მამულს დარჩენილი ძმები, ან მათი მემკვიდრე ხიმშიაშვილები ინაწილებდნენ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ახმედ-ფაშის უფროსი **ვაჟი ასლან-ბეგი** პრისტავის თანამდებობაზე ყოფილა და 1829 წელს ციხისძირთან ბრძოლის დროს დაღუპულა* 1836 წელს ახმედ-ფაშაც გარდაიცვალა. **შერიფი** ამ დროს 5 წლისა იყო, რის გამო აჭარას ფაშის მეუღლე, ჩაქვის მებატონე **სეფერ-ბეგ ბეჟანიძის ქალი დუდი-ხანუმი** მართავდა. სხვათა შორის, ახმედ-ფაშას ორი ქალიშვილიც ჰყავდა. ერთი მათგანი, **ფათმა-ხანუმი** ლივანის ბეგზე, ათაბაგზე იყო გათხოვილი. მას **გაშორდა და ნიგაზეულში დაბრუნდა. არსებობს თქმულება**, რომ ფათმა-ხანუმ ხიმშიაშვილი ნიგაზეულში რომელიღაც სხვა გვარის შვილს მისთხოვდა, რომელმაც ამ ქალბატონის გვარი მიიღო და ამჟამად ნიგაზეულში მცხოვრები ხიმშიაშვილები მათი შთამომავლები არიანო. (ეს თქმულება შემდგომ დაზუსტებას საჭიროებს). მეორე ქალიშვილი დილდარ-ხანუმი უქმარშვილოდ გადაეგო.

აჭარის, შავშეთ-იმერხევისა და ლაზეთის გათავისუფლებისთანავე ხიმშიაშვილებმა წერილით მიმართეს რუსეთის ადმინისტრაციას, აღედგინა მათი წოდებები, შეეტანა ქართველ თავადთა სიაში და დაებრუნებინა კუთვნილი მამულები, რომლებითაც ხაზინა სარგებლობდა. ეს თხოვნა მეფის მოხელეებმა არ შეიწყნარეს და ხიმშიაშვილთა დიდი ოჯახი (მარტო შერიფ-ბეგს 20 შვილი ჰყავდა) უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა.

1911 წელს ხულოს გავლენიანმა ბეგებმა, გენერალ შერიფ ხიმშიაშვილის (ადჟარსკის) შვილებმა: ისა, ჯემალ, თემურ, ჯეფერ, ხაშიმ და ზექერია ხიმშიაშვილებმა, აგრეთვე მისმა შვილიშვილებმა: რასიმ, ჯელილ, ჯასიმ, ასლან და დურ-

---

* ამ ბრძოლებში მონაწილეობდა მისი მეორე ვაჟი ქამილ-ბეგი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**დიდი თავადი**
**შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილი**
**(1833–1892)**

სუნ ხიმშიაშვილებმა ბათუმის ოლქის წოდებრივ კომისიას კვლავ მიმართეს აღედგინა მათი ძველი პრივილეგიები და მათთვის მიენიჭებინა დიდი თავადის (ბეგლარ-ბეგის) წოდებები.

რუსეთის ადმინისტრაციას ანალოგიური თხოვნა მიართვეს სათლელის (შავშეთი) მცხოვრებმა მემამულეებმა: ფელულ, რამიზ, ნუსრეთ სელიმის ძე, ფერთევ ნურის ძე, რიფათ შაქირის ძე ხიმშიაშვილებმა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

განმცხადებლებმა კომისიას წარუდგინეს მრავალი სიგელი, ფირმანი და გუჯარი, რომლებითაც დადასტურ-და მათი თხოვნის ობიექტურობა. საოლქო კომისიამ გაიზ-იარა აგრეთვე მრავალრიცხოვანი მოწმის და სამოქალაქო რწმუნებულის ერთსულოვანი თანხმობა და **ხულოს ხიმ-შიაშვილებს მიანიჭა რუსეთის უგანათლებულესი თავადის წოდებები,** ხოლო შავშეთელ (სათლელის) ხიმშიაშვილებს რუსეთის თავადის წოდებები.

როგორც ჩანს, ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა აჭარაში ხიმშიაშვილთა ოჯახის საადგილმამულო უფლებების აღდ-გენაც. ამაზე მეტყველებს ქუთაისის არქივში დაცული საბ-უთები, კერძოდ 1912 წელს რუსეთის იმპერატორის მიერ გაცემული ბრძანება, რომლის მიხედვით **შერიფ ხიმშიაშვი-ლის** მემკვიდრეებს გადაეცათ:

1. ბეშუმის ჩრდილო ნაწილში 1084 დესეტინა, მათ შო-რის 286 დესეტინა ტყე;
2. ბეშუმის სამხრეთით 625 დესეტინა;
3. ხულოსთან 32 დესეტინა და 2218 კვ. საჟენი, მათ შო-რის საკარმიდამო 1 დესეტინა, აგრეთვე სავაჭრო (დუქნები) 515 კვ. საჟენი ფართობით;
4. სხალთაში 268 დესეტინა და 2114 კვ. საჟენი;
5. ახალდაბის მოსაზღვრედ 3396 დესეტინა, მათ შორის 1202 დესეტინა ტყე;
6. სოფელ ბაკოსთან ქოჩახში 424 დესეტინა და 1200 კვ. საჟენი, მათ შორის 382 დესეტინა ტყე.

სულ 5833 დესეტინა ფართობი (ქუთაისის ცსა, ფ. 23. ს7 1322, გვ. 17).



ხიმშიაშვილთა ოჯახის ერთი ჯგუფი
მარჯვნიდან: რასიმ-ბეგი, ჯელალ-ბეგი, ზაბით-ბეგი, ჰამდი-ბეგი
შუაში ზის სელიმე-ხანუმი (მურთაზ-ბეგის ქვრივი)
შუაში დგას მათლუბა-ხანუმი
მარჯვნივ ფიქრიე-ხანუმი?
მარცხნივ ჰამდი-ბეგის მეუღლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარელ ხიმშიაშვილთა გენეალოგია №1




სქემაში შეტანილია შერიფ-ფაშა ხიმშიაშვიის ყველა შვილი, შვილიშვილთაგან რასიმი, ჯასიმი, ასლანი, ჯელილი და დურსუნი, ვინც 1911 წელს განცხადებით მიმართეს წოდებრივ კომისიას. ასევე სქემაში შეტანილია ნური და შაქირ-ბეგ ხიმშიაშვილის მხოლოდ თითო შვილი, სელიმ-ბეგის მხოლოდ სამი ვაჟი.

# ხიმშიაშვილთა გენეალოგიური ხე №2
## (ნური-ბეგის შტო. შავშეთი)



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი თავადი ჯაყელი



## ჯაყელი

ჯაყელთა გვარი XI საუკუნიდან წარჩინებულ ფეოდალურ საგვრეულოს მიეკუთვნება. ამ გვარის წარმოშობა დაკავშირებულია ჯაყის ციხესთან, რომელსაც ფლობდნენ ისინი. პირველ ჯაყელად თუხარისის ერისთავი ბეშქენი ითვლება. მას მეფემ ჯაყისწყლის, ურავლისა და ფოცხოვის ხეობები უბოძა. ძალიან მალე, გაურკვეველ ვითარებაში ჯაყელებმა მეფე ბაგრატ IV წინააღმდეგ რამდენიმე ამბოხება მოაწყვეს. ბეშქენ ჯაყელი მეამბოხე ლიპარიტ ბაღვაშს მიემხრო.

1178 წელს **მემნა ჯაყელი** მონაწილეობს გიორგი მესამის წინააღმდეგ დემნა უფლისწულის მიერ მოწყობილ აჯანყებაში. 80-იან წლებში ბოცო ჯაყელიც ტახტის მაძიებელ გიორგი რუსს (იური ანდრიას ძეს) მიემხრო, რის გამო თამარ მეფემ მას სამცხის ერისთავსპასალარობის სახელო და ჯაყის ციხე ჩამოართვა და ივანე-ყვარყვარე ციხისჯვარელს გადასცა. ასე წარმოიქმნა ჯაყელ-ციხისჯვარელთა გვარი. მათ სამეფო კარზე ეპყრათ აგრეთვე მეჭურჭლეთუხუცესის, მანდატურთუხუცესის, ათაბაგის (ვეზირის) სახელო.

1266 წელს **სარგის ციხისჯვარელ-ჯაყელმა** მონღოლთა დახმარებით სამცხე სამთავროდ აქცია, რაც მე-15 საუკუნეში ამ დიდი პროვინციის ქართული სამეფოსგან ჩამოშორების დასაწყისს მოასწავებდა. ჯაყელები სამცხის მთავრებად იქცნენ.

1334 წელს **გიორგი V ბრწყინვალემ** ათაბაგობა უწყალობა თავის ბიძას სარგის II ჯაყელს, რამაც დასაბამი მისცა მაღალ ფეოდალურ ტიტულს – სამცხის ათაბაგს. ჯაყის ციხეში, მოგვიანებით ციხისჯვარში არსებული ჯაყელთა რეზიდენცია ამიერიდან ახალციხეში გადავიდა. მათი მონასტერი გახდა ყოფილი სამეფო ეკლესია ვარძია, შემ-

დეგ ვაჰანის, თმოგველთა, აგრეთვე ზარზმისა და საფარის მონასტრები.

ჯაყელებმა სახელი გაითქვეს, როგორც სჯულმდებლებმა (ბექა, აღბუღა). ისინი ქორწინების გზით უნათესავდებოდნენ ქართველ მეფეებსა და დიდებულებს, აგრეთვე ტრაპიზონის იმპერატორებს.

საქართველოს აღორძინების პერიოდში ჯაყელები მესხეთის ლაშქარს ხელმძღვანელობდნენ და არაერთხელ დაამარცხეს მოსეული ოსმალები და სპარსელები. სამწუხაროდ, დამპყრობთა მზაკვრული პოლიტიკის შედეგად მე-15 საუკუნიდან მეფე-მთავრები ერთმანეთს გადაეკიდნენ, თავი იჩინა სეპარატისტულმა მიდრეკილებამ, მეზობელ მთავრებთან გაუთავებელმა დავამ და ქიშპმა, რაც ხშირად სისხლისმღვრელ ომებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ამ ბრძოლებში ჯაყელებმა გაიმარჯვეს, მოქიშპე ფეოდალები (თავადები), ვასალებად აქციეს, რომელთა რიცხვი მე-16 საუკუნეში 22-ს აღწევდა. მათ შორის იყვნენ ჯაყელ-ციხისჯვარელ ბოცოსძენიც.

ჯაყელებსა და ვასალ თავადებს შორის (შალიკაშვილები, დიასამიძეები, ჩორჩანელები, ღობიარები, ფანასკერტელები, მხარგრძელები, თორელები, აბუსერისძენი) გამუდმებული ბრძოლით ისარგებლეს ოსმალო დამპყრობლებმა და 1578-1581 წლებში ხელში ჩაიგდეს სამცხე-ჯავახეთი. სამცხის უკანასკნელი ათაბაგი მოწამლა მისივე ბიძამ **ბექა ჯაყელმა,** რომელიც გამაჰმადიანდა, იწოდა **საფარ-ფაშად** და მადლიერი სულთნისგან ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს გამგებლობა მიიღო.

**ზაქარია ჭიჭინაძის** აზრით, კვაშტელი ჯაყელები, „საქართველოს ისტორიაში ცნობილი ბექა ჯაყელის, საფარ-ფაშის შთამომავალნი, აღა ბეგებად ხმობილნი“ არიან. მწიგნობარი ამ გვარის შტოს არცთუ ისე სასიამოვნო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეპითეტებით ამკობს. მისი თქმით, ისინი არიან „მოძულენი ქართველთა," „გაუნათლებელნი" და ა. შ. ამ გვარის ასეთი შეფასება გადაჭარბებულია და ობიექტურობას არ უნდა შეეფერებოდეს. თუმცა აქვე ავტორი იმასაც ამბობს, რომ ქართული ენის გარდა მათ სხვა არაფერი იციან, აქ თათრული არ გავრცელებულა და ა. შ. (მუსლიმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში. ტფილისი. 1913. გვ. 104).

სამცხე-საათაბაგოს ოსმალთაგან გათავისუფლებამდე (1829 წ.) ახალციხის ფაშებად უპირატესად ჯაყელები ინიშნებოდნენ. თუმცა სხვადასხვა დროს აჭარელ ხიმშიაშვილებსაც ეკავათ ფაშის ტახტი. მომდევნო საუკუნეებში ამ წარჩინებული გვარის წარმომადგენლები სამად განშტოვდა: ერთნი ჯაყელ-ათაბაგებად, მეორენი ჯაყელებად, ხოლო მესამენი ათაბაგებად (იხ. ზემოთ) იწოდებოდნენ. ამ გვარებს ახლა ყველგან შევხვდებით, მაგრამ ისინი უპირატესად მესხეთში, აჭარასა და შავშეთ-იმერხევში სახლობენ. სამცხიდან მათი გადასახლება განაპირობა პოლიტიკურმა მოვლენებმა, აგრეთვე იმანაც, რომ ისინი სხვა მხარეებშიც დიდ ადგილ-მამულებს ფლობდნენ და ოჯახების გამოყოფა-გამრავლების კვალობაზე ამ მხარეებსა და სოფლებში დამკვიდრდნენ.

1997 წლის მონაცემებით, საქართველოში 1465 ჯაყელი ცხოვრობდა. მათ შორის: ბოლნისში – 270, თბილისში – 257, შუახევში – 188. ამ გვარს ვხვდებით ხულოს რაიონის სოფელ ქვედა ალმეში, შუახევის რაიონის სოფლებში: ჭალაში, გომარდულსა და ტაკიძეებში, ქედის რაიონის სოფელ კვაშტაში, ქობულეთის რაიონის სოფელ ხალაში.

ჯაყელის სახენაცვალი ფორმა უნდა იყოს ჯაყელიძე, რომლის 128 წარმომადგენელი უპირატესად აჭარაში ცხოვრობს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



აბდულ-ბეგ ჯაყელი
(1894–1974)

1911 წელს ბათუმის ოლქის წოდებრივ კომისიას თხოვნით მიმართეს ქვემო აჭარის უბნის სოფელ კვაშტის მცხოვრებლებმა: დურსუნ, სალიხ და ნური ჯაყელებმა, რათა მათთვის აღედგინათ თავადის (ბეგის) წოდება: განმცხადებლებმა წარმოადგინეს 1713-1822 წლების ოსმალური ფირმანები, რომლითაც დადასტურდა მათი პრივილეგიები, კერძოდ ის ფაქტი, რომ მათი გვარი ფლობდა მიწებს და გლეხებისგან ღებულობდა „თიმარს." ამავე საბუთებით დასტურდება, რომ კვაშტაში ჯაყელები 1713 წლის შემდეგ დამკვიდრდნენ.

კომისიამ დააკმაყოფილა ჯაყელთა თხოვნა და მათ **რუსეთის თავადის წოდება მიანიჭა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯაყელთა გვარის გენეალოგიური შტო №1
# (ს. კვაშტა, ს. ხალა)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## სია

## ბათუმის ოლქში მცხოვრები მოქალაქეებისა, რომელთაც 1911-1912 წლებში წოდებრივ კომისიას მიმართეს წოდებების აღდგენის თაობაზე

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გეორგიევსკის ტრაქტატს თან ერთვოდა ერეკლეს ბრძანებით შედგენილი ქართლ-კახეთის თავადაზნაურთა სია, ხოლო იმერეთის, გურიის, სამეგრელოს, სვანეთის, აფხაზეთის წარჩინებული ოჯახების სიები შეადგინეს ცარიზმის მმართველობის დროს. ჩვენ არ ვიცით, ანალოგიური სიები გაკეთდა თუ არა ოსმალეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიების რუსეთთან მიერთების შემდეგ, თუმცა აჭარა-შავშეთ-იმერხევის, ლივანის და ლაზეთის, ე. წ. თურქეთის საქართველოს ფეოდალთა მიმოწერის გაცნობით უნდა ვიგულისხმოთ, რომ **ბათუმის ოლქში ასეთი სიები არ არსებობდა** და ყველა თავადსა თუ აზნაურს რუსეთის მთავრობასთან ინდივიდუალურად უხდებოდა თავისი დიდგვაროვანი წარმომავლობის დადასტურება.

ეგრეთწოდებულ თურქეთის საქართველოში გავრცელებული მაღალი ფენის გვარებს თავიანთ გამოკვლევებში ეხებიან: დიმიტრი ბაქრაძე, რაფიელ ერისთავი, გორგი ყაზბეგი, ზაქარია ჭიჭინაძე, ალექსანდრე ფრენკელი, თედო სახოკია, ალექსანდრე ფრონელი და სხვა მკვლევარები. მართალია, მათ მიერ ჩამოთვლილი გვარები ძალზე მცირეა და სრულ სურათს არ იძლევა, მაგრამ მეცნიერისთვის ეს ძუნწი ცნობებიც ძვირფასია სხვა უფრო დამაჯერებელ წყაროებთან შესაჯერებლად და შედარებით სრულყოფილი სურათის წარმოსადგენად. ამ ავტორთაგან ზოგიერთს მოცემული აქვს გვარის ონომასტიკონი, ფონეტიკური აგებულება, ეტიმოლოგია, რაც თავისთავად გვეხმარება ცალკეული გვარის ბუდე-ადგილების, მათი უძველესი მამამთავრების ვინაობის

დადგენაში. ჩვენს მიზანს არ შეადგენს რეგიონში გავრცე-ლებული ყველა გვარის წარმომავლობის დადგენა. მაგალი-თისთვის, სქემატურად, აქაც შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ თავადურ გვარს (იხ. ქვემოთ), რომელთა ეტიმოლოგია ზოგ ნარკვევში მცდარადაა გაგებული.

ზოგი გვარის მოკლე ისტორიას დართული აქვს გე-ნეალოგიური სქემები, რომლითაც შევეცადეთ დაგვედგინა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და მეზობელ ქვეყნე-ბში მცხოვრებ, განსხვავებული კონფესიების მქონე თანა-მოგვარეთა ნათესაური ძაფები (ბიბინეიშვილი, თავდგირიძე, ნიჟარაძე, შერვაშიძე).

მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის ოლქში მცხოვრებ თავადაზნაურების ბევრ ოჯახს წოდების მინიჭებაზე უსა-მართლოდ უარი განუცხადეს, ჩვენ აქ მაინც მოვიტანთ ყვე-ლა იმ პიროვნების, ოჯახებისა და ჯგუფების სიებს, ვინც 1911-1912 წლებში თხოვნით მიმართეს კომისიას – დაედგინა მათთვის პრივილეგირებული წოდებები, რადგანაც დარწ-მუნებული ვართ, რომ მათი აბსოლუტური უმრავლესო-ბა იმსახურებდა მოთხოვნილი წოდების აღდგენას. ამაზე მეტყველებს მოწმეებისა და სამოქალაქო რწმუნებულების დასკვნები, რაც საოლქო წოდებრივმა კომისიამ, სრულიად უსამართლოდ, არ გაიზიარა. ამის მაგალითად დავასახე-ლებ ხალვაშების გვარის ცნობილ წარმომადგენელს **ახ-მედ-ეფენდი ხალვაშს.**

სრულ ნამსახურობის სიაში აღნიშნულია, რომ მილი-ციის მაიორი ახმედ-ეფენდი ხალვაში დაიბადა 1830 წლის 11 მაისს ბათუმის ოლქის სოფელ მარადიდში. განათლება მიიღო კონსტანტინეპოლში, აღმსარებლობით მაჰმადიანია. ოსმალეთის ხელისუფლების დროს იგი ბინბაში (ათასეუ-ლის მეთაური) ყოფილა.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების და ქართული მიწების დაბრუნების შემდეგ ახმედ ხალვაში ართვინის ნაწილის უფროსად დანიშნეს (22 იანვარი, 1879 წ.). 6 თვის შემდეგ კავკასიის არმიის სარდლობის წარდგინებით, 1880 წლის 1 ნოემბერს იმპერატორმა **ალექსანდრე II-მ** ახმედ ხალვაშს უწყალობა მილიციის მაიორის წოდება და წლიური პენსია 300 მანეთის ოდენობით.

1882 წლის 2 ივლისს ახმედ ხალვაში გონიოს ნაწილის უფროსად დანიშნეს და ერთი წლის შემდეგ წმინდა სტანისლავის მე-3 ხარისხის ორდენით, 1887 წლის 30 აგვისტოს წმინდა ანას მესამე ხარისხის ორდენით, ხოლო 1888 წლის 22 სექტემბერს გონიოს ნაწილის უფროსად დანიშნეს და 9 წლის ნამსახურობისთვის წმინდა ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენით დააჯილდოეს. მისი წლიური ხელფასი 650 მანეთს შეადგენდა, ხოლო კვების, დამატებითი, საბინაო, სამგზავრო ხარჯების ჩათვლით იგი 1 500 მანეთს ღებულობდა.

რუსეთის იმპერიის მაშინდელი კანონით წმინდა ვლადიმერის მე-4 ხარისხის ორდენის მფლობელი ამავე დროს მიეკუთვნებოდა რუსეთის თავადაზნაურულ ფენას და ეს წოდება გადადიოდა მემკვიდრეობით.

ახმედ ხალვაშმა ორჯერ იქორწინა. პირველ მეუღლესთან ფერუზე-ხანუმ სელიმ-ბეგის ასულთან შეეძინა ვაჟები: საიდი (1859 წ. 8 მარტი) ჰარუნ-რეშიდი (1866 წლის 21 სექტემბერი) და ისაკი (1864 წლის 17 ივლისი); ქალიშვილები: აიშე (1854 წ. 27 ნოემბერი), ხატიჯე (1857 წ. 11 აპრილი) და ინჯა (1867 წ. 19 მარტი). მეორედ მან იქორწინა ნურიე მუსტაფა-აღის ასულზე, თუმცა ნამსახურობის სიის შედგენის დროს მისგან შეძენილი შვილები არ ირიცხებიან.



**ახმედ ხალვაშის შვილი ისაკ ხალვაში**
**(1864–?)**

ახმედ-ეფენდი ხალვაში გარდაიცვალა 1897 წლის 12 მაისს. მემკვიდრეებმა, კერძოდ ვაჟმა ისაკმა მიმართა ქუთაისის სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს მისი და არასრულწლოვანი ძმისშვილების შაქირის, შუქრის და ხასანის, აგრეთვე ძმის ჰარუნის მემკვიდრეობით თავადაზნაურულ წოდებაში აღიარების შესახებ.

საბუთების დეტალური გასინჯვის, აგრეთვე გვარის ჩანაწერში აღმოჩენილი შეცდომის გასწორების შემდეგ, **სენატმა ისინი აღიარა მემკვიდრეობით** თავადაზნაურულ წოდების მქონეებად, რის შემდეგ **ისაკი, საიდი და მათი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**უწლოვანი ძმისშვილები შაქირი, შუქრი და ხასან ხალვაშები** სამოქალაქო ნამსახურობისთვის შეიყვანეს ქუთაისის გუბერნიის საგვარეულო წიგნის მესამე ნაწილში (**ინგა ელიავა**. ახმედ-ეფენდი ხალვაში... აჭარის საარქივო სამმართველოს II საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბილისი. 2012 წ. გვ. 10-14).

ამ დოკუმენტებით თუ ვიმსჯელებთ, მარადიდელ ხალვაშებს არ უნდა მიემართათ ბათუმის ოლქის საგანგებო კომისიისთვის, მაგრამ, როგორც ირკვევა, მომდევნო თაობებს ჩამოართვეს აზნაურის წოდება, რის გამო ზემო მარადიდის მცხოვრებლებმა თევფიყ, იაკობ, იახია, იზეთ და ისმაილ ხალვაშებმა 1911 წელს კვლავ მიმართეს საგანგებოდ შექმნილ კომისიას, რათა მათთვის, როგორც აზნაურების მემკვიდრეებისთვის აღედგინათ საპატიო წოდება, მაგრამ კომისიამ არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა.

ხალვაშების მიმართ გამოჩენილი უკანონობა დამახასიათებელი მაგალითია რუსეთის იმპერიაში ბიუროკრატიული წესების ბატონობისა.

საგანგებოდ აღვნიშნავ, რომ ამ კომისიისთვის რამდენიმე თავადურ გვარს (აბაშიძე, ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და სხვ.) თხოვნით არ მიუმართავს, რადგანაც მათი წოდებრიობა ადრე, შესაძლოა, სხვა დოკუმენტით უკვე აღიარებული იყო. ამიტომ ამ სიაში **ზოგი გვარი, რომელიც ჩვენს მიერ მითითებულ ფონდებში არ შეგვხვდა, გამოტოვებულია**, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ ეკუთვნოდნენ პრივილიგირებულ წოდებას.

თავადაზნაურთა და საპატიო მოქალაქეთა სიები დალაგებულია ქართული ალფავიტის მიხედვით.

# თავადები და მათი ოჯახები

## I. ავალიანები

1. ალი სელიმის ძე - დანდალო
2. ასლან მახმუდის ძე - დანდალო
3. ზექერია მახმუდის ძე - დანდალო
4. თემურ ნურის ძე - 23 წლის. დანდალო
5. მახმუდ სულეიმანის ძე - ზესოფელი
6. ოსმან თეარის ძე - ზესოფელი
7. სეფერ სულეიმანის ძე - დანდალო
8. ხასან მამუდის ძე - დანდალო

## II. ათაბაგები (ათაბეგოვები)

1. მახმუდ სულეიმანის ძე. 54 წლის (ართვინი)
   ქალიშვილი ფერუზა-ნეზირე. 1 წლის
2. ასლან ოსმანის ძე. 35 წლის (სინგოტი)
   დედა - დუდუში*
   მეუღლე - სურული
   ვაჟები: სეიფული, 10 წლის
   ახმედი, 6 წლის
   გარდაცვლილი ძმის იზეთის ვაჟები:
   ნური, 14 წლის
   მურადი, 11 წლის
   ქალიშვილი – შანიდადი
   ძმის მეუღლე ესმა, 38 წლის
3. ალი ღალიბის ძე. 29 წლის (სინგოტი)
   ძმა მუსტაფა (თუ მურთაზი), 22 წლის
   დედა – ჯევაიზი
   მეუღლე – ფადიმე

---

* ოჯახის ყველა უფროსს, სრულწლოვან და არასრულწლოვან წევრებს საბუთებში ყველგან მიწერილი აქვთ წოდება (ბეგი, ხანუმი), რომელთა განმეორება ზედმეტად მივიჩნიეთ და ამოვიღეთ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

4. ნუსრეთ სალიხის ძე, 39 წლის (სინგოტი)
მეუღლე – ჯიხანი
ვაჟები: რამიზი, 8 წლის
ასანი, 1 წლის
უსეინი, 1 წლის
ქალიშვილი ნოქტა, 9 წლის
5. შაქირ სალიხის ძე, 44 წლის (სინგოტი)
დედა – დუდუზი
ვაჟები: ვასიფი, 20 წლის
ფარისი, 14 წლის
6. მუხამედ სეფერის ძე, 85 წლის (სხლობანი)
ვაჟი – მემედ-ალი, 55 წლის
მემედ-ალის ვაჟები:
ასლანი, 29 წლის
ენესი, 26 წლის
ეთავულახი, 12 წლის
ქალიშვილი – მაინური, 14 წლის
მეუღლე – ფატიმე, 45 წლის
ვაჟი – ჯელალი, 48 წლის
ჯელალის ვაჟები:
ნევზეთი, 13 წლის
ბეხჩეთი, 9 წლის
შევქეთი, 7 წლის
სანი, 4 წლის
მეუღლე – ფეიმე, 38 წლის
7. ასლან ხუსეინის ძე, 60 წლის (ველი)
მეუღლეები: რუაჟი და საადეთი
ქალიშვილი – მეტლუბე, 2 წლის
8. ფუად სეფერის ძე, 51 წლის (ველი)
დედა – იდეთი, 78წლის
ცოლები: სეერი და მესუდი
ვაჟები: ზექერია, 25 წლის
მუსა, 14 წლის
ქალიშვილები: მუიბანი
შაინდაზი
ნურიე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ძმა – შერიფ სეფერის ძე, 48 წლის
შერიფის ვაჟები: მურთაზი, 20 წლის
თახსიმი, 10 წლის
ქალიშვილები: მაუში,
ურნუზე
ფერუზე
მეუღლე – მუნევერი, 40 წლის

9. ჯემალ თაირის ძე, 53 წლის (ტბეთი)
ვაჟები: ლიუფტი 20 წლის
ადილი, 15 წლის
მეუღლე – (სახელი არ წერია)
ძმა – ვასიფი, 35 წლის
გარდაცვლილი ძმის ვაჟები:
დედე, 25 წლის
ნაზიმი, 18 წლის
თაირი, 10 წლის

10. მეზერ მუსტაფის ძე, 25 წლის (ქ.ართვინი)
დედა – ლუთბიე, 43 წლის
მეუღლე – ემინე, 19 წლის

11. სულეიმან ახმედის ძე, 47 წლის (ს. ბეშაული)
მეუღლე – ემინე, 43 წლის
ვაჟები: სერვეთი, 16 წლის
ჯემალი, 14 წლის
ახმედი, 5 წლის

12. ეხსან ახმედის ძე, 55 წლის
მეუღლე – ბინაზი, 40 წლის
ვაჟები: დურსუნი, 18 წლის
ჯემალი, 16 წლის
ქალიშვილი – შემსინური, 25 წლის

13. ალი ასლანის ძე, 54 წლის (ს. ბეშაული)
ვაჟები: მურადი, 25 წლის
ემინი, 18 წლის
ქალიშვილი – სალიე
მეუღლე – აიშე
დედა – ჯევაირი

## III. არიმბა (ადლია)

ისმაილ-ბეგ*

## IV. ბაბილა-ზადე (ბალაბან-ზადე)

ხურშუტ მემედის ძე (გორგაძეთი, ქვემო აჭარის უბანი)

## V. ბასილიძე (ჩიქუნეთი)

ალი – ჩიქუნეთი
იუსუფ – ჩიქუნეთი
ხასანი – ჩიქუნეთი

## VI. ბეჟანიძეები (ს. ზენდიდი)

1. აბდულ მუთის ძე, 75 წლის, მილიციის პორუჩიკი
2. დევრიშ ჰაჯი-ასანის ძე, 37 წლის, მილიციის პრაპორშჩიკი
3. იბრაიმ ჰაჯი-ასანის ძე, 45 წლის
4. ხემიდ ჰაჯი-ასანის ძე
5. დედე ჰაჯი-ასანის ძე
6. ასლან ჰაჯი-ასანის ძე, 19 წლის
7. სულიმან მემედის ძე, 62წლის
8. ბერი მემედის ძე
9. ახმედ მემედის ძე, 37 წლის, მილიციის იუნკერი
10. ნური იუსუფის ძე
11. აბდულ სულეიმანის ძე
12. ლიუტფი სულეიმანის ძე
13. თევფიყ სულეიმანის ძე
14. დურსუნ ბეგიაღის ძე
15. რიზა სულეიმანის ძე

---

* კომისიამ თავადის წოდებაზე უარი განუცხადა. მიანიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება მემკვიდრეობით. აჭარაში ეს გვარი გადაშენდა.

# VII. ბიბინეიშვილები (ერგე)

1. დურსუნი
2. ხუსეინ დურსუნის ძე



ჰაიდარ-ბეგ ბიბინეიშვილი, მისი მეუღლე
ასიე თემურის ასული ხიმშიაშვილი
და შვილები: ოსმანი და ლალანდაში

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## VIII. გეჩი

1. ქაზიმ ბათალის ძე (სოუქ-სუ, ცივწყარო)
2. ხაკი ზორბეგის ძე (ცივწყარო)

## IX. გვარელაშვილები (ნაკაშიძეები, ს. უჩხითი)

1. ისა
2. შაქირ
3. მემედ ოსმანის ძე, 18 წლის
4. დურსუნ
5. იუსუფ
6. მურთაზ
7. რამიზ
8. შევქეთ
9. ჯემალ
10. ახმედ

## X. ზვანბაიები (მაკრიალი)

1. მუსტაფ ოსმანის ძე
2. მემიშ ოსმანის ძე
3. ყადირ ოსმანის ძე
4. რამიზ ოსმანის ძე
5. ლუფტი ოსმანის ძე
6. ხემიდ ოსმანის ძე

## XI. თავდგირიძეები

1. ისკენდერ ასლანის ძე (ახო)
2. თევფიყ ხასანის ძე, 27 წლის (მახუნცეთი)
3. ხუსეინ ხასანის ძე (მახუნცეთი)
4. ოსმან რეჯების ძე (მახუნცეთი)
5. მედეთ რეჯების ძე (მახუნცეთი)
6. ახმედ რეჯების ძე, 33 წლის (მახუნცეთი)
7. ალი-კადირ რეჯების ძე (მახუნცეთი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

8. ემინ სული-ბეგის ძე (ვარჯანაული, ჭვანის თემი)
9. თუფან სული-ბეგის ძე (ვარჯანაული, ჭვანის თემი)
10. შუქრი ფელულის ძე (კაზბეკოღლი) (დევსკელი)
11. ხუსეინ სელიმის ძე (ქვედა მახუნცეთი)

## XII. ქამიშოღლები* (კატაფხია, ოღლაური)

1. მეზერ-ბეგ
2. ელიმ-ბეგ

## XIII. სალი-ბეგ-ზადე (სარფი)

1. დურსუნ შაინის ძე
2. მემედ ახმედის ძე
3. მემედ მუსტაფის ძე
4. მემედ ოსმანის ძე
5. მემედ ახმედის ძე

## XIV. სელიმ-ოღლი (კახიძე)

ყეიდი-ბეგ (ჩიქუნეთი, ზემო ჩხუტუნეთი)

## XV. სურმანიძეები (ძენწმანი)

1. მუსტაფ ხეირულას ძე
2. ბეხრი ხეირულას ძე
3. ჰაფიზ იუსუფის ძე
4. შერიფ ალის ძე
5. ხუსეინ ალის ძე
6. ახმედ-ოსმანის ძე
7. ხალიდ სულეიმანის ძე
8. ხაჯი-ხუსეინ (ს. ალიქოღლები)

---

* ქართველი (ლაზი) თავადებია, მათი ქართული გვარი კიკნაძე უნდა იყოს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## XV. ფაღავა (ყოროლისთავი)

1. ალი ჯასიმის ძე
2. ქაზიმ ახმედის ძე
3. ხემიდ ახმედის ძე
4. ხუსეინ არიფის ძე
5. შევქეთ არიფის ძე
6. ხასან არიფის ძე
7. მემედ არიფის ძე
8. მიქთათ არიფის ძე

## XVI. შერვაშიძეები – ალოქოღლები

1. შირინი
2. მემედ ასლანის ძე, 45 წლის -
3. ესედი -
4. ნური ასლანის ძე, 33 წლის -
5. ასანი -
6. თუფან ჰაჯი-ასანის ძე, 64 წლის -
7. მახმუდი -
8. ახმედი (1861-1937) -
9. ხასანი -
10. დურსუნი -
11. სულეიმანი -
12. შუქრი თუფანის ძე -
13. ხასან თუფანის ძე -
14. ემინი არსენაული
15. ახმედი -
16. ოსმანი -
17. ახმედ მუსტაფის ძე, 51 წლის (ალიქოღლები)

## თუფან შერვაშიძის საოჯახო სია

თუფან-ბეგ შერვაშიძე, 64 წლის
მეუღლე – ფადიმე ავალიანი
ვაჟები: ზექერია, 27 წლის
ყადირი, 25 წლის
რეშიდი, 21 წლის
ქამილი 19 წლის
ქალიშვილები: სალიე, 38 წლის
ლუთბი, 36 წლის
ზორა, 34 წლის
ესმე, 18 წლის

## XVII. წულუკიძეები (მაჭახლისპირი)

1. ფელულ ხუსეინის ძე
2. რიზა თოფანის ძე
3. იუსუფ ხუსეინის ძე
4. იზეთ ხუსეინის ძე
5. დევრიშ ხუსეინის ძე, თურქეთში გადაიხვეწა
6. რიფეთ ალის ძე
7. ოსმან ალის ძე
8. ფეზლი ოსმანის ძე
9. ჯელილ რიფეთის ძე

## წულუკიძეთა ოჯახები

ფელულ-ბეგი
მეუღლე ზენდიდელი ბეჟანიძის ქალი – სალიე
შვილები: სურიე და შადიე
რიზა
შვილები: ისრაფილი, სკენდერი და ნევზეთი
დააპატიმრეს 1924 წელს, განმეორებით 1937 წელს.
სამივე დახვრიტეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იუსუფ (თურქეთში გადაიხვეწა)
შვილები: ხასანი, მინირე, ფანდი
ხასანის შვილები: ნებაეთი და თახსიმი
(იუსუფ ბეგმა თურქეთში წაიყვანა)
რიფეთი
შვილები: დურსუნი, ჯელილი, ნიგარი,
ნიზაქეთი, ფეთიე, ფადიმე

ჯელილი
ქალიშვილები: საადეთი, სელვეთი, საფეთი, ფევყიე,
ფადიმე, ემინე, ნეთიჯე,
ვაჟი – მიხეილი (დაიბადა 1934 წელს).

## XVIII. ხიმშიაშვილები

### უგანათლებულესი თავადები (ხულო)

1. ისა შერიფის ძე, 55 წლის
2. ჯემალ შერიფის ძე, 50 წლის
3. თემურ შერიფის ძე, 45 წლის
4. მუსტაფ შერიფის ძე, 42 წლის
5. ჯეფერ შერიფის ძე, 40 წლის
6. ხაშიმ შერიფის ძე, 38 წლის
7. ზექერია შერიფის ძე, 46 წლის
8. რასიმ ჯემალის ძე
9. ჯელილ ჯემალის ძე
10. ჯასიმ ჯემალის ძე
11. ასლან მურთაზის ძე, 37 წლის
12. დურსუნი

ეროვნული ბიბლიოთეკა



**ფიქრიე ჯემალის ასული**
**ხიმშიაშვილი**

## ხიმშიაშვილები (შავშეთ-იმერხევი)

სათლელის ხიმშიაშვილთა საოჯახო სიები:

13. ფელულ აბდის ძე, 53 წლის
    ცოლები: ურსული, 20 წლის
    ფითნეთი, 41 წლის
    ქალიშვილი ურმიზი, 20 წლის

ელექტრონული ბიბლიოთეკა

14. რამიზ აბდის ძე, 45 წლის (სათლელი)
მეუღლე – ზექიე, 38 წლის
ვაჟები: ყაია, 16 წლის
ჯევდეთი, 12 წლის
ქალიშვილი – ფერიდე, 20 წლის



**ზის: ნური ხიმშიაშვილი**
**დგას: ჯემალ ხიმშიაშვილი**
**ზის: ისა ხიმშიაშვილი**
**1881 წ.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

15. ნუსრეთ აბდის ძე, 42 წლის (სათლელი)
მეუღლე – სერე, 35 წლის
ვაჟი – აკი, 13 წლის
16. ფერთავ აბდის ძე, 44 წლის, (სათლელი)
ვაჟები: ნეჯიბი, 20 წლის
ალი, 4 წლის
ცოლები: ნაზიმე
იქმეთი
ქალიშვილი – ინაეთი
დედა – ადილე ხეირულას ასული სურმანიძე (ს. ძენწმანი)
17. რიფათ შაქირის ძე, 46 წლის
ცოლი – ფერიალი, 38 წლის
ქალიშვილი –ემინე, 5 წლის

## XIX. ჯაყელები (კვაშტა)

1. დურსუნ ხასანის ძე, მისი ძმის შვილები:
2. სალიხ სულეიმანის ძე, 62 წლის
3. ნური ესედის ძე

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# აზნაურები და მათი ოჯახები

1. **აბაშიძე ხუსეინ-აღა მოლა-მელიქ-ზადე** – ბათუმი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება მემკვიდრეობით.
2. **აბუსერიძე ბექირ** (1877-1937) – მახინჯაური, კინტრიშის უბანი.
3. **ალი-ეფენდი-ზადე სეიდ** –კატაფხია, გონიოს უბანი.
4. **ართმელაძე ოსმან-აღა** – ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
5. **არფა-ემინ-ზადე (ბოლქვაძე) ალი-აღა და რეშიდ-აღა** – კორტოხი, ზემო აჭარის უბანი.
6. **ასანიძე ხუსეინ ოსმანის ძე** – ერგე, გონიოს უბანი.
7. **ასლან-ზადე ხასან (აფხაზი)** – ბათუმი.
8. **ასმანიძე ალი ხასანის ძე** – საბაური, გონიოს უბანი.
9. **აღაჯანოღლი (კაკაბაძე) ყულფან** – მერისი, ქვემო აჭარის უბანი.
10. **ახვლედიანი (კირისილოღლი) ახმედ-აღა, მემედ-აღა** – მახინჯაური, კინტრიშის უბანი.
11. **ბაკურიძე გენჯ-აღა, დაირ-აღა, ხასან-აღა ახმედის ძე, იუსუფ-აღა ემინის ძე, ხუსეინ-აღა ემინის ძე** – აგარა, კინტრიშის უბანი.
12. **ბალაბან-ზადე ხუსეინ-აღა** – ზემო მარადიდი, გონიოს უბანი.
13. **ბასილიძე ოსმან-აღა** – დიდი ჯამე, კინტრიშის უბანი.
14. **ბახტაძე (სელიმ-ბაირახტაროღლი) ასლან, ხასან, ხუსეინ** –ჯოჭო, გონიოს უბანი.
15. **ბაჯელიძე ოსმან შერიფის ძე, ეუბ შერიფის ძე, ახმედ ჯივანის ძე, მეიდან ჯივანის ძე** – ალიქოღლები, ქვემო აჭარის უბანი.

---

* დანომრილია მხოლოდ გვარები. ბათუმის ოლქში აზნაურთა და საპატიო მოქალაქეთა საერთო რაოდენობა 196-ს უდრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. **ბეჟანიძე (უსტემინოღლი) ისმეილ-აღა ალის ძე** – დუზ-ჭვანა, ზემო აჭარის უბანი.
**ბეჟანიძე (ბეჟი-ოღლი) ხუსეინ, ალი, არიფ, ოსმან, ხულუს, ისკენდერ** – სამება; ხუსეინ – ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
17. **ბერიძე ასლან ჯოშხუნის ძე** – დანდალო; კადირ – ძენწმანი, ქვემო აჭარის უბანი; მემედ – მახინჯაური; სულეიმან (ქამაჯოღლი) – ჩაქვი, კინტრიშის უბანი.
**ბერიძე (დემურჩოღლი) ახმედ-ეფენდი ხუსეინის ძე** – ზესოფელი, ქვემო აჭარის უბანი.
**ბერიძე (ოსმან-აღა-ზადე) იუსუფ-ეფენდი** – ხიხაძირი, ზემო აჭარის უბანი.
**ბერიძე ნური-ეფენდი** –ფურტიო, ზემო აჭარის უბანი. მიენიჭა რუსეთის აზნაურის წოდება.
18. **ბექიროღლი ესედ** – 60 წლის. იუსუფ – 45 წლის, სულეიმან – 42 წლის, ახმედ – 32 წლის – კვინტაური, გონიოს უბანი.
19. **ბექტაშოღლი სალი** – ომბოლო, გონიოს უბანი.
20. **ბეშდიოღლი მემედ ხურშუტის ძე** – ჩაქვი, კინტრიშის უბანი.
21. **ბოლქვაძე ალი და რეშიტ არფა-ემინის ძეები** – კორტოხი, ზემო აჭარის უბანი.
**ბოლქვაძე (ყადიოღლი) ქემალ-აღა, შაი-აღა, შერიფ-აღა** – ყადიოღლები, ზემო აჭარის უბანი.
22. **გაბაიძე ქელეშ სეფერ-აღის ძე** – სკვანა, ზემო აჭარის უბანი.
**გაბაიძე (ყარ-აღა-ზადე) დურსუნ და ტაგიბ-აღა** – ხიხაძირი, ზემო აჭარის უბანი.
**გაბაიძე (ყარ-აღა-ზადე) ხასან და იზეთ ხუსეინის ძეები** – ხიხაძირი, ზემო აჭარის უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

23. **გენჯაძე (გენჯალოღლი) ხასან ეფენდი, ალი-ეფენდი ახმედის ძეები** – ქვემო მარადიდი, გონიოს უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
24. **გვარიშვილი (გვარელოღლი) მემედ გენჯალის ძე** ალი, ოსმან – ხალა, კინტრიშის უბანი.
25. **გვიანიძე (ბექიროღლი) ოსმან-აღა** – ქვემო ხერთვისი.
26. **გირითლიოღლი (კონცელიძე) ხუსეინ** – აჭყვის თავი, კინტრიშის უბანი.
27. **გოგიტიძე არიფ, მემია და ახმედ ლომანისძეები; მემედ, ალი და იუნუს ხაჯი-მურადისძეები; იუსუფ მუხამედისძე, სერდალ ალისძე** – ალამბარი; **ჯალილი და სეფერი** (ბეროღლები) – კვირიკე; **ქიბარ, იუსუფ, ხასან, სულეიმან და ხუსეინ ჩეჩელოღლიშვილები** – ცხემნა კინტრიშის უბანი.
28. **გოგოლიშვილი ბილალ-აღა** – ხუცუბანი, კინტრიშის უბანი.
29. **გოგორ-ოღლი (გოგოლიშვილი) სეიდ, ქუჩუკ სულეიმანის ძე; დურსუნ, მემედ ახმედისძეები; ახმედ, ბაშაღა ყულფანის ძეები; ხულუს ახმედის ძე** – მერისი, ქვემო აჭარის უბანი.
30. **გოლიაძე ასლან ემინის ძე** – კეჭიეთი, კინტრიშის უბანი.
31. **გორგილაძე (ქუჩუკოღლი) ალი-აღა** – ჩაქვისთავი, კინტრიშის უბანი.
32. **გოსხანოღლი (იგივე კვირკველია) ჯივან-აღა** – ქაქუთი, კინტრიშის უბანი.მიენიჭა რუსეთის აზნაურის წოდება პირადად.
33. **გოხიძე რეჯებ ხასანის ძე** – სამება, კინტრიშის უბანი.
34. **გუგუნავა ახმედ-აღა, მემედ-ეფენდი, ხუსეინ-აღა** – ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
35. **დადიანი ალი-აღა, მოლა ხასან-ეფენდი, სულეიმან ეფენდი** – ზემო ხინო,
**შერიფ-ეფენდი** – ქობულეთი კინტრიშის უბანი.
36. **დავითაძე დურსუნ და ახმედ შირინ-აღის ძეები** – ტბეთი, ზემო აჭარის უბანი.
37. **დედე-აღა-ზადე ხასან-აღა** – ბორჩხა, გონიოს უბანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

38. **დევაძე უზეირ-აღა** – აგარა, ქვემო აჭარის უბანი.
39. **დევიძე იუსუფ-ეფენდი ოსმანის ძე** – ხიხაძირი, ზემო აჭარის უბანი.
40. **დელიკუტოღლი (მგელაძე) ახმედ-ეფენდი ხუსეინის ძე** – მილისი, ქვემო აჭარის უბანი.
41. **დემურჩოღლი (ბერიძე) ალი-ეფენდი** – ურეხი, კინტრიშის უბანი.
42. **დიასამიძე (მოლა-ხუსეინოღლი) მემედ-ეფენდი, ოსმან-ეფენდი, ხაჯი რეშიტ-ეფენდი, ხუსეინ-ეფენდი** – მირვეთი, გონიოს უბანი;

    **დიასამიძე (მოლა ხუსეინ-ოღლი), რეშიტ-ეფენდი** – მირვეთი, გონიოს უბანი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება.
43. **დიდმანიძე (დურსუნ-აღა-ზადე) ილიას-აღა, სეიდ-აღა, ყედემ-აღა, ხასან-აღა** – ქვემო მარადიდი, გონიოს უბანი.
44. **დილბერ-აღა-ზადე მუსტაფ-აღა, ოსმან-ეფენდი** – ქვემო მარადიდი, გონიოს უბანი.
45. **დუმბაძე ალი, კადირ, სულეიმან** – მეძიბნა, ქვემო აჭარის უბანი;

    **სულეიმან** – ხუცუბანი, კინტრიშის უბანი.
46. **დურაღა-ოღლი ხაჯი-ხუსეინ** – გულები, ქვემო აჭარის უბანი. მიენიჭა რუსეთის აზნაურის წოდება.
47. **დურსუნ-აღა-ზადე (დიდმანიძე) ყედემ-აღა, საიდ-აღა და ილიას აღა ხასანის ძეები** – ქვემო მარადიდი, გონიოს უბანი.
48. **დურსუნ-ზადე (თედორაძე) მურთაზ-ეფენდი და ისაკ ხუსეინის ძეები** – ჯოჭო, გონიოს უბანი.
49. **დურსუნ-ოღლი იუსუფ** – ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
50. **ელი-ზადე (ჯაფარიძე) ისაკ ხუსეინის ძე** – ხელვაჩაური, გონიოს უბანი.
51. **ემირიძე (თავქარაილოღლი) ოსმან-აღა** – ჩაქვი, კინტრიშის უბანი.
52. **ემრულაოღლი ახმედ** – ტბეთი, შავშეთ-იმერხევის უბანი.
53. **ეფენდი-ზადე ომერ** – ქედა, ქვემო აჭარის უბანი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

54. **ეფენდ-ოღლი ყარამემიშ** – ჯოჭო, გონიოს უბანი.
55. **ვარშალომიძე ხასან-აღა იბრაიმის ძე, ხუსეინ ფეიზის ძე. ხუსეინ-აღა** – ხელვაჩაური, გონიოს უბანი.
56. **ვარშანიძე ალი (შირინალი). მამუდ-ეფენდი, მახმუდ ეფენდი, ისმაილ-ეფენდი, სალიხ-ეფენდი და იბრაიმ-ეფენდი** – ზუნდაგა, ქვემო აჭარის უბანი.
57. **ვაშანიძე ხუსეინ, ომერ და ხურშუტ** – ურეხი, კინტრიშის უბანი.
58. **ველიოღლი (დავითაძე) ლომან, ყასუმ, გულა (ძმები)** – შუახევი, ზემო აჭარის უბანი;
**იბრაიმ** – დევსკელი, გონიოს უბანი.
59. **ზაქარაძე სეფერ-ეფენდი ხუსეინის ძე – ხუსეინ, სულეიმან და მემედ ბექირის ძეები** – თხილნარი, გონიოს უბანი.
60. **ზაქარიაძე თემელ ემინის ძე, ყედიმ-აღა ემინის ძე** – კიბე, ქვემო აჭარის უბანი.
61. **ზოიძე ალი** – დიდი ჯამე, კინტრიშის უბანი.
62. **თავდგირიძე ზაბით-აღა ახმედის ძე** – ლომანაური, ზემო აჭარის უბანი.
63. **თათაროღლი სული-აღა** – კატაფხია, გონიოს უბანი.
64. **თალბანდოღლი (ლაბაძე) რეშიტ-აღა, მემიშ-აღა, დედიაღ-ისძეები და ახმედ სირი-ეფენდი მემედის ძე** – ოხორდია, გონიოს უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
65. **თამაზაშვილი (თამაზოღლი) ხურშუტ-აღა (1870-1937)** – სამება; თემურ-აღა – ტყემაკარავი, კინტრიშის უბანი.
66. **თემელ-ზადე გენჯი, სულეიმან და იუსუფ** – ჯოჭო, გონიოს უბნი.
67. **თიკანაძე ხუსეინ სოფი-ოღლი** – საბაური, გონიოს უბანი.
68. **თონიალ-ოღლი მემედ** – ებრიკა, გონიოს უბანი.
69. **თოფალ-ოღლი იუსუფ და ხასან** – ჯოჭო, გონიოს უბანი;
70. **თურმანიძე ურფან-აღა ოსმანის ძე** – მერისი, ქვემო აჭარის უბანი.
71. **თხილაიშვილი (თხილოღლი) ხასან-აღა** – ჭახათი, კინტრიშის უბანი.

72. **იამაკ-ოღლი აბას და მემედ ალისძეები** – ბათუმი.
73. **იზეთ-ოღლი ხასან** – ტბეთი, შავშეთ-იმერხევის უბანი.
74. **იმამ-ზადე მემედ-აღა** – ძანსული, ართვინის უბანი.
75. **ინაიშვილი იუსუფ და სულეიმან შერიფის ძეები, ხასან ხაჯის ძე** – ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
76. **ირემაძე ხასან-აღა ისმაილის ძე** – ღორჯომი, ზემო აჭარის უბანი.
77. **ისმაილ-ზადე მემედ-აღა** – ძანსული, მურღულის ხეობა, ართვინის უბანი;
78. **იუსუფ-ოღლი ხუსეინ** – ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
79. **კაიკაციშვილი ისმაილ-აღა, მურად-ეფენდი, ოსმან-აღა** – სამება, კინტრიშის უბანი.
80. **კაკაც-ოღლი (კაიკაციშვილი) გულ-აღა, იგივე ახმედ-აღა** – ჩურუქ-სუ;
**სულეიმან** – სამება, კინტრიშის უბანი.
81. **კაკალ-ოღლი (კაკალაძე?) სულეიმან ხუსეინის ძე** – ბობოყვათი, კინტრიშის უბანი.
82. **კალფოღლი აბდულ-აღა** – ნეძია, გონიოს უბანი.
83. **კამბარ-ოღლი ხუსეინ** – ბათუმი.
84. **კახიძე (მისიროღლი) მემედ-აღა**, (ადაგული, ბორჩხა, გონიოსუბანი).
85. **კეკელიძე (ხაზინადაროღლი) ხასან ალის ძე** – ნიგაზეული, ზემო აჭარის უბანი.
86. **კიბურიძე ოსმან-აღა** – ეფრატი, ხერთვისი, ქვემო აჭარის უბანი. მიენიჭა რუსეთის აზნაურის პირადი წოდება.
87. **კიკნაძე (კიკინ-ზადე) მუსტაფ-ეფენდი ახმედის ძე** – ართვინი.
88. **კობლაძე ალი-აღა** – ზვარე, ქვემო აჭარის უბანი.
89. **კომახიძე ახმედ აზიზის ძე** – ხალა; ესედ-აღა ჩურუქ-სუ; **მურად-აღა, რამიზ-აღა, იუსუფ-აღა, ხუსეინ-აღა** – აჭყვისთავი, კინტრიშის უბანი.
90. **კონცელიძე ალი** – ორთაბათუმი, კინტრიშის უბანი **ახმედ, იუსუფ, სულეიმან, შერიფ ალის ძე, თემელ-აღა** – ჩაქვისთავი, კინტრიშის უბანი); (სირითლიოღლი) **იუსუფ-აღა** – ქ. ბათუმი. მიენიჭა რუსეთი საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

91. **კოჩალოღლი (აბულაძე) მახმუდ სულეიმანის ძე** – ორცვა, ქვემო აჭარის უბანი.
92. **ლორთქიფანიძე (შამბაშ-ოღლი) მემედ-აღა** – ხალა, კინტრიშის უბანი.
93. **მანელიშვილი (მანელოღლი) ასლან და ხუსეინ ხაჯი-ასლანისძეები** (ძმები) – ბობოყვათი, კინტრიშის უბანი.
94. **მარშანია ხუსეინ-ეფენდი მერჯანის ძე** – ზუნდაგა, ქვემო აჭარის უბანი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
95. **მახარაძე სელიმ-აღა** – ტყემაკარავი, კინტრიშის უბანი.
96. **მახმუდ-აღა-ზადე ახმედ-აღის** მემკვიდრეები: **ილიასი, იუსუფი** და **სულეიმანი** და მისი ძმები: **შაქირი და ომერი** – ბათუმი.
97. **მეგრელიძე ალი-აღა** – ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
**მეგრელიძე მემედ-აღა** – ქაქუთი, კინტრიშის უბანი.
98. **მელექ-ოღლი ომერ-ეფენდი, ახმედ-აღა და ალი-აღა** – ოხორდია, გონიოს უბანი.
99. **მელიქიშვილი (მელექოღლი) ახმედ-ეფენდი ხუსეინის ძე** და **დურსუნ-აღა ალის ძე** – ზედუბანი, გონიოს უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
**მელიქოღლი ხუსეინ-აღა ალის ძე** – საღორეთი, ქვემო აჭარის უბანი.
100. **მემედ-ოღლი ახმედ დედი-უზუნის ძე** – ჩაქვისთავი;
**მურად** – ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
101. **მესხიძე იუსუფ დურსუნის ძე** – ხუცუბანი. კინტრიშის უბანი;
102. **მისირლი-ოღლი მემედ.** ადაგული, გონიოს უბანი;
**ქიბარ-აღა** – ჩიქუნეთი, ქვემო აჭარის უბანი.
103. **მიქელაძე აბდულ-ეფენდი, სულეიმან-აღა და შამილ-აღა.** ძენწმანი, ქვემო აჭარის უბანი.
**იუსუფ-და და ხასან-აღა** – ჯოჭო, გონიოს უბანი.
**შერიფ-აღა ემინის ძე** – ნენია, ზემო აჭარის უბანი.
**მიქელაძე ხუშუტ-აღა სულიას ძე** – ხიხაძირი, ზემო აჭარის უბანი.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

104. 1**მოლა-იბრაიმ-ოღლი მოლა-მუსტაფა** – ტბეთი, შავშეთ-იმერხევის უბანი.
105. **მოლლოღლი ახმედ ოსმანის ძე** – ზედა მახუნცეთი, ქვემო აჭარის უბანი.
106. 1**მოწყობილი ზაბით სელიმის ძე** – ტყემაკარავი, კინტრი-შის უბანი.
107. 1**მჟავანაძე ახმედ-აღა** – სამება, კინტრიშის უბანი. ისმაილ-აღა – ხუცუბანი, კინტრიშის უბანი.
108. **მურადოღლი (ჩიკვაიძე) ოსმან** – ვაიო, ქვემო აჭარის უბა-ნი; ხასან. ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
109. **მუზინ-ოღლი მეხმედ-ეფენდი და მუსტაფა – ეფენდი მემე-დისძეები** – კიბე, ქვემო აჭარის უბანი.
110. **მუფთიშვილი (მუფთიოღლი) ოსმან-აღა** – ყოროლისთავი, კინტრიშის უბანი.
111. **ნაკაიძე ალი-ეფენდი, ახმედ-აღა (?-1937), ხურშუტ-აღა** – ხუცუბანი, კინტრიშის უბანი;

**ნაკაიძე ხასან ზაბითის ძე** – ხუცუბანი, კინტრიშის უბანი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავ-ლობით.

**ნაკაიძე ალი-აღა, ახმედ-აღა, მუსტაფ-აღა, რეჯებ-ეფენდი, ხასანისძეები** – ოღლაური, გონიოს უბანი. მიენიჭათ რუსე-თის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
112. **ნაკაშიძე დურსუნ-ეფენდი, სულეიმან-აღა** – ბათუმი; ხუსე-ინ და ალი –ეფენდი – გიდრავეთი, გონიოს უბანი.
113. **ნინიძე მემედ-აღა** – ხუცუბანი, კინტრიშის უბანი.
114. **ოსმან-ისმაილ-ზადე ყედემ** – სკურჩა, გონიოს უბანი.
115. ო**სმან-ოღლი მემედ, ომერ, იბრაიმ** – ჯოჭო.

**სულეიმან** – ერგე, გონიოს უბანი.
116. **ოქროპირიძე ალი** – ტყემეკარავი, კინტრიშის უბანი.
117. **ჟღენტი ისმაილ-აღა** – მერისი, ქვემო აჭარის უბანი.
118. **რეჯებ-ოღლი ალი-აღა და აბდულ-აღა** – დევსკელი, გონი-ოს უბანი.

**მახმუდ და ხუსეინ ალიმემედის ძეები** – ს. ქობულეთი. კინტრიშის უბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

119. **საათოღლი ახმედ-აღა** – სტეპანოვკა (დედაბერა), კინტრიშის უბანი.
120. **სადიყ-ოღლი არიფ** – დანდალო, ქვემო აჭარის უბანი.
121. **სალეხ-ოღლი მეიდან** – ჭანივრი, ქვემო აჭარის უბანი.
122. **სალოღლი ემინ-აღა, ჯემალ-აღა, ოსმან-აღა, მურად-აღა, ხასან-აღა, ხაჯი (ისმაილის ძეები)** – დევსკელი, გონიოს უბანი.
123. **სანიოღლი ყარა-ბეგ** – ტბეთი, შავშეთ-იმერხევის უბანი.
124. **საფარიძე სულეიმან ოსმანის ძე** – დოლოგანი, ქვემო აჭარის უბანი.
125. **სეიდ-ზადე გენჯი, ალი და ხუსეინ (ძმები)** – ჯოჭო, გონიოს უბანი.
126. **სეიდ-ოღლი სულეიმან** – ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
127. **სელიმ-აღა-ოღლი ყეჰრიმან-აღა** – უჩხითი, ქვემო აჭარის უბანი.
128. **სელიმ ბაირახტაროღლი (დოლიძე), ასლან-აღა, ხუსეინ-აღა და ხასან-აღა** – ჯოჭო, ქვემო აჭარის უბანი.
129. **სვანიძე (ბექიროღლი) სულეიმან-აღა** – ქვემო ხერთვისი.
130. **სორეზოღლი (კაკაბაძე) ისმაილ და ხასან იუსუფის ძეები (კაკალოღლები)** – ორცვა, ქვემო აჭარის უბანი.
131. **სულეიმან-ოღლი დურსუნ, მუსა, ბექირ, მემია** – ჯოჭო, გონიოს უბანი; **ჰაფიზ** – ტბეთი, შავშეთ-იმერხევის უბანი.
132. **სული-ოღლი მუსტაფ-აღა** – დევსკელი, გონიოს უბანი.
133. **სურმანიძე ოსმან ალის ძე, ფელულ, შაქირ** – ძენწმანი, ქვემო აჭარის უბანი.
134. **ტარიელაძე (ტარიელოღლი) ალი და მურად ემინისძეები, ალი ხუსეინისძე** – ერგე; **მემედ-აღა** –ებრიკა, გონიოს უბანი.
135. **ტუკვო, იგივე ხუსეინ, აზიზ-ეფენდი, ხაჯი-ხუსეინ-აღა-ზადეს** შვილი, აფხაზეთიდან გადმოსახლებული – ბათუმი.
136. **უზუნმემედ-ოღლი ახმედ დედიაღის ძე** – ჩაქვისთავი, კინტრიშის უბანი. უარი ეთქვა ყალბი საბუთის წარმოდგენის გამო.
137. **ფალავანდიშვილი (ფელევანდოღლი) იუსუფ-აღა, ხასან-აღა, ხუსეინ-აღა ახმედის ძეები** – ხალა, კინტრიშის უბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფელევანდ-ოღლი მემედ-აღა და ოსმან-აღა** – აჭყვისთავი, კინტრიშის უბანი.

138. **ფაღავა იბრაიმ-აღა მოლა-ემინის ძე, მემი-აღა გენჯალის ძე, ხასან-აღა ისაკის ძე, ხასან-აღა ხაჯი-ბაირახტარის ძე** – ყოროლისთავი, კინტრიშის უბანი.
**ფაღავა (ეფენდოღლი) ახმედ-აღა და სულეიმან-აღა ხუსეინისძეები** – ყოროლისთავი; **ისმაილ** – ორთაბათუმი, კინტრიშის უბანი.
139. **ფირანოღლი დურსუნ და ხუსეინ** – მერისი, ქვემო აჭარის უბანი.
140. **ფუტკარაძე ოსმან-აღა ქესკინის ძე** – ადაგული, გონიოს უბანი.
141. **ქათამაძე ემინ-აღა, რეშიტ-აღა ჩახალის ძეები** – ბარათაული, ზემო აჭარის უბანი.
142. **ქარცივაძე ახმედ-ეფენდი, ემენ-ეფენდი, ნური-ეფენდი ლომანის ძეები** – ოლადაური, ზემო აჭარის უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდებები შთამომავლობით;
**მემედ ოსმანის ძე და ასლან იუსუფის ძე** – ქაქუთი. კინტრიშის უბანი.
143. **ქემალ-ოღლი ხუსეინ** – დიდი ჯამე, კინტრიშის უბანი.
144. **ქესკინ-აღა-ზადე (კიკნაძე) ალი-აღა და ხასან-აღა** – ბორჩხა, გონიოს უბანი.
145. **ქიქავა ჯემალ მემედის ძე** – ორთაბათუმი, კინტრიშის უბანი.
146. **ქოროღლი ხასან** – კიბე, ქვემო აჭარის უბანი.
147. **ქოსა-ეფენდოღლი (ცინცაძე) ახმედ** – კირნათი, ქვემო აჭარის უბანი.
148. **ღოღობერიძე-ქიქავა ისმაილ ილიასის ძე** – ბზუბზუ, ქვემო აჭარის უბანი.
149. **ყადი-ზადე ახმედ-აღა** – ბათუმი;
**ახმედ-აღა და ეუბ-ეფენდი ახმედ-აღისძეები** – ბორჩხა, გონიოს უბანი.
**ყადი-ზადე ოსმან-აღა** – ცხემლანა. ხერთვისი, ქვემო აჭარის უბანი.

150. **ყადი-ოღლი ხასან, რამიზ და სულეიმან ახმედისძეები (ძმები), ქესკინ** – ბობოყვათი, კინტრიშის უბანი.
151. **ყად-ოღლი** – ადაგული, გონიოს უბანი.
152. **ყარა-ბექიროღლი ალი-აღა, დურსუნ, სულეიმან, ახმედ, მუსტაფ, ფეიზი** – ახალშენი, კინტრიშის უბანი.
153. **ყარაოსმანოღლი სალეხ** – ზემო მახუნცეთი, ქვემო აჭარის უბანი.
154. **ყარსი-ოღლი (წულუკიძე) რიზმან-აღა და ასლან-აღა (ძმები)** – ლეღვა (კინტრიშის უბანი).
155. **ყურშუბაძე მემედ, ოსმან-აღა, სულეიმან-აღა** – დიდი ჯამე, კინტრიშის უბანი.
156. **შავაძე ფაიყ-ეფენდი შერიფის ძე** – შავაძეები, ზემო აჭარის უბანი.
157. **შავიოღლი (შავიშვილი, შამილიშვილი) ოსმან** – ხალა, კინტრიშის უბანი.
158. **შაინ-ოღლი ხასან და ხუსეინ** – ხინწკანა, გონიოს უბანი.
159. **შამბაშ-ოღლი (ლორთქიფანიძე) ხუსეინ-აღა** – ერგე, გონიოს უბანი.
160. **შაშიკაშვილი (შაშიკოღლი) რეჯებ-ეფენდი** (ქ. ბათუმი). მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
161. **შაშიკოღლი ხუსეინ-აღა, ხასან-აღა, უზეირ-აღა ოსმანის ძე და მუსა-აღა** – ჭანივრი, ქვემო აჭარის უბანი.
162. **შერვაშიძე ახმედ-აღა, ასან-აღა, დურსუნ-აღა, ალიქოღლები;**

    **ახმედ-ეფენდი და შირინ საბრის ძე, ოსმან მემედის ძე, რეჯებ ახმედის ძე** – მერისი, ქვემო აჭარის უბანი.

    **შერვაშიძე ხემიდ-აღა მემედის ძე** – ვაიო, ქვემო აჭარის უბანი.
163. **შველიძე (ბექიროღლი) ხუსეინ-აღა** – ქვემო ხერთვისი.
164. **შუშანიძე ისმაილ ყედემის ძე** – გვარა, ქვემო აჭარის უბანი.
165. **ჩალოღლი (ჩავლეიშვილი, ჩაიძე) ისმაილ და ახმედ მემიაღის ძეები – ჯემალ-აღა, ხასან-აღა ხალიდის ძე, ახმედ ხუსეინის ძე (1852-1937). ხუსეინ ალის ძე, შაქირ აბდულის ძე, დურსუნ ესედის ძე** – საღორეთი, ქვემო აჭარის უბანი;

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**ოსმან-აღა მელექ-ზადე (მელიქიშვილი)** – ს. თოფალოღლი (ადლია), გონიო უბანი.

166. **ჩაუშოღლი ახმედ-აღა და ოსმან-აღა ძეები** – ურეხი, კინტრიშის უბანი.

**ჩაუშოღლი თუფან-აღა ხასანის ძე** – კატაფხია, ოღლაური, გონიოს უბანი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.

167. **ჩილალოღლი (ბოლქვაძე) მემედ, ხასან და აბდულ სულეიმანის ძეები** – ს. თოფალოღლი (ადლია), გონიოს უბანი.

168. **ჩიჯავაძე (ჩავდაროღლი) შახბაზ ქიბარის ძე** – ქ. ბათუმი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.

169. **ჩოლაქ-ოღლი** – აჭყვისთავი, კინტრიშის უბანი.

170. **ჩუხ-ოღლი მემედ-აღა** – ბათუმი.

171. **ჩხეიძე ასლან-აღა ემინის ძე, სალი-აღა და სულეიმან-აღა ბაშაღის ძე** – აქუცა, ქვემო აჭარის უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.

172. **ცენტერაძე ახმედ-აღა** – ყოროლისთავი, კინტრიშის უბანი.

173. **ცეცხლაძე ოსმან-აღა** – ალამბარი, კინტრიშის უბანი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.

**ცეხლაძე (ცეცხლაძე) ნური-აღა, სელიმ, შაქირ-აღა** – ჭახათი, კინტრიშის უბანი.

174. **ცივაძე იუსუფ და რეჯებ ხასანის ძეები** – კვირიკე, კინტრიშის უბანი.

**ცივაძე იუსუფ და რეჯებ ხასანის ძეები** – კვირიკე; **ხუსეინ-აღა, ახმედ-აღა, მემედ-აღა და ალი-აღა დილბერისძეები** – დაგვა, კინტრიშის უბანი.

175. **ცინცაძე მემედ-აღა** – მახინჯაური, კინტრიშის უბანი.

**ცინცაძე (თორნიოღლი) შაქირ-აღა და ხუსეინ-აღა ლომანის ძეები** – ცხემნა, ქვემო აჭარის უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

176. **წილოსანი ესედ-აღა** – ლეღვა, კინტრიშის უბანი. მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
177. **ჭიჭინაძე რემზი ეუბის ძე, რიზა ალის ძე, ხუსეინ შერიფის ძე** – ქ. ბათუმი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.
178. **ჭყონია ალი-აღა, რამიზ-აღა და ხასან-აღა** – აგარა; მემედ-აღა (1853-1937) – ჩურუქ-სუ;
**ოსმან-აღა, სულეიმან-აღა, შაქირ-აღა** – ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი.
179. **ხაზინადაროღლი (ბერიძე) ახმედ იუსუფის ძე** – ზენდიდი, ქვემო აჭარის უბანი.
180. **ხალვაში ახმედ-აღა, სული-აღა, მუსტაფი და ალი** – ორთაბათუმი;
**იუსუფ-აღა, ისკენდერ-აღა და თევრათ-აღა (ხაჯიოღლები, ძმები)** – ბობოყვათი;
**ხუსეინ-აღა** – ჩაქვი; **ხუსეინ-აღა** (1864-1937) – ხალა, კინტრიშის უბანი;
**ომერ-ეფენდი** – მერისი, ქვემო აჭარის უბანი.
**ხალვაში თევფიყ, იაკობ, იახია, იზეთ, ისმაილ** – ზემო მარადიდი, გონიოს უბანი.
**ხალვაში ლომან არიფის ძე; დურსუნ, ოსმან** – ხალა, კინტრიშის უბანი.
181. **ხალიბ-ოღლი ხალიფაშვილი (ხალვაში) ეუბ-აღა-ალიქოღლები** – ქვემო აჭარის უბანი.
182. **ხარაზი ყემბერ-აღა** – ჩურუქ-სუ, კინტრიშის უბანი. მიენიჭა რუსეთის აზნაურის პირადი წოდება.
183. **ხეიძე (ხაჯიოღლი) მემედ-აღა** – კვირიკე, კინტრიშის უბანი.
184. **ხინკილაძე (სააჩოღლი) მევლუდ-აღა, მემედ-აღა, ოსმან-აღა** – ჩიქუნეთი, ქვემო აჭარის უბანი. მიენიჭათ რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება.
185. **ხოზრევანიძე (ხაზინადარი) შერიფ ოსმანის ძე** – რიყეთი, ზემო აჭარის უბანი.
**ხოზრევანიძე (ხაზინადარი) შერიფ-აღა ტაშტანის ძე** –

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიყეთი, ზემო აჭარის უბანი. მიენიჭა რუსეთის აზნაურის წოდება პირადად.

186. **ჯაიანი ტაშტან-აღა სულიას ძე** – სკვანა, ზემო აჭარის უბანი.

187. **ჯაფარიძე (დოხჩიროღლი) იუნუს, თემერ და ისკენდერ რეშიდ** – ს. ქობულეთი, კინტრიშის უბანი;

**მემედ, არიფ და დურსუნ აბდის ძე** – ხელვაჩაური;

**რეფიკ-ეფენდი, ალი-ეფენდი და ხურშუტ-აღა აბდისძეები** – გონიო;

**ხასან იუსუფის ძე, ახმედ-ყადირის ძე, ხუსეინ სულეიმანის ძე, მემედ და ახმედ ხუსეინის ძე** – ხელვაჩაური, გონიოს უბანი.

188. **ჯაყელი ხუსეინ-აღა** – ხალა, კინტრიშის უბანი.

189. **ჯაში ხუსეინ-აღა და ალი-აღა** – ქობულეთი, კინტრიშის უბანი.

190. **ჯეფეროღლი მემედ მურადის ძე, ხალილ** – ადაგული, გონიოს უბანი.

191. **ჯეფერ-აღა-ზადე მემედ-აღა ახმედის ძე** – ადაგული, გონიოს უბანი.

192. **ჯინალი-აღა-ზადე (მიქელაძე) ისკენდერ-ბეგ** (ქ. ბათუმი). მიენიჭა რუსეთის საპატიო მოქალაქის წოდება შთამომავლობით.

193. **ჯინ-ოღლი შაქირ** – საღორეთი, ქვემო აჭარის უბანი.

194. **ჯიხ-ოღლი (ჯიხაძე) ქორ-ემინ-ზადე** – კირნათი, ქვემო აჭარის უბანი.

195. **ჯიჯავაძე ასლან-აღა. აზაბ-აღა, სულეიმან-აღა (ძმები) – მახინჯაური; სული-ბეგ, ხუსეინ-აღა** – დიდი ჯამე (ჩაისუბანი), კინტრიშის უბანი.

**ჯიჯავაძე ასლან-აღა, აზაბ-აღა, სულეიმან-აღა (ძმები)** – მახინჯაური;

**სული-ბეგ, ხუსეინ-აღა** – დიდი ჯამე (ჩაისუბანი), კინტრიშის უბანი.

196. **ჰაიდარ-ოღლი (დუმბაძე) ახმედ-აღა, მემედ-აღა, სკენდერ-აღა** – ჩურუქ-სუ, კინტრიშის უბანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სია ბათუმის ოლქის ქალაქების, დაბებისა და სოფლებისა, საიდანაც წოდებრივ კომისიაში შევიდა განცხადებები წოდების აღდგენის შესახებ

| № | გეოგრაფიული პუნქტი | ადმინისტრაციული პუნქტი | დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით | გვარი | განაცხადი წოდებაზე |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აგარა | კინტრიში | ხელვაჩაური | ბაკურიძე<br>დევაძე (დევრიშოღლი)<br>ჭყონია | აზნაური<br>აზნაური<br>აზნაური |
| 2 | ადაგული | გონიო | თურქეთი | ფუტკარაძე<br>ბექიროღი (კახიძე)<br>ჯეფერ აღაზადე | აზნაური<br>აზნაური<br>აზნაური |
| 3 | ადლია | გონიო | ხელვაჩაური | არიმბა | თავადი |
| 4 | ალამბარი | კინტრიში | ქობულეთი | ცეცხლაძე | აზნაური |
| 5 | ალიქოღლები (ოქტომბ.) | ქვემო აჭარა | ქედა | ნიჟარაძე | აზნაური |
| 6 | ართვინი | ქალაქი | თურქეთი | შერვაშიძე<br>ათაბაგოვი-ლივანსკი<br>კიკინ-ზადე (კიკნაძე) | თავადი<br>თავადი<br>აზნაური |
| 7 | აქუცა | ქვემო აჭარა | ქედა | ჩხეიძე | აზნაური |
| 8 | | | | | |
| 9 | აჭყვისთავი | კინტრიში | ქობულეთი | გირითლიოღლი (კონცელიძე)<br>კომახიძე<br>ფელევანდ-ოღლი<br>ჩოლაქ-ოღლი(ჩოლობარგია)<br>ხახუჩოღლი (ხახუტაიშვილი) | აზნაური<br>აზნაური<br>აზნაური<br>აზნაური<br>აზნაური |
| 10 | ახალშენი | კინტრიში | ხელვაჩაური | ყარაბექიროღლი | აზნაური |
| 11 | ახო | ქვემო აჭარა | ქედა | თავდგირიძე | თავადი |
| 12 | ბათუმი | ქალაქი | ქ. ბათუმი | აბაშიძე (მელექ-ზადე)<br>შაშიკაშვილი<br>ჯიჯავაძე<br>ჭიჭინაძე | აზნაური<br>აზნაური<br>აზნაური<br>აზნაური |
| 13 | ბარათაული | ზემო აჭარა | შუახევი | ქათამაძე | აზნაური |
| 14 | ბეშაული | ართვინი | თურქეთი | ათაბეგოვი | თავადი |
| 16 | ბორჩხა | გონიო | თურქეთი | ქესკინ-აღაზადე<br>დედიაღაზადე | აზნაური<br>აზნაური |
| 17 | გვარა | ქვემო აჭარა | ხელვაჩაური | შუშანიძე | აზნაური |
| 18 | გიდრავეთი | გონიო | თურქეთი | ნაკაშიძე | აზნაური, საპატ. წოდება |
| 19 | გონიო | გონიო | ხელვაჩაური | ჯაფარიძე | აზნაური, საპატ. წოდება |

| № | გეოგრაფიული პუნქტი | ადმინისტრაციული პუნქტი | დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით | გვარი | განაცხადი წოდებაზე |
|---|---|---|---|---|---|
| 20 | გორგაძეთი | გონიო | ხელვაჩაური | ბაბილა-ზადე | თავადი |
| 21 | გულები | ქვემო აჭარა | ქედა | დურაღაოღლი | აზნაური |
| 22 | დაგვა | კინტრიში | ქობულეთი | დიასამიძე, ჭელიძე<br>ცივაძე,ხინიკაძე | აზნაური<br>აზნაური |
| 23 | დანდალო | ქვემო აჭარა | ქედა | ავალიანი,<br>ბერიძე, სადიყოღლი | თავადი<br>აზნაური |
| 24 | დევსკელი | გონიო | თურქეთი | თავდგირიძე<br>ველიოღლი, რეჯებოღლი | თავადი<br>აზნაური |
| 25 | დიდი ჯამე (ჩაქვის | | | ბასილაძე<br>ზოიძე,ქემალოღლი,<br>ყურშუბაძე | ზნაური<br>აზნაური |
| | ჩაისუბანი) | კინტრიში | ქობულეთი | ჯიჯავაძე | აზნაური |
| 26 | დოლოგანი | ქვემო აჭარა | ქედა | საფარიძე | აზნაური |
| 27 | დუზ-ჭვანა | ზემო აჭარა | შუახევი | ბეჟანიძე | აზნაური |
| 28 | დღვანი | ზემო აჭარა | შუახევი | მემედ-აღა-ზადე | აზნაური |
| 29 | ებრიკა | გონიო | თურქეთი | თონიალ-ოღლი<br>ტარიელ-ოღლი | აზნაური<br>თავადი |
| 30 | ერგე | გონიო | ხელვაჩაური | ასანიძე,ოსმანოღლი,<br>ბიბინეიშვილი<br>ტარიელოღლი<br>ლორთქიფანიძე | აზნაური<br>თავადი<br><br>თავადი,აზნაური |
| 31 | ეფრატი | ქვემო აჭარა | თურქეთი | კიბურიძე | აზნაური |
| 32 | ვაიო | ქვემო აჭარა | ქედა | შერვაშიძე<br>მურადოღლი (ჩიკვაიძე) | აზნაური<br>აზნაური |
| 33 | ვარჯანაული | ზემო აჭარა | შუახევი | თავდგირიძე | თავადი |
| 34 | ველი | შავშეთ-იმერხევი | თურქეთი | ათაბაგოვი | თავადი |
| 35 | ზედუბანი | გონიო | თურქეთი | მელიქიშვილი | აზნაური |
| 36 | ზენდიდი | ქვემო აჭარა | ქედა | ბეჟანიძე<br>ბერიძე | აზნაური,თავადი<br>აზნაური |
| 37 | ზერაბოსელი | კინტრიში | ქობულეთი | ბოლქვაძე | აზნაური |
| 38 | ზესოფელი | ქვემო აჭარა | ქედა | ბერიძე | აზნაური |
| 39 | ზვარე | ქვემო აჭარა | ქედა | კობლაძე | აზნაური |
| 40 | ზუნდაგა | ქვემო აჭარა | ქედა | მარშანია,<br>ვარშანიძე,ვერძაძე | აზნაური |
| 41 | თოფალოღლები, ადლია | | | | |
| | (მეჯინისწყალი) | გონიო | ხელვაჩაური | ჩალოღლი, მელექ-ზადე<br>ბოლქვაძე | აზნაური |
| 42 | თხილნარი | გონიო | ხელვაჩაური | ზაქარაძე | აზნაური |
| 43 | კაკაოღლები, ორცვა | | | | |
| | (არსენაული) | ქვემო აჭარა | ქედა | შერვაშიძე<br>კაკაბაძე | დიდი თავადი<br>აზნაური |
| 44 | კატაფხია | გონიო | თურქეთი | ქამიშოღლი | თავადი |
| 45 | კეჭრითი | კინტრიში | ქობულეთი | სეიდ-ალი-სალი-ხაჯი<br>ისმაილ-ზადე გოლიაძე | აზნაური<br>აზნაური |
| 46 | კვაშტა | ქვემო აჭარა | ქედა | ჯაყელი | აზნაური |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| № | გეოგრაფიული პუნქტი | ადმინისტრაციული პუნქტი | დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით | გვარი | განაცხადი წოდებაზე |
|---|---|---|---|---|---|
| 47 | კვინტაური | გონიო | თურქეთი | ბექიროღლი | აზნაური |
| | | | | ბერიძე | აზნაური |
| 48 | კვირიკე | კინტრიში | ქობულეთი | ცივაძე, გოგიტიძე | აზნაური |
| | | | | ხეიძე, ხინიკაძე | აზნაური |
| 49 | კიბე | ქვემო აჭარა | ხელვაჩაური | ზაქარიაძე | აზნაური |
| 50 | კირნათი | ქვემო აჭარა | ხელვაჩაური | ჯიხაძე, ეფენდოღლი | აზნაური |
| 51 | კორტოხი | ზემო აჭარა | ხულო | ბოლქვაძე | აზნაური |
| 52 | ლეღვა | კინტრიში | ქობულეთი | წილოსანი, წულუკიძე | აზნაური |
| 53 | ლომანაური | ზემო აჭარა | შუახევი | თავდგირიძე | აზნაური |
| | | | | ახმედ-აღაზადე | აზნაური |
| 54 | მაკრიალი | გონიო | თურქეთი | ზვამბაია | თავადი |
| | | | | ჯინალი აღაზადე | აზნაური |
| 55 | მარადიდი (ზემო) | გონიო | თურქეთი | ხალვაში | აზნაური |
| | | | | ბალაბანზადე | აზნაური |
| | | | | დიდმანიძე | აზნაური |
| | მარადიდი (ქვემო) | გონიო | ხელვაჩაური | დიდმანიძე | აზნაური |
| 56 | მაჭახლის პირი | ქვემო აჭარა | ხელვაჩაური | ზაქარიაძე | თავადი |
| | | | | წულუკიძე | აზნაური |
| 57 | მახინჯაური | კინტრიში | ხელვაჩაური | ახვლედიანი, აბუსერიძე | აზნაური |
| | | | | ბერიძე,ცინცაძე, ჯიჯავაძე | აზნაური |
| 58 | მახუნცეთი | ქვემო აჭარა | ქედა | თავდგირიძე | თავადი |
| 59 | მერისი | ქვემო აჭარა | ქედა | ჯიჯავაძე, კაკაბაძე, ჟღენტი | აზნაური |
| | | | | გოგოლიშვილი, ხალვაში | აზნაური |
| 60 | მეძიბნა | ქვემო აჭარა | ქედა | დუმბაძე | აზნაური |
| 61 | მილისი | ქვემო აჭარა | ქედა | დელიკუტოღლი (მგელაძე) | აზნაური, საპატ. წოდება |
| 62 | მირვეთი | გონიო | ხელვაჩაური | დიასამიძე, ჭელიძე | აზნაური, საპა-ტიო მოქალაქე |
| 63 | ნენია | ზემო აჭარა | შუახევი | მიქელაძე | აზნაური |
| 64 | ნეძია | გონიო | ხელვაჩაური | კალფოღლი | აზნაური |
| 65 | ნიგაზეული | ზემო აჭარა | შუახევი | კეკელიძე | აზნაური |
| 66 | ოლადაური | ზემო აჭარა | შუახევი | ქარცივაძე | აზნაური |
| 67 | ომბოლო | გონიო | ხელვაჩაური | ბექტაშოღლი | აზნაური |
| | | | | კონცელიძე | აზნაური |
| 68 | ორთაბათუმი | კინტრიში | ხელვაჩაური | ფაღავა | აზნაური |
| | | | | ქიქავა | აზნაური |
| | | | | ხალვაში | აზნაური |
| 69 | ორთა-ხოხნა | ქვემო აჭარა | ქედა | ხახუჩოღლი (შერვაშიძე) | აზნაური |
| 70 | ორცვა | ქვემო აჭარა | ქედა | კოჩალოღლი (აბულაძე) | აზნაური |
| 71 | ოღლაური | გონიო | თურქეთი | ნაკაიძე | აზნაური |
| 72 | ოხორდია | გონიო | თურქეთი | თალბანდოღლი (ლაბაძე) | აზნაური |
| 73 | რიყეთი | ზემო აჭარა | ხულო | ხოზრევანიძე | აზნაური |
| 74 | საბაური | გონიო | თურქეთი | ასმანიძე, თიკანაძე | აზნაური |

| № | გეოგრაფიული პუნქტი | ადმინისტრაციული პუნქტი | დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით | გვარი | განაცხადი წოდებაზე |
|---|---|---|---|---|---|
| 75 | სათლელი | შავშეთ-იმერხევი | თურქეთი | ხიმშიაშვილი<br>კაიკაციშვილი,ბეჟანიძე | დიდი თავადი |
| 76 | სამება | კინტრიში | ქობულეთი | თამაზაშვილი, გოხიძე | აზნაური |
| | | | | მჟავანაძე, კაიკაციშვილი | |
| 77 | სარფი | გონიო | ხელვაჩაური | სალი-ბეგ-ზადე | აზნაური |
| | | | | | თავადი |
| 78 | საღორეთი | ქვემო აჭარა | ქედა | მელიქიშვილი,ჩალოღლი | აზნაური |
| | | | | ჩაიძე,შერვაშიძე,აბულაძე | |
| 79 | სინკოტი | ართვინი | თურქეთი | ათაბეგოვი | თავადი |
| 80 | სკვანა | ზემო აჭარა | ხულო | გაბაიძე, ჯაიანი | აზნაური |
| 81 | სკურუჩია | გონიო | თურქეთი | ოსმან-ისმაილ-ზადე | აზნაური |
| 82 | სოუქ-უ (ციველწყარო) | კინტრიში | ბათუმი | გეჩი | თავადი |
| 83 | სტეპანოვკა (დედაბერა) | კინტრიში | ბათუმი | საათოღლი | აზნაური |
| 84 | სხლობანი | შავშეთ-იმერხევი | თურქეთი | ათაბეგოვი | თავადი |
| | | | | | აზნაური |
| 85 | ტბეთი | ზემო აჭარა | შუახევი | დავითაძე | აზნაური |
| 86 | ტბეთი | შავშეთ-იმერხევი | თურქეთი | ათაბეგოვი, სანიოღლი | თავადი |
| | | | | ბალაძე, ემრულოღლი | აზნაური |
| 87 | ტყემაკარავი | კინტრიში | ქობულეთი | მახარაძე, თამაზაშვილი | აზნაური |
| | | | | მოწყობილი, ოქროპირიძე | |
| 88 | ურეხი | კინტრიში | ხელვაჩაური | დემურჩოღლი,ვაშანიძე | აზნაური |
| | | | | ჩაუშოღლი, დემირჩოღლი | |
| 89 | უჩხითი | ქვემო აჭარა | ქედა | გვარელოღლი<br>(ნაკაშიძე) | თავადი |
| | | | | სელიმ-აღა-ოღლი | აზნაური |
| 90 | ფურტიო | ზემო აჭარა | შუახევი | ბერიძე | აზნაური |
| | | | | ოქროპირიძე | აზნაური |
| 91 | ქაქუთი | კინტრიში | ქობულეთი | გოსხანოღლი | აზნაური |
| | | | | მეგრელიძე, ქარცივაძე | აზნაური |
| 92 | ქედა | ქვემო აჭარა | ქედა | შერვაშიძე | თავადი |
| | | | | ეფენდი-ზადე | აზნური |
| 93 | ქობულეთი | კინტრიში | ქობულეთი | ართმელაძე, დადიანი, ჯაში | აზნაური |
| | | | | ინაიშვილი, ჭყონია | |
| | | | | ბეჟანიძე, ჯაფარიძე | აზნაური |
| | | | | დურსუნოღლი,მურადოღლი | |
| | | | | გუგუნავა, მემედოღლი | აზნაური |
| 94 | ღორჯომი | ზემო აჭარა | ხულო | ირემაძე | აზნაური |
| 95 | ყადიოღლები | ზემო აჭარა | ხულო | ბოლქვაძე | აზნაური |
| | | | | ქიქავა | აზნაური |
| 96 | ყოროლისთავი | კინტრიში | ხელვაჩაური | ცენტერაძე | აზნაური |
| | | | | ფალავა | თავადი |
| | | | | მუფთიშვილი | აზნაური |

| № | გეოგრაფიული პუნქტი | ადმინისტრაციული პუნქტი | დღევანდელი ადმინისტრაციული დაყოფით | გვარი | განაცხადი წოდებაზე |
|---|---|---|---|---|---|
| 97 | შავაძეები | ზემო აჭარა | ხულო | შავაძე | აზნაური, საპა- |
| 98 | შუახევი | ზემო აჭარა | შუახევი | ველიოღლი (დავითაძე) | აზნაური |
| 99 | ჩაქვი | კინტრიში | ქობულეთი | ბეჟანიძე, | თავადი |
| | | | | ხალვაში, ბერიძე, ემირიძე | აზნაური |
| | | | | გორგილაძე | აზნაური |
| 100 | ჩაქვისთავი | კინტრიში | ქობულეთი | კონცელიძე | აზნაური |
| | | | | მემედოღლი | აზნაური |
| 101 | ჩიქუნეთი | ქვემო აჭარა | ხელვაჩაური | საათჯიოღლი | აზნაური |
| | | | | (ხინკილაძე) ბასილიძე | |
| | | | | კახიძე | |
| 102 | ჩურუქ-სუ (ქობულეთი) | კინტრიში | ქობულეთი | ხარაზი, კაიკაციშვილი | აზნაური |
| | | | | ჭყონია, დუმბაძე, კომახიძე | |
| 103 | ცხემვანა | კინტრიში | ქობულეთი | ყადიზადე, გოგიტიძე | აზნაური |
| 104 | ცხემნა | ქვემო აჭარა | ქედა | ცინცაძე | აზნაური |
| 105 | ძანსული | ართვინი | თურქეთი | ისმაილ-ზადე | აზნაური |
| 106 | ძენწმანი | ქვემო აჭარა | ქედა | სურმანიძე | თავადი |
| | | | | ბერიძე, მიქელაძე | აზნაური |
| 107 | ჭანივრი | ქვემო აჭარა | ხელვაჩაური | სალეხოღლი, შაშიკაშვილი | |
| 108 | ჭახათი | კინტრიში | ქობულეთი | თხილაიშვილი, ცეცხლაძე | აზნაური |
| 109 | ხალა | კინტრიში | ქობულეთი | ფალავანდიშვილი, გვარი-შვილი, ლორთქიფანიძე | აზნაური |
| | | | | ხალვაში, შავიშვილი | აზნაური |
| | | | | ჯაყელი, შამილიშვილი | |
| 110 | ხელვაჩაური | გონიო | ხელვაჩაური | ჯაფარიძე, ვარშალომიძე | აზნაური |
| 111 | ხერთვისი (ქვემო) | ქვემო აჭარა | ხელვაჩაური | სვანიძე, შველიძე | აზნაური |
| | | | | გვიანიძე, ბერიძე | აზნაური |
| 112 | ხინწკინა | გონიო | თურქეთი | შაინოღლი | აზნაური |
| 113 | ხინო | კინტრიში | ქობულეთი | დადიანი | აზნაური |
| 114 | ხიხაძირი | ზემო აჭარა | ხულო | გაბაიძე, დევიძე | აზნაური |
| | | | | მიქელაძე | აზნაური |
| 115 | ხულო | ზემო აჭარა | ხულო | ხიმშიაშვილები | დიდი თავადი |
| | | | | გოგოლიშვილი | აზნაური |
| 116 | ხუცუბანი | კინტრიში | ქობულეთი | დუმბაძე, მჟავანაძე | |
| | | | | მესხიძე | აზნაური |
| | | | | ნაკაიძე, ნინიძე | აზნაური |
| | | | | თოფალოღლი, თედორაძე | აზნაური |
| 117 | ჯოჭო | გონიო | ხელვაჩაური | მიქელაძე, დოლიძე | აზნაური |
| | | | | ეფენდოღლი, ოსმანოღლი | |
| | | | | ბახტაძე | აზნაური |

ელექტრონული ბიბლიოთეკა

* * *

აჭარის სახელმწიფო მუზეუმსა და სახელმწიფო არქივში მოძიებული დოკუმენტების მონაცემების გაერთიანებით გაირკვა, რომ ბათუმის ოლქის წოდებრივმა კომისიამ სულ განიხილა 399 განცხადება, რომელმაც მოიცვა ბათუმის ოლქის 117 ქალაქი, დაბა და სოფელი, მათ შორის:

ქვემო აჭარის უბნის 32 სოფელი
კინტრიშის უბნის 29 სოფელი
გონიოს უბნის 28 სოფელი
ზემო აჭარის უბნის 19 სოფელი
შავშეთ-იმერხევის უბნის 4 სოფელი
ართვინის უბნის 3 სოფელი
ქალაქი ბათუმი 1
ქალაქი ართვინი 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავადაზნაურთა ბედი საბჭოთა პერიოდში (რეპრესიები)

1878 წელს ბერლინში დადებული ზავის შედეგად აჭარა, შავშეთ-იმერხევი, ლივანა და ლაზეთი გათავისუფლდა ოსმალთა საუკუნოვანი ბატონობისგან. თუმცა ეს თავისუფლება ეფემერული აღმოჩნდა. ერთი იმპერია მეორემ შეცვალა. ხალხმა ვერ მოიპოვა ეროვნული თვითმყოფადობა, პირიქით, ახლა უფრო ძალუმად გაჩაღდა ბრძოლა ყოველივე ეროვნულის, ქართული ენის, ადათ-წესების, ტრადიციების წინააღმდეგ.

ცარიზმის კოლონიურ რეჟიმს არასოდეს შერიგებია ქართველი ხალხი. განსაკუთრებულად აქტიურობდა თავადაზნაურობა, რომელმაც ანტიცარისტული დაჯგუფებები შექმნა, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

ოსმალეთში ქართული ორიენტაციის ჯგუფების შექმნას დიდად შეუწყვეს ხელი მაღალ თანამდებობებზე მყოფმა ქრთველმა თავადებმა: მარადიდელმა ჰასან ფეჰმი-ფაშამ, ლივანელმა რიზა-ფაშა ათაბაგმა, ქობულეთელმა ძმებმა მაჰმუდ-ფაშა, ბაჰრი-ფაშა და აჰმედ-ფაშა თავდგირიძეებმა, ქვემო აჭარელმა სულეიმან-ფაშამ და მისმა შვილმა ავნი-ბეგ ლორთქიფანიძეებმა*, აგრეთვე იუსუფ-ბეგ ლორთქიფანიძემ (**მალხაზ სიორიძე**, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი. ბათუმი. 1992. გვ. 30).

ჟენევაში შექმნილმა დამოუკიდებელმა კომიტეტმა (დამკომი) თავისი საქმიანობა განაგრძო ოსმალეთში; **ლეო კერესელიძემ, გიორგი მაჩაბელმა, პეტრე სურგულაძემ, მიხაკო**

---

* ავნი-ბეგ ლორთქიფანიძე (შამბაშოღლი) წარმოშობით სოფელ ხალადანაა (ქობულეთი).

**წერეთელმა** და სხვებმა ქართული ლეგიონის საქმიანობაში ჩააბეს ასეულობით ქართველი პატრიოტი, რომელთა შორის იყვნენ: ისა-ბეგ თავდგირიძე, ფეიზულა-ბეგ სურმანიძე (ლეგიონის ოფიცერი, რომელმაც თავის მხრივ ნათესავ-ახლობელთაგან 200 კაცი შეაგროვა), ბორჩხელი მემედ-აღა თონიალ ოღლი, შუქრი ხალვაში, მაჭახლელი იუსუფ-ბეგ წულუკიძე, მისი ნათესავები: რიფათ-ბეგი, რიზა-ბეგი, მემედ-ბეგი, იზეთ-ბეგი, ქვემო აჭარელი ისა-ბეგ ნაკაშიძე-გვარელოღლი და სხვა (იქვე, გვ. 71).

ლეგიონის აქტიური წევრი იყო მაჭახლისპირელი ოსმან-ბეგ წულუკიძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა საქართველოში ლეგიონერთა ახლობლების უშიშროების დაცვა. დამკომთან მეკავშირის როლს ასრულებდა სულეიმან ირემაძე (მიხეილ სვანიძე, ქართული ლეგიონი თურქეთში. გაზ. „ხიდი," № 5, 9 ოქტომბერი, 1992 წ.).

1918 წლის 26 მაისს გამოცხადებულმა დამოუკიდებლობამ, რასაც დიდი ეროვნული ზეიმი და სიხარული მოჰყვა, ქართველ ხალხს დიდი იმედები ჩაუსახა, მაგრამ ეს ბედნიერებაც ხანმოკლე აღმოჩნდა. საყურადღებოა, რომ ამ დიდ ეროვნულ-პატრიოტულ აქტში აქტიურად მონაწილეობდა ბათუმის ოლქის თავადაზნაურობა: **რეჯებ ნიჟარაძე, მემედ აბაშიძე, ოსმან მიქელაძე, ბეირ სურმანიძე, ჰაიდარ აბაშიძე, ყადირ შერვაშიძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, იუნუს წულუკიძე, ხასან ლორთქიფანიძე, ისაკ ხალვაში და სულეიმან ტაბახიძე**. ისინი ესწრებოდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის დამფუძნებელ კრებას. ვარაუდობენ, რომ ყველა მათგანმა შესაძლოა ხელი მოაწერა დამოუკიდებლობის აქტს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი დაკარგულია. ცალკე ფურცლის სახით, აგრეთვე გაზეთებშიც შემორჩენილია საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ შედგენილი და ხელმოწერილი აქტი, რომელსაც ზემოთ ჩამოთვლილ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

პირთაგან ხელს აწერენ მხოლოდ ჰაიდარ აბაშიძე და ყადირ შერვაშიძე (იხ. გაზ. Свободная Грузия, 26 мая 1994 г. Стр. 6).

1921 წლის 25 თებერვალს საქართველო ბოლშევიკური აგრესიის ასპარეზად იქცა, ქვეყანამ მეორეჯერ დაკარგა სახელმწიფოებრიობა და სწორედ მაშინ დაიწყო ნამდვილი ჯვაროსნული ომი თავადაზნაურობისა და საპატიო მოქალაქეების წინააღმდეგ.

დამოუკიდებლობის დაკარგვის და ბოლშევიკთაგან ქვეყნის ანექსიის პირველივე დღეებში **ლევან ღოღობერიძე** ამბობდა: კომუნისტურმა პარტიამ შექმნა მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, ხოლო თავადებს, აზნაურებს და სხვა ასეთ სიბინძურეს კი მოაშორებს საქართველოს, საქართველოში მათი რაოდენობა 6 პროცენტს აღწევს და, თუ მშვიდობა გვინდა, ის ერთ პროცენტამდე უნდა დავიყვანოთო.

– ნულამდე – გაისმა დარბაზში **ორჯონიკიძის** ხმა.

– საქართველოს განსაკუთრებული თვისება ის არის, რომ თავადაზნაურთა როდენობით მას პირველი ადგილი უჭირავს გლეხობის შემდეგ და ხუთნახევარ პროცენტს უდრის, – უთქვამს **მამია ორახელაშვილს**. – ამოვიღოთ საგანძური ეკლესიებიდან, მონასტრებიდან.

– და მოკლე ვადაში ამ საბაბით რეაქციული ბურჟუაზიის და რეაქციული საზოგადოების რაც უფრო მეტ რაოდენობას დავხვრეტთ, მით უკეთესიო (ციალა ბრეგაძე. შემომეყარა ყივჩაღი. მწერლის გაზეთი. № 2. 15 თებერვალი – 15 მარტი, 2006 წ. გვ. 13).

ქვეყნის ახალი პატრონები მარტო ნათქვამს არ სჯერდებოდნენ, მათ ქადილის სისრულეში მოყვანა ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს, გამონაკლისი არც ბათუმის ოლქი იყო.

ეს პროცესი გაამწვავა აქაურ თავადაზნაურთა ანტისაბჭოთა საქმიანობამ, რომლის შესახებ საზოგადოებამ ცოტა იცის.

ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობაში პირველ რიგში ჩაებნენ ადგილობრივი პატრიოტები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ საქართველოს გათავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის ბძოლაში (**მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, რეჯებ ნიჟარაძე** და სხვ.). თბილისში საბჭოთა ჯარების შესვლამდე, 1921 წლის 20 თებერვალს ქობულეთში ჩატარებულა ადგილობივ მცხოვრებთა მრავალრიცხოვანი ყრილობა, რომელმაც მოისმინა **ისიდორე რამიშვილის და მემედ აბაშიძის** მოხსენებები საქართველოზე ბოლშევიკური ჯარების თავდასხმის შესახებ. ყრილობამ საქართველოს მთავრობას გაუგზავნა მისალმება და უსურვა მტერზე გამარჯვება, რაშიც აღუთქვა ქობულეთელთა დახმარება. კრებას თავმჯდომარეობდა **ბასილაშვილი** (გაზ. „საქართველო“. № 42, 29 თებერვალი, 1921 წ. გვ. 2).

როგორც ჩანს, საქმე ამით არ დამთავრებულა. **ისიდორე რამიშვილი** ჩასულა ბათუმში, სადაც წინადღით გამოცხადებულა 1894-1896 წლებში დაბადებულთა ქართულ ჯარში გაწვევა. „დედაქალაქის საფრთხეს უკვე გამოეხმაურა სამუსლიმანო აქართველო, ბათომში სდგება აჭარელთა რაზმი, რომელიც ამ დღეებში ფრონტზე გაემგზავრება“-ო – წერდა გაზ. „საქართველო“ (იქვე).

1922 წლის 2 თებერვალს ქობულეთში **იუსუფ ცივაძის** სახლში ანტისაბჭოთა კრების დროს ჩეკისტებთან ორმხრივი სროლის დროს დაიღუპა რამდენიმე პიროვნება, მათ შორის: **არჩილ კირთაძე, შაშიკაშვილი, გიორგი ვაშაყმაძე, სიმონ ჯანელიძე,** ჩეკისტებმა ხელში ჩაიგდეს სახლის მეპატრონე **იუსუფ ცივაძე**, აგრეთვე **ლეო გოგოლაძე, მემედ მახარაძე, მუხამედ წულუკიძე**, დაკითხვის დროს „შემოაკვდათ“ **მემედ მახარაძე**, ხოლო დანარჩენები დახვრიტეს (**ოთარ გოგოლიშვილი**. ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1929 წლებში. ბათუმი. 2000. გვ. 15).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

აჭარაში ამ დაპირიპირებამ განსაკუთრებული სახე მიიღო, გასაგები მიზეზების გამო აქაური აღა-ბეგებითვის ძალზე ადვილი იყო თურქოფილობის ბრალდების მიკერება.

1922 წელს საქართველოს დამკომმა ბათუმში საგანგებოდ მოავლინა **ივანე შარაშიძე**, რომელმაც საიდუმლო კავშირი დაამყარა წარჩინებულ პირებთან, თავადებან ნური და ყადირ აბაშიძეებთან და დედე ბეჟანიძესთან. აჭარაში გაჩაღდა ფარული ანტისაბჭოთა მოქმედება, მაგრამ მალე ივანე შარაშიძე შეიპყრეს. მას უპოვეს წერილი, რომელსაც კონსპირაციული ფსევდონიმებით ხელს აწერდნენ: „წითური,“ „ჩიტი“ და „აჭარელი“. ესენი იყვნენ: **ივანე შარაშიძე, მგალობლიშვილი და დედე-ბეგ ბეჟანიძე**. ივანე 1923 წლის ოქტომბერში დახვრიტეს; გადაწყვიტეს აჭარელი ბეგების დაპატიმრება, რადგანაც მათ მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ. ამ დროისთვის ჩეკას აღრიცხვაზე ჰყავდა 28 თავადი (ბეგი), რომლებიც დაყოფილნი იყვნენ 4 ჯგუფად: ქართული ორიენტაციის, თურქული ორიენტაციის, გაურკვეველი ორიენტაციისა და უორიენტაციო. ესენი იყვნენ: დედე ბეჟანიძე, ზაბით ხიმშიაშვილი, ასლან ხიმშიაშვილი, ოსმან ბეჟანიძე, მემედ აბაშიძე, ზია აბაშიძე, ოსმან შერვაშიძე, ნევზეთ წულუკიძე, მემედ ბიბინეიშვილი, სალი ბიბინეიშვილი, ოსმან მიქელაძე, ხასან აბაშიძე, ნური აბაშიძე, ყადირ აბაშიძე, ჰაიდარ ხიმშიაშვილი, დევრიშ წულუკიძე, დურსუნ შერვაშიძე, რიზა ბიბინეიშვილი, რემზი ბიბინეიშვილი, ბეხრი ბეჟანიძე, ასლან ბეჟანიძე, ფეზლი წულუკიძე, მურთაზ ბეჟანიძე, დავით ბეჟანიძე (**ოთარ გოგოლიშვილი**. იქვე, გვ. 36).

ჩეკა შეეცადა ბეგების იზოლაცია მკაცრად გაესაიდუმლოებინა, მაგრამ მათ თანამგრძნობნი ჩეკაშიც გამოუჩნდათ და განზრახვა გააცნეს. ბევრმა მათგანმა მიმალვა მოასწრო, ზოგიც თურქეთში გაიქცა, ზოგი ბედს მიენდო და ოჯახში დარჩა. ხელისუფლებამ გაავრცელა განცხადება, რომ

ელექტრონული ბიბლიოთეკა

თუ მიმალული პირები თავისით არ გამოცხადდებიან, მათ ოჯახის წევრებს გადასახლება ემუქრებათო. ამ მუქარას შედეგი არ მოჰყოლია. ანტისაბჭოთა მოძრაობა აშკარად და ფარულად კვლავ გაგრძელდა (იქვე, გვ. 37).

აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული ერთი დოკუმენტით ცხადი ხდება, რომ აჭარის ცაკს 1925 წლის 10 სექტემბერს საგანგებოდ უმსჯელია ამ საკითხზე და გამოუტანია დადგენილება, რომლითაც მაზრის აღმასკომებს და მილიციის განყოფილებებს ნებას რთავენ დააბრუნონ გადასახლებული და მიმალული ბეგები. შავ სიაში მყოფ თავადებს: **ჯელილ ჯემალის ძე, ხასან თემურის ძე, დევრიშ ჯემალის ძე ხიმშიაშვილებს** ნება დაერთოთ სხვა მაზრაში თავისუფლად ცხოვრებისა, მაგრამ როგორც მიმალვაში მყოფებს, ჩამოერთვათ უძრავი ქონება. **ზაბით და ასლან ხიმშიაშვილებს**, რომლებიც გადასახლებულნი იყვნენ როსტოვში, მიეცათ ხულოს მაზრაში თავისუფლად ცხოვრების ნება, ხოლო დანარჩენ ბეგებს აჭარაში ცხოვრებაზე უარი ეთქვათ.

**მემედ, ხასან, ზია და იუსუფ აბაშიძეებს**, რომლებიც 1923 წლის 27 ივნისს გადასახლებულნი იყვნენ, ნება დაერთოთ თავიანთ ოჯახებს დაბრუნებოდნენ, ხოლო დანარჩენ აბაშიძეებს აჭარაში დაბრუნებაზე უარი ეთქვათ (ფ. 16. ან 1, არქ. № 4, ფ. 1, 2).

ჩვენ ვერ დავადგინეთ „დანარჩენ ბეგებში“ რომელი აბაშიძე და ხიმშიაშვილი იგულისხმება, ვერც ის გავარკვიეთ, ამ დადგენილებით რა ბედი ეწიათ ბეჟანიძეებს, შერვაშიძეებს, წულუკიძეებს, ბიბინეიშვილებს, მიქელაძეს და სხვ. მაგრამ ფაქტია, რომ კარგი დღე არც მათ დაადგებოდათ. ცაკის ეს დადგენილება სატყუარა აღმოჩნდა, რადგანაც ვინც დაუჯერა და დაბრუნდა, შემდგომ რეპრესიებს ვერც ერთი მათგანი ვერ გადაურჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეპრესირებულთა მიმართ სასამართლო პროცესიც გათამაშდა; 1937 წლის 24-28 სექტემბერს ბათუმის ოფიცერთა სახლი საგანგებოდ მოაწყვეს, ქუჩებში გამოიტანეს ხმამაღლამოლაპარაკე რუპორები, სოფლებიდან ჩამოიყვანეს ათასობით ადამიანი და მოასმენინეს, როგორ „აღიარეს თავისი დანაშაული" ხალხის წრეში გაზრდილმა და დიდი ავტორიტეტის მქონე ადამიანებმა: **ზექერია ლორთქიფანიძემ, ჯემალ ქიქავამ, გიორგი რამიშვილმა, ილიას მეგრელიძემ, გრიგოლ ლაღიძემ, ქაზიმ ბასილაძემ, სულეიმან ბეჟანიძემ, ოსმან რომანაძემ**... მათ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯეს და განაჩენი იმავე დღეს მოიყვანეს სისრულეში.

აუღელვებლად ვერ წაიკითხავ ცნობას იმის შესახებ, რომ რეპრესიები სტუდენტებზეც გავრცელდა და ტრაგიკულადაც დასრულდა. მარტო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტიდან გარიცხეს და გადაასახლეს 4 აჭარელი სტუდენტი, 18-20 წლის ბიჭები: **ზაბით შირინის ძე შერვაშიძე** თითქოსდა ფილტვების ანთებით 1938 წელს გარდაიცვალა, **კიკა მემედის ძე წულუკიძე** ტაშკენტში გადაასახლეს და უგზოუკვლოდ დაიკარგა; **ასლან მემედის ძე გვარიშვილი** ინსტიტუტიდან გარიცხეს, მძიმედ დაავადდა და 1938 წელს გარდაიცვალა. ერთადერთი, ვინც გაუძლო ძალადობას, იყო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი **როსტომ ქიქავა** (1919-1998), რომელიც 1946 წელს გადასახლებიდან დაბრუნდა, ინსტიტუტი დაამთავრა და გარდაცვალებამდე განაგრძო საექიმო საქმიანობა.

ხელისუფლება განსაკუთრებული სისასტიკით დაერია ძველი წარჩინებული გვარის მქონე ოჯახის წევრებს. მამაკაცების დიდი ნაწილი დახვრიტეს, ხოლო დანარჩენს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ამის საილუსტრაციოდ მკითხველს გავაცნობთ მხოლოდ 15 თავადური გვარის იმ წარმომადგენლების სიას, ვინც 1937 წელს, გასამართლებისა და ბრალდების წაყენების გარეშე, ბათუმში დახვრიტეს.

მარტო ამ სიების გაცნობაც საკმარისია იმისთვის, თუ რა დიდი მსხვერპლი გაიღო შედარებით შეძლებულმა ოჯახებმა, რომელთა რჩეული შვილები სიცოცხლეს გამოასალმეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძველ თავადურ გვარს ატარებდნენ. აქ აღარაფერს ვამბობ უძრავ-მოძრავი ქონების კონფისკაციაზე, ოჯახის წევრების შორეულ მხარეებში გადასახლებაზე, მათ შევიწროებასა და ადამიანური უფლებების შელახვაზე.

ამ სიებში შეტანილი არ არიან ის პიროვნებები, რომლებიც ბათუმის გარეთ, გზაზე ან გადასახლების დროს დახოცეს.*

---

* 1937-1938 წლებში მარტო აჭარაში სამშობლოს ღალატის ბრალდებით დააპატიმრეს 11 000 კაცი, მათ შორის 4 000 უდანაშაულო ადამიანი სიკვდილით დასაჯეს (**ო. თურმანიძე**. სისხლის წვიმები აჭარაში. „აჭარა." № 53, 20 მარტი, 2003. გვ. 4, 6).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1937 წელს ბათუმში დახვრეტილ თავადთა სია

## აბაშიძეები

1. გრიგოლ დავითის ძე (ქ. ბათუმი, დაბ. 1897 წ.)
2. ახმედ დურსუნის ძე
3. დურსუნ ალის ძე (ხულოს რ. ს. ქიძინიძეები. დაბ. 1869 წ.)
4. შაბან ქემალის ძე (?)
5. ისმაილ ქამილის ძე (ხულოს რ. დაბ. 1890 წ.)
6. მემედ იბრაიმის ძე (ქ. ბათუმი, დაბ. 1873)
7. მურთაზ ხასანის ძე (ხულოს რ. დაბ. 1888 წ.)

## ავალიანები

8. იუსუფ ალის ძე (ქედის რ. ს. დანდალო. დაბ. 1888 წ.)
9. ისმაილ-ბეგ სეფერის ძე (ქედის რ. ს. დანდალო, დაბ. 1877 წ.)
10. თევფიყ-ბეგ სეფერის ძე (ქედის რ. ს. დანდალო. დაბ. 1877 წ.)

## ბეჟანიძეები

11. იბრაიმ-ბეგ ხასანის ძე (ქედის რ. ს. ზენდიდი. დაბ. 1867 წ.)
12. მურთაზ-ბეგ სეფერის ძე (ქედის რ. ს. ზენდიდი. დაბ. 1879 წ.)
13. სულეიმან ხულუსის ძე (ქ. ბათუმი, დაბ. 1906 წ.)
14. ახმედ-ბეგ მემედის ძე (ქედის რ. ს. ზენდიდი, დაბ. 1875 წ.)
15. ასლან ოსმანის ძე (დაბ. 1899 წ.)
16. სულეიმან ხოსროს ძე (ქობულეთის რ. დაბ. 1908 წ.)

## ბიბინეიშვილები

17. რემზი-ბეგ დურსუნის ძე (ქობულეთის რ. (?) დაბ. 1900 წ.)
18. რიზა-ბეგ დურსუნის ძე (ბათუმის რ. ს. ერგე, დაბ. 1872 წ.)
19. გულიზარ ისკენდერის ასული (ქ. ბათუმი, დაბ. 1917 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ზაქარიაძეები

20. სულეიმან ყედემის ძე (ბათუმის რ. დაბ. 1900 წ.)
21. იუსუფ ალის ძე (ბათუმის რ. ს. აჭარისწყალი, დაბ. 1900 წ.)
22. მუსა ალის ძე (ბათუმის რ. დ. 1905 წ.)
23. ალი ომერის ძე (ბათუმის რ. დაბ. 1877 წ.)

### თავდგირიძეები

24. ზექერია-ბეგ თუფანის ძე (შუახევის რ. ს. ახალდაბა)
25. ხასან-ბეგ თოფანის ძე (ბათუმის რ. ს. მახუნცეთი. დაბ. 1910 წ.)
26. ხემიდ ისკენდერის ძე (ქედის რ. დაბ. 1897 წ.)
27. ახმედ-ბეგ რეჯების ძე (ბათუმის რ. ს. მახუნცეთი, დაბ. 1879 წ.)
28. ოსმან ხუსეინის ძე (ქ. ბათუმი, დაბ. 1889 წ.)

### კახიძეები

29. აბდულ მემედის ძე
30. სულეიმან ქიბარის ძე (ბათუმის რ. დაბ. 1882 წ.)

### ლორთქიფანიძეები

31. ლონგინოზ სილოვანის ძე
32. ოსმან ხუშუტის ძე
33. მერჯან ოსმანის ძე (ქედის რ. ს. ვაიო. დაბ. 1874 წ.)
34. ახმედ აბდულის ძე (ქედის რ. ს. კიბე, მცხ. ქ. ბათუმი, დაბ. 1903 წ.)
35. შევქეთ იბრაიმის ძე (ბათუმის რ. ს. კიბე, მცხ. ქ. ბათუმი, დაბ. 1903 წ.)
36. სელმან ყადირის ძე (ქ. ბათუმი, დაბ. 1899 წ.)
37. მურად რასიყის ძე (ქედის რ. მცხ. ქ. ბათუმში, დაბ. 1891 წ.)
38. ნიკოლოზ პეტრეს ძე (ქ. ბათუმი, 1893 წ.)

39. გიორგი კონსტანტინეს ძე
40. ზექერია დურსუნის ძე (შუახევის რ. ს. მოფრინეთი, დაბ. 1892 წ.)
41. ოსმან დურსუნის ძე (შუახევის რ. ს. მოფრინეთი. დაბ. 1886 წ.)
42. ხასან ისმაილის ძე (ქ. ბათუმი), დ. 1888 წ.

### ნაკაშიძეები

43. ომერ ჰასანის ძე
44. ისაკ სულეიმანის ძე (ქ. ბათუმი, 1915 წ.)
45. დავით მიხეილის ძე (ოზურგეთის რ. ს. შემოქმედი. დაბ. 1905 წ.)
46. ისმაილ ალის ძე (ბათუმის რ. ს. ორთაბათუმი. დაბ. 1891 წ.)
47. ისმაილ ალის ძე (ქ. ბათუმი, დაბ. 1890 წ.)

### ნიჟარაძეები

48. ტარასი გიორგის ძე
49. ანიფოდისტ ასლანის ძე (ქ. ბათუმი, დაბ. 1899 წ.)
50. რეჯებ-ბეგ დედიალის ძე (ქობულეთის რ. ს. ალამბარი. დაბ. 1873 წ.)
51. რასიმ იბრაიმის ძე (ახალციხის რ. ს. ვალე დაბ. 1878 წ.)

## სურმანიძეები

52. ფიქრი-ბეგ მუსტაფის ძე (ქედის რ. ს. ძენწმანი. დაბ. 1887 წ.)
53. ხუსეინ ხასანის ძე (ქედის რ. ს. ძენწმანი. დაბ. 1872 წ.)
54. ხუსნი-ბეგ მუსტაფის ძე (ქედის რ. მცხ. ქ. ბათუმში. დაბ. 1902 წ.)
55. ახმედ თევრათის ძე (ქედის რ. ს. აქუცა. დაბ. 1877 წ.)
56. მოედინ ფერათის ძე (თევრათის ძე) (ქედის რ. ს. აქუცა. დაბ. 1882 წ.)
57. ფეიზულა-ბეგ მუსტაფის ძე (ქედის რ. ს. ძენწმანი. დაბ. 1881 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

58. ხასან მემედის ძე (ხულოს რ. ს. დარჩიძეები. დაბ. 1885 წ.)
59. მემედ მუსტაფის ძე (დაბ. 1890 წ.)

## ფაღავები

60. დურსუნ მემიას ძე (დაბ. 1889 წ. ბათუმში)
61. ოსმან იუსუფის ძე (დაბ. 1895 წ. ბათუმში)

## შერვაშიძეები

62. თემურ-ბეგ მახმუდის ძე (ქედის რ. ს. ალიქოღლები. დაბ. 1877 წ.)
63. ახმედ მიჰდადის ძე (ქედის რ. დაბ. 1861 წ.)
64. ნური-ბეგ ასლანის ძე (ქედის რ. ს. ალიქოღლები. დაბ. 1879 წ.)
65. მემედ-ბეგ ასლანის ძე (ქედის რ. ს. ალიქოღლები. დაბ. 1867 წ.)
66. ხუსეინ-ბეგ დურსუნის ძე (ქედის რ. ს. ალიქოღლები. დაბ. 1877 წ.)
67. სეიდ ხაფიზის ძე (ქედის რ. ს. ვაიო. დაბ. 1869 წ.)
68. სეიდ ხემიდის ძე (ქედის რ. დაბ. 1871 წ.)

## წულუკიძეები

69. ნევზეთ რიზას ძე (ბათუმის რ. ს. მაჭახლისპირი. დაბ. 1899 წ.)
70. ხასან იუსუფის ძე (ბათუმის რ. ს. მაჭახლისპირი. დაბ. 1877 წ.)
71. ისრაფილ რიზას ძე (იქედანვე. დაბ. 1905 წ.)
72. ისკენდერ რიზას ძე (იქედანვე. დაბ. 1905 წ.)
73. რიფათ ალის ძე (იქედანვე. დაბ. 1877 წ.)
74. ოსმან-ბეგ ალის ძე (იქედანვე. დაბ. 1882 წ.)
75. იუსუფ ხუსეინის ძე (ბათუმის რ. ს. გონიო. დაბ. 1876 წ.)
76. მემედ ხუსეინის ძე (ბათუმის რ. ს. მაჭახლისპირი. დაბ. 1880 წ.)
77. ალი სულეიმანის ძე (ხულოს რ. ს. დიდ-აჭარა. დ. 1890 წ.)
78. იუსუფ ხუსეინის ძე
79. სულეიმან ახმედის ძე (ქობულეთის რ. დ. 1908 წ.)

**წერეთელი**

80. მევლუდ სულეიმანის ძე (ქობულეთის რ. დ. 1885 წ.)

**ხიმშიაშვილი**

81. დემურალი სულეიმანის ძე* (შუახევის რ. ს. ნიგაზეული. დაბ. 1882 წ.)

**ჯაყელები**

82. ოსმან სერდალის ძე**
83. სულეიმან დურსუნის ძე (ქედის რ. ს. კვაშტა. დაბ. 1893 წ.)
84. ნური ესედის ძე (ქედის რ. ს. კვაშტა. დ. 1870 წ.)

თავად ხიმშიაშვილთა უკანასკნელ მოჰიკანად შეიძლება ჩაითვალოს **ზაბით-ბეგ ჯემალის ძე ხიმშიაშვილი**, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ 1923 წელს დააპატიმრეს და როსტოვში გადაასახლეს. 1925 წელს იგი ხულოში დაბრუნდა, მაგრამ 1937 წელს კვლავ დააპატიმრეს, 10 წელი მიუსაჯეს, გადაასახლეს და ქ. მარინინსკის მახლობლად სოფელ ვერხნი ჩებულუში მიუჩინეს მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

უკანასკნელი ღია ბარათი ზაბით-ბეგმა დას, **ფიქრიე ხიმშიაშვილს, თახსიმ ხიმშიაშვილის ცოლს,** გამოუგზავნა

* ხიმშიაშვილთა დიდმა ნაწილმა თურქეთში გაქცევით უშველა თავს (მათი ნამრავლი ახლა 500-ს აღწევს), ნაწილი კი ოციანი წლების რეპრესიებს ემსხვერპლა; ამიტომაცაა, რომ 1937 წლისთვის ხელისუფლებას ამ გვარიდან დასახვრეტი თითქმის აღარავინ დარჩა

** 1937 წელს დააპატიმრეს სერდალ ჯაყელიც. ის არ დაბრუნებულა, მაგრამ დაღუპვის ან დახვრეტის ადგილი არაა ცნობილი/



ПОЧТОВАЯ КАРТОЧКА

г. Тифлис

Грузия ул. Михацхая

д. № 4 Фикрия Химшиашвили

Тз. 188

Adresse de l'expéditeur
Адрес отправителя

г. Мариинск с. В. Чебулу п/я
№ 247/10-Г. Химшиашвили
Сабит.



4/VII-41 г.

Привет мой дорогая сестра Фикрия
шлю я свой брацкий привет и
желаю всего хорошего. Лежу в
в больнице уже 2 месяца. Сос-
тояние здоровя ничего, но еще
есть слабость. Я вам пишу чет-
вертое письмо а от вас не получал
ни одного письма получаете ли от
меня письма я не знаю. Если вы
не послали посылку, то и не посы-
лайте потому что не успеет прийти
передайте мужу детям поклон
теперь тепло стало у нас. Ско-
ро выеду от сюда. Сколько пишу
я вам писем, а от вас ни какой да-
же открытки или не умеете писать
по русский. Писать больше нечего
остаюсь жив здоров. 4/VII-41 г.

ст. 162

ზაბით-ბეგ ხიმშიაშვილის ბარათი საპატიმროდან

თბილისში, მიხა ცხაკაიას ქუჩის №4 სახლში. წერილში იგი აღნიშნავს, რომ ორი თვე საავადმყოფოში ვწევარ, სისუსტეს ვგრძნობ, მაგრამ მალე გავეწერები და ამანათი აღარ გამომიგზავნოთო. ბარათი დაწერილია 1941 წლის 4 ივნისს. თბილისში ჩამოაღწია 25 ივნისს. სავარაუდოა, რომ ზაბითბეგ ხიმშიაშვილს ამის შემდეგ დიდხანს არ უცოცხლია და იმავე წელს გარდაიცვალა (ეს ბარათი გადმოგვცა ზაბითბეგ ხიმშიაშვილის შვილიშვილმა, აწ გარდაცვლილმა **თემურ მირიანის ძე უსტიაშვილმა,** რისთვისაც დიდი მადლიერებით მოვიხსენიებთ).

* * *

ბათუმის ოლქში მცხოვრებ თავადაზნაურთა ქონების რეკვიზიცია საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო. ეს პროცესი განსაკუთრებით გამწვავდა ბათუმში, სადაც უცხოელებთან ერთად ადგილობრივ მოქალაქეებსაც გააჩნდათ კერძო სახლმფლობელობა, ბინები, მაღაზიები, სამეურნეო ნაგებობანი. აწ განსვენებულმა დამსახურებულმა ჟურნალისტმა **იოსებ ბექირიშვილმა** მოიძია 20-ანი წლების პრესის მასალები, რომლებიც გამოაქვეყნა თავის წიგნში „წიაღსვლები აჭარის წარსულში“ (ბათუმი. 2003 წ. გვ. 303, 308); აქ მოტანილია მხოლოდ 1930 წლამდე განხორციელებული ძალმომრეობა, მაგრამ აქედანაც ნათლად ჩანს ის დიდი უკანონობა, რაც მაშინდელმა ხელისუფლებამ ადამიანის პირადი ქონების ხელყოფით ჩაიდინა.

ახალი წყობილება,ბუნებრივია,ებრძოდა უკანონოდ,ავანტიურითა და მაქინაციებით, სიყალბითა და მოსყიდვით შეძენილი ქონების მეპატრონეებს და ამაში საკამათო არაფერია, მაგრამ, როცა ის ამორჩევით წარჩინებულ გვარებს, შეძლე-

ბულ ოჯახებს მისდგა და მემკვიდრეობით გადმოცემული თუ პატიოსანი შრომით შეძენილი ქონების ჩამორთმევა დაიწყო. ეს ნამდვილად დიდი უსამართლობა იყო.

1922 წლის დასაწყისში ხელისუფლებამ საკუთარი სახლები ჩამოართვა ჯერ სულეიმან დიასამიძის ოჯახს, ხოლო შემდეგ ორთაბათუმელ ფაღავებს. იმავე წელს ხიმშიაშვილთა დიდი ოჯახის წევრების: ზაბით, ჯემალ, ასლან, ჯეფერ და შევქეთ ხიმშიაშვილების ბინების კონფისკაცია გაფორმდა. ქონების ჩამორთმევაზე აჭარის სახკომსაბჭომ 1922 წელს საგანგებო დეკრეტი (№4) მიიღო. ამ დეკრეტის ძალით იმავე წელს თავად ბეჟანიძეებისთვის (სეფერ, ნური, ოსმანი) ქუთაისის ქუჩის №29-ში საცხოვრებელი სახლები და საკუთარი აბანო „ევროპა“ ჩამოურთმევიათ.

ამავე დეკრეტით ჩამოართვეს ხელვაჩაურელ იუსუფ ვარშალომიძეს სახლები შეპელევისა და ბაღის ქუჩების კუთხეში, ოსმან ნაკაშიძეს სვიატოპოლკ-მირსკისა და მიხეილის ქუჩებზე კონფისკაცია გაუკეთდა ხალილ კაზანჯოღლის (ვარაუდით, მაჭახლელი კალანდაძის) საცხოვრებელ სახლსა და აბანო „ვენეციას.“ 1930 წელს ღია ცის ქვეშ დარჩა ბათუმელი აბაშიძეების დიდი ოჯახიც. ჰაიდარ, მემედ, იუსუფ, გულხეთ, ახმედ, რიზა, ჰაჯერ, მინირე და ზია აბაშიძეებს ჩამოართვეს საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, წითელი და სამეგრელოს შესახვევებზე.

ვერც ლორთქიფანიძეები გადაურჩნენ ამ ძალადობას. ისმაილ, ფატმა, რიზა, ასიე, ხასან ლორთქიფანიძეებმა სწორედ მაშინ დაკარგეს საკუთარი სახლები, სავაჭროები და სხვა დამხმარე ნაგებობანი ქუთაისის, შადრევანის, ლიბკნეხტის, მეჩეთის, აჭარის ქუჩებზე, აგრეთვე სანაპიროს მეორე შესახვევზე.

დაზარალდნენ იაყუფ, სალიხ და ხასან ბალაძეები, რომლებიც სანაპიროს შესახვევში ფლობდნენ საცხოვრებელ სახლებს, აგრეთვე ფადიმე ბაკურიძე, რომლის სავაჭრო ობიექტები ბარათაშვილის ქუჩაზე ხელისუფლებამ მიისაკუთრა.

საკმაოდ დიდ უძრავ ქონებას ბათუმში ფლობდნენ ბექირიშვილებიც. კონფისკაციას დაუქვემდებარეს ჰუსეინ, ოსმან, ისმაილ ბექირიშვილების საცხოვრებელი სახლები, მაღაზიები, აგრეთვე წყლის წისქვილიც, რომელიც ოსმან ბექირიშვილს 1890 წელს აუგია.

რამდენიმე სახლს ფლობდნენ ბათუმში ცნობილი თავადები: შერვაშიძეები, წულუკიძეები, სურმანიძეები და სხვები. დიდი ნაწილი მათი ნაგებობებისა რეკვიზიციას დაექვემდებარა და მხოლოდ რამდენიმე ოჯახს დაუტოვეს თავშესაფარი.

ნამდვილი განუკითხაობა იყო ჩადენილი ცნობილი ბათუმელი მრეწველისა და მეცენატის საბაშვილის მიმართ. მარიას და დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩებზე აგებული დიდებული შენობების პატრონს მისივე შრომით აგებული სახლის კიბის ქვეშ ამოხდა სული.

კონფისკაცია ჩაუტარდათ ბათუმში მცხოვრები ბერიძეების, გვარიშვილების, გოგიბერიძეების, გურგენიძეების, დევაძეების, ვარშანიძეების, ვერძაძეების, ირემაძეების, კახიძეების, კომახიძეების, კობალაძეების, კუპრაძეების, მარშანიების, მოფინაძეების, მჭედლიშვილების, მხეიძეების, მახარაძეების, მელიქიშვილების ნაკაშიძეების, სელიმიძეების, ტოგონიძეების, ფარტენაძეების, ქაჯაიების, შარაშიძეების, შერიფაძეების, შაქარიშვილების, ცინცქილაძეების, ჭიჭინაძეების, ჭელიძეების, ხარაბაძეების, ჯაფარიძეების, ჩიჯავაძე-

ბის, ხაჯიშვილების და სხვათა საცხოვრებელ სახლებს და დამხმარე ნაგებობებს.

მომდევნო რეაბილიტაციის პერიოდში ზოგიერთმა სახლთმფლობელმა დაიბრუნა თავისი უძრავი ქონება,მაგრამ დიდმა ნაწილმა საბუთების დაკარგვის ან განადგურების გამო, სამართალი დღემდე ვერ იპოვა.*

* ავტორს მიაჩნია, რომ დაკარგული ქონებისა და ძველი წოდება-პრივილეგიების აღდგენის პრეტენზია ამ წიგნს არა აქვს. ამ უფლებამოსილებით მხოლოდ სასამართლო და სხვა შესაბამისი უწყებებია აღჭურვილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# დამატებები

(საარქივო საბუთები)

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# დამატებები

**დამატება № 1**

## აქტი

1912 წლის იანვრის 18 დღე. ბათუმის ოლქის მკვიდრ მუსლიმანთა წოდებრივი უფლებების გამორკვევის მიზნით საოლქო კომისიის სხდომაზე კომისიის თავმჯდომარემ, სამხედო გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელმა, პოლკოვნიკმა **რომანოვსკიმ** წინადადება შემოიტანა, რათა დადგინდეს ცალკეული გვარეულობისა და პირების ის ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ ბეგის ან აღის წოდებაზე მათს კუთვნილებას. ამასთან ერთად კომისიის წევრებისა და კომისიაში მონაწილე ოლქის მოახლეობის რწმუნებულების შეთანხმებით განისაზღვრა, რომ:

**ბეგი** – ესაა საპატიო წოდებულება, რომელსაც თურქეთში ანიჭებდნენ ოლქების მმართველებს, ფაშების შვილებს და მომთაბარე ტომების მამამთავრებს. იგი რამდენიმე სახეობად იყოფა:

ა) ბეგლარ-ბეგი ე. ი. მთავარი ბეგი – ტიტული, რომელიც მიეკუთვნებოდა ვალის (გენერალ-გუბერნატორს). პროვინციების მმართველი ბეგლარ-ბეგები მირ-მირანებადაც, ე. ი. თავადთა თავადებადაც იწოდებოდნენ;

ბ) სანჯაყბეგი – სანჯაყის, ე. ი. ოლქის (ოკრუგის) მმართველი;

გ) ალაიბეგი – პოლკოვნიკის ხარისხის მქონე;

დ) სოფლებიდან სხვადასხვა სახის შემოსავლების, როგორიცაა: თიმარი, იურთლუქი, ოჯაქლიკი, ზიამეთი და სხვათა მიმღები ბეგი;

ე) ბეი-ზადე – თავადაზნაურთა ტიტული, რომელიც ენიჭებოდა თავადის (ბეგის) ვაჟებს.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

**აღა** – ესაა საპატიო წოდება, რომელიც ენიჭებოდათ:

ა) ხელისუფლების წინაშე დამსახურებისთვის ომის დროს, ასეთ შემთხვევაში ეს წოდება მემკვიდრეობითია, რის შესახებაც გაიცემოდა შესაბამისი საბუთი;

ბ) პირებს, რომლებიც თურქეთის წარსულ ომებში (გარდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წ. წ. ომისა) თავისი დროშით არმიაში მიჰყავდათ მოხალისე ჯარისკაცები; ამ დამახურებისთვის აღის წოდებამინიჭებულ პიროვნებებსაც აძლევდნენ საბუთს იმის შესახებ, რომ ეს წოდებაც მემკვიდრეობითია;

გ) აღის წოდების არმქონე წრმომავლობის პირები, რომელთაც ჰქონდათ ოფიცრის ხარისხი, მაგრამ ომის დროს პირადად იწოდებოდნენ აღად მემკვიდრეობის გარეშე.

ეს აქტი შედგა ამ საგანზე, რაზედაც ხელს აწერენ მოსახლეობის რწმუნებულები, სულ 14 ხელწერა, მათ შორისაა: **ხუსეინ-ბეგ ბიბინეიშვილის, ჯემალ-ბეგ ხიმშიაშილის, თუფან-ბეგ შერვაშიძის, ხუსეინ ხალვაშის, ესედ კომახიძის** და სხვათა ხელმოწერები, რომლებსაც ადასტურებს კომისიის მდივანი პოდპოლკოვნიკი **ვოიჩეკი**.

* * *

ადმინისტრაციული პირებისგან შქმნილი კომისიის თავმჯდომარე და წევრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის თვადაზნაურთა უფლებებს შეიძლებოდა გათანაბრებოდნენ ბათუმის ოლქის მხოლოდ ის მუსლიმანები, რომლებმაც:

1. წინაპრებისგან შეინარჩუნეს ბეგის ან სანჯაყბეგის წოდება, თუ თურქთა მფლობელობის დროს მათ მიენიჭათ ბეგის, სანჯაყბეგის, ალაიბეგის და ბეგლარბეგის წოდება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღალართა გვარეულობას, თუ ოსმალთა მფლობელობის დროს ისინი სოფლებისგან ღებულობდნენ სამხედრო იჯარას (შემოსავლებს) „ახჩებში“ სხვადასხვა სახელწოდებებით, როგორიცაა: თიმარი, იურთლუქი, ოჯაქლიკი, ზიამეთი, რაზეც ხელისუფლებისგან ჰქონდათ მიღებული ვალდებულება;
3. ახლა, მიწების ხაზინაზე გადაცემის სამაგიეროდ, ვინც ჩვენი ხელისუფლებისგან ღებულობს პენსიას.

დანარჩენებს, რომელთაც აქვთ აღის წოდება, მიჩნეულ იქნან არაუმეტეს საპატიო მოქალაქის უფლებებში, ამასთან ერთად მათ, ვინც თავისთავს აღას უწოდებს მხოლოდ იმიტომ, რომ არმიაში გაყავდათ მოხალიესები რუსეთ-თურქეთის ომის დროს და წოდების დასამტკიცებლად არ გააჩნიათ არავითარი საბუთი, წოდებრივი პრივილეგიები არ მიენიჭოთ.

თავმჯდომარე პოლკოვნიკი ***ბ. ს. რომანოვსკი***
წევრები: პოლკოვნიკი ***ა. დ. პოდგურსკი***
კაპიტანი ***ბ. ვ. სახნოვსკი***
პოლკოვნიკი ***ნ. გ. სატოვი***
პოდპოლკოვნიკი ***ე. ი. შმერლინგი***
პოდპოლკოვნიკი ***მ. ს. პანინი***
პოდპოლკოვნიკი ***ნ. ვ. ვოიჩეკი***

(აჭარის ცსა. ფ. ძ-78 აღწ. 1, ს. 4, ფურც. 4, 5).
რუსულიდან თარგმნა **რამაზ სურმანიძემ**

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**მოხსენება**

ბათუმის ოლქის ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის წოდებრივი უფლებების გამორკვევის საოლქო კომისიას

მარტის 7 დღე 1912 წელი, ქ. ბათუმი

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის განკარგულებით ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის წოდებრივი უფლებების გამოსარკვევად შექმნილი კომისიის მუშაობა შემდეგნაირად წარიმართა.

დასაწყისში ოკრუგების უფროსებს და ბათუმის პოლიცმეისტერს გაეგზავნათ მიწერილობები (15 მარტი, 1911 წელი, №2031 – ბათუმის ოკრუგის უფროსს, №2032 – ართვინის ოკრუგის უფროსს და 22 მარტი 1911 წელი, №2033 – ბათუმის პოლიცმეისტერს) და დაევალათ შეეგროვებინათ პრივილიგირებლი წოდების მქონე პირების დოკუმენტები, როგორიცაა: თურქეთის სულთნების ფირმანები, ბარათები და სხვ., რომლებითაც შეიძლებოდა წოდებრიობის დადასტურება; ნაფიც და სანდო მოწმეების ოქმები, ვისაც ასეთი ფირმანები და ბარათები არ გააჩნია, მაგრამ ითვლებიან მაღალი ფენის მემკვიდრეებად, გარდა ამისა, უნდა გარკვეულიყო რა პირობებში დაკარგეს მათ ეს დოკუმენტები, რომელმა ხელისუფლებამ ჩამოართვა, რა წოდებას (ბეგი, აღა) ატარებდნენ ამ პიროვნებების წინაპრები და ა. შ.

ამასთან ერთად ოკრუგების უფროსებს და ბათუმის პოლიცმეიტერს წინადადება მიეცათ ზუსტად დაედგინათ, რა ნიშნებით შეიძლებოდა ამა თუ იმ პიროვნების მაღალ წოდებრიობაზე მიკუთვნება და როგორი შინაარსისაა ეს ნიშნები; მათვე დაევალათ, მიეცათ მითითება ადგილობრივ მუსლიმან მოსახლეობაზე, რათა თავიანთი თხოვნის დას-

ამუთების მიზნით ყოველი ადმინისტრაციული ნაწილიდან და ქალაქ ბათუმიდან აერჩიათ ორ-ორი რწმუნებული, ვინც სანდო იყო და არავითარ დაეჭვებას არ გამოიწვევდა; აფხაზი მოსახლეობა, საერთო შემადგენლობის გარდა, თავისი რიგებიდან ირჩევდა განსაკუთრებული რწმუნების მქონე ორ პიროვნებას.

ზემოთდასახელებული დავალების შესასრულებლად წარმოდენილია: **ბათუმის ოკრუგის** უფროსისგან: ა) 1911 წლის 21 მარტს მისი თავმჯდომარეობით თურქული დოკუმენტების განხილვის ოქმი-შეტყობინება; სულ შემოსულია 41 საბუთი, რომელიც თან ერთვის ოქმს; ბ) ნაფიცთა მოკვლევის აქტი (21 მარტი, 1911 წ.) იმ პრივილიგირებულ პირთა შესახებ, რომლებმაც დაკარგეს, ან არა აქვთ საბუთები; გ) ცნობები მოსახლეობის მიერ ამორჩეულ და კომისიაში წარმოდგენილ რწმუნებულებზე; დ) 1912 წლის 3 იანვრის ოქმი განმცხადებელთა ნათესაურ ურთიერთობაზე გარდაცვლილ პირებთან, რომელთა სახელზე გაცემულია საბუთები; ე) 1912 წლის 23 თებერვლის რაპორტი №6688, იმ პირებზე, ვინც მხარის რუსეთის იმპერიასთან შემოერთების დროს ითვლებოდნენ პრივილიგირებულად და ამის გამო, სამხედრო ვალდებულების მოხდის ნაცვლად ნატურით იბეგრებოდნენ.

**ართვინის ოკრუგის** უფროსმა წარმოადგინა: ა) სხვადასხვა პიროვნების 28 თურქული საბუთი, რომლებიც ადასტურებს მათს წოდებრივ კუთვნილებას; ბ) 1911 წლის 30 მარტისა და 30 სექტემბრის ოქმები განმცხადებელთა ნათესაურ ურთიერთბაზე გარდაცვლილ პირებთან, რომელთა სახელზეც გაფორმებულია საბუთები: გ) საოლქო კომისიაში მონაწილეობისთვის მოსახლეობის მიერ ამორჩეულ რწმუნებულთა ცნობები.

**ბათუმის პოლიცმეისტერმა** წარმოადგინა: ა) ქ. ბათუმში მცხოვრები მუსლიმანების 4 დოკუმენტი; ბ) ნაფიცთა მოკვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევის 9 ოქმი იმ პირებზე, ვისაც არ გააჩნია საბუთები; გ) საოლქო კომისიაში მონაწილეობისთვის მოსახლეობის მიერ ამორჩეულ რწმუნებულთა ცნობები.

ოკრუგის უფროსებისა და ბათუმის პოლიცმეისტერის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გარდა, ბათუმის სამხედრო გუბერნატორის სახელზე სხვადასხვა დროს შემოდიოდა საბუთები იმ პირებისგან, რომლებმაც დააგვიანეს ოკრუგებსა და პოლიცმეისტერთან საბუთების წარდგენა. გარდა ამისა, გუბერნატორის სახელზე შემოდიოდა აგრეთვე განსაკუთრებული შუამდგომლობა იმ პირებისგან, რომელთაც არ გააჩნდათ ან დაკარგეს თავიანთი წოდებრიობის დამადასტურებელი საბუთები. ამგვარად, გასული წლის 20 ივნისისთვის საოლქო კომისიის პირველ სხდომაზე შემოვიდა 192 საბუთი და 184 განცხადება, რომელთა ავტორებმა განაცხადეს თავიანთ წოდებრივ უფლებებზე. წოდებრიობის თურქული დოკუმენტების თარგმნა გუბერნატორმა დაავალა მთარგმნელთა კოლეგიალურ შემადგენლობას, რომლებიც საოლქო კომისიაში რწმუნებულებად ამოირჩია მოსახლეობამ. თითოეული განცხადების შესამოწმებლად ადგილზე ნაფიცთა მიერ ტარდებოდა მოკვლევა ადგილობრივი მოსახლეობიდან 12 ნდობით აღჭურვილი მოწმის მონაწილეობით. ამ მოსამზადებელი სამუშაოს ჩატარების შემდეგ თითოეულ განმცხადებელზე, ან მათ ნათესაურ ჯგუფზე მომზადდა ცალკე ოქმები, რომლებსაც დაერთო ყველა საბუთი და მათი თარგმანები. ამგვარად კომისიაზე განსახილველ ოქმთა როდენობამ 399-ს მიაღწია. ყველა ეს ოქმი და თარგმნილი საბუთი წინასწარ შეამოწმა მოსახლეობის მიერ ამორჩულმა რწმუნებულებმა. მათ კომისიის თავმჯდომარემ შესთავაზა კანონთა კრებულის (1899 წ.) მე-9 ტომის 57 მუხლზე გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება, თუ როგორ შეესაბამებოდა იგი ცალკეული განმცხადებ-

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლის მოთხოვნას. რწმუნებულებმა წინასწარ ფიცი დადეს და გამოთქვეს საკუთარი აზრი, რომლებიც შეტანილია ოქმებში და რომელსაც ხელს აწერს ყველა რწმუნებული. თუ საქმის განხილვა ეხებოდა თვით რწმუნებულს ან მის ნათესავს, მაშინ რწმუნებულები დროებით ტოვებდნენ დარბაზს.

ყველა ეს სამუშაო შეადგენს საკუთრივ მოსამზადებელ ნაწილს, ძირითადი ადმინისტრაციული სამუშაო კი მოგველის მომავალი კომისიის სხდომაზე, რომელმაც თავისი დასკვნა უნდა გამოიტანოს შეგროვებული და შემოწმებული საბუთების საფუძველზე. მისი იმპერატორობითი უმაღლესობის, კავკასიის მეფისნაცვლის 1910 წლის 16 ოქტომბრის №22914 და 1911 წლის 3 მაისის №4654 მიწერილობის თანახმად, კომისიამ წარდგენილი მასალების განხილვით უნდა გამოიტანოს დასკვნა – ადგილობრივ მუსლიმან მოსახლეობაში არსებობს თუ არა ისეთი წოდებრივი პრივილეგიები, რომლებიც შეიძლებოდა გათანაბრებულიყო რუსეთის თავადაზნაურობის ამჟამად მოქმედ პრივილეგიებთან. თუ არსებობს, მაშინ უნდა დადგინდეს ის ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავენ ამა თუ იმ მუსლიმანური გვარის, ან ცალკეული პიროვნების წოდებრივ კუთვნილებას. ამის შემდეგ ყველა ცალკე ოქმით და მასზე თანდართული მასალებით უნდა გაკეთდეს დასკვნა ზემოთნაჩვენებ რომელ ნიშნებს აკმაყოფილებს ოქმში დასახელებული გვარი, ან პიროვნება.

მეფისნაცვლის მიწერილობაში არაა ზუსტად მინიშნებული, თუ რომელი პრივილეგიებია აუცილებელი, რათა ადგილობრივ მკვიდრთა ცნობილ გვარებსა და პიროვნებებს მიენიჭოთ რუსეთის თავადაზნაურთა უფლებები, არამედ მითითებულია საერთო ნიშნები, რომლითაც საოლქო კომისიას შეუძლია გაარკვიოს ის პრივილეგიები, რომლებიც ადგილობრივ პირობებში განსაზღვრავს თავადაზნაურულ

ფენაზე მიკუთვნებას, ამიტომ კომისიის მუშაობის გასაადვილებლად აუცილებლად მიმაჩნია მოგახსენოთ შემდეგი:

თურქეთი მიეკუთვნება ტიპურ დესპოტურ აღმოსავლურ სახელმწიფოებს, რომლებიც წარმოიქმნა მუხამედის შემდეგ. მათ თავიანთ სახელმწიფოებრივ წყობილებას საფუძვლად დაუდეს ისლამის მოძღვრება, რომელმაც უმაღლესი ხელისუფლების აბსოლუტიზმი აიყვანა უკიდურეს სიმაღლემდე. მისი ფილოსოფია მოკლედ ასეთია: მთელი ქვეყნიერების პატრონია ღმერთი, ალახი, რომელმაც ყველაფერი ადამიანისთვის შექმნა; მის წინაშე ყველა ადამიანი თანაბარია. ალახის წარმომადგენელი, მისი აჩრდილი – იმამი (სულთანი, ფადიშახი) სარგებლობს ისეთივე, მაგრამ შეზღუდული უფლებებით, როგორც ალახი. ნათელია, რომ სახელმწიფოს ცხოვრება, რომლის მართვა ასეთ ფილოსოფიას ემყარება, არ იძლეოდა მემკვიდრეობითი პრივილეგიების მქონე ძლიერი წოდებების განვითარების საფუძველს, რადგანაც უმაღლესი ხელისუფლება იმდენად ძლიერი იყო, რომ ყველაფერს ერთმანეთთან ათანაბრებდა და განუსაზღვრელ ფენებს არ აძლევდა საშუალებას პრივილეგირებულ ფენად თუნდაც სამსახურებრივი სარჩულით ჩამოყალიბებულიყო. თურქეთში არ იყო და არც არის წოდებრიობა, რომელიც ნაწილობრივ მაინც გაგვახსენებდა არათუ შუასაუკუნეების ევროპის ფეოდალებს, არამედ ჩვენს მომსახურე თავადაზნაურობას. ამის თაობაზე თურქეთში რაიმე კანონმდებლობაც კი, ჩვენი მე-9 ტომის მსგავსი, არ არსებობს. ასეთი მდგომარეობის გამო ზოგადი დებულებები, რომლებიც მეფისნაცვალმა იუსტიციის მინისტრისადმი გაგზავნილ 1906 წლის 10 იანვრის №522 წერილში გამოთქვა, მუსლიმანი მოსახლეობის წოდებრივი პრივილეგიების განსაზღვრისთვის ბაქოს, ერევნის, ელისავეტპოლის და ტიფლისის გუბერნიების, როგორც სპარსეთის ყოფილი პროვინციების

მაგალითი, ბათუმის ოლქისთვის, რომელიც თურქეთისგან რუსეთს შეუერთდა 1878 წელს, სახელმძღვანელოდ არ გამოგვადგება. სპარსეთში უეჭველია არსებობდა სრულიად ნათლად გამოხატული წოდებრივი დაყოფები. იქ მაღალი ფენის პრივილეგიები ბევრად მეტი იყო, ვიდრე რუსეთის თავადაზნაურობისა. დაბალი ფენების პირადი დამოკიდებულება მაღალ ფენებთან – ხანებთან, ბეგებთან, მელიქებთან და აღალარებთან, ბევრად დიდი იყო, ვიდრე ჩვენი ყმებისა და აზნაურებისა თავის ბატონებთან. იქ უმაღლესი ფენები დაბალი ფენებისგან ღებულობდნენ არამარტო გამოსაღებსა და ღალას, არამედ უფლება ჰქონდათ მათი პირადი მომსახურებისა. მათვე ეკუთვნოდათ სამემკვიდრეო პოლიციის უფლებები. აი, რატომ არ წარმოადგენდა არავითარ სიძნელეს ამ გუბერნიების ხანებზე, ბეგებზე, მელიქებსა და აღალარებზე რუსეთის თავადაზნაურების უფლებების მინიჭება. მათთვის რუსეთის თავადაზნაურობის უფლებების დამტკიცება არსებითად ფორმალურია,რადგანაც ამ უფლებებით ისინი დიდი ხანია სარგებლობენ, როგორც ეს სამართლიანად არის აღნიშნული იუსტიციის მინისტრისადმი გაგზავნილ მეფისნაცვლის ზემოთხსენებულ №522 წერილში.

სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგება პრივილეგირებული მდგომარეობა რუსეთთან მიერთებულ ბათუმის ოლქში, სადაც წოდებრიობა, ამ სიტყვის ევროპული გაგებით, არსებობდა. აქ ამ საკითხს ძალზე ფრთხილად უნდა მივუდგეთ. საქმე იმაშია, რომ თურქეთის ბეგებისა და აღალარების უფლებები განსხვავდება სპარსეთისგან. ამ წოდებებს ანიჭებდნენ სახელმწიფოს წინაშე სამხედრო და სხვა დამსახურებისთვის. ისინი დანარჩენ მოსახლეობას არ აყენებდნენ პირადად ბეგებსა და აღებზე დამოკიდებულ მდგომარეობაში, მაღალ ფენებს არ აძლევდნენ სამემკვიდრეო პოლიციის უფლებებს და მათი მემკვიდრეობითობა პირობითი და

ძალზე შეზღუდული იყო. შთამომავლობითი უფლებებისთვის აუცილებელი იყო ადგილობრივი ვალის ახალი ფირმანი ან ბარათი ყველა ახალი სულთანის მოსვლის შემდეგ. მოსახლეობისგან მიღებულ შემოსავალს, „ახჩას“ ჰქონდა არა განსაზღვრული ფულადი ბეგარის, ან დაბალი ფენების გამოსაღების სახე, არამედ ეს იყო ერთგვარი გადასახადი სამსახურისთვის, რომელიც განცალკევებული იყო სახელმწიფოს სასარგებლოდ მიღებული გამოსაღებიდან. „ახჩის“ მიღების უფლებისთვის მოითხოვდნენ სულთანის ბარათს, რომლის მემკვიდრეობითობას, ვალის ან ფაშის წარდგინებით, ამტკიცებდა ყველა ახალი სულთანი. აქედან გამომდინარე, როგორც ბეგის და აღის წოდებას, ასევე „ახჩას“ მიღების უფლებას ყოველთვის ადვილად ართმევდნენ. მოკლედ რომ ვთქვათ, მტკიცე, მკაცრად განსაზღვრული მემკვიდრეობითი წოდებრივი პრივილეგიები არ იყო, მაგრამ, ასეთი მდგომარეობის მიუხედავად, ცხოვრებაში მაინც გამომუშავდა მაღალი კლასების ცნობილი პრივილეგიები, ამიტომ ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის წოდებრივი უფლებებით დასაჩუქრების გადაწყვეტისას ამ მდგომარეობის უგულვებელყოფა შეუძლებელია, თუნდაც სუფთა პოლიტიკური მოსაზრებებით.

ყველა ზემოთმოტანილი მონაცემებით მე ვვარაუდობ, რომ ადგილობრივი მოსახლეობის წოდებრივი უფლებების განსაზღვრისას შეუძლებელია ვიხელმძღვანელოთ ბაქოს, ელიზავეტპოლის, ერევნისა და ტიფლისის გუბერნიების საფუძვლებით. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ ის ადგილობრივი პრივილეგიები, რომლებიც გარკვეულად შეეფერება რუსეთის თავადაზნაურობის უფლებების მინიჭების პირობებს, რაც ადვილად გაკეთდება, რადგანაც რუსეთის თავადაზნაურობა ასევე მომსახურეთა წარმომავლობისაა, მაგრამ მხოლოდ ერთი განსხვავებით, მომსახურეთა პრივილეგიები ჯერ ცხოვრებით, შემდეგ კი კანონით უფრო მტკიცე და განსაზღვრულია კომისიის 1912 წლის 18 იანვრის აქტში. ამჟამად კომისიამ დაწვრილებით უნდა განიხილოს ყველა ცალკეული ოქმი და გაარკვიოს, ოქმის რომელი მონაცემების საფუძველზე და მე-9 ტომის რომელ მუხლს პასუხობს ესა თუ ის გვარი ან პიროვნება და 18 იანვრის აქტის რომელი მუხლით განისაზღვრა წოდებრივი უფლებები.

ბათუმის ოლქის მუსლიმანი მოსახლეობის წოდებრივი უფლებების კომისიის წევრი – საქმისმწარმოებელი, ართვინის ოკრუგის უფროსის თანაშემწე, პოდპოლკოვნიკი

**ნ. ვ. ვოიჩეკი**

(აჭარის ცსა, ფ. U-78, აღწ. 1, ს. 3, ფურც. 1-3).

რუსულიდან თარგმნა **რამაზ სურმანიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ჟურნალი №2

ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობის წოდებრივი უფლებების გამორკვევის ბათუმის საოლქო კომისიისა

მარტის 7 დღე, 1912 წელი, ქ. ბათუმი

კომისიის ადმინისტრაციული ნაწილის სხდომა გაიმართა ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მ. შ. პოლკოვნიკ **რომანოვსკის** თავმჯდომარეობით და წევრების: სამხედრო გუბერნატორის თანაშემწის პოლკოვნიკ **პოდგურსკის**, სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის მმართველის კაპიტან **სახნოვსკის**, ოკრუგის უფროსების, ბათუმისა – პოლკოვნიკ **სატოვის**, ართვინისა – პოდპოლკოვნიკ **შმერლინგის**, ქალ. ბათუმის პოლიცმეისტერის პოდპოლკოვნიკ **პანინის** და კომისიის წევრ-საქმეთა მმართველის, პოდპოლკოვნიკ **ვოიჩეკის** შემადგენლობით.

კომისიამ მოისმინა ვოიჩეკის მოხსენება ჩატარებული მუშაობისა და იმის შესახებ, თუ შემდგომში როგორი მიმართულებით უნდა წარიმართოს კომისიის მუშაობა და ზოგადად დაეთანხმა მოხსენებას, ამავე დროს მიიჩნია, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის მეფისნაცვლის კანცელარიის 1910 წლის 16 ოქტომბრის №22914 და 1911 წლის 3 მარტის №4654 შეტყობინებების თანახმად კომისიას დაკისრებული აქვს გაარკვიოს:

ა) ბათუმის ოლქის მუსლიმან მოსახლეობაში არის თუ არა უმაღლესი წოდებრიობა;

ბ) შეიძლება თუ არა ეს წოდებრიობა გაუთანაბრდეს რომელიმე კატეგორიას: ბეგის, ხანის, ან სხვა თანრიგს;

გ) ეს წოდებრიობა მრავალრიცხოვანია, თუ არა;

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რა ნიშნებით შეიძლება მაღალ წოდებრიობას მიაკუთვნოს ცალკეული გვარეულობა ან პიროვნება (მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიაში მეფისნაცვლის კანცელარიის 1910 წლის 16 ოქტომბრის №22914 გამოხმაურება); ამის შემდეგ ამ პიროვნებებზე არსებული დოკუმენტების საფუძველზე მათი უარსებლობის შემთხვევაში კი ღირსეული, ნდობით აღჭურვილი მცხოვრებლების ჩვენების საფუძვლზე უნდა შედგეს სიები და აქტები წარდგეს კომისიაში დასკვნებთან ერთად, პრივილიგირებულ პირებზე რუსეთის თავადაზნაურობის უფლებების მინიჭების შესახებ (მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის კავკასიის მეფისნაცვლის 1911 წლის 3 მარტის №4654 მიწერილობა). ამ საქმის შესრულებისას კომისიამ უნდა იხელმძღვანელოს არამარტო მუშაობის დროს მოძიებული ცნობებითა და მასალებით, არამედ მეფისნაცვლის 1906 წლის 10 იანვრის №522 წერილის ძირითადი საფუძვლებით, რომლებიც მან გადაუგზავნა იუსტიციის მინისტრს, ამ საბუთში ნათქვამია: მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის გარემოება, რომ ისლამზე და ყურანზე დაფუძნებულმა თურქეთის სახელმწიფო წყობილებამ პროვინციებიდან, რომლითაც შექმნილია ბათუმის ოლქი, მოგვცა არა წოდებრიობის და მემკვიდრეობითი პრივილეგიების მკაცრად განსაზღვრის, არამედ უმაღლესი კლასის პრივილეგიების საკმაოდ შეზღუდულად წარმოდგენის შესაძლებლობა, თანაც უკიდურესად პირობითი მემკვიდრეობითობით. კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ წოდებების დასახელებები და მასთან დაკავშირებული პრივილეგიები, რომლის დადგენას აპირებენ ბაქოს, ელიზავეტპოლის, ერივანის და ნაწილობრივ ტიფლისის გუბერნიებში მცხოვრებთათვის, თავისი მნიშვნელობით სულაც არ შეესაბამება თურქეთისგან რუსეთთან შემოერთებულ ბათუმის ოლქის მუსლიმან

მოსახლეობას, რის გამო ამ მოსახლეობაზე აღმოსავლეთ კავკასიის ნაწილში არსებული წოდებრივი უფლებების მინიჭება არ იქნებოდა მისი დასაჩუქრება, რაზეც არ არსებობს არავითარი საფუძველი. მეორე მხრივ სასურველი არაა ადგილობრივ მუსლიმან მოსახლეობას სრული უარი განვუცხადოთ წოდებრივი უფლებების მინიჭებაზე პოლიტიკური მოსაზრებებით, რომლებიც მოტივირებულია მეფისნაცვლის მიერ იუსტიციის მინისტრის სახელზე გაგზავნილ ზემოხსენებულ წერილში (№522). კომისიამ გაითვალისწინა ზემოთაღნიშნული და დაადგინა:

ბათუმის ოლქის მუსლიმანი მოსახლეობის, ცალკეული გვარეულობისა და პიროვნების წოდებრივი უფლებები განისაზღვროს არა აღმოსავლეთ ამიერკავკასიის წესებით, არამედ კომისიის 1912 წლის 18 იანვარს დადგენილი განსაკუთრებული აქტების საფუძველზე და კანონთა კრებულის მე-9 ტომის 47, 52 და 57 პუნქტების შესაბამისად.

რაც შეეხება ზოგიერთების მოთხოვნას, რომ ადგილობრივ მუსლიმან მოსახლეობას წოდებრივი უფლებები მიენიჭოთ **საქართველოში უმაღლესი წოდებების თანაბრად იმის საფუძველზე, რომ ყველა მუსლიმანი მცხოვრები ქართული წარმომავლობისაა და ბათუმის ოლქი ოდესღაც უძველესი ქართული სამეფოს ნაწილს წარმოადგენდა. კომისიამ მიიჩნია, რომ ასეთი მაძიებლობა არ იმსახურებს პატივისცემას** შემდეგი მოსაზრებების გამო: მართალია, ადგილობრივი მუსლიმანი მოსახლეობა მართლაც ქართული წარმომავლობისაა, მაგრამ თურქეთის მფლობელობაში ის მოხვდა ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში, ერთიანად გადაერთო ისლამს და საქართველოსთან გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი. თურქეთის მფლობელობაში ეს მოსახლეობა იყო 1878 წელს ბათუმის ოლქის რუსეთთან შემოერთებამდე, ე. ი. 2 საუკუნეზე მეტხანს. ამ ხნის განმავლობაში ისლამზე

საყოველთაოდ გადასულმა მუსლიმანმა მოსახლეობამ, მუსლიმანური კანონების პრინციპების ძალით, დაკარგა თავისი ყველა წინანდელი უფლებები, ხოლო დღეს დიდი ხნის წინ დაკარგული უფლებების აღდგენის არავითარი საფუძველი აღარ არსებობსო.

ამასთან ერთად კომისიამ მხედველობაში მიიღო, რომ ადგილობრივი მუსლიმანური მოსახლეობის წარმომადგენელთა მცირე ნაწილს აქვს ბეგის, აგრეთვე აღის წოდება, რომლებიც ღებულობენ „ახჩას," მათი დიდი ნაწილი კი სარგებლობს უბრალოდ აღალარის წოდებით, კომისიის 18 იანვრის აქტით ისინი არ არიან მიჩნეული პირებად, რომელთაც მიენიჭებოდა რუსეთის თავადაზნაურობის პრივილეგიები. მიუხედავად ამისა, კომისიამ სუფთა პოლიტიკური მოსაზრებებით, ადგილობრივი მცხოვრებლების ცნობილი ნაწილის ღირსებისმაძიებლობის დასაკმაყოფილებლად მიზანშეწონილად მიიჩნია. აღალარებს, რომლებიც არ ღებულობდნენ „აღჩას," მაგრამ სარგებლობდნენ აღალარის წოდებით და უმნიშვნელო პრივილეგიებით მინიჭებოდათ საპატიო მოქალაქის წოდება.

რაც შეეხება თავადის და სხვა ტიტულებს, ასეთებზე შესაძლოა ვიშუამდგომლოთ მისი იმპერატორობითი უმრავლესობის, 1906 წლის 10 იანვრის №522 წერილის მე-6 პუნქტით.

გარდა ამისა, კომისიამ სასურველად მიიჩნია წოდებრივი უფლებები მიცემოდა აგრეთვე მაღალი კლასის ადგილობრივ მუსლიმან მოსახლეობას, რომელმაც მართალია, ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტები, მაგრამ პრივილეგირებულ კლასზე მისი მიკუთვნება: ა) ცნობილია ადგილობრივი ხელისუფლებისთვის; ბ) დადასტურდება ნაფიცი მსაჯულების მოკვლევით; გ) არჩეული წოდებრივი წარმომადგენლების ჩვენებით, ამ პირობებიდან რომელიმე მათგა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნის არარსებობის, ან მოწმეთა არასწორი ჩვენების, თითქოს რაღაც „გაიგონეს," ან კიდევ თუ წოდებრივმა წარმომადგენლებმა ერთხმად არ დაუჭირეს მხარი, თხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ასეთი დათმობების დაშვება სასურველია, რადგანაც უმაღლესი კლასის ადგილობრივმა მუსლიმანმა მოსახლეობამ მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში შეინახა წოდებრივი უფლებების დამადასტურებელი საბუთები, თუმცა მათი უფლებები ისედაც სახეზეა.

ამის შემდეგ კომისია შეუდგა ყველა ცალკეული ოქმის დეტალურ განხილვას, რომლებშიც შეჰქონდათ ოქმის მონაცემების საფუძველზე შედგენილი რეზოლუცია.

თავმჯდომარე, პოლკოვნიკი ***ბ. ს. რომანოვსკი***
წევრები: პოლკოვნიკი ***ა. დ. პოდგურსკი***
კაპიტანი ***ბ. ვ. სახნოვსკი***
პოლკოვნიკი ***ნ. გ. სატოვი***
პოდპოლკოვნიკი ***ე. ი. შმერლინგი***
პოდპოლკოვნიკი ***მ. ს. პანინი***
პოდპოლკოვნიკი ***ნ. ვ. ვოიჩეკი***

(აჭარის ცსა, ფ.И-78, აღწ. 1, ს. 4, ფურც. 8-10)
რუსულიდან თარგმნა **რამაზ სურმანიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა


როგორც ირკვევა, ბათუმის ოლქის მცხოვრებთა ანალოგიური თხოვნით კავკასიის მეფისნაცვალს თურქეთიდან რუსეთზე შემოერთებული სხვა ოლქების მცხოვრებლებმაც მიმართეს, მაგრამ განმცხადებელთა სიმცირის გამო ამ ოლქებში კომისიები არ შეუქმნიათ და გამონაკლისის სახით მათი განცხადებების განხილვა ბათუმის საოლქო კომისიისთვის დაუვალებიათ.

ბუნებრივია, ჩვენ მათ გვარებს ბათუმის ოლქის სიებში ვერ შევიტანდით. ამიტომ მკითხველს ცალკე ვთავაზობთ.

## ყარსის ოლქი
## ოლთისის ოკრუგის სოფელი კარნავუზი

1. ხუსეინ-ბეგ მახმუდ-ბეგის ძე
2. ხატის-ბეგ სული-ბეგის ძე
3. ჯალალ-ბეგ სული-ბეგის ძე
4. რამიზ-ბეგ სული-ბეგის ძე
5. ნუსრეთ-ბეგ ხიმშიაშვილი
6. რუსტამ-ბეგ ხიმშიაშვილი
7. აბას-ბეგ ხიმშიაშვილი
8. ბედო-ბეგ ხიმშიაშვილი
9. სალეხ-ბეგ მურადალის ძე ხიმშიაშვილი

## სოფელი ტაოსკარი

10. დევრიშ-ბეგ დურსუნ-ბეგის ძე ხიმშიაშვილი
11.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### არტაანის ოკრუგის სოფელი ზურზუნა

12. დედე-ბეგ ნაიმ-ბეგის ძე ორბელიანი

### ყაღიზმანის ოკრუგის სოფელი სოგუთლი

13. იუსუფ-ბეგ ასად-ბეგის ძე ხატუნ-ზადე

ჩვენი აზრით, ორბელიანთან და ხიმშიაშვილებთან ერთად, ყველა მათგანი ქართული წარმომავლობისაა, ამასთან ძველ თავადურ გვარს მიეკუთვნებიან, მაგრამ ბათუმის საოლქო წოდებრივმა კომისიამ მათ მიანიჭა მხოლოდ წოდება, „რომლებიც იმსახურებენ პატივისცემას.“

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ბოლოსიტყვა

საქართველოს მიმართ „სიკეთით“ საბჭოთა დიპლომატიამაც გამოიჩინა თავი. ქვეყნის უძველესი კულტურის აკვანი საქართველოს ჭეშმარიტი დიდება ტაო-კლარჯეთი, სადაც ჩვენი წარსულის მღაღადებელი ძეგლები დღესაც შემორჩა, გასაბჭოების შემდეგ მან უცხო ქვეყანას გადაულოცა: 1878 წელს ქართველთა სისხლით და ოფლით დაბრუნებული საკუთარი მიწა-წყალი ორი ქვეყნის გარიგების საგნად იქცა. ოფიციალური მონაცემებით, ასე ჩამოგვშორდა:

– ბათუმის ოლქის სამხრეთი ნაწილი, მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალი 936,15 კვ. კმ., სადაც 16 380 სული მკვიდრი ქართველი ცხოვრობდა;

– ართვინის ოლქი 3388.82 კვ. კმ., 56.480 სული მოსახლეობით;

– არტაანის ოლქი 5644.74 კვ. კმ. მოსახლეობა 85 868 სული.

ამგვარად, მარტო თურქეთს რუსეთის ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ ყარსის ხელშეკრულებით 1921 წელს გადასცა საქართველოს ტერიტორიის საკმაოდ დიდი ნაწილი – 9970 კვ. კმ, სადაც 158,728 სული ეთნიკური ქართველი ცხოვრობდა.

ქართულ ცნობიერებას, კულტურასა და განათლებას მცირე ხნით ნაზიარები მოსახლეობა კვლავ უცხოობის ბურუსში მოექცა.

ამ მოვლენებს დიდი სოციალური ძვრები მოჰყვა. ოჯახები ორად გაიყო. სხვადასხვა სამყაროში აღმოჩნდა, კვლავ დაირღვა საკუთრების ფორმები, მიწათმფლობელობის წესები. ბევრმა გვარმა დაკარგა კუთვნილი მიწა-წყალი. აღარაფერს ვამბობთ თავისი ნიჭით, უნარით, მამაცობით, გმირობითა და მოხერხებულობით მოპოვებულ წოდებებსა და პრივილეგიებზე, რომელთა აღდგენაზე ახალი ხელისუფლება თავსაც არ იტკივებდა. პირიქით, როგორც ვნახეთ, საბ-

ჭოთა პერიოდში იდევნეოდა არა მარტო თავადაზნაურობა, არამედ ის პირებიც, ვინც შემთხვევით თუ შერქმევით თავადაზნაურულ გვარს ატარებდა.

* * *

ბოლო წლებში საქართველოს თავადაზნაურთა გვარები გაშუქდა არაერთ მონოგრაფიასა და ცალკეულ ნაშრომში, პლაკატ-ფურცლების სახით დაიბეჭდა აგრეთვე სიები „საქართველოს თავადაზნაურობა," რომელშიც შეტანილია ყოფილ ბათუმის ოლქში მცხოვრებ თავადაზნაურთა ზოგიერთი გვარი; ზოგი კი საერთოდ არაა ნახსნები. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც საქართველოს საზოგადოებრიობისა და სამეცნიერო წრეებისთვისაც კი უცნობი იყო ამ გვარების არსებობა. ამ წიგნით ჩვენ შევეცადეთ შეგვევსო ეს ხარვეზი.

ვფიქრობ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ ჩამოვთვლით თავადაზნაურთა იმ გვარებს, რომლებსაც 1912 წელს აღუდგინეს წოდებები, მაგრამ არ გვხვდება გეორგიევსკის ტრაქტატის დანართში, 1850 წელს შედგენილ სიაში და ბოლო დროს გამოქვეყნებულ მასალებში. ესენია თავადები: **ავალიანი, ათაბაგი, ბეჟანიძე, ბიბინეიშვილი, ზვანბაია, კამიშოღლი, სურმანიძე, ჯაყელი**: აზნაურები: **გაბაიძე, გენჯაძე, გოსხაპეიშვილი (კვირკველია), დიასამიძე, ლაბაძე, კეკელიძე, კიბურიძე, კონცელიძე, მალაყმაძე, მარშანია, მელიქიშვილი, ოქროპირიძე, ქარცივაძე, ქიქავა, შაშიკაშვილი, ჩიჯავაძე, ჩხეიძე, ცეცხლაძე, ცინცაძე, წილოსანი, ჭიჭინაძე, ხალვაში, ხარაზი, ხოზრევანიძე, ჯიჯავაძე**.*

---

*ამ სიაში არ შევიდა ის გვარები,რომელთა წოდებები 1912 წლისათვის აღიარებული, ან სხვა დოკუმენტით იყო დადასტურებული.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდმა ილიამ ქართველი ერის მთავარი ღირებულებები სამ მთავარ საუნჯედ ჩამოაყალიბა: ენა, მამული, სარწმუნოება. უცხოელთაგან სამი საუკუნით მიტაცებულ მხარეებში (ბათუმის ოლქში) ქართველმა კაცმა შეინარჩუნა ენაც და მამულიც, რამეთუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ დარჩენილ მიწა-წყალზე უპირატესად ჯერ კიდევ ქართველები ცხოვრობენ. დაკარგა სარწმუნოება, მაგრამ შეინარჩუნა ისტორიული ძეგლები, რომლებიც ჩვენს წარსულზე უსიტყვოდ ღაღადებენ. ამ წიგნით მკითხველი დარწმუნდება, რომ ქართველი კაცი ადვილად არ შეელია თავის გვარტომობას, წარჩინებულობასა და პრივილეგიებს და მუდამ თხოულობდა იმ წოდებების აღდგენას, რაც მას ქართულმა სახელმწიფოებრიობამ დაუტოვა, თუმცა მათი დაბრუნება იმპერიების ხელში არ მოხერხდა. ახლა ამის დრო დადგა. დარწმუნებული ვარ სამართლიანობა აღდგება და აქაურ ქართველ კაცს საბოლოოდ დაუბრუნდება თავადისა და აზნაურის წოდებები. ეს ხელს შეუწყობს იქაურთა ეროვნული ცნობიერების გაღვივებას, რაც თავის მხრივ დააჩქარებს მოსახლეობის ისტორიული სარწმუნოებისკენ მოქცევას და დაყოფილ-დაქუცმაცებული ქვეყნის გაერთიანებას.

## CONCLUSION

Combined list of Georgian aristocracy and honored citizen are not preserved in the archives. Prominent Giorgievski Tract created in 1783 is followed by the list of aristocracy of Kartlkakheti. This list was published in 1850 as separated book and it also enumerated the aristocracies of Imereti and Guria but it did not include lists of South Georgia (Adjara, Shavshet-Imerkhevi, Livana, Lazeti) as it was under invaders at that time.

In 1878, when South Georgian territories were returned, Russian Government had no attempt to compile aristocracy lists like Kartl-kakheti, Imereti and Guria. Because of this reason only several families of prominent surnames were known.

In 2005, at the manuscripts fond of Museum named after Khariton Akhvlediani of Ajara Autonomous Republic, was discovered two big cases which partially brings to light the history of aristocracy of South Georgia.

Identified that in 1911 more than hundred reprezentatives of prominent families addressed to the administration of Russia to recover their own historic titles of aristocrats. To this issue government created commission including local citizens and translators which was examining resented documents and introducing their opinion to the special commission for further conclusion. 163 autstanding families were living at that time in Batumi district. In two years only 98 requests were received and it seems that other 65 outstanding families were already included in the list.

All demands of applicants were lawful but commission recovered the titles only to 31 of them.

In spite of this, we included all applicants in our book, in order to be clear for readers the reality of historical heritage of habitants of usurped Georgian district.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

History of Batumi district is much different than other regions of Georgia, because of this fact we want to discuss new and old history of aristocracy families.

In the book included emblem of separate families, aristocracy lists, photos which show that aristocracy of Batumi district does not change their appearance under the invaders. They clearly know that titles together with language played great role in the maintenance of consciousness of habitants of Batumi district and no doubt that will help to return historical religion.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# РЕЗЮМЕ

Цельный список дворянства и почетных граждан, проживающих в Батумской области не сохранилось. К известному Георгиевскому Трактату, 1783 года, приложен список дворянства Картли и Кахети, который в 1850 году издан отдельной книгой. В ней внесены также списки дворянства Имерети, Самегрело и Гурии. В последуюшие годы были опубликованы дополнительные списки, но в них Южная Грузия, которая позже именовалась Батумской областью (Аджара, Шавшет-Имерхеви, Ливана, Лазети), не была внесена, т. к. в то время она была под владычеством Османской империи и дворянство носило титули: Бек и Ага.

В 1878 году, после возврашения Южной Грузии, на подобии Картл-Кахети, Самегрело, Имерети и Гурии, Аналогичные списки для вновь вернувшихся Батумской области русским правительством не были составлены. По этому долгое время в этих краях известны были лишь несколько семей знатных фамилии.

После ознакомления с этими ценнейшими документами нам стало известно, что в 1911 году представители около 400 семей обратились с заявлениями к русской администрации, чтобы им восстановили исторически принадлежащие им титулы дворянства (тавади и азнаури) и звания почетного гражданина. С этой целью при губернаторской канцелярии местные власти создали Чрезвычаиную Комиссию, кроме того из местного населения составили группы уполномоченных и переводчиков, которые детально изучали документы заявителей и свои соображения предслтавляли Комисии. На основе этих данных Комиссия выносила свой окончательные заключения.

В тот период на територии Батумской области проживало 396 фамилии,носящие в былое время титул дворянства. За два года в комиссию обратились представители 298 фамилий, остальные 98 фамилии как видно, в тот момент были признаны знатными,по-этому они с просбой не обращались.

Как видно из заключения местных уполномоченных, все требования заявителей были оправданы. Однако Губернаторская Комиссия удовлетворила званием князя (тавади) только 19 фамилиям, дворянина (азнаури) – 23 а звание почетного гражданина присвоила лишь в 64 случаях.

Несмотря на это, в настоящей книге мы внесли все фамилии, чтобы для читателей стало ясно историческая реальность знатных фамилии в провинциях, которыми веками владели иностранные захватчики.

История бывшей Батумской области отличается от истории других уголков Грузии. По-этому целособразным сочли обозреть и проанализировать старое и близкое прошлое известных фамилии,семей и отделных лиц, в частности: сословное деление в старой Грузии и в период владычества Османской империи,дворянство во время правления Россииской империи,судьба знатных фамилии в период Советского строя и т.д.

Для восстановления объективной картины и для наглядности, в книге внесены княжеские фамилий, а также списки и фотодокоменты отдельных представителей,которые несмотря на многовековое господство иностранцев, не изменили свою внешность,носили национальную одежду и всегда были преданными грузинским национальным обрядам, хорошо понимали, что чуждое звания (ага,бек) вместо дворянских титулов (Азнаури,Тавади), на подобие исламской веры, насильственно были навязаны. Вместе с грузинской речью,защита и сохранение этих ценностей, выполнили большую роль в отстоянии родного сознания. Несомненно, что они все будут способствовать возврашению исторического исповедания.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აჭარაში მცხოვრებ სხვა თავადაზნაურთა გერბები

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## აზნაური აბულაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავადი დადიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზნაური ბოლქვაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# აზნაური კეკელიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავადი მხეიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავადი მიქელაძე



აზნაური მჟავანაძე



ელექტრონული ბიბლიოთეკა

# თავადი ჟიჭიანი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავადი ჩხეიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

## აზნაური ჯაფარიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

წინასიტყვაობა . . . . . . . . 3

წოდებრივი დაყოფა ძველ საქართველოში . . . . . . . . 15

ფეოდალური იერარქია ოსმალთა ბატონობის დროს . . . . . . . . 23

ბათუმის ოლქის ქართველი თავადაზნაურობა რუსთა მმართველობი დროს . . . . . . . . 39

ცარიზმი დათმობაზე მიდის . . . . . . . . 71

ბათუმის ოლქის ზოგიერთი თავადური გვარის ონომასტიკონი . . . . . . . . 85

აბაშიძე . . . . . . . . 87

ავალიანი . . . . . . . . 93

ათაბაგი . . . . . . . . 101

ბეჟანიძე . . . . . . . . 109

ბიბინეიშვილი . . . . . . . . 116

თავდგირიძე . . . . . . . . 121

კამიშოღლი . . . . . . . . 143

ლორთქიფანიძე . . . . . . . . 147

ნაკაშიძე-გვარელაშვილები . . . . . . . . 157

ნიჟარაძე . . . . . . . . 165

სურმანიძე . . . . . . . . 191

შერვაშიძე . . . . . . . . 203

წულუკიძე . . . . . . . . 213

ხარაზი . . . . . . . . 227

ხიმშიაშვილი . . . . . . . . 235

ჯაყელი . . . . . . . . 251

ეროვნული ბიბლიოთეკა

სია ბათუმის ოლქში მცხოვრები მოქალაქეებისა, რომელთაც 1911-1912 წლებში კომისიას მიმართეს წოდებების აღდგენის თაობაზე ..................257
თავადები და მათი ოჯახები ................................262
აზნაურები და მათი ოჯახები ................................275
სია ბათუმის ოლქის ქალაქების, დაბებისა და სოფლებისა, საიდანაც კომისიაში შევიდა განცხადებები წოდების აღდგენის შესახებ .......289
თავადაზნაურთა ბედი საბჭოთა პერიოდში (რეპრესიები)......295
1937 წელს ბათუმში დახვრეტილ თავადთა სია ახლადმოძიებული საარქივო დოკუმენტები ............303
დამატებები ................................313
დამატება № 1 ................................314
დამატება № 2 ................................317
დამატება № 3 ................................325
დამატება № 4 ................................330
ბოლოსიტყვა ................................332
CONCLUSION ................................335
РЕЗЮМЕ ................................337
აჭარაში მცხოვრებ სხვა თავადაზნაურთა გერბები .....339

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი **ზურაბ ჭუმბურიძე**
ოპერატორი **ნანი გორგაძე**
დამკაბადონებელი **ანაიდა ავეტისიანი**
კორექტორი **მარინა გოგუაძე**
ფოტოკოლექცია **ზურაბ სურმანიძისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა